



N17 (568)

28/IV-4/V-2011

ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკო

ტომი №60

გიორგი ლონია
ნაბვრის ხე

უამბლიათ უამბლიათ
„გზის“ ამ მომართან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

უამბლიათ ტომი
სერგი ჭილაია




„უამბლიათ,
პრეზიდენტის
პირად
დასვაუნი
მიხილოთ“...

„თქვა დანელიას
ცოლად არ
მოვიყვანდი“...

მეუღლესთან
ერთად გამეჩალი
თორნიკე გობრიჭიანი

„გვრ სინებრესო
ვირსიას მოვიყვებთან“...

როგორ ვიპოვოთ სამსახური?



როგორ ვიპოვოთ
სამსახური
ნოდარ დუმბაძეს?

მჯერა, საშველად ვიღაცა მოვა

„დაპირისპირებული“
ქართველი ქალების ამბავი

სტალინმა და გოლთან
დაპირისპირება,
ამილანპარი ჩემი
თანამშრომელი
იყო

ISSN 1987 - 5029
9 771987 502009

არაბი უიზი
ქართველ
ბიჭს
წელიწადში
64 ათასი
დოლარით
აუზინანებს

უწმიდესის კურთხევით
წაღმა დაბრიალებული
ბედის ბორბალი

სასაცილო
ინტერვიუ

ვინ უამბლიათ უფალს
ამილან ჩემის სული

Elos სილაგაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სინითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალეობას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!



ჩაენართ უფასო კონსულტაციაზე
29 00 66 29 47 47
თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

საბავშვო გამოფანა-ბაყიდვა 28-30 აპრილი



Baby Expo

ფასდაკლება
-50%
-მდე

www.babyexpo.ge

გამოფანაზე წარმოდგენილი იქნება:

- ბავშვთა კვება, კვების აქსესუარები
- ჰიგიენა, კოსმეტიკა, მოვლის საშუალებები
- სათამაშოები, ნიბნები
- აბჯანები, მანუალები, საწოლები, სკამები და ა.შ.
- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
- ორსულებისა და ახალგადა დადაბისთვის განკუთვნილი პროდუქცია

ბასახიუმობი ჰუმობიბა ბავშვბიბისთვის!

ბიზნეს ცენტრი «დიდუბა პლბზა»
წართლის 116

ბბნბრბლბრი სპონსორი
Tigex (ბბზრბბბბბბ)



პარტბნობრი:
დიდუბა პლბზა



სბნბზორბბბბი
ბბბრბლბბბბ
24



franco fontana italy

franco fontana

გთავაზობთ ცნობილი

იტალიური ბრენდების

ოქროსა და ვერცხლის ნაქათობების

ახალ სავაზაფხულო კოლექციას!



ოყნო ყოველი დარწმუნოა franco fontana -ს სიმკაცრეზონ რიოდ!

franco fontana გემოვნებინანი აღმინანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎18-10-47; ვაჟინის 7 ☎30-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎18-10-46;

თბილისი 7 ☎18-14-15 (სადაცაც უნდა იპოვოთ)

მაგენოლი

ნიმსულიდი 100მგ

იდეალური გამოსავალი ტკივილისა და ანთების დროს

შეიძლება თუ არა ერთდროულად დავამარცხოთ ტკივილი და ანთება?

თანამედროვე მედიცინა მიმართულია ისეთი მედიკამენტების შექმნისკენ, რომლებიც მცირე დროში ეფექტურად ახდენენ დაავადების ამა თუ იმ სიმპტომის კუპირებას. განსაკუთრებული მოთხოვნა დღეს წაყენება ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს. ტკივილის დროს ძირითადი მოთხოვნაა მისი სწრაფი მოხსნა, ხოლო ანთების მკურნალობისას მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატს ჰქონდეს მინიმალური გვერდითი მოვლენები, ანთების საწინააღმდეგო თერაპია ხომ გაცილებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

პრეპარატი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც ტკივილის, ასევე ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის მოთხოვნებს არის უნიკალური ტექნოლოგიით დამზადებული მედიკამენტი - "მაგენოლი".

"მაგენოლის" ტაბლეტი პირის ღრუში მოხვედრისთანავე წყლის გარეშე იხსნება. მისი შენოვა პირის ღრუდან იწყება, რის გამოც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი უმოკლეს დროში დგება. მაღალსელექტიური მოქმედების გამო, მინიმუმამდეა შემცირებული მისი გვერდითი ეფექტები ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც (მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ). ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წყალში გახსნა და ისე მიღება, რაც "მაგენოლის" შემთხვევაშიც შესაძლებელია. თუმცა მისი მთელი უპირატესობა ის არის, რომ "მაგენოლის" მიღება შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში და არ არის საჭირო ჭიქა წყლის ძებნა.



დავით აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური 967 227
პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური
ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს!

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!



ქვეყანა



**სააღდგომოდ
უწყალაბული**

„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ციხეში დაბრუნებამ აღარასოდეს მომიწიოს. ქურდობა მხოლოდ იმიტომ ჩავიდინე, რომ ცოლ-შვილი მყავდა სარჩენი. ორი შვილი მყავს...“

8

სახე



**მეუღლესთან ერთად გააქრალი
თორნიკე გობრიჭიანი**

„მასხოსს, ამ დროს რეალობის შეგრძნება დავკარგე, დღე და ღამე გაერთიანდა და ვეღარ ვხვდებოდი, სად ვიყავი და რა ხდებოდა ჩემს თავს... ამ სპექტაკლით ხორვატია, ესტონეთი და ისრაელი მოვიარეთ.“

26

■ მიწიატიურები

5

სეროჟა ვანშია!

■ სუთხაბათიდან სუთხაბათამდე

6

■ თაოზა

12

ამერიკული უნივერსიტეტი საამიროებში და ქართველი ბიჭი, რომელსაც 64 ათასი დოლარი „აჩუქეს“

■ საბანძური

14

პატარძელის იებით მოქსოვილი წიგნი

■ კარიერა

18

ვინ შეავედრა უფალს მაიკლ ჯექსონის სული?

■ გამომწევა

21

ბიჭი რომ ვიყო, თვა დანელიას ცოლად არ მოვიყვანდი

■ ამბლუა

22

„ჩემი ნაცნობი მომღერლებიდან ყველანი „თავს იკლავენ“

■ აქრანს მიღვა

24

ვინ ქმნის „გოგონას...“

■ კონკურსანაბი

25

სცენაზე ამღერებული „მოცეკვავე ვირი“

■ კულისაბი


26

მეუღლესთან ერთად გააქრალი თორნიკე გობრიჭიანი



ცხოვრება

„მჯერა, საშველად ვიღაცა მოვა“



„მაგრამ უფალმა არ გამწირა და ცოტა ხანში, ჯანდაცვის სამინისტროსა და თეძის ხანდაზმულთა პანსიონატის ხელმძღვანელობამ გამონაკლისი დაუშვეს და ამ პანსიონატში დროებითი საცხოვრებელი ფართობი გამომიყვეს.“

28

მზა გენილები

**ყველაზე დიდი უსამართლობა,
რასაც ცხოვრებაში გადაწყვიტავ**



ვფიქრობდი, ალბათ მარტოხელა ქალია და თავს ასე ირჩენს-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე შვილი ჰქოლია... ვაჟი... თანაც — ამერიკაში. ძალიან გამიკვირდა, შვილი ამერიკაში თუ ჰყავდა, ასე როგორ უჭირვებდა მოხუც დედას, რომ სამათხოვროდ გამოდიოდა?

64

■ სულის სიმაგილე	28
„მჯერა, საშველად ვილაცა მოვა“	
■ კვალი	32
„ნოდარი ასეთ სახლს არ ააშენებდა...“	
■ ოჯახი	34
როგორ იპოვა თურქმა სუატ კოჩმა ოცნების ქალი...	
■ თინეიჯარული პონგები	36
რა არის საჭირო იმისთვის, რომ სამსახური იშოვო	
■ მხატვარი	38
ავტოპორტრეტი ნეკერჩხლისფერი ნაჭდევებით	
■ ტაქარი	40
საუფლო დღე და ბრწყინვალე შვიდეული	
■ ისტორიის ლაბირინთები	42
დიმიტრი და კონსტანტინე ამილახვრები — II მსოფლიო ომისდროინდელი სევდიანი ამბავი	
■ ავტო	45
■ ერუდიტი	46
„სანთლის შუქზე მიყვარდა კითხვა“	
■ საკითხავი ქალბისათვის	48
■ ჯანმრთელობა	50
■ წვეთი პოეზია	52
■ რეალური	53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული ღვთაებები	56
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (დასასრული შემდეგ ნომერში)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ნადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
ყველაზე დიდი უსამართლობა, რასაც ცხოვრებაში გადავყრივარ	
■ ყველა ერთსათვის	68
■ სამყარო	76
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სქანოვანი	81
■ საუბრით კარსპორტი	82

სამყარო



ბრწყინვალე შვიდეული

აღდგომის მომდევნო კვირას — ნათელი კვირა — ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. ამ კვირის ყოველი დღე აღდგომის ტოლფასია და ყოველი დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.

40

ბიბლუსი



ანტიკვარი



ამასობაში „ანტიკვარმა“ სკალპელი მოიმარჯვა და გოგლას მარჯვენა მხარეს, მუცელზე დაუსვა. ლალიძე ტკივილისგან დაიკრუნჩხა და მთელი ხმით იღრიალა.
— ნუ იკლაკნები, — ხმა გაიმკაცრა მანიაკმა, — თორემ შეიძლება, შემთხვევით ძალზე მნიშვნელოვანი ორგანო მოგაჭრა.

56

ბაიბ-აუბი



პარანი — კომოდოს დრაკონი

ვარანს კარგად განვითარებული ყნოსვა აქვს და მსხვერპლს 8 კმ-ის მოშორებითაც გრძნობს. მას საკუთარი წონის მსხვერპლის შეჭმა შეუძლია.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატებას.
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
დიზაინი: ანა უთურგაიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტიელიანი, რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სეროჟა ვანშია!



შსავლის ნაცვლად სააღდგომო უქმეებიც მიიღია და, ღვთის მაღლით, არც აეროპორტში უჩხუბია ვინმეს (იციტ თქვენ, ვისაც ვგულისხმობ), არც „მამალი ძროხები“ დახოცილან „საჩვენებელ“ ფერმებში და არც რეი ჩარლზი ჩამოუყვანია „ნაცმოძრაობას“ ბათუმის ახალგაჩენილ „ძველ ბულვარზე“ კონცერტის გასამართავად (თუმცა რეი ჩარლზი აღარ არის ცოცხალი, ხომ?... მერე რა, სულერთია, ამით ძირითადად მაინც, მკვდრები თუ არა, მომაკვდავები ან ცოცხალ-მკვდარი პენსიონერები ჩამოჰყავთ)...

ერთი სიტყვით, დღესასწაულმა მშვიდად და სასიამოვნოდ ჩაიარა და მეც აღარ ვიცოდი, დღეს რა „პროვოკაცია“ უნდა მომეწყო... მერე, თიკო სადუნშვილს (არ მკითხოთ ახლა, ვინ არისო!) საახალწლო კონცერტზე ბიჭმა რომ აკოცა კი არადა, „დაუზასა“, იმის ინტერვიუ წავიკითხე და, ის-ის იყო, იმაზე უნდა დამეწყო ლადაობა — სადუნშვილს რომ ამის ნათქვამი სწენია, — არ მომეწონა, თიკოს კოცნაო, რომ...

ჰო, უბრალოდ, იმათთვის დავასრულებ, ვინც სადუნშვილის ამბავმა დაინტერესა: ამას უთქვამს, — მაგ ვაჰბატონს იმიტომ არ მოეწონა ჩემი კოცნა, რომ გეი ბრძანდებო, ანუ — „პიდარასტიკაო“, რა... მერე ეს რაღაცას ამბობს, მერე ისევ ის პასუხობს და ამ ფონზე, ზოგადად ქართული ე.წ. ბომონდის იდიოტობების შესახებ უნდა მეღლა-ბუცა რაღაც, რადგან, როგორც გითხარით, სხვა თემა არ მქონდა და აი... ისე, ამაზე ნათქვამი: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო!“ კიდევ: „ჰოსი და ქართლოსი ძმები არიან, ოღონდ ჰოსი უფრო ძმა არიო...“

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჯერ სომხურმა და შემდეგ რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა „ხმა დააგდეს“ (აბა, სხვა რა უნდა უწოდო ასეთ ტყუილს?!) — სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი აბაზანაში გარდაიცვალაო! მერე კი — ტყუილი აღმოჩნდა!!!

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ამ ამბის გამომზეურებამდე რამდენიმე საათით ადრე, გრიგოლ ვაშაძის მოადგილე რომ არის, სულ „გაკვირვებულ“ გამომეტყველება რომ აქვს, — ნინო კალანდაძე გამოვიდა ბრიფინგზე და სულ „ცუდო, ცუდო“ უძახა ლავროვს, — როგორ თუ ცხინვალსა და სოხუმში ჩავიდაო?! მერე თვით ვაშაძემ, მაგისმა უფროსმა რუს ჟურნალისტებს განუცხადა: აი, ნახავთ, მე ცოცხალი ვიქნები, როდესაც უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი დატოვებს ჩვენს ტერიტორიასო!

ჰოდა, რა შუაშია ეს ყველაფერი სერჟიკას (ასე ეძახიან მოყვრებით, ჩვენი „მიშას“ პონტში) ვითომ გარდაცვალებასთანო? — იკითხავთ.

აგისნით, ბატონო: ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ

სომხებს ჩვენი ყველაფერი „შურთ“ და ყველაფერს ჩვენს „ჯიბრზე“ აკეთებენ და ხშირად გამოსდით კიდევ, მაგრამ საქართველოში სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ ძალიან ცუდ დღეში ჩაცვივდნენ: აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენ — მაღალი, ლამაზი, განათლებული, ახალგაზრდა პრეზიდენტი; მაგათ კიდევ... კარგი, „მკვდარზე“ ან კარგს ლაპარაკობენ, ან — არაფერს.


ჰოდა, ისიც ხომ იცოდნენ, რომ ჩვენი მიშკო უკვდავია; ახლა აგერ — ვაშაძეც, უკვდავი თუ არა, ბიბლიური მათუსალას ხნის მაინც გახდება (სანამ რუსები არ გავლენ, არ მოკვდებიო), და გადანყვიტეს, სერჟიკაც „გაუუკვდავბინათ“! ამისთვის კი „ხალხური“, მარტივი, მაგრამ საიმედო მეთოდი გაიხსენეს (თქვენც გაგონილი გქენებთ): თუკი კაცზე ხმა დაირხევა, მოკვდაო, ის დიდხანს იცოცხლებს!

აბა, რა ქნან — ის პატიოსანი კაცი ვეღარც მიშასავით გამაღვლება, ვერც გაახალგაზრდავდება, ან უკრაინულის და მეგრულის სწავლაც გაუჭირდება და როგორღა მოეპოვებინა უკვდავება?..

ევეჰ, მაინც სისულელეზე მოვცდი... არადა, ზემოთ რომ ბათუმის „ძველი ბულვარი“ ვახსენე, იქ ძალიან საინტერესო აქცია გაიმართა. საინტერესო რა — იქაურმა ლიბორისტებმა შალიკოს მასტერკლასი გაიხსენეს, მაგრამ ყველაზე მაგარი, მიღებული გადანყვიტელება თუ რეზოლუცია გახლდათ (მომყავს ციტატა და კორექტულობაზე პასუხს არ ვაგებ): „ყველა რესტორანთან, ყველა კაფე-ბართან, სადაც სააკაშვილი დადის და „სკდება“, 24-საათიანი მორიგეობა დანესდება. არსად არ შევარგებთ ქეიფს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევადულოთ ბათუმში ჩამოსვლა!“

რა ვიცი, რა ვიცი... ამას „ვანში“ სიკვდილი არ სჯობს?..

(ისე, სომხეთის პრეზიდენტის სახელიცა და მისი „სიკვდილის“ ადგილიც (აბაზანა) ისე დაემთხვა ერთ ძველ თბილისურ ანეკდოტს, რომ ეჭვი გამიჩნდა, ეს ჭორი ქართველმა ჰაკერებმა ხომ არ „დააგდეს“ სომხურ საიტებზე?)



P.S. სეროჟას ბინაში ტელეფონი რეკავს. ყურმილს მისი ცოლი იღებს: — ჰაჯანი! — სეროჟა სად არი? — სეროჟა ვანშია. — ვა! მალე ჩამოვა? — დაიბანს და გამოვა, რა...

პროვოკატორი



ქვეყანა

ტომ კრუზი პოლიტიკოსი ხდება

ტომ კრუზი ახალ კინოპროექტში მონაწილეობს, რომლის სცენარის ავტორი დენ ფოგელმანია. ჯერ-ჯერობით უცნობია ფილმის სახელწოდება და სიუჟეტის დეტალები. ყურნალისტებმა მხოლოდ ის გაარკვიეს, რომ კინოვარსკვლავი განასახიერებს ილბლიან პოლიტიკოსს, რომლის წარმატებული კარიერა შესაძლოა, უცნობ ქალთან შემთხვევითმა ინტიმურმა ურთიერთობამ შეინიროს. პროექტში კრუზის მონაწილეობა კომპანიებს საკმაოდ დიდი თანხა უჯდებათ: მსახიობი, ჰონორარის გარდა, ფილმის კინოგაქირავებიდან მიღებული შემოსავლის პროცენტსაც ითხოვს.



ჩინელი მწერალი შექსპირს ემსგავსება

პოპულარულმა ჩინელმა მწერალმა ჯან იიმ გადაწყვიტა, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთოს, რათა უილიამ შექსპირს დაემსგავსოს. მეტამორფოზა იის 153 ათასი დოლარი დაუჯდება. ჯანის ქირურგი ამბობს, რომ მწერალი გარეგნულად, დიდ კლასიკოსს თვალებითა და წაწვეტილებული ცხვირით ისედაც წააგავს, მაგრამ ნიკაპისა

ჯონ ტრავოლტამ რუსები „გადააგდო“



მსახიობმა რუსულ ავიაშოუში მონაწილეობაზე უარი თქვა. ქალაქ ულიანოვსკის ავიაფორუმზე დასასწრებად ტრავოლტა თავად ქალაქის მერმა, ალექსანდრ პინკოვმა მიიწვია და ძალიანაც გაუხარდა, რომ ის ლონისძიებაში მონაწილეობას დათანხმდა. ტრავოლტამ პირობაც დადო, რომ უმაღლესი პილოტაჟის იღებებს უჩვენებდა. მაგრამ ორგანიზატორთა ოცნებას ასრულება არ ეწერა — კინოვარსკვლავი და მასპინძლები ჰონორარზე ვერ შეთანხმდნენ. „თავდაპირველად ტრავოლტას მენეჯერთან 500.000 დოლარზე შევთანხმდით, მაგრამ ერთი თვის შემდეგ დამატებით 250.000 დოლარი მოგვთხოვეს“, — ჰყვება შოუს ერთ-ერთი ორგანი-

ზატორი. საკუთარი გადაწყვეტილება მსახიობმა ავიაფორუმის ორგანიზატორებს რამდენიმე დღით ადრე შეატყობინა. ჯონ ტრავოლტა აშშ-ის ფედერალური საავიაციო სააგენტოს სერტიფიკატისა და გრეისტოუნის აეროპორტის მფლობელია და 5 საფრენი აპარატი აქვს. ულიანოვსკში გამგზავრებას ტრავოლტა საკუთარი თვითმფრინავით გეგმავდა.



სორვატელები კუნძულს „ფეისბუქს“ არჩევენ

პატარა კუნძულს ადრეატიკის ზღვაში შესაძლოა, „ფეისბუქი“ დაარქვან. ეს ინიციატივა კუნძულ ჰვარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პერინო ბეზიჩს ეკუთვნის. მან „ფეისბუქის“ დამფუძნებელს, მარკ ცუკერბერგს თავისი იდეა უკვე გააცნო და კუნძულზე დასასვენებლადაც მიიწვია. ჰვარი ადრეატიკის ზღვის ერთ-ერთი ყველაზე მზიანი კურორტია. თუ ცუკერბერგი ხორვატთა იდეას მოიწონებს, სახელი „ფეისბუქი“ იმ პატარა კუნძულს დაერქმევა, რომელზეც ახლა მხოლოდ შუქურა დგას. სოციალურ ქსელში ამჟამად ხორვატიის მოსახლეობის 30%-ია დარეგისტრირებული. ბეზიჩი დარწმუნებულია, რომ სახელი — „ფეისბუქი“ ხორვატიის კუნძულს უფრო ცნობილს გახდის და უფრო მეტ ტურისტს მოიზიდავს.



და სახის სხვა ნაკვეთებზე რამდენიმე ოპერაცია მაინც დასჭირდება. როგორ აღიქვას მწერლის სურვილი მისმა თაყვანისმცემლებმა, უცნობია. კრიტიკოსების თქმით კი ჯანი, იმის მაგივრად, რომ თავისი საქმე აკეთოს, მასმედიისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობს. რამდენიმე ხნის წინ დიდ ბრიტანეთში უილიამ შექსპირის სამგანზომილებიანი პორტრეტი აღადგინეს. როგორც მეცნიერებმა თქვეს, კლასიკოსის ნაკვეთები, გარდაცვალების შემდეგ, მისი სახიდან აღებული, თაბაშირის ნიღბის მიხედვით აღადგინეს. სამგანზომილებიანი პორტრეტი შექსპირის აქამდე ცნობილი პორტრეტებისგან სრულიად განსხვავებულია.



სანდრო გირგვლიანის ოჯახს ხელისუფლება 50 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს

სიხოსხლის უფლებების ხელყოფა ევროსასამართლომ აღიარა

თბილისი

სადისტურად მოკლეული სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის გადაწყვეტილებას საზოგადოება დიდი ხანია, ელის. 26 აპრილს ვერდიქტი გაცხადდა. შეგახსენებთ: „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ“ — ასეთი ფორმით შევიდა სტრასბურგში წლების წინ საჩივარი და ოჯახი სახელმწიფოსგან მორალური ზიანისთვის 300.000 ევროს ითხოვდა. ირინა ენუქიძე სიცოცხლის ბოლო წუთამდე, შვილის მკვლელობაში მონაწილე პირების დასჯისთვის იბრძოდა... სამწუხაროდ, ამას ვერ მიაღწია. მისი გარდაცვალების შემდეგ, ბრძოლა მეუღლემ გააგრძელა. როგორც წესი, ევროსასამართლო საქმეებს მხარეთა მონაწილეობის გარეშე იხილავს, მაგრამ დაზარალებულმა და მისმა ადვოკატებმა — შალვა შავგულიძემ და დავით ჯანდიერმა საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს. ხელისუფლების ინტერესს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თინათინ ბურჯალიანი და ევროპის სასამართლოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ლევან მეცხორაძე იცავდნენ.

სტრასბურგში მხარეთა პოზიციების მოსმენიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა. ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ სახელმწიფომ თავისი ვალდებულება ამონიერა საქმის ობიექტური სასამართლო განხილვით. გურამ გირგვლიანის ადვოკატები ევროსასამართლოში კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევას ასაჩივრებდნენ. კერძოდ, მეორე მუხლი — სიცოცხლის უფლება, მესამე მუხლი — წამების აკრძალვა, მეექვსე მუხლი — სამართლიანი სასამართლოს უფლება — და პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკრებდნენ.

ადვოკატი **შალვა შავგულიძე** სტრასბურგის გადაწყვეტილებით კმაყოფილია. ევროსასამართლომ დაადასტურა, რომ სიცოცხლის უფლების ხელყოფა ნამდვილად მოხდა:

— სასამართლომ მეორე მუხლის დარღვევა აღიარა, ვინაიდან მოცემულ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვები არასრულად, ცალმხრივად და არაობიექტურად ჩატარდა. შესაბამისად, შედეგი არასამართლიანი და უკანონოა. სასამართლო ასევე მოუთხოვს, რომ აღმამფოთებელია პრეზიდენტის მიერ მსჯავრდადებულთა შეწყობა და შემდგომ მათი ვადამდე პირობით გათავისუფლება. ხელისუფლებამ საქმეზე დამატებითი გამოძიება უნდა ჩაატაროს და გაარკვიოს, რა

სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო



დოზით აქვთ მონაწილეობა მიღებული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ადამიანებს ამ საზარელ დანაშაულში. ვგულისხმობ რესტორანში, იმ დღეს სუფრასთან მსხდომ პირებს, კერძოდ: დათა ახალაიას, ვასილ სანოძეს, გურამ დონაძეს, ოლეგ მელნიკოვსა და შს მინისტრის მეუღლეს, თავო სალაყაიას. დამატებითი გამოძიებით უნდა გაირკვეს ამ პირთა თანამონაწილეობის საკითხი და ასევე უნდა იმსჯელონ იმ მსჯავრდადებულებზეც, რომლებსაც სასჯელი კი დაეკისრა, მაგრამ ეს სასჯელი არაადეკვატურად მსუბუქი იყო. მათ მოუწევთ, ბოლომდე მოიხადონ ის მსუბუქი სასჯელი მაინც, რაც შეფარდებული ჰქონდათ, — ანუ უნდა გაუქმდეს მათი ვადაზე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილება. მითითებულია, რომ ამით კონვენცია დაირღვა და ეს უნდა გამოსწორდეს. გარდა ამისა, სასამართლოს ერთ-ერთ დასკვნაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება არ თანამშრომლობდა ევროსასამართლოსთან, არ აწვდიდა საჭირო მტკიცებულებებს და საქმე ისე დასრულდა, რომ გარკვეული მტკიცებულებები ბოლომდე არ მიუწოდებია. მითითებულია, რომ მტკიცებულებათა ნაწილი ევროსასამართლოს მისი დაქინებული მოთხოვნის შედეგად მიეწოდა, მაგრამ ბადრი პატარკაციშვილის სახლთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის ჩანაწერი სრული სახით მაინც არ გადაეცა: ამ ფირზე ძალიან ნათლად გამოჩნდებოდა, იმ შემთხვევაში ლამეს, იმ ერთი მანქანის გარდა, რომლითაც ეს 4 პირი მოძრაობდა, ოქროყანაში იმ სუფრის წევრებიდან კიდევ ვინ იმყოფებოდა. ნათელია, რომ ამ უკანონობას ერთად ახორციელებდა ხელისუფლების ყველა შტო — შს სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო და

საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელმაც მიიღო კანონი და ამ მუხლით გასამართლებული პირებისთვის გაანახევრა სასჯელი — 6 წლამდე პატიმრობით შეუცვალა. ამ უსამართლობაზე ყურადღება გამახვილებულია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში.

— დაზარალებული მხარე მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 300 ათასი ევროს გადახდას ითხოვდა სახელმწიფოსგან. — მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ თანხა 50 ათასი ევროთი განისაზღვრა.

— როგორც ჩანს, გადაწყვეტილებით კმაყოფილი ხართ. ეს საშუალებას მოგცემთ, რომ სანდროს მკვლელობის საქმეზე ხელახალი გამოძიება მოითხოვოთ?

— სტრასბურგის გადაწყვეტილების აღსრულება ხელისუფლებას მოუწევს. პროცედურა გულისხმობს, რომ უპირობოდ უნდა ჩატარდეს დამატებითი გამოძიება და გამოიკვეთოს თანამონაწილეები. სამწუხაროდ, ახალი საპროცესო კოდექსით, საქმეში დაზარალებული, როგორც მხარე, აღარ მონაწილეობს და არ გვაქვს უფლება, განცხადება შევიტანოთ და ახალამონიერი გარემოებით საქმის გადასინჯვა მოვითხოვოთ. სამწუხაროდ, ეს ჩვენი მონაწილეობის გარეშე მოხდება, ევროსაბჭოს კომისართა კომიტეტის ზედამხედველობით. ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს ხელახალი გამოძიება... სამწუხაროდ, ადგილობრივი კანონმდებლობა დღითი დღე უარესდება და მხარეს ნაკლები შანსი რჩება სამართლიანობის მიღწევისა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებების შემდეგ ხელისუფლება იძულებული იქნება, შეცვალოს მიღებული კანონმდებლობა.

— 4 მუხლის დარღვევას ედავებოდით; ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს?

— ყველა ის არსებითი გარემოება, რომელზეც მივუთითებდით, აღიარებულია, უბრალოდ, მოხდა მუხლების გადაჯგუფება და ყველაფრის თავმოყრა ევროკონვენციის მეორე მუხლში — „სიცოცხლის უფლების დარღვევა“. მითითებულია, რომ ყველა დეტალი დარღვეულია, უბრალოდ, აღარ მოხდა მათი დაკვალიფიცირება რამდენიმე მუხლით.

სააღდგომოდ შეწყალებული

კახა ენუქიძე ერთ-ერთია იმ 266 მსჯავრდადებულთაგან, ვინც პრეზიდენტმა ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით შეიწყალა. როგორც ცნობილია, 227-მა საბატონო უკვე დატოვა, 24-ს სასჯელის ვადა გაუნახვერდა, 13-ს შეუმცირდა, 2-ს კი პირობითი მსჯავრი მოეხსნა.

— კახა, პირველ რიგში, გათავისუფლებას გილოცავ!

— გამადლობ. ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!

— ციხეში რა დანაშაულის გამო მოხვდით?

— ქურდობისთვის.

— რამდენი წელი გქონდათ მსჯელი?

— ორი წელი მომისაჯეს, ერთი მოვიხადე.

— რთულ პირობებში გინვედათ ყოფნა?

— რა თქმა უნდა — აბა, ციხეში სამოთხეს ხომ არ მოგვიწყობდნენ!.. მაღლობელი ვარ, რომ დანაშაული მაპატიეს და ცხოვრების თავიდან დასაწყებად შანსი მომცეს.

— ახლა როგორ აპირებთ ცხოვრების გაგრძელებას?

— ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ციხეში დაბრუნებამ აღარასოდეს მომიწიოს. ქურდობა მხოლოდ იმიტომ ჩავიდინე, რომ ცოლ-შვილი მყავდა სარჩენი. ორი შვილი მყავს: უფროსი 4 წლისაა, უმცროსი კი — ორის. დანაშაული მათ გამო ჩავიდინე, მაგრამ შევეცდი... ისე გამოვიდა, რომ აქეთ გავხდი ოჯახის სარჩენი და საზრუნავი მივუმატე..

— რამდენი წლის ხართ?

— 29-ის.

— ციხეში მოხვედრამდე სამსახური თუ გქონდათ?

— ხან მქონდა, ხან — არა.

— ახლა თუ გეგმავთ მუშაობის დაწყებას?

— რა თქმა უნდა, ვგეგმავ. თუ რაიმე გამოჩნდა, აუცილებლად ვიმუშავებ.



— რისი გაკეთება შეგიძლიათ?

— უმაღლესი განათლება არა მაქვს, მაგრამ ფიზიკურად შრომა შემიძლია. თუ საჭირო იქნება, მიწაზეც ვიმუშავებ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს საყვარელ ადამიანებს გული აღარ ვატკინო. მეც ძალიან გამიჭირდა ჩემი პატიარებისა და მეუღლისგან შორის ყოფნა. მათ გარეშე გატარებული დღეების გახსენება აღარ მინდა.

— წარმატებებს გისურვებთ!

— გამადლობთ.

სააღდგომო აპისტოლა



„ძალადობრივი, ნიჰილისტური და უხამსი ფილემბითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დააზიანებს, — ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლეში. — არადა, როგორი მონდომებაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით — მასმედიით ბოროტება და ცოდვითი ცხოვრება აღზევდეს, ვულგარიზებული, ტექნოლოგიური საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონ-პატრონად ფული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორი-

ენტრები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმავლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოჩენა, ოჯახური ანომალიების გახმაურება... არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბორტის გაკეთება და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. სუროგატი დედების „ინსტიტუტის“ შექმნა“ უმძიმესი დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის“, — ბრძანებს პატრიარქი. ეპისტოლეში ასევე ნათქვამია: „ხდება ეგოისტური აზროვნების წახალისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიპოვებენ მხოლოდ თავიანთი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მაღლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტება და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუმცა, ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხედავ ბევრ ისეთს, რომელნიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტი სიკეთის მთესველნი გახდებიან“.

ბრწყინვალე შვიდული

ალდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა მოსილი. ამ კვირაში განსხვავებულია მიცვალებულისთვის წესის აგება, ცვლილებაა ყოველდღიურ ლოცვებშიც: სულწმიდის მოწვევის ლოცვაში ფრაზას — „მეუფეო ზეცათაო...“ — სულთმოფენობამდე აღარ ამბობენ; მის ნაცვლად სამჯერ ამბობენ: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ამ კვირის განმავლობაში ზიარებისთვის მომზადებაც შემსუბუქებულია: მარხვის დაცვა აღარ არის საჭირო, ხორცის მიღება თვით ზიარების წინაღუდაც კი შეიძლება. იცვლება მისალმების წესიც: ალდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას, „გამარჯობის“ ნაცვლად, ერთმანეთს ახარებენ: „ქრისტე აღდგა!“ — „ჭეშმარიტად!“; „ჭეშმარიტად აღდგა!“

 რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



ქართულ-რუსული შავხელი ზრახვები ფიროსმანის „შავი ლომის“ გარშემო

ფიროსმანის „შავი ლომის“ გარშემო სკანდალი გრძელდება. ქართული მხარე მოსკოვის გალერეაში გამართულ გამოფენაზე გამოტანილი ნიკალას ტილოს დაბრუნებას ითხოვს. ვიარჩესლავ ეფიმოვი აცხადებს, რომ მას ნახატი ერთ-ერთ აუქციონზე კანონიერად აქვს შეძენილი, მაგრამ სურათის შექმნის ადგილს არ ასახელებს. საკმაოდ ბუნდოვანია სურათის ყოფილი მფლობელის, ყარამან ქუთათელაძის განცხადებებიც... საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორის, გია მარსაგიშვილის განცხადებით, „შავი ლომის“ გარშემო გაჩენილ შეკითხვებს პასუხი მართლმსაჯულებამ უნდა გასცეს და განძი საქართველოში უნდა დაბრუნდეს:

— საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ასეთი მნიშვნელობის ნამუშევრის ქვეყნიდან გატანა გასაყიდად ან სხვა მიზნით დაუშვებელია. ეროვნული საგანძურის გასხვისებას სახელმწიფოს ნებართვა სჭირდება და როცა ეფიმოვი აცხადებს, რომ მან სურათი ქუთათელაძის თანხმობით შეიძინა, უნდა ეს მოდეს, რომ ეს — კანონდარღვევაა... ფიროსმანის სურათები ეროვნულ საგანძურად მიიჩნევა და მათი უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მიყიდვის უფლება კერძო პირს არა აქვს, სახელმწიფომ უნდა გასცეს ნებართვა და ამ შემთხვევაში, ახალ მფლობელს ხაზინის სასარგებლოდ გარკვეული თანხა ჩამოეჭრება... სინამდვილეში, 1993 წელს „შავი ლომი“ ყარამან ქუთათელაძის ოჯახიდან ყაჩაღებმა გაიტაცეს და საქართველოდან გაიტანეს. იმ წლებში ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა და ასეთი საქმის გაკეთება პრობლემას არ წარმოადგენდა.



— ბატონო გია, 90-იან წლებში, როცა ქუთათელაძეს ეს სურათი მოჰპარეს, ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი არ უნდა შეეტანა?

— საჩივარი იყო შეტანილი, ძიებაც მიმდინარეობდა და ეს საქმე შემდგომ, ინტერპოლსაც გადაეცა... საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი — ნამდვილად ნიკალას ეკუთვნოდა თუ არა ეს სურათი? დიახ, ის ნამდვილად მის ფუნჯს ეკუთვნის და ქუთათელაძის ოჯახში შემთხვევით არ აღმოჩენილა: იქ ფიროსმანის სხვა ნამუშევრებიც ინახება... მისმა წინაპრებმა, პოლონური წარმოშობის თბილისელმა ძმებმა — კირილ და ილია ზდანევიჩებმა ნიკალას ნამუშევრების პოპულარიზაციაში ძალზე დიდი წვლილი შეიტ-

ანეს. ამ ადამიანებმა აღმოაჩინეს ნიკო ფიროსმანი, როგორც მხატვარი. მათ, ნიკალას თანხმობით, ტილოების უმრავლესობა სამიკტიტონებიდან გამოისყიდეს, ზოგი კი უბრალოდ, სამიკტიტონის მფლობელებმა აჩუქეს. თავად კირილ ზდანევიჩი უდავოდ ნიჭირი ადამიანი და პროფესიონალი მხატვარი იყო და შეიძლება ითქვას, რომ ნიკალას ფასი მაშინვე იცოდა... „შავი ლომი“ 1911 წელს ნიკალას თბილისში, ორთაჭალის ბაღში მდებარე სამიკტიტონის მეპატრონის, ვინმე ტიტევიჩის თხოვნით დაუხატავს და ცხადია, იქვე დაუტოვებია. იქვე დაუხატავს „ორთაჭალის ტურები“ და „ჟირაფიცი“... მოგვიანებით, ეს ტილოები, პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსულმა ფრანგმა მხატვარმა — მიშელ ლე დანტიუსმა და მისმა მეგობრებმა, ძმებმა ზდანევიჩებმა ნახეს და სამიკტიტონიდან წამოიღეს... 1926 წელს კირილ ზდანევიჩის ხელშეწყობით, ფიროსმანის სურათების პირველი კატალოგი გამოვიდა. მანამდე კი — 1916 წელს, ამ ძმების ინიციატივით, დიმიტრი შევარდნაძემ ნიკალა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაში მიიწვია. ქართველ საზოგადოებას ნიკალას სულ ორი ფოტო აქვს: ერთი — ახალგაზრდობაში გადაღებული და მეორე — 1922 წელს, ფოტოგრაფ კლარის მიერ გადაღებული ერთ-ერთი გაზეთის დამატებისთვის, საიდანაც მთელ საქართველოში გავრცელდა... თუმცა ზდანევიჩების დამსახურება, ქუთათელაძის საქციელს არ ამართლებს — თუ, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში მისი ხელიც ურევია.

— ფაქტია, რომ ორივე მხარის განცხადებებში ბევრი კითხვის ნიშანი იმალება... ასეთ შემთხვევაში რა მექანიზმი აქვს სახელმწიფოს ამ განძის დასაბრუნებლად?

— უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ყველა დეტალი საგულდაგულოდ შეისწავლოს.

— მაგრამ ყარამან ქუთათელაძის განცხადებებიც კითხვის ნიშნებს იწვევს: ვერ ბრძანა, ეფიმოვმა ბოროტად გამოიყენა მასთან მაცნობობა და დოკუმენტზე ხელი მოტყუებთა მონაწილეობა, შემდეგ — აღნიშნულ საბუთზე მისი ხელმოწერა ყალბიაო...

— დიახ, მართლაც, რალაცამია საქმე... ჩემი აზრით, მას შემდეგ, რაც „შავი ლომი“ რუსეთში გაიტანეს და მისი შექმნის მსურველი გამოჩნდა, ეფიმოვის მიერ მოხსენიებული ე.წ. ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები შეიქმნა და შესაძლოა, მასზე ქუთათელაძეს მართლაც მოაწერიან ხელი... თუმცა თავად ეფიმოვი ამბობს, რომ სურათი აუქციონზე შეიძინა; მას არ დაუკონკრეტებია — სად და როდის, რაც ეჭვს იწვევს, ვინაიდან საერთაშორისო კანონისა და ეთიკური ნორმების თანახმად, გალერეასა და აუქციონს ნაქურდალი ნივთების მიღების ან გამოფენის უფლება არა აქვს.

ავიზების საღრიე „კლასიკა“ მბარნიკი ავავვის და ტაქსტურის დირიპრავანი

სასადილო ბარნიტური
"ელისაბეტი"

ტაქსის საბუღი

კლ. ყაზაგვის 14^ბ ☎ 38 88 11
ც. დადიანის 7, "პარპასლა", I სარ. ☎ 66 10 50 www.classica.com.ge



ოზამას ილბალმა უმტყუნა?!

კლინტონი ოზამასთან ერთად მუშაობაზე უარს ამბობს

მას შემდეგ, რაც ბარაკ ოზამამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, ჟურნალისტები და პოლიტოლოგები მის შეუსრულებელ დაპირებებზე ალაპარაკდნენ. მათი აზრით, ოზამამ იმედი საკუთარ პარტიასაც კი გაუტრუა. ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა სოციოლოგიური კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 60%-ს მისი აღარ სჯერა. მაინც რა გახდა ამერიკელთა იმედგაცრუების ძირითადი მიზეზი?

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— ვფიქრობ, უმთავრესი მიზეზი — ეკონომიკური პრობლემებია. ოზამას ილბალმა უმტყუნა, რადგან მოღვაწეობის პირველივე პერიოდში ეკონომიკურ კრიზისთან „შეჯახებამ“ მოუწია. ამერიკელი ხალხის დიდ ნაწილს არ მოსწონს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკა, საზოგადოება მისგან უფრო შეუპოვარ მოქმედებებს ელოდა.

— **ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტს დაუჭერს მხარს. რამდენად მომგებიანი იქნება ეს განცხადება ოზამასთვის?**

— მან ისიც განაცხადა, რომ ოზამასთან აღარ ითანამშრომლებს, რადგან პოლიტიკიდან მიდის. კლინტონის მხრიდან ოზამას მხარდაჭერა ლოგიკურია, რადგან ისიც „დემოკრატების“ ბანაკშია. გაცხადებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მდივანი მომავალში ოზამასთან ერთად მუშაობაზე უარს ამბობს. ეს ამბავი ოზამასთვის მომგებიანი ნამდვილად არ იქნება.

— **თქვენი აზრით, უარის მიზეზი რა შეიძლება იყოს?**

— კლინტონი ხისტი პოლიტიკოსია და ოზამას „რბილი პოლიტიკა“, ამერიკელი საზოგადოების მსგავსად, არც მას მოსწონს. თუ სამსახურში შეფი არ მოგწონს, შენ უნდა წახვიდე — უფროსს ხომ ვერ გააგდებ?!

— **კი, მაგრამ სწორედ ამერიკელი საზოგადოების მოთხოვნა არ იყო, ერაყიდან და ავღანეთიდან ჯარების გაყვანა?**

— დიას, ერთი მხრივ, ხალხი ითხოვს, რომ ამერიკამ ჯარი გამოიყვანოს იმ ქვეყნებიდან, სადაც, ფაქტობრივად, სიტუაციის სტაგნაცია მოხდა. მეორე მხრივ, მას სურს, ნახოს უფრო ძლიერი, პრინციპული ამერიკა, რომელიც ერთხელ არჩეულ პოლიტიკურ კურსს არ ღალატობს. ეს პოლიტიკური კურსი კი ისლამურ ქვეყნებთან პოზიციების გამყარებასა და რუსეთის მიმართ მკაცრი ნაბიჯების გადადგმას გულისხ-



მობს. სხვათა შორის, „რესპუბლიკელები“ სწორედ ამ პოლიტიკური კურსიდან გადახვევის გამო აკრიტიკებენ ხელისუფლებას და საზოგადოების თვალში ქულებსაც იწერენ. ამას ადგილობრივი არჩევნები მოწმობს, სადაც „რესპუბლიკელებმა“ ოზამას გუნდი ანუ „დემოკრატები“ გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს.

— **ოზამამ ალიარა, რომ ნატოს ოპერაცია ჩიხში შევიდა...**

— ოპერაცია ჩიხში იმიტომ შევიდა, რომ ამერიკას სათანადოდ არ ჰქონდა შეფასებული კადაფის ძალა. სხვათა შორის, ოზამას ადმინისტრაციამ ბოლო დროს ბევრი რამ ვერ შეაფასა შესაბამისად.

— **„რესპუბლიკელებიდან“ ბოლო დროს დონალდ ტრამპიც ძალიან გააქტიურდა. თავად ამბობს, რომ გადანყვეტილი არა აქვს, მიიღებს თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა ექსპერტების შეფასებით, ოზამას კრიტიკით საპრეზიდენტო კამპანია უკვე დაიწყო. მის შესაძლებლობას როგორ შეაფასებდით?**

— მსოფლიოს ისტორიაში ბიზნესმენი პრეზიდენტი — დიდი იშვიათობაა. უფრო მსხვილ ბიზნესმენებსაც უცდიათ ბედი საპრეზიდენტო მარათონში, მაგრამ მერე უკან დაუხევიათ. პოლიტიკური ბრძოლა მათთვის უცხო სპეციფიკის მქონეა. დარწმუნებული ვარ, მისი სტრატეგია წარმატებული არ იქნება. როგორც იცით, ის ოზამას დაბადების მოწმობის გამოქვეყნებას სთხოვს და ირწმუნება, აშშ-ის პრეზიდენტი ამ ქვეყნის მოქალაქე არ არისო. ტრამპის მიერ დანერგულ შავ პიარს შესაძლოა, გარკვეულ დონემდე შედეგი მართლაც მოჰყვეს. ამერიკელებს ყოველთვის მწვავე რეაქცია აქვთ კონსტიტუციის დარღვევაზე, მაგრამ მათ დიდად არც ის ადამიანები ხიბლავთ, რომლებიც სხვებს წარმომავლობის გამო აქილიკებენ. არა მგონია, „რესპუბლიკელებმა“ თავიანთ კანდიდატად ტრამპი წარადგინონ. ისინი ალბათ უფრო ძლიერ და ღირსეულ კანდიდატს შეარჩევენ. ■

ლაპროვი და დემოკრაფია აფხაზეთში

„ამიერიდან, ჩვენ მიერ გაცვლილი ოფიციალური ნოტები უფრო ხოდა მიმოსვლის საშუალებას მოგვცემს. თუმცა მანამდეც საკმარისი ზომები იყო მიღებული, რათა ჩვენი მოქალაქეები ერთმანეთს შორის კომფორტულად გადაადგილებულიყვნენ“, — განაცხადა სერგეი ლაპროვმა სოხუმში ყოფნისას, მაგრამ ვინაიდან არავინ ჩასძიებია — რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს ფსოუს საზღვარზე უზარმაზარ რეგიონში ჩამდგარი ასობით ადამიანი, — ამიტომაც ნომერ პირველი რუსი დიპლომატისთვის არც აბსურდული დოკუმენტების „მნიშვნელობაზე“ ლაპარაკს შეუქმნია უხერხულობა... 90-იანი წლების შემდეგ, ფსოუს საზღვრის გადაკვეთა რუსებისა და რუსეთის მოქალაქეობის მქონე აფხაზებისთვის პრობლემას არ წარმოად-

გენდა „კავკასიის ექსპერტთა კლუბის“ წევრის, ირაკლი ცაიტიშვილის განცხადებით, რუსეთის ხელმძღვანელობას სხვა განზრახვა აქვს — აფხაზეთში რუსი და სომეხი მოსახლეობის რიცხოვრივი ბალანსის მიღწევა.

— რუსებს აფხაზეთში ჩასვლისას შეფერხება არასდროს ჰქონიათ. თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ის აფხაზებიც, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდათ... რადგან რუსეთის მოქალაქეობის მიღება ადვილი არ იყო, რუსეთში საშოვარზე წასვლის მსურველი აფხაზები ყველანაირი გზით ცდილობდნენ იქ გადასვლას. ფსოუს საზღვარზე წარმოუდგენელი კორუფცია იყო გაბატონებული... ერთი სიტყვით, რუსეთმა გადანყვეტიდა, მიმოსვლა გაეიოლებინა, ამით აფხაზების გულიც მოეგო და სარგებელიც მიეღო. სინამდვილეში, ეს



დუელი თუ საიდუმლო გარიგება?!

დასავლეთი პუტინისა და მედვედევის დუელის მოლოდინშია: ევროპელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთში 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ბრძოლა უკვე დაწყებულია. მათი აზრით, „დუელანტებმა“ უკვე პირველი დარტყმებიც მიაყენეს ერთმანეთს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ქართველი პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცინცაძე. ის ირწმუნება, რომ მედვედევისა და პუტინის დაპირისპირებაზე საუბარი ნაადრევია...

— მედვედევმა პუტინის მარჯვენა ხელი — კრემლის „რუსი კარდინალი“ სერგეი „როსნეფტის“ ხელმძღვანელის პოსტიდან დაითხოვა. პუტინმა კი მედვედევი საჯაროდ გააკრთო იმის გამო, რომ ვეტო არ დაადო გაეროს რეზოლუციას, რომელმაც კოალიციურ ძალებს ლიბიის ოპერაციის სანქცია მისცა. ეს ფაქტები რუსეთის პირველ პირებს შორის დაპირისპირებაზე არ მეტყველებს?

— ჩემი აზრით, რუსეთის პრეზიდენტსა და ექსპრეზიდენტს შორის დღეს არსებული დაპირისპირება მოჩვენებითია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მედვედევი სწორედ პუტინის ხელდასხმულია. დღევანდელ პრემიერს თავის გუნდში, როგორც ახლა, ასევე მაშინაც მალაპროფესიონალური პოლიტიკელოგები ჰყავდა, რომლებიც შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ ქვეყნის იმიჯის გადარჩენად დემოკრატია და დასავლური ღირებულებების მიმდევარი მმართველი იყო საჭირო. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რუსეთის ყოველთვის ემინოდათ, მაგრამ პატივს არასდროს სცემდნენ. ახალ ეპოქაში ასეთი იმიჯი მომგებიანი აღარ არის და მოსკოვში გადანაცვლეს, „ძველი“ და „ახალი“ რუსეთის დაპირისპირება გაეთამაშებინათ.

— რთ ახსნით იმ ფაქტს, რომ რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, პუტინს თანადგომას უცხადებს ამომრჩევლების 27%, ხოლო დემოკრატიული იმიჯის მქონე მედვედევს — 18%?

— მედვედევის მსგავსი პოლიტიკოსები რუსეთის ისტორიაში მასების მხარდაჭერით არასდროს სარგებლობდნენ. სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში, პუტინი ნებისმიერ დროს მშრალი ანგარიშით მოუგებს მედვედევს. ამას რუსეთის ელექტორატის გემოვნებიდან გამომდინარე ვამბობ. რიგითი რუსი დემოკრატიულ ღირებულებებს არად დაგიდევთ — მისთვის მთავარია, მსოფლიოს რუსეთის ემინოდეს. რუს ხალხში იმპერიალისტური ბაცილა ჯერ კიდევ არ მომკვდარა. თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რუსულ პრესაში მედვედვის კრიტიკა იწყება. მას გორბაჩოვს ადარებენ და სუსტ მმართველად მოიხსენიებენ. პუტინს კი ძლიერ ლიდერად მიიჩნევენ, რომელსაც შეუძლია, რუსეთი მსოფლიოს წამყვან „დერჟავად“ აქციოს. ერთი სიტყვით, პუტინი „შიდა მოხმარების პროდუქტია“, მედვედევი კი — „გარე მოხმარების“.

— რამდენად შესაძლებელია, რომ რუსეთმა, უფრო სწორად — მედვედევმა, დასავლეთის გულის



მოგების მიზნით, წინასწარჩვენო პერიოდში მაინც შეცვალოს ის პოლიტიკური კურსი, რომელსაც საქართველოში ატარებს?

— საქართველოსთან მიმართებით რუსეთის დამოკიდებულება გარკვეულწილად უკვე შეცვლილია: ალბათ შენიშნეთ, რომ მოსკოვში ჩვენი მისამართით ნაკლებად თავხედურ განცხადებებს აკეთებენ. თუმცა ამას საპრეზიდენტო არჩევნებთან კავშირი არა აქვს. ამის მთავარი მიზეზი — „ვეტოა“ (მსოფლიოს საგაერო ორგანიზაცია — ავტ.), სხვათა შორის, რუსეთისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ „ვეტოსთან“ დაკავშირებით, საქართველოსთან მოლაპარაკებამ მოუწია. რადგან ობამა პუტინსა და მედვედევს „ვეტოში“ განეჭრება დაჰპირდა, იფიქრეს, რომ ვაშინგტონი თავად მოახდენდა საქართველოზე ზენოლას და მათ გარჯა აღარ მოუწევდათ. ისე, ამ ფაქტის გამო ილუზიები არ უნდა შევიქმნათ — რუსეთმა უბრალოდ, ტონი შეარბილა ჩვენ მიმართ. ამ ქვეყნის სათავეში მედვედევი დარჩება თუ სხვა ვინმე მოვა, ამით საქართველოსთვის მაინც არაფერი შეიცვლება. ■



ყველაფერი მიმართულია აფხაზეთში რუსების მასობრივი შესვლისა და მათი იქ დამკვიდრებისკენ.

— აქამდე ამას რა უშლიდა ხელს?

— აქამდე ფსოუს საზღვარზე ტექნიკური პრობლემები ექმნებოდათ: საბუთების შემოწმებას ბევრი დრო სჭირდებოდა, უზარმაზარი რიგები

დგებოდა, რაც აფხაზეთის ხელმძღვანელობას უხერხულობას უქმნიდა.

— ვიცი, რომ აფხაზი საზოგადოების ნაწილი ამ გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით არ შეხვდრია...

— დიას, ბოლო დროს აფხაზეთი გამუდმებით საუბრობენ დემოგრაფიულ პრობლემაზე, ამიტომ აღნიშნულ პროცესს შესაძლოა, მათი პროტესტი მოჰყვეს. ვერ გეტყვით, რამდენად ძლიერი იქნება საპროტესტო ტალღა, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზები თავიანთ ეთნოსურ ბედს ძალზე განიცდიან. მათგან ხშირად მოისმენთ, რომ რუსულმა ბიზნესმა წალეკა გაეროს, ბიჭვინთისა და სოხუმის სანაპიროები. ცნობილმა აფხაზმა ჟურნალისტმა ინალ ხაშიგმა დაწერა კიდევ, — ვისაც ჰგონია, რომ აქ ჩამოსვლისთანავე ბიზნესს წამოიწყებს და ადგილობრივები თბილად მოექცევიან, ცდება, შესაძლოა,

მაღევე იმედაცარუებული დაბრუნდეს უკანო... უბრალო აფხაზები უკვე ხმამაღლა ამბობენ, — ვინც აფხაზეთში ბიზნესის წამოწყებას რისკავს, ან ავანტიურისტია, ან — რუსეთის „ფავორიტი“: აფხაზი საზოგადოების გონიერი ნაწილი ხშირად ამბობს, — რეგიონში დემოგრაფიული ვითარება იმდენად სავალალოა, რომ მათ ასეთი შედეგი რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოედგინათ: ბოლო მონაცემებით, აფხაზეთში მოსახლეობა 240 ათასამდე გაიზარდა, მაგრამ ეს მოხდა სომხების ხარჯზე, რაც როგორც აფხაზეთს, ასევე რუსეთსაც აძლევს ხელს. ამიტომაც შესაძლოა, მოსკოვის „კეთილი ნება“ — აფხაზეთთან უვიზო რეჟიმის შემოღება — საქართველოს შავი ზღვისპირა რეგიონში სწორედ დემოგრაფიული შემადგენლობის „დაბალანსებას“ ისახავდეს მიზნად... ■

რუბრიკის ავტორები: ხათუნა ბახტურიძე, ლალი პაპასკირი
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები



აპერიკული უნივერსიტეტი საამიროებში და ქართული ბიჭი, რომელსაც 64 ათასი დოლარი „აჩუქეს“

ქართველი ბიჭის განათლებისთვის ფულს უცხოელები იხდიან: მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული — ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ინიციატივითა და მილიარდერი არაბი შეიხის დაფინანსებით, აბუ დაბიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ინოვაციური, ახალი ტიპის, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა. ამ სასწავლებელმა სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟულ სკოლებს თითო საუკეთესო მოსწავლის მიღება შესთავაზა. ჰოდა, ქართველი ახალგაზრდა — ოთარ კახიძე აბუ დაბიში ბრიტანულმა სასწავლებელმა გაგზავნა: ოთარ შოტლანდიურ სკოლაში 2 წლის განმავლობაში სწავლობდა, მაგრამ ადგილობრივების გაოცება მაინც მოახერხა: პირველივე წელს მიიღო პრიზი — შოტლანდიური ლექსების მხატვრულად კითხვისთვის; უსაყვარლესი ეროვნული პოეტის — რობერტ ბერნსის ლექსი ისე წაიკითხა, რომ ბერნსის მსოფლიო საზოგადოების პრეზიდენტმა პირადად გადასცა კიდევ ერთი პრიზი. ამ ამბიდან სულ ცოტა ხანში, ლონდონის მუსიკისა და დრამატული ხელოვნების აკადემიამ ოქროს მედალი გადასცა — საჯარო მეტყველებისთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოთარმა პოლიტიკურ ფილოსოფიაში მომზადებული ესეისთვის ახალგაზრდა ფილოსოფოსებისა და მწერლებისათვის დანესებული, ფრანკლინის სახლის ლიტერატურული პრემია დაისაკუთრა; მეორე ადგილი ამ პაექრობაში, ოქსფორდის უნივერსიტეტის მაგისტრანტს ერგო(!).



ბერნსის მსოფლიო საზოგადოების პრეზიდენტმა პირადად გადასცა კიდევ ერთი პრიზი

სათუნა გახტურია

ოთარი რამდენიმე დღის წინ, საპატრიარქოს რეზიდენციაში, უწმინდესსა და უნეტარესთან ერთ-ერთი მიღებისას გავიცანი და ინტერვიუს ჩასანერად რედაქციაში მოვიწვიე.

— ოთარ, როგორ მოხდა, რომ დიდმა ბრიტანეთმა აბუ დაბიში სწავლის გასაგრძელებლად რეკომენდაცია მხოლოდ შენ გაგინა?

— სხვადასხვა ქვეყნის სკოლებიდან 15 ათასმა ბავშვმა შეიტანა განაცხადი. აქედან გარკვეული ნაწილი თავისი სკოლის მიერ იყო წარდგენილი, როგორც საუკეთესო მოსწავლე. უნივერსიტეტი საბუთებს 6 თვის განმავლობაში განიხილავდა, ღია კარის დღეზე კი 200 მოსწავლე მიგვინვია. იქ კიდევ გაგვცხრილეს და საბოლოოდ, 150 აპლიკანტი მიგვიღეს.

— როგორც ვიცი, მოწვევა სხვა უნივერსიტეტებიდანაც გქონდა. არჩე


ვანი აბუ დაბის სასწავლებელზე რატომ შეაჩერე?

— იმიტომ, რომ მსოფლიოში ყველაზე პერსპექტიული სასწავლებელია და ფილოსოფიაში საუკეთესო კათედრა აქვს; არაბული კულტურაც მაინტერესებს და საქართველოსთანაც გეოგრაფიულად ახლოსაა. ღია კარის დღეზე რომ ჩავიხეი, სიტუაცია ისე მომეწონა, რომ სხვა, ბევრად უფრო ცნობილი უნივერსიტეტებისთვის უარის თქმა გადავწყვიტე. მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებლები ადრე მხოლოდ ელიტურ ცენტრებში გახლდათ თავმოყრილი და ბევრისთვის მიუწვდომელი იყო. ნიუ-იორკის უნივერსიტეტმა კი გადამწყვიტა, ისტორიაში პირველად, მსოფლიო ქსელური უნივერსიტეტი შეექმნა. თავიდან კვლევითი ცენტრები გაიხსნა: პარიზში, ფლორენციაში, აკრამში, ბუენოს-აირესში, პრალაში, ტოკიოში, შანხაიში, ახლა კი მთელი კამპუსი — აბუ დაბიში. ეს უნივერსიტეტი პრომეთესავით ცდილობს, რომ „ცეცხლი“ ყველას გაუწანლოს, გეოგრაფიული ბარიერების მიუხედავად. საამიროებშიც იცინა, რომ მათი ძირითადი ენერგორესურსი მალე გამოილევა და ცდილობენ, ინვესტიცია მდგრადი განვითარების ისეთ სფეროში ჩადონ, როგორცაა განათლება. სამეფო ოჯახი დათანხმდა, რომ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საუკეთესო ნაწილი აბუ დაბიში გადასულიყო და ამ საქმეში 4-მილიარდიანი ინვესტიციურებაც განახორციელა. უნივერსიტეტში ლექციებს მსოფლი-

ოში ცნობილი პროფესორები, ნობელის, აბელისა და პულიტცერის პრემიების ლაურეატები წაგვიკითხავენ. სასწავლებელს თითქმის ყველა კონტინენტზე აქვს კვლევითი ცენტრები, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში ინდივიდუალური კვლევის შესაძლებლობა გვექნება. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ძალიან კარგი სტიპენდიაც მომცეს და სწავლის, საცხოვრებლის, კვებისა და მგზავრობის ხარჯებსაც მთლიანად ამინაზლაურებენ, რაც წელიწადში დაახლოებით 64.000 დოლარს შეადგენს.

— ახლა ის მოგიყვები, შოტლანდიაში როგორ მოხვედი?

— თბილისის 50-ე სკოლაში ცსწავლობდი. მეთორმეტე წელი რომ დაგვიმატეს, გამოცდების ექსტერნად ჩაბარება გადავწყვიტე, რადგან პროგრამა ზაფხულის არდადეგების დროს გავიარე. განათლების სამინისტროში რატომღაც უარი მითხრეს... გადავწყვიტე, სწავლა უცხოეთში გამეგრძელებინა, მაგრამ ჩემს ოჯახს საამისოდ საჭირო ფული არ ჰქონდა. „გავხსენი“ ინტერნეტი და „გუგლი“ ჩაწერე — „ბრიტანეთისა და ამერიკის საუკეთესო სკოლები“. რამდენიმე მათგანს გავუგზავნე ჩემი მონაცემები, თან საკუთარი ლექსები და ესეებიც დაურთე და ისიც მივწერე, რომ სწავლისთვის საჭირო ფული არ მქონდა. სათანადო ტესტების ჩაბარების შემდგომ, უმრავლესობამ მოწვევა გამომიგზავნა, სწავლის ნაწილობრივ



სკოლა-პანსიონში, სასკოლო საგნების გარდა სამხედრო საქმეც შეგვასწავლეს



დაფინანსებით, მაგრამ იქაური სკოლები ისეთი ძვირად ღირებულია, რომ დარჩენილი ნაწილის გადახდაც არ შემქლო. ბოლოს ორმა სასწავლებელმა — ანთროპოლოგიური პროფილის ამერიკულმა სკოლამ და შოტლანდიის ყველაზე აკადემიურმა სკოლა-პანსიონმა — 100%-იანი დაფინანსება შემომთავაზა. საბოლოოდ არჩევანი შოტლანდიური სკოლაზე შევანერე. ამ პერიოდში „ჩოხოსანი“ გურამ შენგელია დამეხმარა, რომ კათოლიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შევხვედროდი. უნმინდესმაც შოტლანდიის სკოლა მიჩნია. მგზავრობისა და სხვა წვრილმანი ხარჯები პრეზიდენტის ფონდმა გამომიყო. ერთი წელი იოლად გავედი, მაგრამ მეორე წელს სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი, რადგან პრეზიდენტის ფონდი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, სამინისტრომ კი მგზავრობის ხარჯის ანაზღაურებაზე ტრადიციულად, უარი განაცხადა.

— უარის მიზეზი რა იყო?

— მითხრეს, — ჩვენ მხოლოდ მაგისტრებს ვაფინანსებთო. გამოდიოდა, რომ სწავლის შეწყვეტა მომიწევდა და ეს საკითხი არც არავის ადარდებდა. საბედნიეროდ, ამისგან პაატა ბურჭულაძის ფონდმა „იავნანამ“ მიხსნა — პირველი ტრიმესტრის ხარჯები მთლიანად დააფინანსა.

— შოტლანდიაში ორი წელი რატომ მოგინა სწავლამ?

— დიდ ბრიტანეთში სკოლის პროგრამის დასრულების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამას გადიან. თუ დანარჩენ ევროპაში საბაკალავრო უნივერსიტეტი ოთხწლიანია, ინგლისში — სამწლიანია; ბოლო, დამამთავრებელ წელს, მოსწავლეები ოთხ საგანს ირჩევენ და უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით სწავლობენ.

— შენ რა საგნები აირჩიე?

— ცოტა მეტი ავირჩიე: ინგლისური ლიტერატურა, ეკონომიკა, გეოგრაფია, მათემატიკა, რელიგია, მორალი და ფილოსოფიური სწავლებები.

— ახლა სასწავლო წელია, შენ კი საქართველოში იმყოფები; ამის გამო პრობლემა არ შეგქმნება?

— ჩემს კოლეჯში ახლა არდადეგება. სკოლა-პანსიონის მოსწავლეები იქვე ვცხოვრობთ, ამიტომ შაბათსაც ვსწავლობთ, ორშაბათსაც, პარასკევს კი 9 გაკვეთილი გვაქვს. ამის გამო პროგრამას მოკლე ხანში გავდივართ და არდადეგებზეც ხშირად — წელიწადში ექვსჯერ გვაქვს. სკოლა გზის ფულს არ მინაზღაურებს და ეს ხშირი არდადეგები პრობლემად გადაიქცა: შოტლანდიაში ვერ ვრჩები და გამუდმებით გზის ხარჯების

დაფარვაზე ზრუნვა მიწევს. აი, ახლაც, სულ რაღაც ორი დღის წინ ნაწილობრივ მოვაგვარე ეს პრობლემა, ჩემი უფროსი მეგობრის, სალომეს დახმარებით, თორემ ვერც დიპლომს ავიღებდი და ვერც აბუ დაბში გავაგრძელებდი სწავლას. სხვათა შორის, პანსიონში, სასკოლო საგნების გარდა, სამხედრო საქმეც შეგვასწავლეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნის მოქალაქისთვის, რომლის სამშობლოც გამუდმებით ომის საფრთხის წინაშეა.

— სამხედრო საქმე თეორიულად შეგასწავლეს თუ წვრთნებსაც გადიოდით?

— ორივეს. გარდა იმისა, რომ შეგვასწავლეს ბრძოლის სტრატეგია, რუკის კითხვა და ანალიტიკური უნარ-ჩვევები გამოგვიმუშავეს, მკაცრ ფიზიკურ წვრთნებსაც გვითარებდნენ: 24 ნუთში 5-კილომეტრიან აღმართებზე ავრბოდი, თვითმფრინავიდან პარაშუტით ვხტებოდი, კლდეებზე თოკებით დავცოცავდი, მდინარეებზე ჯომარდობას ვანყობდი. მთელ შოტლანდიაში ჩვენი სკოლა ერთადერთია, სადაც ბრიტანეთის საზღვაო ქვეითების ოფიცრები ასწავლიან. მათი ქვედანაყოფი ყველაზე პრესტიჟულია ქვეყანაში, ძალიან მაგრები არიან. ავლანეთში და ყველა ცხელ წერტილში მათ უშვებენ...

— შენ სურათები რომ დაავთვალე, რაგბის ფორმაშიც განხეცხორტსაც მისდევ?

— სპორტის გაკვეთილებიც სკოლაში გვითარებდა. პირველ სემესტრში რაგბი ავირჩიე. სპორტის ამ სახეობით თბილისში ყოფნის დროსაც ვიყავი გატაცებული. შოტლანდიასა და ინგლისში რაგბის მხოლოდ ზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე თამაშობენ, მერე მინა იყინება. მეორე ტრიმესტრში ვცუურავ ხოლმე, მესამეში კი — გოლფს ვთამაშობ.

— ოთარ, უნივერსიტეტში რა პროფესიას დაუფლები?

— ფილოსოფიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებს.

— აბუ დაბის უნივერსიტეტში შენ გარდა, ქართველი თუ არის ვინმე?

— იქ რომ ვიყავი, შევხვდი ერთ ქართველ ბიჭს, რომელიც შარშან შეუერთდა უნივერსიტეტს. ბესიკი ჰქვია და ძალიან ნიჭიერია — 6 ენაზე ლაპარაკობს. მაგრამ საქართველოში არასდროს უცხოვრია. მითხრა, რომ რუსეთში დაიბადა და გაიზარდა, მერე კი იტალიაში გადავიდა საცხოვრებლად.

— უნივერსიტეტში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან თუ შეგხვდა ვინმე?

— იქ სულ 90 ქვეყნის წარმომადგენლები არიან. პოსტსაბჭოთა სივრციდან რამდენიმე რუსი და უკრაინელიცაა.



ოთარი შოტლანდიელ თანაკლასელებთან ერთად

— საბოლოოდ, საქართველოში დაბრუნებას თუ აპირებ?

— რასაკვირველია. უნმინდესმაც პირველად, იმ პირობით მომცა კურთხევა, თუკი უცხოეთში მიღებულ ცოდნას ჩემს ქვეყანას მოვახმარდი. საცხოვრებლად სხვაგან გადაბარგება არც არასდროს მნდომებია. მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიაში კარგად მოვეწყვე და მეგობრებზე შევიძინე, ჩემს ქვეყანაში უფრო ბედნიერად ვგრძნობ თავს.



თალიზი
თმის გალანდირების კლინიკა

გვ. 27 გზ. 25 37 38
www.talizi.ge



პატარძულის იახით მოქსოვილი წიგნი

„დღეს ერს ყველაზე მეტად სულიერი ახალბეა და გაფაქიზება სჭირდება“

პოეტად პირველს, ვაჟა-ფშაველას „მოუნათლავს“. მოგვიანებით უთქვამს, — მახსოვს, ვაჟამ „დამსკდარი ხელი თავზე დამადოო“. 1912 წლის 29 ნოემბერს ვაჟა-ფშაველას ლექსიც კი მიუძღვნია 12 წლის ბიჭისთვის: „გიორგი ლეონიძეს“: „...დღეს ვხედავ გაჰმრავლებიან მშობელ ქვეყანას შვილები, მტერს არ მისცემენ სათელად თავის სამშობლოს გმირები, მირჩება წყლული გულისა, ვყურდები ანატორები“...

ერთ წელიწადზე მეტია, მკითხველები ითხოვდნენ და ელოდებოდნენ „ქართული პროზის საგანძურში“ გიორგი ლეონიძის „გამოჩენას“. ჩვენც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, გიორგი ლეონიძის შემოქმედების გარეშე პროექტის დასრულება და, როგორც იქნა, სერიის მიწურულს სანადეული ავისრულებთ: ჟურნალ „გზასთან“ ერთად „საგანძურის“ 61-ე ტომად „ნატვრის ხე“ შეემატება თქვენს ბიბლიოთეკას.


„კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე, ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა!.. ეს ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დილიდან არის გამოწანაწერი, იმ წყაროებიდან გამონაჟონი, რომელთა თავზე მდგარ ნიგვზნართა ხეივანში გულყვითელა „ბიჭო გოგისა“ მომძახოდა, როგორც თანამოსახელესა და მეგობარს“...

სოფელ პატარძულში დაიბადა და გაიზარდა. მამა — ნიკოლოზ ლეონიძე ადრე გარდაცვლილა. ძალზე პოეტური ბუნების მქონე კაცი ყოფილა და მწერლობის დიდი მოტრფიალე. ვაჟა-ფშაველასა და მის ძმასთან — ბაჩანასთან მეგობრობდა თურმე. დედას — სოფელ ნინოწმინდის დეკანოზის ქალიშვილს სკოლაშიც კი არ უსწავლია, მაგრამ საუცხოოდ სკოდნია მშობლიური ლიტერატურა და ისტორია.

გიორგიზე ფეხმძიმედ მყოფისთვის, მეგობარ ქალებს ურჩევიათ, შვილი არ გაეჩინა. ყოყმანობდა და მეუღლისთვის რომ გაუზიარებია ნაფიქრი, ნიკო ლეონიძე „შემსტარა და შემოტრიალებულა“, — როგორ იქნება! რა იცი, იქნებ სულაც მწერალი გამოვიდესო!.. აკი, გამოვიდა კიდეც, თანაც — როგორი! დედას გაუზრდია. ბუნების, ლიტერატურისა და სამშობლოს ისტორიის სიყვარულიც მასვე ჩაუნერგავს.

ლაშაზი ყოფილა უზრუნველი ბავშვობა „იების კრეფიდან ვიდრე სკოლაშიდე“. ბავშვობას კი პანსიონის მძიმე რეჟიმი მოჰყოლია: თბილისის სასულიერო სემინარიის დახუთული ოთახები რემონტის საღებავის სუნით, ქართული ენის დევნა და წირვა-ლოცვაც კი სლავურ ენაზე. ავტობიოგრაფიაში წერს: „სწორედ ეს შეუბრალებელი დევნა კაცობრივებისა უფრო ღრმად გვინერგავდა სამშობლოს სიყვარულს, გვანართობდა პანანინებს მებრძოლებად და ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობდით მამულიშვილობას“. და ასე გამოწნობილი, არა მარტო დიდ მამულიშვილად, არამედ დიდ მწერლად წარუდგა თავის ქვეყანას. ასე უმღერა „ვეფხისტყაოსანს“, „დედაენას“, „სამშობლოს“, ასე დაინერა „ყივჩაღის პაემანი“, კიდეც მრავალი ლექსი და... „ნატვრის ხე“ — ულამაზესი კრებული სიყვარულზე, სილამაზეზე, ადამიანობაზე, ტკივილზე, მონატრებაზე, „დედის ჩანვეთებულ ცრემლზე ამოსულ იახე“ და, ისევ და ისევ — სიყვარულზე...

გიორგი ლეონიძე 1966 წელს გარდაიცვალა. დიდი ხანი გასულა, არა?.. და მაინც, ახლაც იცინის დილა პატარძულში, ისევ იპენტებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები. ეზოებში სხვა დიასახლისები ფუსფუსებენ, სხვა ბალები დარბიან და სხვა გამასპინძლობს, მაგრამ მშობელ მინაში თუ დაფესვიანებულს-



სერიის მიწურულს საწადელი ავისრულებთ: ჟურნალ „გზასთან“ ერთად „საგანძურის“ 61-ე ტომად „ნატვრის ხე“ შეემატება თქვენს ბიბლიოთეკას

არ, გოგლა ლეონიძის ერთი სტრიქონი მაინც თუ ნაგვიტხავს და მერე მის მინაზე გაგივლია, უეჭველად გაგაჟრჟოლებდა და კარგად თუ მიაყურადებდი, შემოგესებოდა კიდეც: „ამოდით, ამოდით ჩემთან აივანზე, მეგობრებო, მომაგონეთ, შთამაგონეთ!.. რათა ჩემი სიტყვა გავფურჩქნო, გავჩარხო, გავაკამკამო და ისე წარვდგე მკითხველის წინაშე, გულვითა წრფელითა და სიტყვითა ნათელითა!


ო, როგორ მიყვარს მუსლადი, ბედაური, მძღარი სიტყვა!

მშვენიერი ხარ, ხოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდებო, — ამბობს ხალხი.

ენახოთ, რა ბოლო გამოაჩნდება ამ ჩემს პატარა წიგნს, ვაზფურცელას“.

და ისიც ენახოთ, რა ბოლო გამოაჩნდება ამ ჩვენს „ქართული პროზის საგანძურს“, რომელიც დასასრულს უახლოვდება: 62-ე ტომად სერგი ჭილაიას „შვილებითა“ და 63-ე ტომად ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობებით პროექტი დასრულდება, თუმცა მონყენის საშუალებას მაინც არ მოგცემთ: მედიასახლი „ბალიტრა“ 19 მაისიდან კიდეც უფრო საინტერესო და მასშტაბურ პროექტს შემოგთავაზებთ. ყოველ ხუთშაბათს, კვლავ ჟურნალ „გზასთან“ ერთად და კვლავ ხელმისაწვდომ ფასად, სერიით — „ჩემი რჩეული“ — თითოეული მკითხველი ჩვენივე რჩეული ქართველი მწერლის რჩეულ ტომეულს — მაგარ ყდაში და მაღალი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილ პროზაულ, პოეტურ და

გაგრძელება იხ. გვ. 16



მედიასახლმა „პალიგრამ“ დიდ — ხამგასმით ვაშობ — ძალიან დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი



აუსილაბელია ვისოდეთ — როგორ უნდა ვიმკურნალოთ საზღვარგარეთ!

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მკურნალობა მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა. ამ სერვისით სარგებლობენ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები, ასევე შეინები და პრეზიდენტები. ეს ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება, თუმცა გარკვეული ნაციონალური თავისებურებებით, რომელიც არცთუ ისე მისაღებია ევროპული კლინიკებისთვის და მით უმეტეს, საქართველოს მოქალაქეებისთვის. არსებობს მსოფლიოში მიღებული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უცხოურ კლინიკაში მკურნალობა მხოლოდ ოფიციალური მიმართვის შემდეგ იწყება, ხოლო ეს მიმართვა კეთდება არა კერძო პირების, არამედ ორგანიზაციის მიერ. საქართველოში არსებული რეალობა სხვაა. უცხოურ კლინიკებში მიმართვა ხდება ძირითადად „ახლობლის“ რჩევით ან პირადი მიმართვის საფუძველზე; სრულად არ არის დაგეგმილი მკურნალობის პროცესი; ხშირად პაციენტმა არ იცის, მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი და როცა პრობლემა ჩნდება, არც ის იცის, ვის მიმართოს. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი პაციენტი უცხოურ კლინიკებში მკურნალობისას ფაქტობრივად დაუცველია.



პა ტუნიავილი

ამ კუთხით მდგომარეობა იმედია გამოსწორდება, რადგან საქართველოში შეიქმნა საზღვარგარეთ მკურნალობის ცენტრი. პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ეს ორგანიზაცია საერთაშორისო ასოციაციის წევრია, ეს თავისთავად მეტყველებს იქ მომუშავე ექიმებისა და ზოგადად, სამედიცინო პერსონალის მაღალ კვალიფიკაციაზე და რაც მთავარია, გაფორმებული აქვს კონტრაქტი 50-ზე მეტ კლინიკასთან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა — გერმანია, ავსტრია, ისრაელი, შვეიცარია და თურქეთი.

რამდენიმე კითხვით ცენტრის ექიმებსა და საზღვარგარეთ მკურნალობის ცენტრის გენერალურ დირექტორს — ბატონ **ზორა ცინცაძეს** მივმართეთ.

— რას სთავაზობს საზღვარგარეთ მკურნალობის ცენტრი ქართველ პაციენტებს?

— პირველ რიგში — პროფესიონალიზმს. ჩვენ ვგვამავეთ პაციენტის მკურნალობას სრულად, მომართვიდან დაწყებული — უკან დაბრუნებით დამთავრებული. შეგვიძლია, პაციენტის შესახებ ერთდროულად მივმართოთ რამდენიმე ქვეყნის კლინიკას, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია საავადმყოფოს სწორად ამორჩევა. უმეტესად საქმე გვაქვს რთულ შემთხვევებთან, რომელიც საჭიროებს ვინაო სპეციალიზაციის კლინიკას. მნიშვნელოვანია უცხოეთის კლინიკებთან ჩვენი ექიმების წინასწარი კონსულტაციები, მოსალოდნელი შედეგების, მკურნალობის მეთოდების წინასწარი გაგება. ყველათვის ცნობილია, რომ უცხოურ კლინიკებში

მკურნალობა არცთუ ისე იაფი ჯდება და ვცდილობთ, მივიღოთ გარკვეული გარანტიები ქართველი პაციენტებისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად.

— ბატონო გორა, თუ იქმნება საშიშროება პაციენტისთვის „ახლობლის“ მეშვეობით ან პირადი მიმართვით უცხოეთში მკურნალობისას?

— პირველ რიგში, ამან შეიძლება გამოიწვიოს არასათანადო კვალიფიკაციისა და შესაბამისი ლიცენზიის არმქონე კლინიკის ამორჩევა, დამატებით, ასეთი მიმართვის საფუძველზე მკურნალობა გაცილებით ძვირი ჯდება, ამას ემატება „ახლობლის“ მიერ მკურნალობაზე ნამატებული თანხა და ხშირ შემთხვევაში, რჩევის მიმცემი კერძო პირის პირადი ინტერესი, რომლის შესახებაც პაციენტმა სამწუხაროდ, არაფერი იცის.

— თქვენს ცენტრში ეს როგორ ხდება?

— მკურნალობის თანხას არ ვვხვებით. თანხა პირდაპირ კლინიკის ანგარიშზე ირიცხება. ჩვენი ცენტრის სრული მომსახურება 50 ლარიდან 350 ლარამდე ჯდება.

საზღვარგარეთ გაგზავნილი პაციენტის მკურნალობის შედეგების გასაცნობად მივმართეთ ცენტრის კონსულტანტს, ექიმს — **მარინა შვანიძეს**.



— ქალბატონო მარინა, თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ კონკრეტული მაგალითი სამკურნალოდ გაგზავნილი თქვენი პაციენტის შესახებ?

— რა თქმა უნდა. რამდენიმე კვირის წინ მოგვმართა პაციენტმა (ვასილ ხ. 40 წლის), რომელსაც ჰქონდა მუხლის სახსრის ართროზის ქრონიკული ფორმა. დაავადების დაწყებიდან გასული იყო 2 წელი. პაციენტს ჰქონდა მიღებული ბევრი ნაშალი, რამაც ლეიძლის ფუნქციის დაზიანება გამოიწვია, დაავადება პროგრესირებდა. ვუჭვობდით, რომ პაციენტს დასჭირდებოდა სახსრის პროთეზირება. ამ დიაგნოზით გავგზავნეთ ჩვენს პარტნიორ კლინიკაში Group Florence Nightingale და როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში დაბრუნდა უკან გამოჯანმრთელებული? — მხოლოდ 2 კვირაში, თან არც სახსრის პროთეზირება არ დასჭირდა.

მაშ ასე, საქართველოში არსებობს საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე საზღვარგარეთ მკურნალობის ცენტრი, რომელიც არის — გერმანიის, ავსტრიის, ისრაელის, შვეიცარიის და თურქეთის კლინიკების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ, იმკურნალოთ უცხოეთში, მიმართეთ საზღვარგარეთ მკურნალობის ცენტრს. გაითვალისწინეთ, რომ კერძო პირებისგან განსხვავებით, ცენტრი გაძლევთ არჩევანს, იმკურნალოთ სათანადო დონეზე, მინიმალური დანახარჯებით მსოფლიოს ნებისმიერ კლინიკაში.

ცენტრის მისამართია: თბილისი, ვაკე, მოსაშვილის ქ. 26, ტელეფონი 30-63-83, ან 22-42-71.

გისურვებთ ჯანმრთელობას!





დასაწყისი იხ. გვ. 14

ეპისტოლურ მემკვიდრეობას მივიღებთ. და რადგან 2011 წელი ვაჟა-ფშაველას წელია — „მთის არნივის“ დაბადებიდან 150 წელი სრულდება, „ჩემს რჩეულს“ სწორედ მისი ხუთ-ტომეულით დავინწყებთ. მომდევნო „რჩეული“ კი გალაკტიონ ტაბიძე იქნება.

სამი მწვერვალი არსებობს ქართულ ლიტერატურაში: შოთა, ვაჟა და გალაკტიონიო, — უთქვამს პუბლიცისტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტთა თაობების აღმზრდელსა და


გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილს — ნოდარ ტაბიძეს. ბატონ ნოდარს პირფერობა არ სჩვევია — ვინც მას იცნობს, უეჭველად დამიდასტურებს. ამიტომაც მივიჩნით მნიშვნელოვნად ახალ პროექტზეც დავეთხოვით აზრს:

— მედიასახლმა „პალიტრამ“ დიდ — ხაზგასმით ვამბობ — ძალიან დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი; ვგულისხმობ „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემას. არსებითად, კლასიკოსთა ნაწარმოებებია აქ შეტანილი. რაც მთავარია, ნიგნი ძალზე იაფი ღირს და საზოგადოებაში დი-

დი მოწონებით სარგებლობს. ახლა კიდევ ახალ თაოსნობას იჩენთ: სულ მალე ვაჟას ხუთტომეული გამოვა; არა მარტო პროზის, არამედ პოეზიისა და ეპისტოლური მემკვიდრეობის შემცველი თხზულებები. თანაც, ეს გამოცემა პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც დიდ მოწონებას დაიმსახურებს და ნიგნი საქართველოს ყველა რეგიონში გაიყიდება. მადლობას მოვასხენებ ამ საქმის მესვეურებს, რადგანაც დღეს ერს ყველაზე მეტად სულიერი ამაღლება და გაფაჩილება სჭირდება. ■

ახალი საქართველოს გამორჩეული ლიტერატურა „პალიტრა მედიისგან“!

ახალ-ახალი პროექტებით განთქმული „პალიტრა მედია“ 3 მაისიდან კიდევ ერთ ლიტერატურულ პროექტს შურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად შემოგთავაზობთ. სერიით „ახალი ქართული ლიტერატურა“ ყოველი თვის პირველ სამშაბათს, სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოსული თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა შემოქმედებას თითო ტომად წარმოგიდგინთ. პროექტის პრეზენტაცია 29 აპრილს, 18 საათზე ერეკლეს ქუჩაზე, რესტორან „კალაში“ მოეწყობა. მანამდე კი ჩვენს პრეზენტაციას „გზის“ ფურცლებიდან პროექტის ავტორთან, მწერალ ბესო სვამიჯინიძესთან ერთად გთავაზობთ.



ძალიან ბევრ ადამიანს მივაწვდენ ხმას, გაცილებით მეტთან მივაჩემი წიგნი

ად იბეჭდებიან, მაგრამ — ძალიან მცირე ტირაჟით. ჩვენს სერიას კი საკმაოდ დიდი ტირაჟი ექნება. ძალიან ბევრ ადამიანს მივანვძენ ხმას, გაცილებით მეტთან მივაჩემი წიგნი. ეს უმნიშვნელოვანესია მწერლისთვის. ამ პროექტით მასობრივი მკითხველი ლიტერატურულ ასპარეზზე 90-იანი წლებიდან გამოსული ღირსეული პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედებას გაეცნობა და არა ყველასი, ვისაც XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კალამი აუღია და თავს მწერალს უწოდებს. ჩვენს სერიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ შექმნილი, ახალი საქართველოს, გამორჩეული ახალი თაობის ასევე გამორჩეული ლიტერატურა დაიბეჭდება. დროა, ეს ლიტერატურა თითოეულმა გლემბა, სოფელში მცხოვრებმა ბავშვმა და ახალგაზრდამაც გაიცნოს, ნაიკითხოს, შეაფასოს, ვინ და როგორ აგრძელებს ქართველ კლასიკოსთა საქმეს. და აუცილებლად ნაიკითხავს კიდევ, თვეში ერთხელ 3 ლარად შინ რომ „მიიყვას“. თანაც კარგია, რომ ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად მიიღებს, რადგან ჟურნალში დაბეჭდილი ინტერვიუთი კიდევ უფრო უკეთ გაიცნობს კონკრეტულ მწერალს, ვის შემოქმედებასაც ჟურნალს დართულ წიგნში ნაიკითხავს. მაგალითად, „ახალი ქართული ლიტერატურის“ პირველი ტომი — დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნი“ და სხვა მოთხრობები დაერთვის ჟურნალს, სადაც დაბეჭდილია პოეტ ვკა ქევანიშვილის შესანიშნავი ინტერვიუ დათოსთან. ასე რომ, ყველას გირჩევთ, თვალი მიაღწევთ ჩვენს ახალ პროექტს და დაუმეგობრდეთ კიდევ. ■

— ამ სახის პროექტებს — ვგულისხმობ მედიასახლ „პალიტრის“ სერიებს — „ნიგნები პრესასთან ერთად“ და ხელმისაწვდომ ფასად, საქველმოქმედოს ვუწოდებ და ძალიან მნიშვნელოვნად მიმამჩნია, რადგან ნიგნსა და ლიტერატურულ ცხოვრებას მონყვეტილი რეგიონების მოსახლეობა სიმბოლურ ფასად იღებს ისეთ ნიგნებს, რომლებიც თბილისის მაღაზიებში 15-20 ლარი ღირს. ასეთ საქმეებს ერთ დროს ილია ჭავჭავაძე და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აკეთებდნენ. სწორედ ამ სერიებმა მაფიქრებინა „ახალი ქართული ლიტერატურის“ სერიის გამოცემა. იდეა დიდი ხანია, გამიჩნდა, მაგრამ იმხანად ახალგაზრდა მწერალთა ნაწილი მზად არ აღმოჩნდა ასეთი საქმისთვის და უფრო ფინანსურ მხარეზე გააკეთა აქცენტი. არადა, ყველაფერს ფულით ხომ ვერ გაზომავ! ამიტომ მოვუწოდებ ჩემს კოლეგა-მწერლებს, ვიდრე „თვლას“ დაინყებენ, ჯერ ჩვენი საქმე შეაფასონ! არც ერთ მწერალს, ვინც უკვე მონაწილეობს პროექტში: ვგულისხმობ დათო ტურაშვილს, თამარი

ფხაკაძეს, რატი ამაღლობელს, დავით ქართველიშვილს, თეონა დოლენჯაშვილს, ლაშა ბულაძეს (ეს გახლავთ პირველი ექვსეული, რომელთა ნიგნები სწორედ ამ თანამედვერობით გამოიცემა) და კიდევ რამდენიმეს უარი არ უთქვამს. ეს ნიჭიერი ადამიანები საღად მოაზროვნე ქართველი, ეროვნული მწერლები არიან, ჩვენ ვმეგობრობთ და ვიცოდით, სხვაგვარად არც მოიქცეოდნენ. სხვებიც უეჭველად შემოგვიერთდებიან — მხოლოდ დროებით შეფერხდნენ, რადგან ახლახან გამოსცეს ნიგნები და ჩვენი სერიით გამოცემაც სამომავლოდ გადავდეთ. ასე რომ, ავტორთა რაოდენობა აუცილებლად გაიზრდება, ოღონდ — შერჩევით. საამისოდ კი საკმაოდ კომპეტენტური ჯგუფი იმუშავებს.

— ბესო, არა მარტო პროექტის იდეა გეკუთვნის, არამედ თავადაც მწერალი ხარ და ერთ ნიგნად შენ ნაწარმოებებიც დაიბეჭდება სერიაში „ახალი ქართული ლიტერატურა“. შენთვის რითაა მნიშვნელოვანი ამ პროექტში მონაწილეობა?

— აქამდეც გამოვცემდი ნიგნებს და კიდევაც გამოვცემ, სხვებიც ხშირ-

ნეების მიჯნაზე კალამი აუღია და თავს მწერალს უწოდებს. ჩვენს სერიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ შექმნილი, ახალი საქართველოს, გამორჩეული ახალი თაობის ასევე გამორჩეული ლიტერატურა დაიბეჭდება. დროა, ეს ლიტერატურა თითოეულმა გლემბა, სოფელში მცხოვრებმა ბავშვმა და ახალგაზრდამაც გაიცნოს, ნაიკითხოს, შეაფასოს, ვინ და როგორ აგრძელებს ქართველ კლასიკოსთა საქმეს. და აუცილებლად ნაიკითხავს კიდევ, თვეში ერთხელ 3 ლარად შინ რომ „მიიყვას“. თანაც კარგია, რომ ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად მიიღებს, რადგან ჟურნალში დაბეჭდილი ინტერვიუთი კიდევ უფრო უკეთ გაიცნობს კონკრეტულ მწერალს, ვის შემოქმედებასაც ჟურნალს დართულ წიგნში ნაიკითხავს. მაგალითად, „ახალი ქართული ლიტერატურის“ პირველი ტომი — დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნი“ და სხვა მოთხრობები დაერთვის ჟურნალს, სადაც დაბეჭდილია პოეტ ვკა ქევანიშვილის შესანიშნავი ინტერვიუ დათოსთან. ასე რომ, ყველას გირჩევთ, თვალი მიაღწევთ ჩვენს ახალ პროექტს და დაუმეგობრდეთ კიდევ. ■



„გამოცემლობა ვალიბრა L“-ის ახალი წიგნები




დინოზავრები

ფორმატი: 25.5X28.5
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ეს სამგანზომილებიანი წიგნი, თავისი მოძრავი ილუსტრაციებით დინოზავრებს თქვენს წინაშე ცოცხლად წარმოაჩენს! იმოგზაურე დინოზავრების საოცრებებით აღსავსე ერაში. აქ შეხვდებით უზარმაზარ, მრისხანე მტაცებლებს. გაიგებთ თუ რომელი დინოზავრი ითვლება ყველა დროის უდიდეს მფრინავად და რა თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია ეულოცევალუსს.



ფასი: 16.99

ღაღამისა



ფორმატი: 24X31
გვ. რაოდ.: 266
ყდა: მაგარი
ეს წიგნი შეითხველს გაცნობს ჩვენი პლანეტის ძველ და თანამედროვე ბინადრებს, დღამინის ზედაპირსა და მის სიღრმეში მიმდინარე პროცესებს, გარემოსა და ეკოსისტემებს; მთამბეჭდავი ფერადი ილუსტრაციების, რუკების, ცნობილ მკვლევართა განმარტებების წყალობით შეითხველი იოლად აღიქვამს ინფორმაციას.

ფასი: 32.99

365 დღაჯარებალი და უბუნარი ფაქტი ყველაფერზე



ფორმატი: 22X29
გვ. რაოდ.: 175
ყდა: მაგარი
წიგნი წელიწადის 365 დღეს სიმბოლურად უკავშირდება ამდღივე ფაქტს და მოვლენას – დამყებული ცივილიზაციის განვითარების ისტორიით, დამთავრებული თანამედროვე ტექნოლოგიებითა და კოსმოსური აღმოჩენებით. წიგნი გაცნობთ, მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებას, რელიგიას და ცხოველთა სამყაროს.

ფასი: 24.99

მოაფარეთ პატარას



ფორმატი: 22X22
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ამ ხმოვან წიგნს პატარები მამივე შეიფარებენ. შინაურული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს შეგად გაახალისებს.

ფასი: 15.99

სმოქანი წიგნი



მეტიველი წიგნი

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი
ეს წიგნი თქვენს პატარას გულს ხშიერებს, თანადგომასა და სიყუთის ეუთებს ასწავლის. წიგნის წაყითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.



ფასი: 8.99

საოცარი ისტორიები „ბალიბა“ წიგნების სერიიდან

რად აქვს ჯარღალუს მოკლე ჯული?



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25, მუყაო
ყდა: ბალიბა
თქვენ, აღბათ, ფიქრობთ, რომ ჯარღალუს ყოველთვის მოკლე ჯული ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მულას მსგავსად გრძელი და ფაფუკი ჯული ამშვენებდა? წაყითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი და შეიკყოთ, რაგომ აქვს ჯარღალუს მოკლე ჯული!



ფასი: 7.99

გიო აფრიკაში



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25, მუყაო
ყდა: ბალიბა
წაყითხეთ ეს წიგნი და იმოგზაურე აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდებით ლეოპარდს, მაიმუნს, მარშმულადის მოყვრულ მარტორქას... გაიცნობ ხახვების ბელადს... ასე რომ, წინ საინტერესო მოგზაურობა გულით!



ფასი: 7.99

3-დან 9 წლამდე

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამაბის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge



სასხე

„საუკეთესო შერაქილა“ „მამა“ ვერ იცნო

ინტერვიუსთვის მთელი თვის განმავლობაში ვურეკავდი. ხან ავად იყო, ხან სერიოზული საქმით იყო დაკავებული და შეხვედრას თავიდან იცილებდა. არ მოვეშვი და თითქმის ყოველდღე ვიუტად ვუკავშირდებოდი. კიდევ ერთხელ რომ შევანუნე, მითხრა: შვილო, ამდენს რომ შრომობ და წვალობ, არ მოგვივდაო?... მისმა შეკითხვამ კი გამაოცა, მაგრამ გულახდილად ვუპასუხე, ძალიან მომშვიდა-მეთქი. — ჰოდა, ახლა ჩემს მეგობრებთან ერთად რესტორანში ვარ, აქ მოდი, თან საჭმელი ჭამე და თან ეგ შენი ინტერვიუც ჩავენროთო. მისი შემოთავაზებმა საიმედოებით მივიღე.

რესტორანში შესულს, სუფრასთან რამდენიმე უცნობ მამაკაცთან ერთად, მერაბ გეგეჭკორი და გურამ ჯაშიცი დამხვდნენ. ვიდრე სუფრას მივუჯდებოდი, რესპონდენტი თავისუფალ მაგიდასთან მივიბატიე და „ნანატრო“ ინტერვიუც შედგა.

ნათია შივიძა

— ბატონო ბესო, მეგობრებთან ერთად სშირად გინვთ ქეიფი?

— ძალიან სშირად. როგორც ხედავ, აქ ჩემი უახლოესი მეგობრები არიან — ყველასთვის კარგად ნაცნობი გურამ ჯაშიცი და მერაბ გეგეჭკორი. ის დიდი კაცი, სუფრის თავში რომ ზის, დათო ცირკიძეა, რომლის სახითაც ქართულმა სცენამ ერთი სერგო ზაქარიაძე დაკარგა. ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მსახიობობას პოლიციელობა ამჯობინა და ამჟამად ამ უწყებაში მუშაობს. ანექ-დოტებითა და სასაცილო ამბებით სულ ეგ გვამარაგებს ხოლმე. მერე ჩვენ იმ ამბებს, ცოტა სხვა ინტერპრეტაციით, „იუმორინაში“ ვყვებით. გაბრაზდა ერთხელაც ეს დათო და გამოაცხადა: ეს არის სამართალი? როსტიკას (დათო როსტო-



მაშვილი. — ავტ.) ანექდოტებს ვუყვები, ის ცოტას შეალამაზებს და „იუმორინაში“ ჰყვება, მე კიდევ, 15-ლარიან ბილეთს მაყიდვინებენ და ჩემს ანექდოტებს მასმენინებენო. მთლად მასეც არ არის საქმე, მაგრამ დათო ჩვენზე ასე ხუმრობს... ახლა კიდევ მოვა რამდენიმე ჩემი ძმაცა და იმათ მერე გააცნობ... ჩვენთვის ერთად ყოფნა — ზეიმია. მოგესვენებთ, მოსაყლის მეტი რა გვაქვს, მაგრამ ერთად თავს გადახდენილ რომელიც ამბავს ამოვიჩემებთ ხოლმე და სულ იმას ვყვებით. გუშინაც მოგყვებით რალაც ასეთი, მაგრამ დღეს იგივე, ახალი ინტერპრეტაციით „გავშალეთ“ და დავიხოცეთ სიცილით. ამათ რომ უყურებ, ესენი ჩემი ძმაცალები არიან და თითქმის ყოველდღე სულ ერთად ვართ.

— ალბათ ნათელმირობაც გაკავშირებთ...

— რა თქმა უნდა. მე და გია ბალაშვილი მერაბის უფროსი გოგონას ნათელიები ვართ. მეორე შვილი როსტიკამ მოუნათლა და აშ.

— მიზეზი გქონათ, რომ ყოველდღე იქეიფთო. თქვენი ასეთი თავმჯერა როგორ მთავრდება ხოლმე?

— რა ვიცი, ხან ნამეტანი ნასვამებით ვართ, ხან — არც ისე. ბოლო სიტყვად მაინც იმას ვუბნებით ერთმანეთს, —

სახლში რომ მიხვალ, გადმორეკე-თქო, რადგან ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და რასაკვირველია, ვნერვიულობთ, ნასვამი ხალხი შინ მშვიდობით როგორ მივა. ამ ყველაფრის თავი და ფუძე კი ბატონი ჯემალ ბალაშვილია, რომელიც მართლაც საოცარი ადამიანია.

— ერთმანეთი „იუმორინაში“ გაიცანით?

— მერაბ გეგეჭკორი „იუმორინაში“ ცოტა ადრე გავიცანი. მერე ორივე „დიდების ზღაპარს“ ვახმოვანებდით. დანარჩენებს კი „იუმორინაში“ შევხვდი და მალევე დავმეგობრდით.

— თქვენი ოჯახის წევრები როგორ ეგუებან იმ ამბავს, რომ ყოველდღე ქეიფობთ?

— მათ კარგად ესმით, როგორ გვიყვარს ერთმანეთი და მგონი, გამუდმებით ჩვენი ერთად ყოფნის გამო, ოჯახში პრობლემები არავის ექმნება. თანაც, არცთუ იშვიათად, ჩვენს შეკრებაზე ჩვენივე ოჯახის წევრებიც არიან... არ გეგონოთ, რომ მთელ დროს ქეიფში ვატარებთ. საქმე — საქმეა: როცა რეპეტიციები გვენყება, მაშინ საქმეს სერიოზულად ვუდგებით და აღარ ვქეიფობთ.

— როგორც ვიცი, „იუმორინაში“ გარდა, სხვა სამსახურიც გაქვთ.



— რა თქმა უნდა. თავდაცვის სამინისტროში, სპორტული სამსახურის უფროსი ვარ. კლუბი „არმია“ გსმენიათ ალბათ; სწორედ ამ კლუბის პრეზიდენტი ვარ. სპორტში კარგად ერკვევი?

— სამწუხაროდ — არა.

— ძალიან ცუდი. აუცილებლად უნდა ჩაება სპორტში. ახლა რეგულარული ჩემპიონატი იწყება და წინ ძალზე საინტერესო თამაშები გველის...

— თემა შევცვალეთ და თქვენს ბავშვობაში „გადაცინა“ როგორ ბავშვი იყავით?

— აუტანელი. მეუბნებიან, რომ ძალიან ვცელქობდი. ბოროტი არასოდეს ვყოფილვარ და ცუდს არაფერს ვაკეთებდი, მაგრამ ძალიან ხშირად საბავშვო ბავშვობა არ მიღებდა. ერთ-ერთის მასწავლებელმა დასასვენებლად მთელი ჯგუფი კიკეტში წაგვიყვანა. მეორედაც რომ უნდა წავსულიყავით, იმ მასწავლებელმა დედაჩემს უარი უთხრა, — ამას იქ ვეღარ წავიყვანო... სკოლის პერიოდშიც ძალიან ვცელქობდი.

— არ სწავლობდი?

— საქმეც ისაა, რომ კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ისე ვცელქობდი, სულ მემუქრებოდნენ, პროფტექნიკურ სასწავლებელში გადაგიყვანთო! მერე მეუბნებოდნენ, ცხინვალში ძნელად აღსაზრდელების სკოლაა და იქ მიგაბარებთო. საბედნიეროდ, ამ ყველაფერს გადაფურჩი. ახლა ჩემს პედაგოგებს რომ ჰკითხო, ჩემნაირ მოსწავლეს მათ სკოლაში არ

უსწავლია. ისე, ბევრ მასწავლებელს მართლა ძალიან მოვუშალე ნერვები. ამიტომ ახლა ვსარგებლობ ხოლმე შემთხვევით და ჩემი მამინდელი საქციელის გამო ბოდიშს ვუხდის.

— ალბათ ამაცობენ კიდევ, რომ ადრე თქვენ პედაგოგები იყვნენ.

— მართალი ხარ, ნამდვილად ამაცობენ...

— სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სად განაგრძეთ?

— ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავაბარე, სადაც ჩემი კარიერა დაიწყო. ორი ფაკულტეტი დავამთავრე — მეტალურგიული და საერთაშორისო ეკონომიკური. ამ ყველაფერს, არც მეტი, არც ნაკლები, 15 წელი მოვანდობე.

— კურსზე დარჩით?

— კი არ დავრჩი, დამტოვეს, თანაც — არაერთხელ. ჩემი დეკანი 7 წელი პირველკურსელებთან ერთად სწავლის დაწყებას მილოცავდა. მერე მეხვეწებოდა, — სირცხვილია, პირველ სექტემბერს მაინც ნუ მოდიხარ ინსტიტუტშიო. ეს ყველაფერი ჩემი სიზარმაცის ბრალი არ იყო — სულ გასტროლებზე დავდიოდი და ამიტომაც ვერ ვსწავლობდი.

— რა გასტროლებზე? „ავეენს“ თამაშობდით?

— „კავენამდე“ „გეპის“ თეატრში, ნუგზარ ბუცხრიკიძესთან მოვხვდი, რომელმაც ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. მან

მართლაც, დიდი არტისტები გაზარდა: მამუკა ლლონტის გარდა, „პა-სენსის“ ყველა მსახიობი მისი გაზრდილია. მაშინ ეს თეატრი მართლაც ძლიერი იყო. მერე „კავენშიც“ ვცაღე ბედი და ჩვენი გუნდის — „შერეკილების“ კაპიტანი ვიყავი. მერე ნომინაციებში — „წლის საუკეთესო მოთამაშე“ და „წლის შერეკილიც“ გავიმარჯვე.

— „წლის საუკეთესო შერეკილის“ ტიტული მოგცეს?

— (იცინის) არა, არა... „წლის საუკეთესო მოთამაშედ“ რომ დამასახელეს, ჩვენი გუნდის სახელწოდებიდან გამომდინარე ვამბობდი, საუკეთესო შერეკილი ვარ-მეთქი. რა მოხდა მერე, თუ ადამიანი ცოტა შერეკილი არა ხარ და ყველაფერი სერიოზულად აღიქვი, ინსულტი ან მწვავე ინფარქტი გარდაუვალია.

— თქვენს შემთხვევაში, ეს ორივე დაავადება გამოიწვია?

— რა თქმა უნდა. ხალისი და იუმორი ცხოვრებაში უმთავრესია. ვინც დამინახავს, ყველა სიყვარულითა და ხალისით მხვდება. რომ მეფერებიან, ამას რა სჯობია?! ვინმეს თვალში რომ ჩავუვარდე, ხელს არ ამოისვამს. ასეთი დიდი სიყვარულის გარდა, სხვა რა შეიძლება უნდოდეს ადამიანს?! ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს მოგიყვებით: მარჯანიშვილის თეატრში, ლევან ნულაძის კაბინეტის წინ ვიდექი. ამ დროს დერეფანში ერთი მამაკაცი გამოჩნდა, რომელმაც დამინახა თუ არა,




ჩიგნის სარია
 „ახალი ქართული ლიტერატურა“
 შურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად
 მაისიდან - ყოველთვე
 ერთი თანამედროვე ავტორი

ჩიგნი 1 - ჯიჯი ჯიჯიძე
 „ჯიჯი ჯიჯიძე და თრიალეთის მოთხრობა“

ჩიგნის ფასი 3 ლარი. (შურნალთან ერთად 5 ლარი)



— ვაა, როგორ ხარო?! — მკითხა და გადამეხვია. ხომ არ შევიმჩნევდი, რომ ვერ ვიცანი. მეც მოვივითხე მისი ოჯახი და იმანაც მოგივითხა. კაბინეტში რომ შევიდა, ვკითხე, ეს კაცი ვინ იყო-მეთქი? — ბიძინა ივანიშვილიო, — მიპასუხეს. კინალამ გავგიჟდი. მამავ



მთავარია, ვილაც ისეთი არ შემხვდეს, იუმორთან მწყარალად იყოს

ჩემო, გიცანი, გიცანი-მეთქი! — გავიძახოდი, მაგრამ რალა დროს?! მაშინ ბატონი ბიძინა პირველად ვნახე. პირადად მერე აღარც შეგვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ ისე თბილად მომივიტოხა, ახლობელი მეგონა. ეგ იმდენ კეთილ საქმეს აკეთებს, სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო...

— ეს სიყვარული გეხმარებათ ცხოვრებაში?

— როგორ არა?! მთავარია, ვილაც ისეთი არ შემხვდეს, იუმორთან მწყარალად იყოს და წინ დიდი „ჩინური კედელი“ ჰქონდეს აღმართული, თორემ უარს არანაირ თხოვნაზე არ მეუბნებიან. განსაკუთრებით, პატრულის თანამშრომლები მწყალობენ. რომ გამაჩერებენ, მანქანიდან ისეთი სახით გადმოვიდვარ, რომ სიცილი წასვლებათ და მიშებენ.

— ყოველდღიური ქიფის გამო, ალბათ სულ წასვამი ზნაართ საქქთან.

— არა, რას ამბობ?! ვცდილობ, წასვამი საქქს არ მივუჯდე. უბრალოდ, მოძრაობის წესებს ვარღვევ ხოლმე ძალიან ხშირად. ვერ ვისწავლე ეს წესები და რა ვქნა? „წითელზე“ რომ არ უნდა გავიარო, ეგ ვიცო, მაგრამ დანარჩენი?! — ამ ინტერვიუს შემდეგ არ არის გამორიცხული, მართვის მოწმობა ჩამოგართვან.

— მართვის მოწმობა?! — არა გაქვთ ასეთი მოწმობა? — მგონი, მაქვს, ზუსტად არ ვიცი. ამ ყველაფერს იმიტომ კი არ ვყვები, რომ ვინმე გაბრაზდეს

და ხვალვე მართვის მოწმობა ჩამომართვას. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ პატრულის თანამშრომლები მართლაც, კარგი ბიჭები არიან. მოკლედ, მაღლობა პატრულს!..

— თქვენს კარიერას დაფუძრულადეთ: „კავენის“ შემდეგ ალბათ „პა-სენსი“ იყო...

— მართალია. „პა-სენსი“ უდავოდ, დიდი სკოლა გამატარა, რისთვისაც მამუკა ლლონტს დიდ მაღლობას ვუხედი. მერე ჯემალ ბალაშვილი აკეთებდა პროექტებს: „ბარი-ბარში“, „მღერინა და ხუმრობენ კინოსა და თეატრის მსახიობები“, სადაც მე და მერაბ გეგეჭკორი მიგვიწვიეს. იქიდან კი ორივე, „დიდების ზღაპარში“ წავიდით. ამ პროექტმა დიდი პოპულარობა მომიტანა. მაშინ, ცხოვრებული ზურაბ ჟვანიას პაროდის ვაკეთებდი, მის თოჯინას ვახმოვანებდი. საწყალი, მართლა ძალიან კარგი ადამიანი იყო, რომელსაც იუმორის დიდი გრძნობა ჰქონდა. ისეთი ფრაზებით საუბრობდა, თან ისე სასაცილოდ, რომ სიცილისგან ისტერიკაში ვვარდებოდი...

— ე.ი. სხვასაც შეუძლია თქვენს გაცინება...

— რასაკვირველია. იუმორისტებს მხოლოდ ის უპირატესობა გვაქვს, რალაც ამბავს რომ მოვისმენთ, მერე იმ ამბავს „დავბრბობუსებთ“ ანუ „დავანავაროტყებთ“ და ხალხს ისე ვუყვებით. თუ სხვის მიერ მოყოლილ ამბავზე გამეცინება და ის ამბავი მომეწონება, ჩემი ტვინი ავტომატურად, იმავე წუთას ახდენს მის ინტერპრეტაციას და უკვე ვიცი, ხალხს ამ ამბავს როგორ უნდა მოვუყვე, რომ მაგრად ვახალისო...

— კახა ბენდუქიძის პაროდიაზე დიდი პოპულარობა მოგიტანათ.

— მართალია. ბენდუქიძე მაგარი კაცია. მიუხედავად იმისა, რომ მას პირადად არ ვიცნობ, დიდ პატივს ვცემ. ახლა „იმედზე“ იმ გადაცემას ვუყურებ, რომელიც ბენდუქიძის მიჰყავს და მაგრად ვახალისობ. ეგ ბიზნესში რომ არ ტრიალებდეს, მაგარი შოუმენი იქნებოდა...

— ამდენ ფულს ხომ ვეღარ იზოვიდალ.



ნეტავ ის ადამიანი მაჩვენა, ვინც ეს დაწერა!

— რომელიმე სტაბილურ ქვეყანაში იცხოვრებდა და ფულსაც იშოვიდა, თორემ საქართველოში არც შოუ არსებობს და არც შოუმენი. ქართული ტელევიზიები წალკვა „იმენოი“ შოუმება. ყველას სახელობის შოუ გვაქვს — რა უბედურებაა!..

— არ მოგწონთ ეს შოუები?

— არა, არც ერთს არ ვუყურებ. საერთოდ, ტელევიზორთან ნაკლები შეხება მაქვს, რადგან მირჩენია, წიგნი წავიკითხო. გული მწყდება, დღევანდელ თაობას წიგნი რომ აღარ აინტერესებს. პირადად მე, სულ ვკითხულობ. თან, ისტორიული ჟანრის ლიტერატურა მიტაცებს...

— რა ამის პასუხია და, იუმორსა და მეგობრობას თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი რომ უჭირავს, მიგზედი, მაგრამ სიყვარულზე რას გვეტყით?

— სიყვარული მთელი ცხოვრება გულით დამაქვს. ამ საკითხზე უფრო დანვრილებით საუბარი არ მსურს. ის ალბათ გეცოდინებათ, რომ ერთი ქალიშვილი მყავს...

— რომლის გათხოვებამაც ძალიან გაგაბრაზათ.

— 16 წლის გოგონას გათხოვება რომელ მამას გაუხარდება?! სამაგიეროდ, ძალიან კარგი სიძე შემხვდა. თანაც, შარშან შვილიშვილი — სანდრო შემეძინა, რომელიც ძალიან მაგარი კაცია. მართალია, ჯერ ერთი წლისაც არ არის, მაგრამ უკვე ლექსი იცის...

— ასე მალე დაიწყო ლაპარაკი?

— ეს მართლაც მაგარი კურიოზი იყო. ერთ დღეს ჩემმა ქალიშვილმა დამირეკა და მითხრა: ჩქარა მოდი ჩვენთან, სანდრომ ლექსი ისწავლაო. აუჰ, გამაგიჟა ამ ამბავმა, სასწრაფოდ დავურეკე ჩემს ძმაცაცებს, გავშალე სუფრა, ვართ ერთ ამბავში. მერე კი ბავშვს დავუძახე და ვთხოვე, ჩემთვის ლექსი ეთქვა. დედამისმა დაუძახა: სანდროოოო, გუსი, გუსი... და სანდრომ უპასუხა: გა, გა, გა... მორჩა, სულ ეს იყო მისი ლექსი. ეს სამჯერ ნათქვამი „გა“ 500 ლარი დამიჯდა და ეგ რომ მთელ სტროფ ლექსს იტყვის, რამხელა ხარჯი იქნება?! ალბათ რომელიმე რესტორანი უნდა დავჯავშნო...

— ვიცი, სტიქაროსანიც ხართ...

— ამბავც მოგიყვებით ერთ ამბავს. მოგესწინებათ, გარდაცვლილი ადამიანების სახელებს წერენ მოსახსენიებელში, რომელსაც ლოცვის დროს სტიქაროსნები ვკითხულობთ. ერთ დღესაც, მიჭირავს ეს მოსახსენიებლები და ვკითხულობ: უფალო, მოისხენიე მონა შენი მაიკლ ჯექსონი... გადამრია ამ ამბავმა. ნეტავ ის ადამიანი მაჩვენა, ვინც ეს დაწერა!..



ბიჭი რომ ვიყო, თეა დანელიას ცოლად არ მოვიყვანდი

ჯგუფ „ბანდეროლის“ სოლისტს, თეა დანელიას ინტერვიუსთვის იმ კაფეში შევხვდი, სადაც სტუდია „ლამის შოუს“ სცენარისტმა ირაკლი კაკაბაძემ პირველად მოუხმინა და გადაცემაში — „ლამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად“ მიიწვია. თეა ფიქრობს — ძალიან გაუმართლა, რომ იმ საღამოს, როცა ირაკლი კაფეში შევიდა, სწორედ მისი ჯგუფი უკრავდა. თურმე იქვე კიდევ ოთხი, ძალიან კარგი ჯგუფი უკრავს, რომელთა შესახებაც ფართო მსმენელმა ჯერჯერობით არაფერი იცის. ეს კი იმის გამო ხდება, რომ ჩვენში შოუბიზნესი ძალზე ცუდ დღეშია. გადაცემის შესახებ — „ლამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად“ — ბევრი აზრი არსებობს: ზოგს მოსწონს, ზოგს ბევრი შენიშვნა აქვს, მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მასში ძალიან კარგი ბენდია...



მარი კობიაშვილი

— თეა, როგორ ფიქრობ — გემოვნებიან ადამიან სარ?

— ძალიან რთული კითხვაა. გემოვნებასთან დაკავშირებით ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ რამდენად შესაბამეობა შექმნილ სტანდარტებს, არ ვიცი. ვფიქრობ, რომ ადამიანს, რომელზეც ამბობენ, უგემოვნოაო, მინც აქვს გემოვნება. პირადად მე, მაკმაყოფილებს, როგორც ვარ. შეიძლება, ვინმე გემოვნებიანად მიმიჩნევდეს და ვილაცა — არა, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— ყოველთვის ბევრი სამკაული გიკეთა...

— ჩემს აქსესუარებს სამკაულებს ვერ დავარქმევ. ახლა რაც მიკეთია, ალბათ სულ, 15 ლარის იქნება. უბრალო აქსესუარები მიყვარს. ოქრო არ მიყვარს. ვერცხლსაც კი არ ვატარებ. საათები, ქუდეები და შარფები მიყვარს ძალიან. ჩაცმულობას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. სულ ერთი და იმავე სტილის ტანისამოსი მაცვია. ჯინსსა და კედებში თავს კარგად ვგრძობ.

— როგორც ვიცი, პატარა შვილი გყავს. მის გემოვნებას ითვალისწინებ ხოლმე?

— 7 წლის ზუკა მყავს. სახლიდან ისე არ გავდივარ, რომ ჩემმა შვილმა არ შემომხედოს და არ შემაფასოს. მეტყვის ხოლმე, — დედიკო, მგონი, ეს საყურე არ უხდება შენს ჩაცმულობასო, — და ჩემი საყურეების კოლექციიდან თვითონვე მიჩრევეს, რომელი გავიკეთო. ყოველთვის ვითვალისწინებ მის აზრს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამით ბავშვს ვახარებ და თან, ფერების შეხამება, როგორც დავაკვირდი, არასდროს ემუქება. ზუკა ყოველთვის უყურებს „ლამის შოუს ოთარ ტატიშვილთან ერთად“ და ამყობს, რომ დედამისი ტელევიზორში ჩანს.

— მუსიკა ალბათ ბავშვობიდან გიყვარდა. ძალიან განსხვავდება შენი

ბავშვობის დროინდელი და ახლანდელი მუსიკალური გემოვნება?

— ცვალებადი მუსიკალური გემოვნება მაქვს. მუსიკა ყოველთვის ვითარდება და იცვლება, შესაბამისად იცვლება ამ მხრივ ჩემი გემოვნებაც.

— როგორ მუსიკას უსმენ?

— კონსერვატორიაში რომ ჩავბარე, მაშინ შემიყვარდა ბეთოვენის და მოცარტი. ძალიან მიყვარს რამელ ფერერი და რეი ჩარლზი — მათ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუსმენ. მუსიკას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. ეს ჩემმა მეგობრებმა კარგად იციან. როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, სევდიან სიმღერებს ჩამირთავენ ხოლმე. თუ ვთქვი, — ეს რას უსმენთ?! რაიმე ენერგიული და საცეკვაო სიმღერა ჩავრთოთ-მეთქი! — ხვდებიან, რომ ცუდი განწყობილება მალე გამივლის. თუ სევდიანი სიმღერის მოსმენა გადავწყვიტე, ე.ი. დეპრესია მაქვს და თან ისეთი, რომელიც ძნელად გამივლის.

— კულნაროსთან დაკავშირებით როგორ გემოვნება გაქვს? გურმანი ხარ?

— ძალიან მიყვარს და ნებისმიერ დროს შემიძლია ვჭამო მჭადი და ყველი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კერძების მომზადება არ მეხერხება. როგორც ამბობენ, ძალიან გემრიელ კერძებს ვამზადებ. სახლში რომ ვარ, მომზადება არ მეზარება.

— მამაკაცებთან დაკავშირებულ გემოვნებაზეც მინდა გკითხო.

— ცოტა ხნის წინ, მეგობრებთან ერთად, ზუსტად ამ საკითხზე ვისაუბრე და დავასკვენი, რომ ამ მხრივ საქმე ძალიან რთულად მაქვს — ისეთ ბიჭს ვეძებ, რომელიც ჩემზე კარგი და სიმპათიური იქნება, თან, ჩემთან შედარებით მეტი ფული ექნება და, რაც მთავარია, მუსიკა ეყვარება. ეს ჩამონათვალი კი იმას ნიშნავს, რომ ვერ გავთხოვილვარ და ეგაა! მე, მაგალითად, ბიჭი რომ ვიყო, თეა დანელიას ცოლად არ მოვიყვანდი.

— რატომ ხარ საკუთარ თავზე ასეთი ცუდი წარმოდგენის?

— საკუთარ თავზე ცუდად არ ვფიქრობ. უბრალოდ, კარგად ვიცნობ ჩემს თავს. არის საკითხები, რომლის გამოც შეიძლება „გავჭედო“. გოგოს პრინციპულობა კი არც ერთ ბიჭს არ უყვარს. ჩემზე სიმპათიურიც არ მომიყვანს ცოლად, რადგან მერე სულ ის უნდა იძახოს, შენზე ლამაზი ვარო, და არც ბევრი ფულის მქონე დანეტრესდება ჩემით. თუმცა — არა: შეიძლება დანეტრესდეს, მაგრამ მერე სულ უნდა დაჰყვოდროს, შენზე ვბრუნავ და გარჩენო. ასეთი რამ არ გადამიხდენია, მაგრამ თბილისში ბოლო დროს, როგორც წესი, ასე ხდება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ ალარ გავთხოვდები.

— ბოლო დროს ძალიან დაკავებული ხარ და კითხვისთვის დრო ალბათ არ გრჩება, ხომ?

— რამდენიმე წლის წინ ბევრს ვკითხულობდი. ახლა სამწუხაროდ, ვეღარ ვიცლი. საღამოს ისეთი დაღლილი ვბრუნდები სახლში, კითხვის თავი აღარ მაქვს. გადავმლი წიგნს, მაგრამ რამდენიმე ფურცლის წაკითხვის შემდეგ ჩამეძინება. ისე, კითხვა ძალიან მიყვარს, როგორც კი დროს გამოვნახავ, მაშინვე ვცდილობ, ახალ ლიტერატურას გავეცნო.

— ბოლოს რა წაიკითხე?

— გუფიმი ინდურ მუსიკალურ საკრავებზე დანერგილი წიგნი მათხოვა. ძალიან მომეწონა. ბოლო დროს ინდური მუსიკით ვარ გატაცებული და წიგნი, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. მინდა, ინდურ და საერთოდ, აღმოსავლურ კულტურას უფრო კარგად გავეცნო. ■



„ჩემი ნაცნობი მომღერლებიდან ყველანი „თავს იკლავენ“



ეთო ყორღანაშვილი

სალომე და ტოტო კალანდაძე გაცნობიდან ერთ კვირაში შეუღლდნენ. მაშინ მომღერალი 16 წლის იყო. გათხოვების გამო ჯგუფ „პაპარაციის“ წევრებიც გაანაწყენა (კონცერტიდან გაიპარა) და მამაც. ბატონი გია შვილს 6 თვის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა. საბოლოოდ, სალომემ მამაც და „პაპარაციის“ წევრებიც შემოირიგა, მაგრამ მისი და ტოტოს 6-წლიანი ოჯახური თანაცხოვრება დასრულდა...

ამჟამად სალომე აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა: ცოტა ხნის წინ, ჯგუფ Funnky Staff-თან ერთად, ვაკის პარკში მიუსაფარი ბავშვებისათვის საქველმოქმედო კონცერტი გამართა. მალე ახალი პროექტების განხორციელებასა და კიდევ ერთ მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობასაც გეგმავს.

— სალომე, აღდგომის დღესასწაული როგორ გაატარებ?

— ეკლესიაში ვიყავი, მერე კი — მეგობრებთან ერთად აღვნიშნე. დღესასწაულებიდან ყველაზე მეტად აღდგომა მიყვარს. ქრისტიანი ვარ და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი დღეა.

— აღდგომის დღესასწაულის სამზადისში თუ მონაწილეობ სოლომე?

— სურვილი მაქვს, მაგრამ დედა მასწრებს: პასქას აცხოვს, კვერცხებს ღებავს... ახლა საცხოვრებლად ცალკე გადასვლას ვაპირებ. იქ ამ ყველაფრის გაკეთება თავად მომიწევს.

— სამზარეულოში ტრიალის გამოცდილება გაქვს?

„მირჩევნია, სულკე ვიყო...“

ბოლო დროს ბევრს საუბრობენ სალომე კორკოტაშვილის ოჯახის დანგრევის შესახებ. ეს ინფორმაცია თავად სალომემაც დაგვიდასტურა: „არაფერი გასაგიჟებელი არ ხდება. უბრალოდ, ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახების უმეტესი ნაწილი ინგრევა, რადგან ასეთ დროს წყვილები მხოლოდ გულის კარნახს აპყვებიან — მათ საქციელში ტვინი არაა „დატანებული“. შესაბამისად, ოჯახი მყარი არ არის სოლომე. მე და ჩემი ყოფილი მეუღლე კარგ მეგობრებად დავრჩით. ერთმანეთს სულ ვეკონტაქტებით. შვილი — ზუკა გვაერთიანებს. მოკლედ, კარგად ვართ“...

— კი. ცოტა ზარმაცი ვარ, მაგრამ თუ მოვინდომე, ყველაფერი გამომდის. ვისაც ჩემი მომზადებული კერძი გაუსინჯავს, ყველა კმაყოფილია.

— გურმანი ხარ?

— სასწაულებრივად! გემრიელი რაღაცები მიყვარს, მაგრამ პიცის ერთი ნაჭერიც რომ შევჭამო, ჩემს გარეგნობას მაშინვე ეტყობა. ახლა მუსიკალური ფესტივალები იწყება. ამიტომ კვებასთან დაკავშირებით საკუთარი თავის კონტროლი მიწევს — დღესაც მხოლოდ ვაშლზე ვარ. როცა ტელეეკრანზე ჩანხარ, სულ ფორმაში უნდა იყო. ამას ხშირად ვერ ვახერხებ. გადავწყვიტე, იდეალურ ფორმაში ვიყო. ცხოვრებაში ისეთი გამხდარი არასოდეს ვყოფილვარ, როგორც მინდა. მსურს, ამას ახლა მივალნიო — ვარჯიშით, აუზზე სიარულით...

— დიეტოლოგს მიმართე თუ კვების რაციონი თავად შეადგინე?

— თავად. უბრალოდ, იმდენი არ უნდა ჭამო, რომ ვეღარ იმოძრაო, თუმცა, ამდენს არასოდეს ვჭამ (იცინის)...

— ოდესმე ისე თუ გასუქებულხარ, რომ ძალიან დიდი დისკომფორტი შეგქმნია?

— კი, ორსულობისას წონაში 35 კილოგრამი მოვიმატე. ბავშვის გაჩენის შემდეგ ნელ-ნელა გავხდი. ახლა ვცდილობ, „თავი მოვიკლა“ და საუკეთესო ფორმაში ვიყო. კარგ ფორმაში მყოფი ჩემი ნაცნობი მომღერლებიდან ყველანი „თავს იკლავენ“. ამის გაკეთება მეც მომიწევს.

— რაღაც განსაკუთრებულისთვის ემზადები თუ?..

— ბათუმის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში — Golden Talent-2011 მონაწილეობას ვაპირებ.

— მონაწილეობა ორგანიზატორებმა შემოგთავაზეს?

— არა, რეკლამის მეშვეობით შევიტყვე და გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე. ისეთი ადამიანი ვარ, რომელიც პროდიუსერს სახლში ვერ დაელოდება. მომღერალმა სულ რაღაც უნდა აკეთოს. მართალია, კონკურსები საშინელებაა, მთრგუნავს, მაგრამ მაინც ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო. საკუთარ თავს შანსს წელსაც ვაძლევ, რომ აქ რაღაც გამოვივიდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოდან აუცილებლად წავალ. უკვე 23 წლის ვარ, რაღაცას უნდა მივალნიო...

— ვიცი, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებას ისედაც აპირებდი...

— კი, ყველაფერი დაგეგმილია. 1 წლის განმავლობაში მინდა, რომ აქ ვიყო, რადგან ჩემი შვილი ჯერჯერობით ძალიან პატარაა. მას არ დავტოვებ — მის გარეშე ვერ გავძლებ... — შარშანწინ ამბობდი, „ვერო“



მას არ დავტოვებ — მის გარეშე ვერ გავძლებ



ვიზის“ კონკურსში მონაწილეობას აღარ მივიღებო; ნელს შიდა შესარჩევ კონკურსზე ისევ გიხილეთ. გადაწყვეტილება რატომ შეცვალე?

— გული მწყდება ხოლმე, როცა მართლა კარგ მუსიკას ქმნი, მაგრამ — ამაოდ. თავს ასე ვიმშვიდებ: ცხოვრებაში ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მერე უკეთესი რაღაც მოხდეს. სიკვდილის წინ, ბოლო ამოსუნთქვამდე ჩემს თავს ვკითხავ: ხომ ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ ვარსკვლავი ყოფილიყავი-მეთქი? საკუთარ თავთან მართალი ვიქნები.

— შარშანწინდელ კონკურსზე თავი მაქსიმალურად ვერ წარმოაჩინე?

— მიმაჩნია, რომ ყველაფერი კარგად იყო. უბრალოდ, საქართველოში ასე ხდება.

— ასე — როგორ?

— „ჩანყობით“.

— გინდა თქვა, რომ „ვეროვიზის“ შიდა შესარჩევ კონკურსი „ჩანყობილი“ იყო?

— არ ვიცი, მაგრამ ზოგადად, კონკურსებზე „ჩანყობა“ ხდება, რაც ყველას გულს სტკენს. ახლა ფესტივალზე იმ განწყობილებით გავდივარ, რომ უბრალოდ კონცერტი მაქვს — გამარჯვებაზე აღარ ვფიქრობ. საერთოდ, როცა მოგებაზე ფიქრობ, მერე გული უფრო გწყდება...

— „ვეროვიზიაზე“ საქართველოს წლევანდელ წარმომადგენლებზე რას ფიქრობ?

— „ელ დრანი“ კარგი ჯგუფია. მათი ყოფილი სოლისტი, თავო ძალიან მომწონდა, მართლა კარგი ხმა აქვს. გული დამწყდა, რომ „ვეროვიზიაზე“ თავო ვერ წავა. ცუდი ფაქტი დაფიქსირდა: უკონკურსოდ „ვილაც გოგო“ შეარჩიეს. ჯგუფის ახალი სოლისტი, სოფო ტოროშელიძე ძალიან ნიჭიერია, მუსიკას თავად ქმნის, უკრავს... თავად კონკურსის ორგანიზატორებისგან იყო სანყენი, რომ კონკურსანტებმა ვინავლეთ, მერე კი უცბად სხვა აიყვანეს და „დასვეს“. ასე არ შეიძლება...

— სალომე, განახლებულმა „პაპარაცმა“ გაამართლა?

— სხვათა შორის — არა, რადგან საქართველოში ბილეთები არ იყიდება — ხალხს ფული არა აქვს. სპორტის სასახლეში გამართული კონცერტი ამის პატარა მაგალითი იყო: ჩვენში დღეს ყველაზე პოპულარული მუსიკალური ჯგუფები — „მგზავრები“, „ფრანი“ და ჩვენ ვმღეროდით და ბილეთები მაინც არ გაიყიდა. ამიტომ სპონ-



ჩემს თავს ვკითხავ: ხომ ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ ვარსკვლავი ყოფილიყავი-მეთქი? საკუთარ თავთან მართალი ვიქნები

სორი უნდა იყოს, რომელიც, სიკეთის გაკეთების სურვილით ან რეკლამისთვის, შემსრულებელსაც გადაუხდის ფულს და უფასოდაც შეუშვებს ხალხს დარბაზში.

— შენ და „პაპარაც“ ისევ ერთად მუშაობთ?

— კი, ერთად ვართ. მაგრამ ახლა სამორი ბალდესთან ერთად, სხვაგვარი პროექტის განხორციელებას ვაპირებ.

— დღის განმავლობაში მუსიკას რამდენ დროს უთმობ?

— როცა ოდნავ მაინც მოვიწყენ, სულ მინდა, რომ დავეუკრა.

— ასე ხშირად ხდება?

— კი. ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს. შეიძლება, კარგ ხასიათზე ვიყო და უცბად მოვიწყინო.

— ჟურნალისტებთან ურთიერთობას რატომ ერიდები ხოლმე?

— ინტერვიუ არ მიყვარს. მირჩენია, ცალკე ვიყო... სხვისი ცხოვრება დიდად არ მაინტერესებს და მგონია, რომ სხვებსაც არ აინტერესებთ — ჩემი. კამერასთან ურთიერთობაც არ მიყვარს.

— როგორ?!

— მიყვარს, მაგრამ ინტერვიუს სახით — არა.

— საერთოდ, შემოქმედ ადამიანებს უცნაურობები ახასიათებთ. კიდევ რა გამორჩეული თვისება გაქვს?

— სულ „დავფრინავ“,

ვოცნებობ. ახლობლები ამის გამო მსაყვედურობენ, ჩამოდი მინაზეო! შეიძლება, საშინელი დღე მქონდეს, მაგრამ წარმოვიდგინო, რომ ჰავაიზე ვართ, კარგ დროს ვატარებთ...

— ძირითადად, ჰავაიზე „დავფრინავ“?

— ჰავაი, რიო მომწონს... ახლა ბელგიაში გამგზავრებას ვაპირებ. იქ მუსიკალური ფესტივალი ტარდება, რომელსაც 70 მონაწილე ჰყავს. პირველ დღეს კონცერტს ჩემი საყვარელი ჯგუფი — Chemical Brothers ხსნის. ძალიან მიხარია!

— ხშირად მოგზაურობ?

— ბავშვობის შემდეგ, თვითმფრინავშიც არ ვმჯდარვარ.

ჰოდა, ახლა უნდა „ავინწყვიტო“ (იცინის)!..

— სალომე, ოჯახის დანგრევის შემდეგ, ადამიანები ხშირად აქცენტს მთლიანად კარიერაზე აკეთებენ...

— ალბათ მთლიანად კარიერაზე „გადავერთვები“. ჯერჯერობით, პირად ცხოვრებაში მართლა არავინ მინდა, მაგრამ „ის“ როდის მოვა, კაცმა არ იცის...

მთავარი მიზეზი მოხსნილბები მიზეზი მოხსნილბებისკან!

შარულ „რეპიზინგთან“ ერთად

ჩანყობი წიგნები - უწყისად იქნები!

2 ათისილან - ბოლი №15
მთავარი - ალექსანდრე კაპრინი

ფასი ... 2 ლარი!!!

2 ათისილან
ბოლი №15 - სურსათი მუხი



ვინ ჰქვინს „გოგონას...“

„მეუხერხულება, ჩემგან ინტერვიუს რომ იღებენ“...

ის ნიჭიერი და აქტიური ადამიანია. პარალელურად ბევრი საქმის კეთებას ასწრებს. ცოტა ხნის წინ 25 წლის გახდა. დღესდღეობით თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე ტელეკომპანია „იმედის“ არაერთი საინტერესო და რეიტინგული პროექტის სცენარისტია. უკვე ერთი წელია, რაც მაცურებლის საყვარელი ტელესერიალისთვის — „გოგონა გარეუბნიდან“ სცენარს წერს...

თათბარ დადგენილი

— ერთ დღეს ჩემი მეგობარი — „ლამის შოუს“ დირექტორი ვანო ჭელიძე შემხვდა და მითხრა, — ახალ სერიალს ვინებთ, იქნებ დაფიქრდე და ბედი სცადო? მაშინ ერთდროულად 4-5 სამსახური მქონდა და კიდევ რაღაც ახლის დაწყება არ მინდოდა. ამასთან, როცა თეატრმცოდნე ხარ და სერიალისთვის სცენარის წერას იწყებ, სხვაგვარი პასუხისმგებლობაა. მაგრამ ვინაიდან წინადადება მივიღე „ლამის შოუს“ შემოქმედებითი ჯგუფისგან, რომელსაც ფაქტობრივად, არც ერთი პროექტი არ ჩავარდნია, გაეთამამდი და დავთანხმდი. ირაკლი კაკაბაძესაც შევხვდი. სცადეო, მითხრა.

— ალბათ მიმართულებაც მოგცეს,



თუ როგორი უნდა ყოფილიყო სერიალის ფაბულა, არა?

— თეატრმცოდნე ვარ და პროფესიიდან გამომდინარე ვიცი, რას წარმოადგენს ტექსტის დრამატურგიული სტრუქტურა, მაგრამ დიალოგების დაწერა და „ხორცის შესხმა“ მნიშვნელოვანია. ეს ირაკლი კაკაბაძემ მასწავლა, რისთვისაც მისი მადლიერი ვიქნები მთელი ცხოვრება.

— სერიალს, თქვენ გარდა,

კიდევ რამდენიმე სცენარისტი ჰყავს. როგორია სამუშაო პროცესი? როგორ იწერება დიალოგები და როგორ იხლართება ინტრიგები?

— სცენარისტები ვიკრიბებით, ჩამოვყალიბებთ ძირითადს — როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები მომდევნო 2-3 სერიაში — და სცენებს ვწერთ; მერე ყველაფერს ვაერთიანებთ. ტექსტებში ჩვენს რეალობაში არსებულ კითხვებზე უნდა იყოს პასუხი გაცემული... სუბტექსტსა და ფილმში, თუ საკუთარი თავი, ჩემი მეზობლისნაირი ქალი და ჩემი მასწავლებლისნაირი კაცი ვერ დავინახე, აღარ დამაინტერესებს...

— ამერიკული სერიალის — „უშნო ბეტის“ გარდა, ზოგს სხვა უცხოური პერსონაჟების ასოციაციაც უჩნდება...

— თუ დამიჯერებთ, პირადად მე, იმ ამერიკული სერიალის არც ერთი სერია არ მინახავს. უბრალოდ, „ლამის შოუს“ ბიჭებმა, როგორც „შუა ქალაქის“ ფორმატი ჩამოიტანეს და ქართულ რეალობას მორგეს, ისევე მოხდა სერიალ „გოგონას...“ შემთხვევაში. არც ერთი ამბავი არ ემთხვევა ამერიკულ ვარიანტს. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება, ვენერას, ზაირიეს და ლევანიეს რაიმე საერთო ჰქონდეს არკანზასისა თუ ნიუ-ჯერსის მცხოვრებლებთან?! ჩვენ სრულიად ქართულ სანყისებზე, ქართულ ხასიათზე, ფოლკლორზე, ურთიერთობებსა და კოლორიტზე ორიენტირებულ სერიალს ვქმნით... ის ინტრიგებიც თბილისური და ქართული რეალობისთვის არის დამახასიათებელი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ზაირამ რომ დათესა სიმინდი, კარგი მოსავალი მოვიდეს, რადგან მისი სიმინდისგან გამომცხვარი მჭადი უნდა ვჭამო...

— ციცინოზე რას იტყვი?

— ასეთი გოგონა ბევრია, რაოდენადან ჩამოსულიც და თბილისელიც, მაგრამ ციცინო ნანობს თავის საქციელს და ამით მაცურებელს ვუჩვენებთ იმას, რომ ცუდად მოიქცა. თავი არ გამოემეყოფაო, ტირის. განიცდის. დიას, საკუთარ თავსა და შვილებს ის ტრადიციები უნდა ჩავაგონოთ, რომლებიც ჩვენთვის ღირებულია. ციცინო შეცდომას განიცდის და რეკ-



ნიკა სერიალის მსახიობებთან ერთად



უტაციის აღდგენის მიზნით, ამერიკელ მარკთან (ინგლისურის მასწავლებელი) კვლევას. სხვათა შორის, ამერიკელი სტუმარი მყავს — ულამაზესი, 24 წლის ბეთანი კოქსი ვაშინგტონიდან, რომელიც აქ ინგლისურის მასწავლებლად მუშაობს. მისი დახმარებით, ინგლისური ენის დასვენებას მეც ვცდილობ. ზოგჯერ თავისი ამერიკელი სტუმრები ჩემთანაც მოჰყავს და წვეულებას ვუმართავ.

— გადაცემა „ფიციკონტროლის“ სცენარისტობაც თქვენ მოგანდევს. რა მიზანს ემსახურება ეს გადაცემა?

— იდეა ნოე სულაბერიძის ეკუთვნის. არც ველოდი, რომ სცენარისტობას მთხოვდნენ... შუალამისას ჩემთან კარზე ზარი გაისმა. გავაღე და დგანან: ნანკა კალატოზიშვილი, ნინი ბადურაშვილი და ნოე სულაბერიძე. ზეგ ჩვენი გადაცემა იწყება და სასწრაფოდ დაგვეხმარეო, — მეუბნებიან... ეს ის გადაცემაა, რომელიც ნელ-ნელა იხვეწება და რომელსაც თავისი მაცურებელი ჰყავს, რაზეც მისი რეიტინგი მეტყველებს. კარგი პროექტია: ჯერ ერთი, ორი ლამაზი ქალი ჩანს ტელევიზორში და ჩვენი კულტურის სიახლეებს მიმოიხილავს; გარდა ამისა, ორიენტირებულია იმაზე, რომ 1 ან 2 უცნობი ნიჭიერი ადამიანი წარმოაჩინოს, რომელსაც მართლა სანთილი ვეძებთ.

— გარდა ტელეკომპანია „იმედისა“, კიდევ სად მუშაობთ?

— რადიო „იმედი“ თეატრზე მიმყავს გადაცემა და ასევე, შემეცნებით-გასართობი პროგრამა; თეატრალურ ინსტიტუტში სადოქტოროზე ვმუშაობ, დისერტაციას ვწერ.

— ეს ყველაფერი — კარგი, მაგრამ თქვენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— ზუსტად ვიცი, რომ ჩემ გვერდით ვერასოდეს იქნება ცარიელი, „მჩატე“ ქალი... თბილისში ბევრი კარგი გოგონაა. „მჩატე თავთავები“ ზემოთ „ფრთხილებენ“, „მძიმეები“ — ქვემოთ... ისეთი „მოთვზავე“ ვარ, რომელსაც ღრმულში ხელის შეყოფა ეხერხება და ხშირად ბევრი კარგი და დიდი „თევზიც“ დამიჭერია... ახლაც „დაჭერის“ პროცესში ვარ. ძალიან მინდა, შეილი მყავდეს.

— არ გვეტყვი, ვინ არის ის „დიდი თევზი“?

— ამას საიდუმლოდ დავტოვებ, რადგან მიმაჩნია, რომ არა ვარ ის ადამიანი, ვისი პირადი ცხოვრებაც შეიძლება, საზოგადოებისთვის საინტერესო იყოს. ისიც კი მეუხერხულდება, ჩემგან ინტერვიუს რომ იღებენ...

სცენაზე ავლერბული „მოცაქვავე პირი“, „როკ-ენ-როლი“ და წარმატება, რომელსაც არავინ ელოდა

პროექტ „ნიჭიერის“ მონაწილე — ლუკა ჭარბაზანაშვილმა საზოგადოებას სახალისო ნომრით გააცნო თავი. სიმღერა „როკ-ენ-როლი“ მთელი თავისი იუმორისტული გაფორმებით, ფიურისაც და მაყურებელსაც მოეწონა და 11 წლის კონკურსანტის მრავალმხრივ ნიჭს მომდევნო ტურში გამოვლენის საშუალება უყოყმანოდ მისცეს. ცელქ და მოუსვენარი ლუკა ჭკვიანი და კარგი მოსწავლეა, რომელიც თემქაზე, 142-ე საჯარო სკოლაში სწავლობს. იუმორის წყალობით კი მის გვერდით არავინ მოიწვეს.

თამთა დავაშვილი

— მიხარია, რომ ჩემი ნომერი ყველას მოეწონა. მანამდე ნაცნობები მირჩევდნენ, რომ ამ კონკურსში მიმელო მონაწილეობა. მეც ავდექი და საბუთები შევიტანე.

— ვინ დაგეხმარა იმ ნომრის მომზადებაში, რომელიც წარმოადგინე? დიდი ხანია, მღერე?

— თავიდან თვითონ ვაკეთებდი რაღაცებს. ჩემი ძმა მღერის და მას აყვებოდი ხოლმე სიმღერაში; მერე და მერე ჩემი ნომერი უკეთ დავამუშავე. ის, რაც სცენაზე გამოვიტანე, დეიდაჩემმა „დამალაგებინა“. მოკლედ, პედაგოგი არა მყავს.

— კარგი პლასტიკური მონაცემები რომ გაქვს, ცეკვაზე ხომ არ დადისხარ?

— არა, ჩემით ვისწავლე, ტელევიზორიდან. ადრე სამეჯლისო ცეკვებზე მივედი, მაგრამ არ მომეწონა და 1 თვეც არ მივლია. ბიტბოქსის კეთებაც ტელევიზორიდან უკეთესად „დავამუშავე“. **ნათია ლაქიშვილი, ლუკას დეიდა:**

— რასაც სცენაზე აკეთებს, ყველაფერი მისი ხასიათიდან მოდის, ძალიან ცელქია, „ადამიანი-ხმაური“. სულ რაღაცას მაიმუნობს და სახლში ვუშლიდით ხოლმე. ჩხირკედელაობა უყვარს, ნებისმიერ რამეს დაშლის და აანყობს. ნამდვილად არ გვეგონა, თუ ლუკას მცდელობას ასეთი გამოხმაურება მოჰყვებოდა. თავიდან ცალ-ცალკე აპირებდა ბიტბოქსის, სიმღერისა და „ჯღანვის“ შესრულებას, მერე კი „რუსთავი 2“-ში გვიჩინეს, ეს ყველაფერი ერთ ნომერში გაგვეერთიანებინა.

— ლუკა, სკოლაშიც ასე „მაიმუნობ“? იქ რაიმე მასობრივ ღონისძიებებში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— დიახ, ხანდახან ვმონაწილეობ. ერთხელ სკოლაში, სიმღერის კონკურსში პირველ ადგილზე გავდი. იქაც „როკ-ენ-როლი“ ვიმღერე. ამ სიმღერას ჩემი



ძმა მღეროდა, ბიბი კვაჭაძის დაწერილია და „ვეროვიზიასა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეკუთვნის.

ნათია:

— საერთოდ, ლუკა მეგობრული, ალალი და თბილი ადამიანია. პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს: სკოლა 9-ის ნახევარზე ეწყება და მ-ზე უკვე იქ არის. აქტიური და ენერგიული ბავშვია. ლუკას ძმა — ილო უკვე დიდი ხანია, კონკურსებში მონაწილეობს და იმდენად დატვირთულია, დედამისს არც ჰქონია სურვილი, რომ ლუკაც ასე დაეტირთა და ბავშვმა განაცხადი ისე შეიტანა, რომ დედამ არც იცოდა. მერე კი, როცა დაურეკეს, არ შეიძლებოდა, არ მიგვეყვანა და დაგვეჩაგრა. ყველა „დაჯღანვას“ თავის სახელს არქმევს — „ბალეტის მოცეკვავე“, „ვირი“, „მასინჯი ყვავილი“, „შეგარდნაძე“, „კუზიანი ელფი“, „თახვი“ და ა.შ.

— ლუკა, თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— ეზოში ჩავდივარ და ველოსიპედით ან როლიკებით ვერთობ; კომპიუტერზე ვთამაშობ. ოღონდ ჯერ ვეცადინებო. ფეხბურთზე დავდივარ და ძალიან მიყვარს თამაში. შეჯიბრებშიც ვმონაწილეობ ხოლმე. სპორტიც და ხელოვნებაც ერთნაირად მიყვარს.

— რა პროფესიის არჩევა გინდა, რომ გაიზრდები?

— მსახიობი მინდა გავხდე.

— რომელიმე თეატრალურ სტუდიაშიც ხომ არ აპირებ სწავლას?

— დიახ, მინდა და ვნახოთ, რა გამოვა.

— დიდ სცენაზე პირველად გამოხვედი, ხომ?

— დიახ, მაგრამ არ ენერგიულობდი. კულისებში რომ ვიცდიდი, იქაც ვალაცებს ვაჯავრებდი. ნამდვილად არ მეგონა, თუ ხალხი ასე კარგად მიმიღებდა. შემდეგ გამოსვლაზე რასაც გავაკეთებ, სიურპრიზი იქნება, ჯერ ვერ გაგიხელთ.



მეუღლესთან ერთად გაქრალი თორნიკე გობრიჭიანი

„როცა ასე იწყებან საუბარს, რაღაც ხდება“...



ელენე ბასილია

— მსახიობობა ბავშვობიდან მიხდოდა, მაგრამ გადაჭრით არასოდეს მიტევამს, რომ გავიზრდები, მსახიობი გამოვალ-მეთქი. სანამ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, „გეპეიში“, არქიტექტურის ფაკულტეტზე ესწავლობდი. მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა თავი დავანებე და თეატრალურში ჩავაბარე.

— **მოულოდნელი გადანწყვეტილება მივიღია...**

— რატომ? მე ასე არ მივიჩნევე. ის პროფესია აღარ მომწონდა და მსახიობობა მომიხდა. ხშირად ადამიანი საკუთარ ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლის. მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ უკეთესი იქნებოდა, მსახიობი ვყოფილიყავი და სწორი გადანწყვეტილება მივიღე. რა ვიცი, ჯერჯერობით ალღოს არასოდეს უღალატია და იმედია, კიდევ დიდი ხანი იქნება ასე. როცა რაიმე საქმეს აკეთებ, ის ძალიან უნდა გსიამოვნებდეს. ვგრძნობდი კიდევ, რომ მსახიობობა ჩემთვის სასიამოვნო პროფესია იქნებოდა. მას შემდეგ, რაც „გეპეი“ მივატოვე, არქიტექტურა სამუდამოდ ჩავაბარე წარსულს.

— **თეატრალურში სწავლის პერიოდს როგორ გაიხსენებ?**

— საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მოუცვლელობის გამო თეატრალურში ხშირად არ მივლია. გამომართლა და პირველი კურსის პირველივე სემესტრში მუსიკისა და დრამის თეატრში მიმიღეს. გოგა ფურცელაძე სპექტაკლს —

თორნიკე გობრიჭიანი თეატრალური უნივერსიტეტის პირველ კურსზე სწავლობდა, როცა მუსიკისა და დრამის თეატრში მიიღეს და დღემდე იქ საქმიანობს. ამბობს, რომ მსახიობობა ბავშვობაში არ ნდომებია და სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანი არქიტექტურის ფაკულტეტზე შეაჩერა. ხოლო თუ როგორ შეცვალა გადანწყვეტილება, ამაზე თავად მოგვითხრობს.

„სალომე“ დგამდა და თეატრში ჩემი საქმიანობა ამ სპექტაკლით დაიწყო. მერე მანანა ბერიკაშვილის სპექტაკლში — „ბედნიერი ერი“ დამაკავებს როლზე. ძალიან რთულია ახსნა, თუ რას განიცდი სცენაზე. წარმოიდგინე — თითი გტკივა; როგორც კი სცენაზე გახვალ — აღარ გტკივა; შემოხვალ თუ არა კულისებში, ისევ აგტკივდება! შეიძლება ითქვას, რომ სცენა ყველაფერს გავინყებს. ამასთან ერთად, სცენაზე ყოველი გასვლისას ადრენალინის დიდ დოზას ვიღებ. როცა სპექტაკლის წინ აღარ ვიღვლეებ, ალბათ სცენას მივატოვებ...“

— **როგორც ჩანს, ძალიან გაგომართლა: ბევრს არ პტონია ბედნიერება, პირველივე კურსზე მიიღო როლი.**

— მართალი ხარ, უკეთესს ვერ ინატრებს ადამიანი. რაც უნივერსიტეტში ერთი წლის განმავლობაში უნდა მესწავლა, აქ რამდენიმე თვეში შევისწავლე. ძალიან დამეხმარა პრაქტიკა, დიდი გამოცდილება მომცა და კარგი იქნება, თუ ყველა მსახიობი ეცდება, პრაქტიკა გაიაროს... პენსიონერი მსახიობივით კი ვსაუბრობ, მართლა ასეა...“

— **შენი როლებიდან რომელიმეს თუ გამოარჩევ?**

— ჯერჯერობით მაკბეტის როლს გამოვარჩევ...

— **ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად.**

— კი და ამ სპექტაკლზე მუშაობაც ძალიან საინტერესო იყო. თეატრში ახალი მოსული ვიყავი, სულ რაღაც 3 სპექტაკლი ვითამაშე და ერთ დღესაც, დათო დოიაშვილმა მითხრა, — სპექტაკლს ვდგამ და მინდა, რომ მთავარი როლი შენ ითამაშო. ვერც კი მივხვდი, ამ ამბისთვის რა შეფასება უნდა მიმეცა. ცოტა არ იყოს, დავიბენი. შოკმა რომ გამიარა, ყველა სასიხარულო გრძნობა ერთად დამატყდა თავს. ამ როლზე მუშაობა რომ დავინწყეთ, მაშინ ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. მერე რეპეტიციები შეჩერდა: ომი, პუტინი, რუსეთი, ბომბა... უბედურება

აღარ დამთავრდა და პრემიერა დაახლოებით 2 წლით გადაიდო. საბოლოოდ, „მაკბეტი“ შარშან ოქტომბერში დავდგინეთ. რეპეტიციები ზაფხულში დავინწყეთ. მასხოვს, ამ დროს რეალობის შეგრძნება დავკარგე, დღე და ღამე გაერთიანდა და ვეღარ ვხვდებოდი, სად ვიყავი და რა ხდებოდა ჩემს თავს... ამ სპექტაკლით ხორვატია, ესტონეთი და ისრაელი მოვიარეთ.

— **თორნიკე, უცხო მაყურებლის წინაშე სპექტაკლის წარდგენა უფრო იოლია თუ ქართველი მაყურებლისთვის თამაში?**

— თუ გაქვს იმის პრეტენზია, რომ კარგი მსახიობი ხარ, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გქონდეს. როცა ქართველი მაყურებლის წინაშე გამოდიხარ, ეს ორმაგი პასუხისმგებლობაა. საზღვარგარეთ განსხვავებული პასუხისმგებლობა გავსირია: გასურს, რომ უცხო ადამიანებსაც დაანახეო ის, რასაც თავად ხედავ... ტაში კი იმხელა სიამოვნებაა, ვერც კი წარმოიდგენთ. არ ვიცი, სხვა მსახიობები რას ფიქრობენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ მსახიობისთვის „მაკლონსა“ და ტაშს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.



თუ რამე საიხლუ იქნება ჩვენს ცხოვრებაში, აუცილებლად შეგატყობინებთ



ვენლობა აქვს. მივიჩნევ, რომ სცენაზე როლის თამაშს არანაკლები ადრენალინი მოსდევს, ვიდრე ექსტრემალურ თამაშს. თუ თეატრიდან ერთი მაყურებელი მაინც წავეიდა ისე, რომ სპექტაკლში გაგონილ-მა რომელიმე ფრაზამ ჩააფიქრა, ეს უკვე კარგია. ხელოვნების ნებისმიერ სფეროს გარკვეულწილად აქვს იმის დანიშნულება, რომ გაართოს მაყურებელი და ამასთან ერთად, გაზარდოს კიდევ იგი სულიერად.

— **შენი ბოლო სპექტაკლია „აკრძალული თამაშები“, რომელიც საკმაოდ მძიმე თემაზეა აგებული.**

— როცა ეს სპექტაკლი იდგმებოდა, კინოგადაღებები მქონდა და ჩემი როლი პრემიერაზე დუბლიორმა, სანდრო დავითაშვილმა ითამაშა.

— **სცენაზე უჩვეულო სიტუაციაში თუ ჩავარდნილხარ?**

— „მაკბეტში“ თავდაყირა ვარ დაკიდებული თოკზე; ერთხელ ეს თოკი მოეშვა და კინალამ ჩამოვვარდი... როგორც წესი, „მაკბეტს“ მოულოდნელობები ახლავს — რეპეტიციასზე აუცილებლად ან რაღაც უნდა ვიტყვინო, გავიჭრა, ან თავი მივარტყა... ხშირად მქონია მსგავსი შემთხვევა.

— **არცთუ ისე დიდი ხნის წინ ძალები სერიალშიც მოსინჯე-**

— სერიალის გადაღებები დიდ შემო-

ქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მქონდა...

— **სერიალიდან სად გაქრო?**

— სერიალიდან მე და ჩემი მეუღლე, ნინო ქორიძე თითქმის ერთდროულად „გავქრით“ და სიმართლე გითხრათ, მიზეზი არ ვიცი...

— **ამ ამბავს არაერთი ქორი მოჰყვა: ამბობდნენ, რომ სერიალის ხელმძღვანელებთან მოგვივინდა უთანხმოება...**

— რასთან დაკავშირებით?

— როგორც ვიცი, ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით...

— ამ საკითხთან დაკავშირებით რა უთანხმოება უნდა ყოფილიყო?.. აა, მეტი ხელფასი მოითხოვავო, ამბობენ (ილიმის)? სიმართლე გითხრა, ამ საკითხზე საუბარიც კი არ ყოფილა და შესაბამისად, არც უთანხმოება მოგვსვლია. მივიდიოდი გადაღებაზე, ვეცნობოდი სცენარს და მერე უკან ვბრუნდებოდი — აბა, რაზე უნდა მეჩხუბა?!

— **სერიალის მესვეურები ამბობენ, პერსონაჟი შესაძლოა, ეკრანზე მალე დაბრუნდეს...**

— ასეთი დამოკიდებულება სწორად არ მიმაჩნია. სინამდვილეში ასე რომ იყოს, ჩემს წამოსვლასთან დაკავშირებით ქორები არ გაჩნდებოდა და

ვერავინ გაიგებდა ამის შესახებ. როგორც წესი, როცა ასე იწყებენ საუბარს, რაღაც ხდება... სხვათა შორის, მსგავსი ქორები მეც ხშირად მესმის. სერიალიდან ჩემი გაქრობის შესახებ გარშემო მყოფები სხვადასხვა ამბავს მიყვებიან.

— **და როცა შენი გმირი აღარ უნდა გამოჩენილიყო სერიალში, რეჟისორმა რა გითხრა?**

— მითხრეს, დროებით გაგიშვებთ და მერე ისევ დაგაბრუნებთო. მე კი ამ საკითხთან მსგავსი დამოკიდებულება არაპროფესიონალიზმად მიმაჩნია.

— **რას გულისხმობ?**

— რა ვიცი, დანვრილებით ხომ ვერ მოგიყვები ყველაფერს?! მაინცდამაინც რატომ დაემთხვა ჩემი და ნინოს წამოსვლა? სხვები ხომ ასე უეცრად არ გამქრალან!.. სწორედ ეს დამოკიდებულება მგონია არაპროფესიონალიზმის გამოვლინება. სხვა მიზეზი კი შეგიძლია, სერიალის ხელმძღვანელებს ჰკითხო. ეჭვი მაქვს, ბევრ საინტერესო ვერსიას მოგიყვებიან.


— **არც ისე დიდი ხნაა, რაც კოლი შერთე, როგორ გრძობ თავს?**

— უბედნიერესად!

— **ბავშვს ხომ არ ელოდებით?**

— (ილიმის) თუ რამე სიახლე იქნება ჩვენს ცხოვრებაში, აუცილებლად შეგატყობინებთ.

61 ქართული პრემიის საგანძური



გიორგი ლომიძე
ნატვრის 60

61

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ზეშინაობის, ქრისტიანული „კლასიკის“ კრძალ შეიძლება ეწოდება ქრისტიანული მწერლების თითო ტომი

ტომი №61
გიორგი ლომიძე
ნატვრის 60

წიგნის ფასი 3 ლარი!

28 აპრილიდან - 5 მაისამდე!

ნაიკითხა ნიგნაბი-
უკეთესად იქნები!

სამი ტომი

№1 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№22 თეატრის ფორმები	№43 თეატრის ფორმები	№64 თეატრის ფორმები
№2 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№23 თეატრის ფორმები	№44 თეატრის ფორმები	№65 თეატრის ფორმები
№3 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№24 თეატრის ფორმები	№45 თეატრის ფორმები	№66 თეატრის ფორმები
№4 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№25 თეატრის ფორმები	№46 თეატრის ფორმები	№67 თეატრის ფორმები
№5 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№26 თეატრის ფორმები	№47 თეატრის ფორმები	№68 თეატრის ფორმები
№6 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№27 თეატრის ფორმები	№48 თეატრის ფორმები	№69 თეატრის ფორმები
№7 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№28 თეატრის ფორმები	№49 თეატრის ფორმები	№70 თეატრის ფორმები
№8 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№29 თეატრის ფორმები	№50 თეატრის ფორმები	№71 თეატრის ფორმები
№9 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№30 თეატრის ფორმები	№51 თეატრის ფორმები	№72 თეატრის ფორმები
№10 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№31 თეატრის ფორმები	№52 თეატრის ფორმები	№73 თეატრის ფორმები
№11 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№32 თეატრის ფორმები	№53 თეატრის ფორმები	№74 თეატრის ფორმები
№12 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№33 თეატრის ფორმები	№54 თეატრის ფორმები	№75 თეატრის ფორმები
№13 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№34 თეატრის ფორმები	№55 თეატრის ფორმები	№76 თეატრის ფორმები
№14 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№35 თეატრის ფორმები	№56 თეატრის ფორმები	№77 თეატრის ფორმები
№15 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№36 თეატრის ფორმები	№57 თეატრის ფორმები	№78 თეატრის ფორმები
№16 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№37 თეატრის ფორმები	№58 თეატრის ფორმები	№79 თეატრის ფორმები
№17 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№38 თეატრის ფორმები	№59 თეატრის ფორმები	№80 თეატრის ფორმები
№18 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№39 თეატრის ფორმები	№60 თეატრის ფორმები	№81 თეატრის ფორმები
№19 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№40 თეატრის ფორმები	№61 თეატრის ფორმები	№82 თეატრის ფორმები
№20 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№41 თეატრის ფორმები	№62 თეატრის ფორმები	№83 თეატრის ფორმები
№21 ნათარქო ფრანკო-ბელონი	№42 თეატრის ფორმები	№63 თეატრის ფორმები	№84 თეატრის ფორმები

გამოიწერეთ „გზა“ და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74



ცხოვრება

„მჯერა, საზველად ვიღაცა მოვა“

20 წლის თინათინ რეხვიაშვილი 7 თვის იყო, როცა ექიმებმა ცერებრალური დამბლის დიაგნოზი დაუსვეს. იქიდან მოყოლებული, არაერთ ოპერაციასა და მტკივნეულ სამკურნალო პროცედურას გაუძლო. საბედნიეროდ, მას აღნიშნული დაავადების უკიდურესი ფორმა არ აქვს, ამიტომ შესაფერისი ოპერაციის ჩატარების შემდეგ, მან შეიძლება ფეხზე გავლა შეძლოს. ვინაიდან ასეთი ოპერაცია საქართველოში ჯერჯერობით არ კეთდება, მშობლებმა თინათინის საზღვარგარეთ წაყვანა გადაწყვიტეს. ამისთვის საცხოვრებელი ბინაც კი გაყიდეს, მაგრამ... კომპანიამ, რომელმაც მათი მგზავრობის უზრუნველყოფა იკისრა, ფული მიითვისა და გერმანიაში წასვლა ვეღარ მოხერხდა. უბინაოდ დარჩენილი თინათინ დროებით მოსუცებულთა პანსიონატში შეიფარა.

გოგონა სიძნელებს არ ეუბება და აქტიურ ცხოვრებას ეწევა: ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის პროფესიას ეუფლება, არაერთი ლექსისა და 3 კრებულის ავტორი გახლავთ. მის თითოეულ სიტყვაში მომავლის რწმენა და სულის სიმტკიცე იგრძნობა...

მარიამ ზაღვინიძე

— როგორც დედა იხსენებს, დაახლოებით 7 თვის ასაკში შეუნიშნავს, რომ მარტივი მოძრაობაც კი მიჭირდა. შეფიქრინებულა და ექიმთან წაუყვანივარ. ცერებრალური დამბლის სპასტიური დიპლეგიის ფორმა ანუ მყესების დაჭიმულობა დამიდგინეს, რაც დაბადებისას მიღებული მძიმე ტრავმით იყო გამოწვეული. ვიდრე პირველ ოპერაციას გამიკეთებდნენ, არც ჯდომა შემეძლო. მერე, თანდათანობით, ინვალიდის ეტლში გადმონაცვლება შეეძლო. სარეაბილიტაციო კურსებისა და



თინათინი დედასთან ერთად

მკურნალობის გავლის შემდეგ, პროგრესი აშკარად შეინიშნებოდა, რაც ექიმებს იმის თქმის საფუძველს აძლევდა, რომ შესაბამისი ოპერაციის გაკეთების მერე, შესაძლებელი გახდებოდა, ფეხზე დაგმდგარიყავი. გერმანიაში ოპერაციის ჩასატარებლად დიდი თანხა იყო საჭირო. ჯანდაცვის სამინისტრომ ნაწილი კლინიკაში გადარიცხა, დარჩენილი თანხის მოძიება კი მშობლებმა საკუთარი სახსრებით დაიწყეს და საცხოვრებელი ბინაც გაყიდეს, მაგრამ... იმ კომპანიის მეპატრონე, რომელმაც ვიზებითა და საგზურებით ჩვენი უზრუნველყოფა იკისრა, თაღლითი აღმოჩნდა, — ჩვენ მიერ გადახდილი თანხა მიითვისა და ბილეთების გარეშე დაგვტოვა. მართალია, ის პიროვნება დააპატიმრეს, მაგრამ ზარალი არავინ აგვინაზღაურა. ამას ისიც დაერთო, რომ მამამ მიგვატოვა...

— როგორ?
— მე, დედა და ჩემი ორივე ძმა ბებიასთან, სოფელში ვიყავით. ერთ დილას, დედამ გვითხრა, დღეს მამა ჩამოვა თბილისიდანო. მთელი დღე მის მოლოდინში გავატარეთ, ფანჯარას არ მოვცილებივართ, მაგრამ მამა არც იმ დღეს და აღარც მერე არ გამოჩენილა. როგორც შემდეგ გავიგეთ, მეგობარი ქალი ჰყოლია და მასთან ერთად ყაზახეთში წასულა. ეს ამბავი მოულოდნელი და ტრაგიკული იყო მთელი ოჯახისათვის, განსაკუთრებულად კი — ჩემთვის: მამა ხომ ის ადამიანი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად შეეძლო ამ მდგომარეობაში ჩემი ნუგეში!.. დღემდე ვერ მომიძებნია პასუხი კითხვაზე, თუ რამ აიძულა ოჯახის დანგრევა და ჩვენი მიტოვება.

— მერე როგორ გაგრძელდა შენი ცხოვრება?

— ფაქტობრივად, დედასთან და ორ ძმასთან ერთად, ღია ცის ქვეშ აღმოვჩინე. ძმები ნათესავეებს აფარებენ თავს, სოფელში ცხოვრობენ. მე, იმის გამო, რომ ექიმების მეთვალყურეობა მესაჭიროებოდა, თბილისში უნდა დავრჩენილიყავი. იაშვილის საავადმყოფოს ადმინისტრაციამ, ჩვენი თხოვნით, პატარა ოთახი, უფრო სწორად — საკუჭნაო გამოგვიყო, სადაც დედასთან ერთად, 5 წელი ვიცხოვრე. მაშინ ამ საავადმყოფოს შენობაში უმეტესად, აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობდნენ და როცა ისინი იმ შენობიდან გამოასახლეს, მათ შორის ჩვენც აღმოვჩნდით. მაგრამ უფალმა არ გამწირა და ცოტა ხანში, ჯანდაცვის სამინისტროსა და თემის ხანდაზმულთა პანსიონატის ხელმძღვანელობამ გამონაკლისი დაუშვეს და ამ პანსიონატში დროებითი საცხოვრებელი ფართობი გამომიყვეს.

— მერე, როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა ხანდაზმულებთან?

— თბილი და მეგობრული. თი-



თოვულ მათგანში ჩემს ბუბისა და ბაბუას ვხედავ. მართალია, საკუთარი სახლი არა მაქვს, მაგრამ აქ, მათი წყალობით, თავს ისე ვგრძნობ, როგორც ერთ დიდ ოჯახში. მოფერებით, შვილობილს მეძახიან.

— ადრე გიოქვამს, — დედა ჩემთვის ცალკე სამყაროა და გმირზე მეტიაო...

— კი, ასეა... როდესაც დიაგნოზი დამისვეს, დედა მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა იყო, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, მისთვის ყველანაირმა ცხოვრებისეულმა სიამოვნებამ აზრი დაკარგა და მთლიანად ჩემზე ზრუნვაზე გადამოერთო. როცა მამამ მიგვატოვა, არც მაშინ დაუყრია ფარხმალი, პირიქით — მამის როლიც შეძლებისდაგვარად შეითავსა და პრობლემებს ებრძვის. პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც ვხედავდი, როგორ ცდილობდა ზოგიერთი ახლობელი ქარაგმებით მის დარწმუნებას, რომ მიუსაფარ ბავშვთა სახლში ჩავებარებინე, რათა ჩემი ძმებისთვის მეტი ყურადღება დაეთმო. დედა ყველას უმტიციცებდა, რომ ჩემი ძმები საკუთარ თავს როგორმე მიხედავდნენ, რადგან ჯანმრთელები არიან, ყველაზე მეტად ყურადღება კი მე მესაჭიროებოდა. დედას დამსახურებაა, რომ დღეს მაქვს რაღაც ახლის კეთების, სწავლის სტიმული. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად ყოველთვის გვიჭირდა, დედა ცდილობდა, ბავშვობიდანვე თანატოლებს არაფერში ჩამოვჩინოდი, თუნდაც განათლების შექენის მხრივ, სრულფასოვან ადამიანად მეგრძნო თავი.

— მოდი, შენს მომავალ პროფესიაზეც ვისაუბროთ: ყურნალისცობა რატომ აირჩიე?

— წერა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ყურნალისცობაზე არ მიფიქრია. ბავშვობაში ვამბობდი, მუსიკისმცოდნე უნდა გამოვიდე-მეთქი. ფორტეპიანოს განხრით შვიდწლედ დავამთავრე, მერე ჭოხონელიძეების სტუდიაში ვმღეროდი...

— როგორც ვიცი, ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემაც შეიტყო მუსიკისადმი შენი სიყვარულის შესახებ და როიალი გაჩუქა, არა?

— დიახ და ეს ფაქტი ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი მოვლენა იყო. მაშინ ტელეგადაცემა „დროების“ გადამღები ჯგუფი ინვალიდ ბავშვებზე ამზადებდა სიუჟეტს და გვითხრეს,

რომ შეგვეძლო, დაგვეწერა ჩვენი სურვილები. ერთ-ერთ ასეთ სურვილად ფორტეპიანო მივუთითე. ქალბატონ ნანის უნახავს ის გადაცემა და მეორე დღესვე საკუთარი როიალი გამომიგზავნა. თუმცა იმის გამო, რომ ბინა არა მაქვს და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლაც ხშირად მიწევს, ოთახში მის დადგმას ვერ ვახერხებ... რაც შეეხება ყურნალისტიკას: როცა უმალლესში სწავლაზე მიდგა ჯერი, გავაცნობიერე, რომ ეს პროფესია ყველაზე საინტერესო და ახლობელი იყო ჩემთვის. დიდი გეგმები მაქვს. მინდა, დავაარსო ისეთი ყურნალი, რომელიც ვრცლად გააშუქებს უნარშეზღუდული ბავშვების პრობლემებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან მათ ინტეგრირებას.

— ლექსებს წერ, მწერალთა კავშირის წევრი და არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ხარ. თუ გახსოვს, პირველი ლექსი რა ასაკში დანერგე?

— ალბათ 7 წლის ვიქნებოდი. დედის დაბადების დღე იყო. მინდოდა, მესიამოვნებინა და ერთსტროფიანი ლექსი მივუძღვენი. მას მერე ლექსი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ვწერ იმაზე, რასაც ვგრძნობ, რაც მახარებს და რაც გულს მტკენს.

— როცა შენს კრებულებს ვცნობოდი, მასში სიყვარულის თემაზე დანერგული არაერთი ლექსი ამოვიკითხე. არ გავიზიზღე, ვინ იყო ან არის მათი ადრესატი?

— (ილიმის) 14 წლის ვიყავი, როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ

ინვალიდ ბავშვებზე ფილმის გადაღებას აპირებდნენ და სურდათ, მასში მეც მიმელო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მეორე დღეს თავად რეჟისორი მესტუმრა. სწორედ ეს იყო ის ადამიანი, რომლის დანახვაზეც ბავშვურმა გულმა წამიერად, სხვანაირად დამინყო ფეთქვა. თუმცა ვცდილობდი, ეს გრძნობა როგორმე დამემალა... ის ჩემზე 13 წლით უფროსი იყო და ისე მიყურებდა, როგორც პატარა მეგობარს. მე კი ჩემს განცდებს მხოლოდ ლექსებს



აქ, მათი წყალობით, თავს ისე ვგრძნობ, როგორც ერთ დიდ ოჯახში

ვუმხელდი. მახსოვს, ასეთი სტროფი დავწერე: „მე სიყვარულმა მომილო ბოლო/ და სიყვარულმა დამრია ხელი/ ჩემთან მოვიდა გრძნობა სხვაობით/ დიდი სხვაობით, — „ცამეტი წელი“/ კიდევ არაერთი ლექსი მივუძღვენი მას, მაგრამ როცა ფილმში გადამიღეს, ერთმანეთს, როგორც კარგი მეგობრები, ისე დავმორდით.

— თავად რომელი პოეტი გიყვარს?

— ლადო ასათიანი. სულ ვამბობ, რომ მას „ნაპერწკლიანი“ ლექსები აქვს დანერილი. გარდა ამისა, ის ჩემთვის მისაბაძია, როგორც ადამიანი: მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ადრეულ ასაკში უკურნებელმა სენმა შეიპყრო, მის ლექსებში ყოველთვის ოპტიმიზმი იგრძნობა.

— ამდენ ტკივილს გაუძელი, სიღუბჭირეში ცხოვრება გინწევს, მაგრამ მომავლის რწმენა და სულის სიმტკიცე არ დაგიკარგავს. როგორ ახერხებ ამას?

— პირველი ოპერაციიდან მოყოლებული, კარგად ვაცნობიერებდი, რომ ყველაფერი ჩემი ფეხზე დადგომისთვის კეთდებოდა და ვცდილობდი, ნაკლებად მენუნუნა. უფალს ვმადლობ, რომ სანოლს



ჭოხონელიძეების სტუდიაში ვმღეროდი...



ალარ ვარ მიჯაჭვული. რთული პერიოდების დაძლევაში დედისა და ნათესავების გარდა, ჩემს მეგობრებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. გამოგიტყდებით — ვიდრე სკოლაში მივდიოდი, განვიცდიდი იმას, თურა დამოკიდებულება ექნებოდათ ჩემთან, როგორც ინვალიდთან, თანაკლასელებს. მაგრამ ეს შიში საკლასო ოთახის ზღურბლს მიღმა დარჩა. გამიმართლა, რომ უნივერსიტეტშიც ასეთივე თბილი და მეგობრული ჯგუფელები შემხვედნენ...

— შენი ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სიაშია. ის თანხა კი, რომელსაც იღებთ, მიზერულია; როგორ უმკლავდებით ამდენ ხარჯს?

— საბედნიეროდ, სწავლის საფასურის გადახდა არ მიწევს: ჩემმა უნივერსიტეტმა შეღავათი გამოკეთა — გადასახადის ნაწილი მომიხსნა, დარჩენილ ნაწილს კი თბილისის მერია მიფინანსებს. 2 წლის განმავლობაში პაატა ბურჭულაძის ფონდ „იანანას“ სტიპენდიანტიც ვიყავი, მაგრამ თებერვალში ჩემთვის განსაზღვრული დრო ამოიწურა, ვინაიდან რიგში არაერთი გაჭირვებული ბავშვია. ახლა მხოლოდ ინვალიდობის პენსიასა და სოციალურ დახმარებას ვიღებ. ეს თანხა ყოველდღიური ხარჯებისთვის ძლივს გვყოფნის.

— თინათინ, მას შემდეგ, რაც გერმანიაში ვეღარ წახვედი, ალტერნატიული გზა არ გამოგიჩანავთ?

— გერმანიის კლინიკაში წასვლა რომ ჩაიშალა, ექიმების თქმით, კიევის ერთ-ერთ საავადმყოფოში სამედიცინო სარეაბილიტაციო კურსის გავლას შეიძლებოდა, იგივე შედეგი მოეტანა და ფეხზე გავლა მომეხერხებინა. კიევიში წასვლა და პირველი ეტაპის სამკურნალო კურსის ჩატარება შეეძელი, მაგრამ უსახსრობის გამო, მომდევნო ორს ვეღარ ვახერხებ...

P.S. გვჯერა — თინათინი რომელიმე ეველმოქმედი ადამიანის დახმარებით, მალე გაივლის და როგორც საკუთარ ლექსში აქვს ნათქვამი, მის „საშველად ვილაც მოვა“:

„გალიაში ვარ ფრთამოჭრილი ჩიტუნასავით,/ ყინვარ არ მინდობს, სიცივეა, დაიწყო თოვა./ მარტოდ-მარტო ვარ, ეულად და ვილაცას ველი/ ასე მგონია, ჩემ საშველად ვილაცა მოვა./ ეს ყველაფერი ნუთუ ასე ძნელი გამოდგა?!/ ასე ძნელია, რომ ასრულდეს ჩემი ოცნება?!/ ნუთისოფლისგან მხოლოდ ერთი რაღაცა მინდა/ რომ დამიბრუნდეს დაკარგული თავისუფლება!“

„მისი თვალები კაზკაზა სინათლეს ასნივებდა, ღამეულ სას ანათებდა“

ნანსტასიას რაიონში, სიმზიაშვილის №11-ში, ძველებურ ფიცრულ ქიშკარს ერთ ჩვეულებრივ ეზოში შევყავართ. ახლად აყვავებული ტყეშის ხის ქვეშ კატა მზეს ეფიცება და უცხო ადამიანის დანახვისას იშშუშნება. ეზოს შუაგულში, ორნამენტებით დამშვენებული ქვის ლოდი დგას, რომლის წინ ღვთისმშობლის ხატია დაბრძანებული და კანდელი ანთია. ამ ქვის ადგილას 1905 წელს, 19 წლის გოგონა, ანასტასია ჩაიბუნდა და გარდაცვალებამდე — 65 წლის განმავლობაში ალარ გამართულა...

ლევან ჟორჟოლიანი

გაქცობარე ანასტასიას 65-წლიანი ღვაწლი

ანასტასია საზანოვა თბილისში 1886 წელს დაიბადა. დედა პატარას გარდაცვალება და დედინაცვალი ზრდიდა. გოგონა ეკლესიურად ცხოვრობდა და სახლთან ახლოს მდებარე, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გალობდა. სლავეური გარეგნობის ანასტასიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მან ღარიბ ოფიცერზე შეაჩერა არჩევანი და მასზე დაინიშნა კიდევ. დედინაცვალს გერის ეკლესიური ცხოვრებაცა და მისი საქმროც ძალიან აღიზიანებდა. 1905 წელს, პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ანასტასიას საქმროც გაიწვიეს. ოფიცერი მასთან სახლში, გამოსამშვიდობებლად მივიდა, მაგრამ დედინაცვალმა უთხრა, — ანა ჭკუიდან შეიშალა, გაკოჭეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს. სასონარკვეთილმა ოფიცერმა იარაღი ამოიღო და ადგილზევე მოიკლა თავი.

ამ დროს ანასტასია წირვაზე იმყოფებოდა. სახლში რომ დაბრუნდა და საქმრო მკვდარი იხილა, მუხლებზე დაეშვა და იმ დღიდან მლოცველად დაეყუდა. მას სურდა, თვითმკვლელის სულისათვის ელოცა. ხალხმა მას „მჯდომარე ანასტასია“ შეარქვა.

ანასტასიასთან უამრავი მნახველი მიდიოდა. რჩევას უკითხებოდნენ და დალოცვას სთხოვდნენ. მნახველთა შორის ერთ-ერთი იყო არქიმანდრიტი — რაფაელ კარელინი, რომელიც თავის წიგნში — „გადარჩენის საიდუმლო“ წერს: „საკუთარი თვალთა რომ არ მენახა და მხოლოდ გამეგონა ანასტასიას შესახებ, ალბათ გულში ეჭვი შემეპარებოდა, ისევე, როგორც შესაძლოა,

ამ სტრიქონების მკითხველს, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან მოწვევები, თვითმხილველები ჩვენს დროში მოვლენილი ამ სასწაულისა. მისი ღვაწ-



ლი ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება... ანასტასიას თვალები კამკამა სინათლეს ასნივებდა, ღამეულ ცას ანათებდა. მისი გამჭოლი მზერა შიშის მსგავს განცვიფრებას იწვევდა. ადამიანი გრძობდა, რომ სულში ჩახედეს და მთელი ცხოვრება, წარსული თუ მომავალი დაინახეს“.

გიორგი საზანოვი 4 წლის იყო, როდესაც მშობლებმა რუსეთიდან ჩამოიყვანეს. დედაც პირველად მაშინ ნახა. ის დღემდე ამ სახლში ცხოვრობს.

გიორგი საზანოვი, ანასტასიას დისშვილი:

— პატარა ვიყავი და მაშინ ბევრი რამ არ მესმოდა. ერთხელ, ზამთარში დედამ ცოცხი მომცა და მთხოვა, ანასტასიას სხეული თოვლისგან გამეწმინდა. მე კიდევ, ცოცხი ავიღე და ანასტასიას დავარტყი. ამის გამო დედამ მკაცრი შენიშვნა მომცა.

— დედინაცვალი როგორ ეცვოდა ანასტასიას?



ერთხელ მასთან ვასილ მჭავანაძემ მივიდა

— ძალიან ცუდად. ყინვაში გამოდიოდა და ცივ წყალს ასხამდა... ერთხელ გამოუცხადა, შუა ეზოში რომ ზიხარ, გზაზე სიარულში ხელს მიშლიო, და პატარა ქოხში შეუშვა. ნახეთ, ახლაცაა შემორჩენილი, მაგრამ ძაღლის სადგომს უფრო ჰგავს, ვიდრე თავშესაფარს. ანასტასია არც სკამზე იჯდა, არც მუხლებზე. 65 წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარ ქუსლებზე იჯდა.

ავად არასდროს გამხდარა?

— წვიმასა და თოვლში, 24 საათი გარეთ იჯდა და ლოცულობდა, მაგრამ ავად არასდროს გამხდარა. ღამის ქოთანის ისეთი დაუხანგული იყო, ხელი გაგეჭრებოდათ, მაგრამ ჭრილობა არასდროს დაჩირქებია. როცა წამოვიზარდე, მე ვუვლიდი. გავიღვიძებდი თუ არა, მაშინვე მასთან მივდიოდი. მეტყოდა ხოლმე, წყალი მომიტანეო და ამისათვის 5 კაპიკს მჩუქნიდა, რომელსაც მნახველები უტოვებდნენ.

ბევრი მნახველი მოდიოდა?

— დეიდა მოსალოდნელ განსაცდელს წინასწარ გრძნობდა, ამიტომაც მასთან უამრავი მნახველი მოდიოდა. ხშირად თავს ისულებოდა, ვითომ ვერაფერს ხვდებოდა... ტკბილად მოსაუბრე იყო, თუმცა ბევრ ადამიანს პირდაპირ ამხელდა ცოდვაში. ზოგიერთისგან იღებდა ხილს, საჭმელს, ზოგს კი ეზოში არ უშვებდა, მოტანილ ხილს მიწაზე დაუგორებდა ხოლმე. ეზოს იქით ბავშვები თამაშობდნენ და ისინიც მაშინვე დასტაცებდნენ ხოლმე ხელს. ეზოდან სულ ისმოდა გალობის ხმა... მნახველთა სიმრავლის გამო წინ სკამები დავდგი, მლოცველები ისხდნენ და საუბრობდნენ. მილიციის უფროსი ქუჩის დასაწყისში მორიგეობდა; ხმას როცა გაიგებდა, ხალხს მაშინვე გარეკავდა. არადა, დეიდას მაღალჩინოსნების


აკითხავდნენ. ერთხელ მასთან ვასილ მჭავანაძე (საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი. — ავტ.) მივიდა. მე ბურთი მომცეს და სათამაშოდ გამიშვეს. წლების შემდეგ გავიგე მათი საუბრის შინაარსი. ანასტასიას მჭავანაძისთვის უთქვამს: „ერთ წელიწადში წყალდიდობა იქნება თბილისში, მთელი მარჯვენა სანაპირო ჩაირეცხება, ამიტომ დამცავი ჯებირები გააკეთეთო“. მართლაც, მჭავანაძემ რუსეთიდან ფინანსები გამოითხოვა და ჯებირები გააკეთა. სწორედ იმ წელს, ანასტასიამ როგორც იწინასწარმეტყველა, მართლაც მოხდა წყალდიდობა, მაგრამ თბილისი გადაარჩა. გადმოცემით ვიცი, რომ მასთან ლავრენტი ბერიას დედაც დადიოდა და სთხოვდა, მისი შვილისთვის ელოცა. ანასტასიასთან მშობლებს სწეული შვილებიც მიჰყავდათ. დეიდა აიღებდა ვაშლს, ილოცებდა და ჯვარს გადასახვდა. ამ ვაშლის ჭამით ბევრი ადამიანი განკურნებულა... ხალხი მას ისე ექცეოდა, როგორც წმინდანს: მისი ნაბანი წყალი სახლშიც კი მიჰქონდათ. ანასტასიასთან სასულიერო პირებიც მოდიოდნენ. დეიდა აღსარებასაც ამბობდა და ეზიარებოდა კიდევც... ჩვენ მეზობლად ოჯახი ცხოვრობდა. დიდი, ორსართულიანი სახლი ჰქონდათ, თუმცა ორივე შვილი ავად ჰყავდათ. ანასტასიასთან ხშირად მოდიოდნენ რჩევის საკითხავად. ის კი დაუინებით იმეორებდა, — სოფელში წადით და ყველაფერი კარგად იქნებაო. ბოლოს რჩევა ყურად იღეს, სახლი გაყიდეს და კახეთში წავიდნენ. ცოტა ხანში ორივე შვილი გამოჯანმრთელდა.

— თქვენ თუ გაძლევდათ რჩევებს ან თავად ხომ არ გადაგხდნიათ სასწაული? — კი, რჩევებს სულ მაძლევდა. რაც

მითხრა, ამისრულდა კიდევ, მაგრამ ამაზე საუბარი არ მინდა... ერთ შემთხვევას მოგიყვებით: ჩემმა მეგობარმა მანქანა იყიდა და გადაეწყვიტეთ, ქალაქგარეთ წავსულიყავით. ფული არ გვექონდა, რომ საკმარისი ბენზინი ჩაგვესხა. დეიდასთან მივედი და ვთხოვე, მომეცი-მეთქი. არ მომცა, მშვიდად მითხრა, — წადით და ყველაფერი კარგად იქნებაო. სხვა რა გზა გვექონდა, უფულოდ წავედით. მასხოვს, იმ დღეს ძლიერი ქარი იყო და იძულებული გავხდით, გაგჩერებულიყავით. უეცრად მეგობარმა დამიძახა: მოდი, ფული ვიპოვეო! მივედი და ვნახე, რომ 25 მანეთი ეპოვა. ეს მაშინ დიდი ფული იყო.

როდის გარდაიცვალა?

— 1970 წელი იყო. დილით სამსახურში მივდიოდი. გამოვედი ეზოში და ვხედავ, ანასტასია ქოხის კედელს მიყუდებია და თვალები დახუჭული აქვს. როდესაც ახლოს მივედი, უკვე



ერთხელ გამოუცხადა, შუა ეზოში რომ ზიხარ, გზაზე სიარულში ხელს მიშლიო, და პატარა ქოხში შეუშვა

გარდაცვლილი იყო. პანაშვიდებზე ზღვა ხალხი მოვიდა, ამიტომ დიდხანს ვერ დავსაფლავეთ. სასულიერო პირებმა წესი აუგეს. როგორც გითხარით, 65 წელი ქუსლებზე იჯდა და ფეხები შეხორცებული ჰქონდა. ამიტომ მის ცხედარს ზომები აუღლეთ, სპეციალური ყუთი გაუჭეთეთ და ისე დაგმარხეთ.

ანასტასიას საფლავს, კუკიაზე კითხვა-კითხვით მივაგენი. ის საგულდაგულოდაა მოვლილი. მლოცველები აქ დღემდე დადიან, საფლავზე ვაშლებს აწყობენ, სანთლებს ანთებენ და ანასტასიას შემწობას სთხოვენ: ავადმყოფები — ჯანმრთელობას, უშვილოები — შვილს, შეყვარებულები კი სიყვარულის მფარველობას ევედრებიან. სასაფლაოსთან სავედრებელი წერილებით სავსე პარკი დევს...



ამ ადგილას ანასტასია ჩაიმუხლა და 65 წლის განმავლობაში აღარ გამართულა



„ნოდარი ასეთ სახლს არ ააშენებდა...“

ანუ მწერლის სახლ-მუზეუმი და საყვარელი პერსონაჟების პროტოტიპები



ჩოხატაურიდან სოფელ ხიდისთავში, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში მიმავალს, ჩემი საყვარელი მწერლის სიტყვები გამახსენდა: „ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის, მარცხნივ — ლაშის ლელე, რომელიც სავესეა კობორჩხალებით, ღორჯოებით და შარვალაკაპონებული ბიჭებით. გუბაზოულზე ხდია გადებული, რომელსაც ბოგას ეძახიან. ყოველ ზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიაქვს ხიდი და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვჩრება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მზარული სოფელია გურიაში. მე იგი ყველა სოფელზე უფრო მიყვარს ამქვეყნად, რადგან არ შეიძლება სხვაგან იყოს სოფელი, რომელშიც ვცხოვრობდე მე, ჩემი ბებია, ილარიონი, ილიკო და ჩემი ძალი, მურადა“. გარემოს მწერლის თვალთ ვუყურებდი და სილამაზით ვტკებობდი. გულში ბატონ ნოდარს ვეთანხმებოდი — ასეთი ლამაზი სოფელი მართლაც იშვიათად მინახავს.

მარი ჯაფარიძე

ცენტრალური გზიდან რომ გადაუხვევ, სახლ-მუზეუმამდე ვინრო და უსწორმასწორო, მაგრამ ლამაზი გზა მიდის. შემდეგ მარცხნივ გაუხვევ და ჭიშკარს მიადგები. იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან მუზეუმში შაბათ-კვირას არ მუშაობს და სწორედ უქმე დღეს მომინია იქ მისვლამ. საიმედოდ ჩაკეტილ ჭიშკართან ვინრიალე, ამაღლებულ ადგილზე შევდექი და სურათების გადაღებას შევუდექი — არ მინდოდა, იქიდან ისე წამოვსულიყავი, რომ საშხოვროდ ფოტოები არ დამჩნეოდა. სიმართლე გითხრათ, ცოტა გაცოცხლებული ვიყავი და იმედგაცრუება ხელმეორედ დამეუფლა, რადგან ვფიქრობდი, სახლ-მუზეუმში დაახლოებით ისეთი იქნებოდა, როგორც ფილმში — ოღონდ ბებიას ეზო. აქ კი ფეშენებელური, სვეტებიანი სახლი დამხვდა, რომელიც ჩემს წარმოდგენაში არ ჯდებოდა. თითქოს დაჯერებაც არ მინდოდა, რომ ეს სახლი ნოდარ დუმბაძესთან იყო დაკავშირებული და ვცდილობდი, ეზოში ოდისთვის მომეკრა თვალი, მაგრამ — ამაოდ. ის იყო, წამოსვლა დავაპირე, რომ აღმართზე მომავალი, ახალგაზრდა მამაკაცი შევნიშნე. ვიფიქრე, ალბათ ამ სოფლის მცხოვრებია, გავესაუბრები, იმას მაინც ვკითხავ, ნამდვილად იქ მოვხვდი, სადაც მოვდიოდი, თუ თვალი მატყუებს-მეთქი?

ახალგაზრდა კაცი სახლ-მუზეუმის დირექტორი — ვაჟა დუმბაძე აღმოჩნდა, რომელსაც სახლიდან დაუნახავს მუზეუმთან გაჩერებული ავტომობილი და მაშინვე აქეთ წამოსულა, რომ სტუმარს დახვედროდა: ნოდარს არ უყვარდა სტუმრის უკან გაბრუნება, ყველას

ხელგაშლილი ხვდებოდა და მასთან მოსულ ადამიანს არც მე გაუშვებ განბილებულს; უქმე რას მიქვია, სტუმარი ღვთისაა და მობრძანდითო! — ჭიშკარი გაალო და ეზოში შემიძღვა.

ჩემი მასპინძელი ნოდარ დუმბაძის რომანის — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ილარიონ შევარდნაძის პროტოტიპის შვილიშვილი აღმოჩნდა, ბატონ ნოდარს პირადად იცნობდა და გასახსენებელიც ბევრი აქვს.

— ნოდარი თბილისში დაიბადა, მაგრამ აქ, ჩვენთან გაიზარდა. სანადირო თოფი ჰქონდა, დილაობით სროლას ატეხდა ხოლმე და თან ეზოში წითელი ტრუსით დარბოდა. მამიდაჩემი ეუბნებოდა, — რაია, ნოდარია, რომ აგვიკვლი სროლით და თანაც, წითელი „ტრუსიკით“ რომ დარბისარო?! — რა ვქნა, მარგალიტა ბიცოლა, ბოლშევიკების შვილი ვარ და წითელი „ტრუსიკი“ უნდა მეცვასო, — ეტყვოდა.

— ილარიონ შევარდნაძე თუ ჰგავს ბაბუათქვენს და ნაწარმოებში აღწერილი სიტუაციები თუ შეეფერება სინამდვილეს?

— როგორც ნოდარს აქვს აღწერილი, გარეგნულად ძალიან ჰგავს. ნადირობაც უყვარდა. მაგრამ როდესაც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დაიბეჭდა, ბაბუაჩემი გაგიჟდა, — ნოდარიმე აი რავე მკადარაო!.. მაინც ძველი კაცი იყო და მასზე წიგნში რომ დანერა, მასხრად აგდება ეგონა... მერე, ყურნალისტები ინტერვიუებზე რომ მოდიოდნენ, კი მოსწონდა პოპულარობა და, — აი რა მიქნა იმ ბიჭმაო! — ამბობდა. მერე ნოდარმა სიგარეტი ჩამოუტანა ქალაქიდან და შერიგდნენ, თორემ მართლა გაბრაზებული იყო ბაბუაჩემი, — თავი მომჭრა, რავე გამომწერა სახალხოლო!.. ნადირობა უყვარდა ილარიონს და ლექსების წერა. ბაბუა ეზოში, ჩრდილში, „ლეჟანკაზე“ იყო ხოლმე წამოწოლილი. ჩვენს ეზოებს ერთი ღობე ყოფდა და ნოდარი თავისი ეზოდან გამოსძახებდა, — ილარიონ დუმბაძე, როის მოხვალ ჭკუაზეო? — ნოდარია, მაქანა არ მომიყვანო! — გასძახებდა ბაბუა. შერიგების შემდეგ კი ბაბუამ დაუნერა: „იმდენ რამეს ჩამოგიტან, ვერ წელიღებს რიონი/ ახლა



სახლი, სადაც ნოდარ დუმბაძე ცხოვრობდა (მარცხნივ)



მამაჩემი და ნოდარი თითქმის ცოლები იყვნენ და ერთად გაიზარდნენ

გემშვიდობება, შენი ილარიონი./“
 ოღონდ არ მახსოვს, მაგრამ როგორც ამბობენ, ზუსტად ისეთი ყოფილა, როგორც ფილმშია ნაჩვენები და გარეგნულადაც ჰგავდა თურმე ქალბატონი სესილიას მიერ განსახიერებულ ოღონდს. უბედურის ერთი ყოფილა, კაპასი და ავი ქალი, მაგრამ გულით — კეთილი და უბოროტო. ილიკო ჩიგოგიძეს იუმორიც ჰქონდა და ცოტა უხეშიც იყო. თურმე ილიკოს დაჭერა უნდოდათ — სტალინის სურათს ტალახიანი ფეხებით შედგენ და ეზოში გადაუგდეს, შემდეგ დაასმინეს, — მაგრამ მაინც გადარჩა. ის ეპიზოდი ხომ გასსოვთ, ჭურში რომ ჩავარდება ილიკო? თურმე მართლა ჩაუგდიათ: ნაწვიმარი ყოფილა, ჭურის თავი — სველი და შიგ ჩავარდნილა. ნამდვილი ილიკო ფილმის პერსონაჟთან შედარებით, ცოტა დაბალი და ჩასკვნილი იყო, თორემ ხასიათით მაგრად ჰგავს... მამაჩემი და ნოდარი თითქმის ცოლები იყვნენ და ერთად გაიზარდნენ. ილარიონი თუთუნზე რომ გაუშვებდა მამაჩემს და ნოდარს, — 1 კვერცხი (მაშინ ასე იზომებოდა თუთუნის რაოდენობა) თუთუნის მომიტანეთო, — ისინი ორს სთხოვდნენ, ერთს თავისთვის იტოვებდნენ და ჩუმიად ენეოდნენ. მამა იხსენებდა, — საღამოობით ჩოხატაურში მივდიოდით ხოლმე კინოს საყურებლად. თურმე ოღონდ ნოდარს არ უშვებდა და ის

გამოებარებოდა. ღამე რომ დაბრუნდებოდა, ოღონდ მისი გაპარვის ამბავი რომ არ შეეტყო, შინ აღარ შედიოდა, — საწინააღმდეგო ქურჩანა ეყარა თურმე და იმაში იძინებდა. მისი ყველა პერსონაჟი რეალურია და ყველა ჩვენი სოფლიდანაა. ლაშის ლეღეში მე და ნოდარს ერთად გვითევზავია...

— **იანგულიც თქვენი სოფლიდან იყო?**

— ნოდარი ერთხანს სოხუმში ცხოვრობდა და ალბათ იქ გაიცნო იანგული. ისე, სოფელში ერთი იანგული ალექსანდრიდი კი გვყავს, მალაზიაში მუშაობს... ნოდარი უზომოდ იყო ყველაზე შეყვარებული. იმდენი გაჭირვება აქვს ნანახი, მე მის ადგილზე გავბოროტდებოდი — მამა დაუხვრიტეს, დედა — გადაასახლეს. რომ დაბრუნდა, ნოდარი „დედას“ ვერ ეძახდა... ბიძები გადაასახლეს, შვილი მოუკვდა, მისი შვილი — მანანა ახალგაზრდა დაქვრივდა (მის მეუღლეს, ჯემალ თოფურიძეს მანქანა დაეჯახა). ამ დროს ნოდარს 50 წელი უსრულდებოდა. შემდეგ ამბობდა, — ამერიკაში რომ ვიყავი, სიძის სიკვდილი იმიტომ გადავიტანე... მისთვის იუბილის გადახდა უნდოდათ, მაგრამ უარზე დადგა — იუბილე როგორ გადავიხადო, მილოცვები როგორ მივიღო, ახალგაზრდა სიძე დავასაფლავო. — რა უჭირსო?! — ეუბნებოდნენ, მაგრამ თავისი გაიტანა. დაბადების დღეს გამოიპარა სოფელში და აქ იყო, ჩვენთან. ნოდარი სიცოცხლეზე უზომოდ იყო შეყვარებული. ერთხელ მამაჩემსა და მას უსაუბრიათ. ნოდარს უთქ-

ვამს, — ამ წუთში მოვანერ სიკვდილზე ხელს, ოღონდ 60 წლამდე ვიცოცხლოო. მამას უთქვამს, — ცოტაა 60, 70-მდე მაინც ვიცოცხლოო. მამაჩემი 55 წლის გარდაიცვალა, ნოდარი — 56-ის. საოცარი ადამიანი იყო, არასოდეს თავის ტკივილს არ გაჩვენებდა. სხვების შემწე და მოამაგე გახლდათ, დიდი და, როგორც თვითონ იტყვოდა, ნამდვილი ბაჯალლო გული ედო გამხმარ მკერდში. ერთხელ სოხუმში ვიყავით, ნოდართან საქმე მქონდა. მასთან მიღებაზე უამრავი ადამიანი იყო მოსული. გავსაუბრე, — აქ რატომ დგახართ-მეთქი? და მიპასუხეს, — ყველა გაჭირვებულის შემწეა და ჩვენც დახმარების სათხოვნელად ვართ მოსულიო.



დარწმუნებული ვარ, ნოდარი ასეთ სახლს არ ააშენებდა

— **როგორც მივხვდი, სახლ-მუზეუმი სხვაგან აშენდა და არა იმ ეზოში, სადაც ნოდარი ცხოვრობდა.**

— იმ სახლში ოჯახი ცხოვრობს — ნოდარის ბიძა. სახლ-მუზეუმისთვის ადგილი რაიონის ხელმძღვანელობამ გამოყო. ამ ადგილზე ჩაიყვანა გაშენებული, სპეციალური ნებართვა დასჭირდა, რომ ჩაი მოეჭრათ და სახლ-მუზეუმი აეშენებინათ.

— **სიმათლემ რომ გითხრათ, ნოდარ დუმბადის სახლ-მუზეუმი სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი...**

— ეს პროექტი ნოდარის მეგობარმა გააკეთა და აჩუქა. დარწმუნებული ვარ, ნოდარი ასეთ სახლს არ ააშენებდა, რადგან უბრალო ადამიანი იყო... ის ერთ პატარა, ლამაზ ოდას ჩადგამდა...



დადარებაც არ მინდოდა, რომ ეს სახლი ნოდარ დუმბადის იყო დაკავშირებული

როგორ იპოვა თურქმა სუაბ კორმა ოსნების ქალი...

19-20 წლის წინ ნინო მურუ-სიძის გადაწყვეტილება — თურქ მამაკაცს გაჰყოლოდა ცოლად, მისი მშობლებისთვის ძალზე მოულოდ-ნელი და უჩვეულო აღმოჩნდა. თვითონ ნინო კი დღემდე არ ნანობს წლების წინ გაკეთებული არჩევანის გამო და სიამოვნებით იხსენებს, როგორ მოხიბლა ერთი ნახვით 4 წლით უმცროსი ბი-ზნესმენი. ნინო ახლაც მშვენივრად გამოიყურება, რითაც მისი მეუღლე თურმე დღემდე ამაყობს...

ნინო ჯავახიშვილი

— 12 წლით უფროს კაცზე ვიყავი შეყვარებული და მიუხედავად ოჯახის წინააღმდეგობისა, 16 წლის ასაკში გავთხოვდი. საბოლოოდ, ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ და 7-8 წლის შემდეგ დავშორდით. ხომ იცით, ასეთ ადრეულ ასაკში ადამიანი შეცდომას ხშირად უშვებს. ჩემს მშობლებს, როგორც ჩემი გათხოვება, ისე გან-ქორწინება არ უნდოდათ, მაგრამ როგორც ჩანს, ეს გარდაუვალი იყო... არ ვნანობ, რადგან პირველი ქორ-წინებიდან ტყუპი გოგო მყავს. ისინი ჩემი მეგობრებიც არიან... მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი, ეკონომისტად ვმუშაობდი და ბედს არ ვემდუროდი, ვიდრე ქვეყანაში ყველაფერი აირეოდა. ბევრი თაყ-ვანისმცემელი მყავდა. რატომღაც, ისევ ჩემზე უფროსი (20 წლით) მა-მაკაცი შემეყვარდა, ცოლიანი. ის ცოლთან გაყრას აპირებდა, მისი ოჯახი ამის გამო მავიწროებდა და გადავწყვიტე, ამ ყველაფრისთვის წერტილი დამესვა... მეორე იმ-ედგაცრუების შემდეგ კაცის ხსენე-ბაც აღარ მინდოდა. გადავწყვიტე, მარტოს გამეზარდა შვილები და ყვე-ლაფერი გამეკეთებინა, ფხვზე მყარ-ად რომ დავმდგარიყავი. იმ პერი-ოდში ჩემი მეგობარი თურქეთში სავაჭროდ დადიოდა და მირჩია, — შენც წამოდი, თვალს გაახეი, ცო-ტას გამოცოცხლებდი და თან, შვი-ლებს რომ ეყოფათ, ვაჭრობით იმ-დენი კი დაგრჩებაო. რჩევა ჭკუაში დამიჯდა და გავყევი. ჩავედით სტამ-ბოლში, მივედით ერთ-ერთ მაღაზი-აში, საიდანაც ჩემი მეგობარი — ლუ-და საქონელს იღებდა. იქ ერთი ახალ-გაზრდა კაცი დაგვხვდა, რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არც მიმიქცევია. ჩემს



იმდენად კარგი პიროვნებაა, რომ ვისურ-ვებდი, ჩემს შვილებს შეხვდეს ასეთი ქმრები

მეგობარს თურქულად რაღაცებს ეკითხ-ებოდა და რადგან არაფერი მესმოდა, ვათარგმნინებდი.

— თავდაპირველად რთი დანი-ტერესდა, რას კითხულობდა?

— ვინ არისო? — უკითხავს ჩემზე. — ქმარს გაშორებული ქალია, 2 შვილი ჰყავს, ძალით წამოვიყვანე... რა ლამაზიაო! — უთქვამს. — შვილე-ბი რა ასაკის ჰყავს და სტამბოლში არ გათხოვდებო?.. ლუდამ ეს ყვე-ლაფერი რომ მითარგმნა, დავიჯღანე, — ამაზე როგორ გავთხოვდები-მეთ-ქი?! ის 26 წლის იყო, მე — 30-ის და მისი ნათქვამი არად ჩავაგდე. თან, როგორია — სავაჭროდ წავე-დი და უცებ ხელი მთხოვეს! ჩემმა მეგობარმა მითხრა, — მარტო ხარ, შვილებს ბევრი რამ სჭირდებათ, შენი მშობლებიც ასაკში არიან და საქართველოში რომ ჩახვალ, რას გააკეთებ და ვინ გიპატრონებს? ასეთ ბედს ხალხი ნატრობს; გათხოვდი, ქმარი გეყოლება და ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებიო. მაშინ ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია. სუატმა იმდენი რამ ჩააწყო ჩემი შვილებისთვის საჩუქრებად, რომ გავვიფიქრე. ოცნების ქალი ზუსტად ასეთი წარმომედგინაო, — უთხრა ჩემზე ლუდას. — უცოლო ხარ და შენს მშობლებს თუ ენდომებათ, გა-

ნათხოვარი რძალი შეუვიდეთ ოჯახ-ში, თანაც — ორშვილიანი, ისიც ქრისტიანო? — ჰკითხა ჩემმა მე-გობარმა. — ვინც მე მომეწონება, ჩემი მშობლებიც იმას მიიღებენო, — უპასუხა... სუატმა ჩემი მისამარ-თი ჩაინერა. ერთ თვეში მისგან წერ-ილი მივიღე, რომელშიც მწერდა, რომ მოვენატრე და საქართველოში ჩამოსასვლელად საბუთებს აგროვებ-და; თან მთხოვდა, მასთან ჩავსუ-ლიყავი. ეს ამბავი დედას ვერ გავუმ-ყლავნე და მოვატყუე, — მე და ლუდამ თურქეთში ქართველი კაცი გავიცანით და იქ სამუშაოდ მიწვევს-მეთქი. რომ გავეგოთ, თურქს მოვე-წონე, ალბათ სახლში ჯაჭვებით და-მაბამდნენ. მოკლედ, წავედი... როდე-საც ჩავედი, სუატმა მითხრა, რომ თავისიანებს უკვე ელაპარაკა და ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო. დედამ-თილი კარგი ქალი აღმოჩნდა. მი-თხრა, — ჩემი შვილი შენზე ისე მე-ლაპარაკა, შევატყვე, მოსწონდი და შენი ცოლად შერთვა უნდოდაო.

— ესე იგი, ქრისტიანი სარძლო სუატის ოჯახმა კარგად მიგიღო?

— თანამედროვე ოჯახია, ჩემი სარწმუნოების გამო პრობლემა არ შეუქმნიათ. გაგიკვირდებათ და, იქ პირველად ეკლესიაში ჩემმა დედამთ-ილმა წამიყვანა და იცით, რა მი-თხრა? თქვენი სალოცავისთვის რაც კი მითხოვია, ყველაფერი ამსრულებია; მთავარია, ადამიანს ღმერთის შიში და სიყვარული ჰქონდესო... მე და სუატს 1 ვაჟი გვყავს, ის 15 წლისაა. ქართულად კარგად ლაპარაკობს. რაკი ვმუშაობდი, ერთი პერიოდი ბექა აქ, ჩემს მშობლებთან იზრდებოდა და ქართულად ამოიგება ენა. 3 წელი საქართველოში მუშაობდა და ნათლის-ლებას გაქრისტიანდა. თურქეთში რომ ჩავედით, ამის გამო არავის უსაყვე-



სუატი ჩემ გამო ყველაფერს გააკეთებს



სტამბოლში ყველაფერი კრიალებს

დურია. სუატს დღესაც რომ ვთხოვო, სარწმუნოება შეიცვალა-მეთქი, უარს არ მეტყვის. ჩემ გამო ყველაფერს გააკეთებს.

— არ გაგიჭირდა სრულიად უცხო მამაკაცთან შეგუება, მით უმეტეს, რომ თურქული ენა არ იცოდით?

— თავიდან არ მიყვარდა, ამას თვითონაც გრძნობდა, მაგრამ ახლა ძალიან მიყვარს და დიდ პატივისაც ვცემ. იმდენად კარგი პიროვნებაა, რომ ვისურვებდი, ჩემს შვილებს შეხვდეს ასეთი ქმრები.

— არაფერში გზღუდავს?

— თავიდანვე გავაფრთხილე, — თანამედროვედ ჩაცმა მიყვარს და თუ დამიშლი, ამას ვერ ავიტან-მეთქი. — რასაც მოიხდენ, ის ჩაიცვიო, — მიპასუხა... ჯერ მის ფირმაში ვმუშაობდი, მერე დიდი სილამაზის სალონი გამიხსნა. ბავშვის შეძენის შემდეგ იქ მუშაობა ვეღარ შევძელი.

— რა განსხვავებაა ქართველ და თურქ მამაკაცებს შორის?

— დაბალი ფენის თურქი მამაკაცები ეჭვიანები არიან და ცოლებს ავინწროებენ, სამსახურშიც არ უშვებენ... ქალები უყვართ, მაგრამ თუ სადმე „გაძვრნენ“, ცდილობენ, საღამოს მაინც ოჯახში მივიდნენ და ცოლ-შვილთან ერთად ივასშმონ. მეუღლემ მათი გართობის შესახებ არ უნდა გაიგოს — არ უნდათ, რომ გული ატკინონ... ალკოჰოლს მცირე დოზით იღებენ. შინ სურსათი ყოველთვის თვითონ მოაქვთ.

— იქაური კერძების კეთება ალბათ უკვე კარგად იცი, სომ?

— ჩემმა დედამთილმა მათი სამზარეულოდან ყველაფრის გაკეთება მასწავლა. მომწონს თურქული კერძები. მათ კი განსაკუთრებულად, ჩვენი ხინკალი და ბაჟე უყვართ.

— შენი მეუღლე რო-

გორი მამა და მამი-ნაცვალა?

— ძალიან თბილი და მოსიყვარულეა. ზოგი საკუთარ შვილებს არ ჰპატრონობს ისე, როგორც მან ჩემს შვილებს უპატრონა. სკოლის დამთავრების შემდეგ ორივე ჩემთან ნავიყვანე და დღემდე იქ არიან. ორივე მუშაობს. და-ძმას ძალიან უყვარს ერთმანეთი, ბეჯა თითქმის მათი გაზრდილია.

— რას საქმიანობს სუატი?

— ამჟამად თავის ძმასთან ერთად, გადაზიდვების ფირმა აქვს — პოლონეთში ახდენენ საქონლის ტრანსპორტირებას. მილიონერები არა ვართ, მაგრამ რაც გეჭირდება და გვინდა, გვაქვს. საშუალოზე კარგად ვცხოვრობთ. ჩემს მშობლებს ჩემ მეტი არაფერს ჰყავთ და ამიტომ, მათაც ვინახავთ. თურქეთში საშუალო დონეზე კარგად რომ იცხოვრო, შემოსავალი თვეში 4-5 ათასი დოლარი უნდა გქონდეს. რომ ვუკვირდები, აქაური ფასები თითქმის გატოლებულია იქაურთან. პენსია იქ 800 ლარის ეკვივალენტურია.

— რომელიმე სომ არ ნანობთ, რომ წლების წინ ასეთი არჩევანი გააკეთეთ?

— ჩემს მამულს თურქი ცოლი

ჰყავს და ერთმანეთს ვერ ეგუებიან. სხვათა შორის, თურქები აღიარებენ, რომ კაცებს, რომელთაც უცხოელი ცოლები ჰყავთ, უფრო კარგი და მყარი ოჯახები აქვთ. ალბათ იმიტომ, რომ თურქი ქალები ზედმეტად ეჭვიანები არიან.

— შენს მეუღლეს საქართველო მოსწონს?

— როგორ არა. რაჭაში სახლი გვაქვს და იქაურობაზე გიჟდები. ამბობს, პენსიაზე როცა გავალ, საცხოვრებლად აქ ჩამოვიდეთო. ჩემი შვილი, იცი, რას ამბობს? საქართველოს ჯარში უნდა ვიმსახუროო...

— გამიგონია, თურქები ქართველი ცოლებით ამაყობენ. მართალია?

— როდესაც მეუღლის მეგობრებთან ვსაუბრობ და ყურადღების ცენტრში ვექცევი, სუატი ამით ბედნიერია... თურქები მენდვენ და საცხოვრებელი კორპუსის თავმჯდომარედ მაინცდამაინც მე ამირჩიეს. სუატი ამანაც გაახარა. სტამბოლში ისე ვგრძნობ თავს, როგორც ჩემს ქვეყანაში...

— ყველაზე მეტად იქ რა მოგწონს?

— ყველაზე მეტად მათი შრომის-მოყვარეობა და სისუფთავე მომწონს. სტამბოლში ყველაფერი კრიალებს... თურქს რაც უნდა დიდი ბიზნესი ჰქონდეს, არანაირ სამუშაოს არ თავიკობს. საოცრად მშრომელები არიან, საქმე არ ეზარებათ...

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)

29 წარჩინებული მწიგნობარი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფია

წიგნების სერია ბავშვებისთვის

დიდი ქართველების ბიოგრაფიები. პირველი ტომი - ვახტანგ გორგასალი



რა არის საჭირო იმისთვის, რომ სამსახური იშოვო

„შეიძლება, პრაქტიკულად ვერც დასვათ თემა იმისთვის...“

უმუშევრობის პრობლემა ბევრს რომ აწუხებს, ეს ყველამ იცის. აკი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხშირ-ხშირად გვახსენებენ, რომ ამ მხრით (და არა მარტო) გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ მათი ეს აღიარება ენ. უსაქმურობისგან დაოსებულნი (როგორც ამას თავად უმუშევრები აღნიშნავენ) ადამიანებისთვის შელავათი ნამდვილად ვერ იქნება. ჩვენ სამსახურის დაწყების მსურველ თუ უკვე დასაქმებულ მოზარდებს დავფსვით შემდეგი კითხვები: რას ფიქრობთ დასაქმების პრობლემასთან დაკავშირებით? სამსახურის ძიებისას ვინ რა პრობლემას წააწყდით? თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ სამსახური იშოვო — ამა თუ იმ სტრუქტურაში ნაცნობის ყოლა, ილბალი თუ — კარგი განათლება?..

ლიკა ქავია

გება, 19 წლის:

— მართალია, ჯერ კიდევ სტუდენტი ვარ, მაგრამ ნამდვილად შემიძლია, სწავლას მუშაობაც შევეუთავსო, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სამსახურს პროფესორები ვეღარ შოულობენ და მე, რიგითი სტუდენტი ვის რად ვუნდებარ?!
— რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

— სამედიცინოზე, მომავალი ქირურგი ვარ.
— და გინდა, ადამიანის სიცოცხლე ჯერ კიდევ სტუდენტს მოგანდონ?

— არა, მაგეღა ამბიცია ნამდვილად, არა მაქვს. ქირურგად მუშაობის დაწყება არც მიცდია. მე ვლაპარაკობ ისეთ სამუშაოზე, როგორცაა: დისტრიბუცია, რომელიმე ობიექტის დაცვა და ა.შ. ჰოდა, სამსახურის ძიებისას დავრწმუნდი, რომ თუ ნაცნობი არ გყავს, უბრალო მუშადაც ვერსად მოენწყობი.

— ნაცნობი ვერსად იპოვებ?

— ვერა და რომც მყავდეს, არ შევანუხებდი. მინდა, ყველაფერს დამოუკიდებლად მივაღწიო.
— მაგრამ თუ არაფერი გამოგივა?
— მაშინ იძულებული გავხდები, ნათესავები შევანუხო. აბა, ცოლ-შვილი რომ მეყოლება, ისევ მშობლების ხარჯზე ხომ ვერ ვიცხოვრებ!

— ანუ ფიქრობ, რომ მუშაობის დაწყება მხოლოდ ნაცნობობითაა შესაძლებელი?

— ასე გამოდის. როგორი განათლებულიც უნდა იყო, თუ ვინმემ სიტყვა არ შეგანია, ვერაფერს იშოვი.

პატო, 16 წლის:

— სკოლაში სწავლის პარალელურად ვმუშაობ კიდევ. მიმანია, რომ გამიმართლა, რადგან მყავს ისეთი მეგობარი, რომელიც ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს აწარმოებს და ამ სფეროში მეც დამსაქმებ. მართალია, რთული სამუშაოა და მთელი თბილისის ფეხით შემოვლა



მისდება, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარი ისაა, რომ ჯიბის ფულს ვშოულობ და იმ სამოსის ყიდვის უფლებასაც ვაძლევ თავს, რომელიც მომწონს.

— ეი. ნორმალური გასამრჯელო გაქვს, არა?

— ეს გამომუშავებაზე დამოკიდებული. შეიძლება, თვე ისე გავიდეს, რომ უსაქმურად და შესაბამისად, შინ უფულოდ ვიჯდე, მაგრამ ზოგჯერ, თვეში 300-400 ლარსაც „ვაკეთებ“, ეს კი, ალბათ დამეთანხმებით, მოსწავლისთვის ნამდვილად არ არის ცოტა: ამ თანხით შემიძლია, საკუთარ თავსაც ვასიამოვნო და ახლობლებსაც.

— ნაცნობი რომ არ გყოლოდა, მუშაობის დაწყებას შეძლებდი?

— ალბათ ვერა. ახლა სამსახურს მოსწავლეები კი არა, ზრდასრულებიც ვერ შოულობენ. დედაჩემი მთელი ცხოვრება საავადმყოფოში, პედატრად მუშაობდა. ჰოდა, ეს გამოცდილი ქალი (დაახლოებით 20 წელი იმუშავა) შემცირებაში მოყვა და მას მერე სამსახურს უშედეგოდ ეძებ.

— დავიჯერო, ამ 20 წლის განმავლობაში ისეთი ნაცნობი ვერ შეიძინა, ვინც სამსახურის შოვნაში დაეხმარებოდა?

— ნაცნობების მეტი რა ჰყავს, მაგრამ ყველას საკუთარი თავი გასჭირვებია.

— ეი. ყველაფერ ნაცნობობაზე ყოფილა დამოკიდებული.

— და კიდევ, სამსახურის შოვნას ილბალიც უნდა. მერწმუნე, თუ ილბალი არა გაქვს, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ. თუ გინდა, ამის მაგალითსაც მოგიყვან: ჩემი ნათესავი გოგონა, რომელიც სტომატოლოგიურზე სწავლობდა და დიპლომი ძლივს აიღო, ახლა ბანკში მუშაობს. მართალია, იქ სამუშაოდ საჭირო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ გაუმართლა: ტესტირებაზე მისული, ბანკის ერთ-ერთ თანამშრომელს ისე მოეწონა, რომ ჯერ სამსახური დააწყებინა, მერე კი ცოლადაც შეირთო. ჰოდა, ახლა 1.000 ლარამდე აქვს ხელფასი. იმ ბიჭს რომ არ მოსწონებოდა, დარწმუნებული ვარ, დღესაც უსაქმურად იყილებოდა.

გუბა, 21 წლის:

— მე დაცვის სამსახურში ვმუშაობ. მართალია, სახარბიელო ხელფასი არა მაქვს, თვიდან თვემდე თავი ძლივს გამაქვს და ამ ფულით ოჯახის რჩენას ნამდვილად ვერ მოვახერხებ, მაგრამ უმუშევრობასა და „ბირჟაზე“ უქმად დგომას სჯობია.

— სამსახური როგორ იშოვე?

— გავიგე, რომ კერძო კომპანიას დაცვის თანამშრომელი სჭირდებოდა. ჰოდა, მივედი, სი-ვი მივიტანე და რამდენიმე დღეში დამირეკეს, — მობრძანდითო. აი, ასე გამიმართლა.

— პროფესიით ვინ ხარ?

— უნივერსიტეტში კი ვსწავლობდი, მაგრამ მალე მიფხვდი, რომ იქ დროს ტყუილად ვვარგავდი და თანაც, რომელსაც ჩემი მშობლები იხდიდნენ, წყალში იყრებოდა: ჩემგან მენეჯერი ვერ დადგებოდა და სწავლას შევეშვი. სამაგიეროდ, ბავშვობიდან დავდიოდი კრივზე და ამან მიშველა — კუნთები ბატიბუტივით მაყრია (იცინის). ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დაცვის თანამშრომლად ჩემი მიღების სურვილი გაუჩნდათ?! ჩემი გარეგნობის წყალობით, მომავალში შეიძლება, პრეზიდენტის პირად დაცვაშიც კი მიხილოთ...

პაპი, 18 წლის:

— წლებია, მამაჩემი სამსახურს უშედეგოდ ეძებს და კაცს, რომელსაც ვ დიპლომი აქვს, ელიავას ბირჟაზე უწევს დგომა. ვფიქრობ, ეს სამარცხვინოა!.. სკოლა რომ დავამთავრე, ოჯახის წევრები დიდხანს მეხვეწებოდნენ, უნივერსიტეტში ჩააბარე, სწავლა გააგრ-



ძელო, მაგრამ უარი ვთქვი, — ვინც ისწავლა და წიგნებს ურახუნა თავი, რა ხეირი ნახა-მეთქი?! გავიარე კომპიუტერის კურსები, შევისწავლე ინგლისური ენა და ვცდილობდი, რაიმე სამუშაო მომეძებნა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ არაფერი გამომივიდოდა, საბერძნეთში წამოვედი. ახლა ძიხად ვმუშაობ, არც კომპიუტერის ცოდნა მარგია რამეში და არც ინგლისური ენა. იმ საქმისთვის, რომელსაც ვაკეთებ, დიპლომი ან რაიმე სერტიფიკატი სულაც არ არის საჭირო. მთავარია, იყო თბილი, კეთილი ადამიანი, გიყვარდეს შრომა და ყველაფერი გამოგივა.

— საბერძნეთში სამუშაო როგორ იშოვე?

— აქ მამიდაჩემი იყო და საბერძნეთში ჩამოსასვლელად ფული თავად გამომიგზავნა, მერე სამუშაოც მიშოვა. ცნობისათვის, აქ ჩამოსულ ადამიანს სამსახურის შოვნა არ გაუჭირდება. მართალია, ძიხად შეიძლება, საქართველოშიც დამეწყო მუშაობა, მაგრამ იქ 5 ბავშვის ან მოხუცის მოვლამაც არ გადამხდინდნენ იმდენს, რამდენსაც აქ ერთი ბუბის დახმარებისთვის მაძლევენ.

— თუ საიდუმლო არ არის, მაინც რამდენს გისდიან?

— 800 ევროს. თან, საქმელსაც აქ ვჭამ, ბინის ქირაც არა მაქვს გადასახდელი და ყველა ამ სიკეთესთან ერთად, „ბუბის“ შვილიშვილები ხშირად, ტანისამოსსა და ბიუჯეტრიასაც მწუქნიან. ასე რომ, ბედს ნამდვილად არ ვუჩივი, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ასე კარგად ჩემს სამშობლოში მეგრძნო თავი.

— შენი აზრით, რა არის საქირო იმისთვის, რომ საქართველოში მყოფებმა სამსახური იშოვონ?

— იქ ვითომ კორუფცია მოისპო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ ვინმეს ჯიბე ან გული არ გაუთბე, ისე არაფერი გამოგივა.

— გასაგებია, ჯიბის „გათბობაში“ რასაც გულისხმობ, მაგრამ გულის გათბობა...

— (მანყვეტიანებს) თუ ფულით არა, უფროსს სხვა რამით უნდა „გაუმასპინძლდე“ ანუ ლოგინში უნდა ჩაუგორდე. ახლა არ მითხრა, მსგავსი რამ იშვიათად ხდებაო. მერწმუნე, ასეთი წინადადება მეც ბევრისგან მიმიღია, რამაც საოცრად მატკინა გული და აქ წამოსვლა ამიტომაც გადავწყვიტე... მახსოვს, ერთხელ რაღაც დასაქმების ცენტრში მივედი, სადაც განაცხადი შემავსებინეს, 5 ლარი გადამასხდევინეს და შემპირდნენ, — როცა რაიმე სამუშაო გამოჩნდება, აუცილებლად შეგეხმებინებო. 2 დღის შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, — შენი ნომერი ერთ-ერთი დიდი სუპერმარკეტის დირექტორს მივეცი, ის თავად დაგაკავ-

შირდება და მასთან სასაუბროდ მომზადდევო. იმ დირექტორმა ლამის 12 საათზე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ვუთხარი: ახლა გვიანია, იქნებ ხვალ შეგხვდეთ-მეთქი. მკაცრად მიპასუხა: თუ მუშაობის დაწყება გინდა, ამისთვის ნებისმიერ დროს მზად უნდა იყო; როგორც ჩანს, უფულობას არ უჩივი და ეს სამსახურიც არ გჭირდება, თორემ ახლავე, თანაც — სიამოვნებით და სიხარულით გამოიქცეოდით. მიუხედავად დედ-მამის წინააღმდეგობისა, მასთან სასაუბროდ წავედი. იმ კაცმა „გასაუბრება“ ერთ-ერთ რესტორანში მომიწყო და როცა ჩემსა და ჩემს ოჯახზე ყველაფერი გამოვიკითხა, როცა მიხვდა, რომ ფული ძალიან მჭირდებოდა, ყოველგვარი შესავლის გარეშე, საყვარლობა შემომთავაზა. შეურაცხყოფილს, სიმწრისგან ცრემლები გადმომცვივდა, მაგრამ მისთვის ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე, ავტობუსის გაჩერებისკენ ისე გავიქეცი, უკან არც მიმიხედავს. ახლა ის დღე და იმ კაცის საზინელი სიფათი რომ მახსენდება, მიკვირს, როგორ არ ჩავცხე თავში, როგორ ვაპატიე შეურაცხყოფა, მაგრამ მაშინ ასეთი რეალობის წინაშე პირველად აღმოვჩნდი და მამისტოლა კაცისგან შემოთავაზებულმა წინადადებამ საოცრად დამაბნია. ასე რომ, საქართველოში მუშაობის დაწყება სარისკოცაა...

ძმონი:

— საინტერესო თემაა. დღესდღეობით მუშაობის დაწყება მართლაც ძნელია. მე რაიონში, ერთ-ერთ სკოლაში პედაგოგად ვმუშაობდი, მაგრამ მერე თბილისელ ბიჭს გავეყვი ცოლად, აქ კი სამსახური ვერ ვიშოვე, სერტიფიკატის გარეშე არავინ მიმიღო.

— რაიონში მუშაობა რომ დიდი წყოს, სერტიფიკატი არ გჭირდება?

— იმ პერიოდში, როცა ვმუშაობდი, სერტიფიკატი არ იყო საჭირო. სკოლაში ხელმოწერას ვასწავლიდი. ახლა 23 წლის ვარ და სასერტიფიკატო გამოცდებისთვის ვემზადები. ჰოდა, ვიფიქრე, ვიდრე გამოცდებს ჩავაბარებ, მუშაობას მანდატურად მაინც დავიწყებ-მეთქი. ანკუტის შეგახებიდან ერთ კვირაში დამირეკეს, უნარებში გამოცდა გავიარე, 81 ქულა დავაგროვე, მაგრამ ფსიქოლოგთან გასაუბრების შემდეგ აღარავინ შემომეხმინა. ამის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თურმე ყველგან „პარტი პატრონის“ ყოლაა საჭირო.

— როგორ ფიქრობ — ფსიქოლოგს რატომ არ მოეწონე?

— იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი ნაცნობი არ ვიყავი. სხვათა შორის, დასმულ კითხვებზე ჩემს პასუხებს ფსიქოლოგმა ნორმალურად არც კი დაუგლო ყური. მაგალითად, როცა ვკითხვა: რატომ გგონია, რომ ბავშ-

ვებთან მუშაობას შეძლებო? ვუპასუხე: მათთან ურთიერთობა მქონდა, ბავშვებს ვასწავლიდი და ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო-მეთქი. ცოტა ხანში დაავინყდა, ეს კითხვა რომ დამისვა და ისევე გაიმეორა, — რატომ გგონია, რომ ბავშვებთან მუშაობას შეძლებო?..

— რატომ ფიქრობ, რომ სხვებმა მხოლოდ ნაცნობობის წყალობით მი-აღნიეს მიზანს? იქნებ შენ უბრალოდ არ გაგიმართლა?

— რადგანაც ვიცი, როგორები დაასაქმეს, უბრალოდ აღარ მჯერა, რომ უმიზეზოდ მითხრეს უარი. იქ ადგილები ნაცნობებით შეივსო და მე სრულიად ზედმეტი აღმოვჩნდი. ისიც სანყენია, როცა უარის მიზეზს არ გეუბნებიან, არაფრად გაგაღებენ...

ლიკი ანგელუშკა ანუ კნინა:

— მუშაობა რომ დაიწყო, შესაბამისი განათლებაც უნდა გქონდეს და ნაცნობიც გააუდეს. სხვათა შორის, ახლახან სამსახური მეც ვიშოვე — „ხორცის ქარხანაში“ დავიწყე მუშაობა, მაგრამ ვიდრე მიმიღებდნენ, მთელი ომის გადატანა მომიხდა.

— რას გულისხმობ?


— ამ ქარხნის დირექტორს ჩემი მიღება არ უნდოდა, მაგრამ ტვინი „გავუბურღე“ და ბოლოს დათანხმდა. მართალია, იქ მუშაობა ძნელია, მაგრამ სახლში უქმად ყოფნასა და ქუჩაში ყიალს ნამდვილად სჯობია.

— რის გაკეთება გევალება?

— ხორცის გასუფთავება, დაჭრა... ცნობისათვის — ყოველთვიურად 400 ლარს გადამიხდიან. მიმიღეს თუ არა, მთხოვეს, — იქნებ, ვინმე კიდევ მოიყვანო, იმასაც 400 ლარს გადაუხდითო. ჰოდა, დედაჩემსაც დავანწყებინე მუშაობა. მართალია, ხორცის სუნი არ მევასება, მაგრამ ამას ვინ ჩივის — მთავარია, სამსახური მაქვს.

— ვფიქრობ, ქარხანაში მუშაობის გამოცდილება არ გქონდა. ალბათ ნაცნობობის წყალობით მიგიღეს, არა?

— მეზობელმა მითხრა, ქარხანაში ხალხი სჭირდებათო, და დირექტორს ყოველგვარი ნაცნობობის გარეშე „მივეჭერი“. თავიდან მეუბნებოდა: აქ ვერ დაგასაქმებ, უფრო გამოცდილი მუშახელი მჭირდებაო, მაგრამ ხომ გითხარი, ტვინი „გავუბურღე“-მეთქი (იცინის). სიმართლე გითხრა, აქ მუშაობის დაწყება „მიტყეუბოდა“ კიდევც, მაგრამ ვიდრე უკეთეს სამსახურს ვიშოვი, ვერსად წავალ — თვალისა და გლანდების ოპერაციები მაქვს გასაკეთებელი და ამისთვის საჭირო თანხა რომ დავაგროვო, იძულებული ვარ, ვიმუშაო... მინდა, მომავალში რომელიმე კარგ მალაზიაში, გამყიდველად მოვეწყო და იმედია, ასეთ სამსახურსაც ვიშოვი... ■



სამყარო

ავტოპორტრები ნაპერჩხლისფერი ნაჭდავებით

მანქანა ჯაყფაყაყით მიდის სოფელ ლისის მირღვეულ-მორღვეულ გზაზე. თბილისი სულ ახლოა და მაინც — ძალიან შორს. როცა ქალაქში მანქანის გამონაბოლქვის ნისლში მზე აცხუნებს, მაგრამ ვეღარ ათბობს, აქ ორი მზეა: ერთი — ცაზე, მოკრიალებულ სილაყვარდეში, მეორე — აგერ, ამ ბორცვზე, წითელ ნეკერჩხლებში. ორივე გითბობს დამზრალ სულს. ამიტომაც მოუნებს აქეთ გული **თხამაზ ჯინჭარაძეს** — არაჩვეულებრივ ფერმწერს, სამხატვრო აკადემიის პროფესორს.

ლელა ჯიყაყვილი

როგორი უნდა იყოს მხატვრის სახლი-სახელოსნო სოფელ ლისში?.. ალბათ მყუდრო და კეთილმოწყობილი, ზედა სართულზე დიდი, შუშით გადახ-

ჩაცმული მასპინძელი ყოველგვარ კომფორტს მოკლებული, წარმოუდგენელ პირობებში (სრულ უპირობობაში) ქმნის თავის ხელოვნებას. მხატვრისთვის არის კი მნიშვნელოვანი რბილი სკამები და მოვარაყებული მაგიდა ოთახში?.. თამაზ ჯინჭარაძე აქ ისედაც არ რჩება დიდხანს, ფუნჯს აიღებს და სულ სხვა რეალობაში გადადის.

— ერთხელ ვიყავი პარიზში და მხატვარი ჩამოვედი იქიდან, — მეუბნება.

ვერ ვიგებ, რისი თქმა უნდა და თვალს არ ვამორებ. ხელება და მიზუსტებს:

— საფრანგეთი არის მხატვრობა...

— **არქიტექტურით?**

— არა, შინაარსით... სადაც გაიხედავ — მხატვრობაა. ეს ერთი პატარა ამბავიც მხატვრობაა: ლუვრიდან გამოვედი და ავტობუსის გაჩერებაზე დავინახე, ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. უეცრად ერთმა ბიჭმა მესხის ფინტი გააკეთა. არ ვიცი, იცით თუ არა, რომ მესხს თავისი ფინტი ჰქონდა... წარმოიდგინე, რა დამემართებოდა! ძალიან ავლელდი. კარში დავდექი. დავინწყე მათთან ერთად თამაში. ჩვენი „მატი“ რომ დამთავრდა, ვხედავ, მოდის პოლიციელი — ახმახი ზანგი. ბურთით გადათელილი გაზონისაკენ

ში ეს არ ხდება. უკულმა ყველაფერი. არ არიან იმისთვის მზად, რომ იფიქრონ, როგორ მივიდეთ ქემმარიტებად. ტაშს უკრავენ ჩვენები ყველა გამოფენას. ავისა და კარგის გარჩევა აღარ არსებობს.

თვალს ნატიურმორტისაკენ ვაპარებ... ჩემთვის ვფიქრობ: ფერწერაა. მხატვარი ჩემს მზერას მიჰყვება:

— ეს ნატიურმორტი სამჯერ მაქვს გადაწერილი... დიდი შრომა უნდა მხატვრობას, რთული დარგია.

— **ის, რომ ნახატს შესწორება-გადაწერა სჭირდება, გრძობისმიერ განცდა თუ გონებით წყვეტ?**

— ძალიან რთული კითხვაა, ალბათ — ორივე ერთად. შენი თავისადმი კრიტიკული უნდა იყო, სრულყოფილი არაფერია. ამ ნატიურმორტზე მსხლები იყო ყვითელი; ჩავაქრე; მერე მივხვდი — ჯობდა, მწვანით გამედიდრებინა... სწორად მოდიან მხატვრები აქ, კედლებთან მიყუდებულ ნახატებს აბრუნებენ, რალაცას ეძებენ. მიკვირს... რამდენი ნახატი კიდია კედელზე, თითოეულ სურათში იმდენი მაქვს ჩადებული, ჯერ ის წაიკითხონ. სტუდენტი რომ ვიყავი, ჩემი ნახატი ძალით გამომაფენინეს აკადემიაში, ძალიან მოინონეს, მაგრამ მას არაფერი ჰქონდა საერთო მხატვრობასთან... ჩემს სადამლომო ნამუშევარს რომ ფენენ ხოლმე აკადემიაში, ბევრი ამბობს, ძალიან კარგიაო. და მაინც, ეგ მხატვრობა არ არის, შეილო, ეს ჩემი ოსტატობაა...

— **მხატვრობა რა არის?**

— მაგას ერთი სიტყვა არ ჰქვია. მხატვრობაა, რომ დაიხარჯები, ოფლი დაგასხამს, არაფერს დაიტოვებ და ყველაფერს ტილოზე გადაიტან. ერთხელ შინ მივედი, დავინახე დიდი წითელი ტახტი და რალაც განადა ჩემში. გავვარდი და ორ საათში დავხატე „ჩემი შვილები“ — ბავშვები წითელ ტახტზე. ეს შეგრძნება თუ არ გაქვს, ვერაფერს გააკეთებ. მეორე მხრივ, თუ სულ ასე მუშაობ, დიდხანს ვერც იცოცხლებ: ეს სიკვდილია, ეს ისეთი ემოციების ხარ-



ასე უბრალოდ ვერ გავცვლი სურათს, თქვენ რომ „კარგ ცხოვრებას“ ეძახით, იმაზე

ურთული დარბაზით, სადაც ვერ კიდევ სველი სურათების სურნელი და პალიტრაზე შეუმშრალი საღებავები კიდევ ერთ კოცონს დაგინთებს — მზესავით კოცონს, სახელად — ხელოვნება.

აქ კი... დაუშთავრებელი სახლის ოთახები პირობითადაა ოთახები. სახელოსნო?.. სახელოსნო ყველგანაა და არსად არ არის. ნახატებით დაფარული გაულებსავი კედლები... „მუშურად“

გავაპარე თვალი. ვფიქრობ, ახლა დამიჭერს, ამხელა კაცს მეტი არ მოგვეითებო?! — მეტყვის. არაფერი მსგავსი... ჩუმად ჩაიარა. საიდნალაც ქალი მოვიდა, ვარდები გაასწორა... ჩემთვის ეს — მხატვრობაა... საერთოდ ძალიან რთულია, გაიგო, რა არის მხატვრობა. პიკასოს პორტრეტი ვნახე, ჰოლბეინს არ ჩამოუვარდებოდა. სულ სხვაგვარად უნდა გავიცნოთ დიდი მხატვრები. აკადემია-



ჯვავა, რომელსაც ადამიანი ვერ გა-
უძლებს.

— არსებობს სხვა ცხოვრებაც,
რომელიც გაძლევთ ემოციას? მხო-
ლოდ მოლბერტთან ვერ იცხოვრებ...

— ჩემი სხვა ცხოვრება ჩემს სტუ-
დენტებთან ერთად ცხოვრებაცაა. ყოვე-
ლ კვირას ამოდინ აქ. ისინი ხედავენ,
როგორ ვცხოვრობ, რა არის ჩემთვის
ღირებული და რა — არა... იციან,
რამდენს გავცემ... ცხადია, ცხოვრება
მხოლოდ მოლბერტთან არ გადის.
ძალიან მიყვარდა ნადირობა. ახლა რომ
ვეღარ ვნადირობ, ვთევზაობ. ვზივარ
და საათობით ვუყურებ ტივტივას,
ჩაიძირება თუ — არა; ამ დროს მავი-
წყდება ყველაფერი. მარტო ამაზე
ვფიქრობ. ახლა არ მკითხოთ, თევი
თუ მეცოდება, ან ცხოველი თუ
მეცოდებოდა ნადირობისას... მე
ისეთი ხასიათი მაქვს, რომ
დავფიქრდე, სიარულიც გამი-
ჭირდება: ხომ შეიძლება, ჭიან-
ჭველას დავადგა ფეხი; ესეც კი
ცოდება...


ჩვენ ვსაუბრობთ და ღია
კარიდან ოთახში ძალღი შემო-
დის. ძალღს სურათებს შორის
სიარული არ უჭირს. ფრთხილად
აუვლის გვერდს პატრონის ტი-
ლოებს, რომლებიც მხატვრის
ხელითვე დამზადებულ ულამაზეს
ჩარჩოებშია ჩასმული და უხმოად
გადის.

ერთი ნახატი გადმოვიღეთ... კაცი
ხეზეა ასული, ტოტს ჭრის... წინ კი
ძალღია და აქეთ იყურება, ჩვენკენ.
ვიღაცას უკითხავს, — შენ რომ ტოტს
ჭრი, გასაგებია, მაგრამ ძალღ რაღას
აკეთებ...? (შეცინება გულში, რაღას
არ კითხულობენ ფერწერის მოყვარულე-
ბი!) თამაზს პირდაპირ უპასუხია: ძალღს
უყვარსო!.. კიდევ ერთხელ შევხედე ნახ-
ატს. ძალღს მართლაც, უყვარსო...

რაკი სიყვარულზე მიდგა საქმე,
როგორ არ ვთქვა, რომ ყოველ ტილო-
ში სიყვარული იკითხება... აი, აქ, მა-
გალითად, თბილისი დაუხატავს — ნაზი,
ნისლში ამოკვეთილი რელიეფივით. მგო-
ნი, ასეთი თბილისი თქვენც არ გინახ-
ავთ, მაგრამ — მე მიყვარს, მე ასეთი
თბილისი მინდაო! მართალია, ჭრელ-
ფასადიან თბილისს ვერ გაგახსენებთ,
მაგრამ რაღაცნაირი, სუფთა თბილი-
სია.

— მე ჩემი თბილისი მაქვს. პარიზი-
დან მოსკოვში ჩავფრინდი, იქიდან —
თბილისში. სანამ თბილისს დავხედე,
ადამიანი არ ვიყავი. დაცლილი ვიყავი
ყველაფრისგან. სხვათა შორის, ეს განცდა
განაპირობებს მხატვრობას...

ძველ ქართულ კაბებში გამოწყო-
ბილი დები იშხნელების პორტრეტი
მათ სიმღერას გაგონებს. ავტორს თა-



ხშირად მოდიან
მხატვრები აქ,
კელლებთან
მიყვლებულ
ნახატებს
აბრუნებენ,
რალაცას ეძებენ



ვად უნახავს ისინი, პანაშვიდზე მღე-
როდნენ თურმე...

კიდევ, კოტე მესხის ქუჩა დაუხატა-
ვს. იქ შეყვარებული ჰყავდა, მიაცილებ-
და, მერე კი დიდხანს იჯდა ბაღში და
ელოდა, როდის ჩაქრებოდა სინათლე
მის ოთახში.

გასაგებია, რატომ არ უყვარს სუ-
რათების გაყიდვა-გასხვისება. მხატვრის
თითოეული ნახატი მისი ცხოვრების
ამსახველია... ირანში ქართველ მხატ-
ვართა გამოფენაზე მხოლოდ ორი ტი-
ლოს მყიდველი გამოჩნდა, ორივე —
„თამაზ ჯინჭარაძისა“ იყო. თანხა შე-
მოუთვალეს. არ გაყიდა...

— ბევრი სურათი არც გამიყიდა.
სულ რამდენიმეს გაყიდა მომიხდა. შეი-
ლო, ხომ ხედავთ, არც მდიდარი ვარ.
მაგრამ მაქმაცოფილებს, რაც მაქვს...
როგორ არა აქვს მნიშვნელობა კარგად
ყოფნას, მაგრამ ასე უბრალოდ ვერ
გავცვლი სურათს, თქვენ რომ „კარგ
ცხოვრებას“ ეძახით, იმაზე.

თვალი მოვაკლე პორტრეტებს. საო-
ცარი თვალები აქვთ მის მიერ დახატ-
ულ ადამიანებს. როგორც ჩანს, თვალები
ძალზე მნიშვნელოვანია თქვენთვის-
მეთქი... გაიღიმა:

— მაგაზე არ ვფიქრობ, ბუნებრი-
ვად გამოდის ასე... არიან მხატვრები,

რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ
ფორმას, შინაარსს. მე ფერს ვანიჭებ
უმთავრეს მნიშვნელობას... ფერზე
მუშაობა ურთულესია და უმნიშვნელო-
ვანესი. სემირაძის ტილო 10 მეტრია
სიგრძით, მაგრამ ვან გოგის პატარა
ტილო ხუთს იყიდის იმისთანას. რა-
ტომ? იმიტომ, რომ მთავარია, რა არის
ჩადებული ნახატში. მთავარია სული,
რომელიც ფერწერაში გადადის. ჩემი
ავტოპორტრეტი ისე დავხატე, სარკე-
ში არც ჩამიხედავს. ჩემთვის ერთ-
ერთი საუკეთესო ავტოპორტრეტი...
სურათზე რამდენიმე უხეში ნაკანრია
— ცხოვრება, რომელიც რამდენჯერმე
დატორა ტკივილმა... სოფლური იატა-
კი თუ გიკარნახებს, რომ შენობა...
თეთრი ტილო და ზედ მიყრდნობილი
მხატვარი... აქა-იქ ანთებული ნეკრჩხ-
ლის ფერიც გამოკრთის, როგორც
წითელი მზისა და სულზე აღბეჭდ-
ილი ნაიარევის კვალი.

„ეს თუ არ გექნება, მხატვრობაში
ვერაფერს მიაღწევ“, — ამბობს, ოღონდ
არ აკონკრეტებს, რომ „ეს“ — ტკივილი-
ია... ზოგჯერ სიცივეც და ხელმოკლე
ცხოვრებაც, სიმარტოვეც...

თბილისში სთხოვენ ჩამოსვლას
შვილები: აქ მარტო როგორ უნდა იყო?
ცივა, ცოტა აცივდება თუ არა, სრულიად
გაიყინებო! აქ ურჩევნია.

გამომაცლია. გამოჩნდა მისი მანქა-
ნა, რომელიც სათევზაოდ წასასვლე-
ლად ან ბუნებაში გასასვლელად სჭირდ-
ება. შო, კიდევ — აკადემიაში სასიარუ-
ლოდ... ზურგს უკან კიდევ ერთი ძვი-
რად ღირებული ნივთი აქვს მიჯიცილი
— გასაბერი ნავი, 600-ლარიანი... მისი
სიმდიდრეც სულ ესაა... დანარჩენი?..
დანარჩენი სულია და ფულის ერთეუ-
ლი ვერ გაზომავს.



საუფლო დღე და ბრწყინვალე უპიდაული

„ერთ შაბათს“ — შაბათის მომდევნო დღეს უფლის სამარხთან მისულ მენელსაცხებულე დედებს მაცხოვრის სამარხის კარი ღია დახვდათ, კარზე მიდგმული ლოდი კი — გადაგორებული. მცველები გაქცეულიყვნენ. ლოდზე ჩამომჯდარი ანგელოზებისაგან კი ეუწყათ: „რასა ეძებთ ცოცხალსა მკვდრებს შორის? ქრისტე აღდგა!“ სწორედ მენელსაცხებულე დედებისგან გაფრცელდა უფლის აღდგომის სასიხარულო უწყება, რამაც კაცობრიობის მდგომარეობა შეცვალა.

შორენა მერკვილაძე

პირველად მარიამ მაგდალინელს გამოეცხადა

გეთსიმანიის ბაღში შეპყრობისა და ჯვარცმის დროს, იოანე ღვთისმეტყველის გარდა, ყველა მოციქულმა მიატოვა მაცხოვარი. ჯვართან იდგნენ მენელსაცხებულე დედებიც, ამიტომაც მათ პირველებს უნდა განეცხადათ ქრისტეს აღდგომის სიხარული. მართლაც, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი პირველად ერთ-ერთ მენელსაცხებულე დედას — მარიამ მაგდალინელს ეცხადება იოსებ არიმათიელის ბაღში, როდესაც უფლის ცარიელი სამარხის ხილვის შემდეგ, მას ქრისტეს სხეული მოპარული ჰგონია და ამის გამო დამწუხრებული ტირის. ამ დრომდე დსხვა მენელსაცხებულე დედებს უფლის ანგელოზისგან ეუწყათ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ, მაგრამ მათგან განსხვავებით, უფლის სამარხთან მოტირალ მარიამ მაგდალინელს უფლის ანგელოზები არ უმუღავენებენ ქრისტეს აღდგომის სასიხარულო ამბავს, რადგან მას თავად მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი უნდა გამოეცხადოს. მაცხოვარს სურს, რომ მარიამ მაგდალინელი, ქრისტეს აღდგომის უშუალო მაცნედ იქცეს. ეცხადება მარიამს და ეკითხება: „დედაკაცო! რაისა სტირ? ვის ეძებ?“ მარიამს იგი იოსებ არიმათიელის მეზღე ჰგონია და მწუხარებით აღვსილი მიმართავს: „უფალო — ჩემო ბატონო, უკეთუ შენ აღილე იგი, მითხარი, სად დასდევ; და მე წამოვიღო იგი“... — რადგან მის გონებაში ჯერ კიდევ არ შობილა აზრი ქრისტეს აღდგომის შესახებ. მას მაცხოვრის ხმა აფხიზლებს: „მარიამ!“ — და სულიერი სიხარულით აღვსილ ქალსაც აღმობხდება: „რაბუნი!“ („მოდღვარო!“)... როგორც წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ქალმა გველის პირიდან მიიღო პირველი სიცრუე



და ამასთანავე, ქალმა თვით მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ბავთაგან გაიგონა სასიხარულო უწყება, რათა, ვისმა ხელმაც მოამზადა სასიხარულო სასმელი, მასვე მიეწოდებინა უკვდავების ფიალა“.

მოციქულებმაც მარიამისგან მოისმინეს პირველად ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის სასიხარულო ამბავი. შემდგომში მთელ მსოფლიოს უქადაგეს უფლის აღდგომა, მარიამ მაგდალინელმა კი თვით მოციქულებს უქადაგა ეს უდიდესი სასწაული და მოვლენა, ღვთის ნებითა და დავალებით, ამიტომაც აღიარებს ეკლესია მარიამ მაგდალინელს მოციქულთა სწორად. საეკლესიო გარდაამოცემა გვაუწყებს, რომ მარიამ მაგდალინელი დიდხანს ქადაგებდა სახარებას იტალიაში, ასევე საქადაგებლად ჩასული იყო მცირე აზიის ქალაქ ეფესოშიც. მაცხოვრის აღდგომის შემდგომ, მოციქულთა მსგავსად, მთელი ცხოვრება ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებასა და

უფლისადმი მსახურებას შეაღია. საეკლესიო გადმოცემით, სწორედ მარიამ მაგდალინელის სახელს უკავშირდება სააღდგომოდ კვერცხის ნითლად შეღებვის ტრადიციაც. როდესაც წმინდა მარიამ მაგდალინელი რომში ქადაგებდა, ის იმპერატორ ტიბერიუსის წინაშე წარდგა. შეხვედრისას კვერცხი გაუნოდა და უთხრა: „ქრისტე აღდგა!“ — „ეს ისეთივე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითლდეს“, — მიუგო იმპერატორმა. მოულოდნელად კვერცხმა მართლაც იწყო განითლება... ამ შეხვედრას უკავშირდება კვერცხის ურთიერთგაცვლის ტრადიციაც: უძველესი ჩვეულების თანახმად, აღმოსავლეთსა და იუდეაში უმაღლეს პირთან პირველად წარდგომისას, მისთვის სიმბოლური მნიშვნელობის საჩუქარი უნდა მიერთმიათ; ამიტომაც არ გაპკვერცხება იმპერატორს მარიამ მაგდალინელის ძღვენი... როდესაც ქრისტიანებმა შეიტყვეს, თუ რაოდენ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მარიამ მაგდალინელმა იმპერატორ ტიბერიუსზე კვერცხის ბოძებითა და სიტყვებით — „ქრისტე აღდგა!“ — მისი მიზაძვა გადანყვიტეს: აღდგომის დღესასწაულზე ურთიერთს ნითლად შეღებულ კვერცხს გადასცემდნენ სიტყვებით — „ქრისტე აღდგა!“ ეს ჩვეულება თანდათანობით მართლმორწმუნე ქრისტიანებისთვის საყოველთაო წესად იქცა.

...მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი, მარიამ მაგდალინელის წინაშე გამოცხადების შემდეგ გამოეცხადა პეტრე მოციქულს, შემდეგ — ორ მოციქულს, რომლებიც ემაუსს მიდიოდნენ, საღამო ჟამს კი — ყველა მათგანს, თომა მოციქულის გარდა, რომლებიც ერთ ოთახში იყვნენ შეკრებილნი და იუდეველთა შიშის გამო კარი ჰქონდათ დახშული. მიუხედავად იმისა, რომ მოციქულები ჯერ კიდევ არ იყვნენ ყველაფერში გარკვეული, ჯერ კიდევ უფრო მინიერი ხედვა ჰქონდათ, მაინც უდიდესი სიხარული განიცადეს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ხილვისას... როგორც ვთქვით, მოციქულებს შორის ამ დროს არ იმყოფებოდა თომა მოციქული. როდესაც ის დაბრუნდა, ახარეს, რომ იხილეს მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე. „თუ მის ხელზე ნალურსმევს არ ვნახავ, ნალურს-



მეუღლე საკუთარ თითს არ ჩაყვოვ და მის ფერდში — საკუთარ ხელს, არ ვინაწებ!“ — თქვა თომამ. სწორედ აქედან მოდის საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა — „ურწმუნო თომა“, თუმცა ეს ეკლესიური გამოთქმა არ არის: თომა მოციქული სულაც არ ყოფილა ურწმუნო, მაგრამ იმ დროს ადამიანებისთვის იმდენად დაუჯერებელი და ზედამატებული რამ მოხდა, ამასთან, თომას იმდენად სურდა, მოციქულების ნათქვამი მართალი ყოფილიყო, იმ მომენტში მათი სიტყვები ვერ ირწმუნა...

მკვდრეთით აღდგომიდან მერვე დღეს უფალი კვლავ გამოეცხადა მოციქულებს. მაცხოვარმა უჩვენა თომას ჭრილობები და ნაჭრილობებ ადგილებში თითები ჩაყოფინა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ — წარმოთქვა თომამ (რადგან თომა მოციქულმა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომიდან მერვე დღეს ირწმუნა უფლის მკვდრეთით აღდგომა, აღდგომის მომდევნო კვირა თომას კვირადაც იხსენიება). ე.ი. თომას მცირედი დაეჭვება დასრულდა იმით, რომ მან მაცხოვარი ჭეშმარიტ ღმერთად აღიარა. ასე ამჟღავნებს და პირდაპირ აღიარებს იმისა, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი, სახარებაში სხვა ადგილას არ გვხვდება (სიტყვა „უფალი“ ნიშნავს ბატონსაც, ეს სიტყვა ძველად, მიმართვის ფორმადაც გამოიყენებოდა — პატივსაცემი ადამიანებისთვის მიმართვისას). თომას მცირედი დაეჭვება — კეთილი გამოძიებლობა მოხდა ღვთის განგებულებითაც, რათა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა ადამიანებისთვის ძალზე სანდო და დამაჯერებელი ყოფილიყო...

საუფლო დღე – ჰვირა

როგორც ვიცით, ძველი აღთქმის პერიოდში საუფლო დღე — დღე, რომელსაც ადამიანები უფალს უძღვნიდნენ, შაბათი იყო. ქრისტიანებისთვის კი საუფლო დღე კვირაა: როგორც სახარება გვაუწყებს, უფალი ჯვარს ეცვა პარასკევს და აღდგა „ერთ შაბათს“ — ანუ შაბათის შემდგომ დღეს, რომელსაც ეწოდა კვირა — კვირიოს, აღდგომა. ამ დღეს აღსრულდა კაცობრიობის მოლოდინი, რომელსაც ცოდვის მონობაში მყოფი ადამის მოდგმა ათასწლეულები ელოდა. აღდგომის მომდევნო კვირას კი, თომას კვირის გარდა, კვირაცხოვლობაც ეწოდება: სიტყვა „ცხოველი“ ძველქართულად ნიშნავს „ცოცხალს“; კვირაცხოვლობა არის დღესასწაული სიცოცხლისა, კვირა სიცოცხლისა...

ბრწყინვალე შვიდაული

აღდგომის მომდევნო კვირას — ნათელი კვირა — ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. ამ კვირის ყოველი დღე აღდგომის ტოლფასია და ყოველი დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე. განსაკუთრებული ელფერი აქვს საეკლესიო წესებსაც: წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისათვის დამახასიათებელი რიგით სრულდება. მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში იხსნება სამეუფო კარი, ღვთისმსახურთა ზიარების დროსაც კი არ იხურება. ღია სამეუფო კარი მიგვანიშნებს, რომ უფლის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ განიღო ადამის ცოდვის შედეგად დახშული სასუფეველის კარი და ადამიანებს ზეციურ სასუფეველში შესვლის შესაძლებლობა მიეცათ.

ბრწყინვალე შვიდეულში განსხვავებული წესით სრულდება მიცვალებულთა წესის აგება; ცვლილებებია ჩვენს ყოველდღიურ — დილისა და საღამოს ლოცვებშიც, ყველაფერი უფლის აღდგომის სიხარულითაა გაჯერებული.

აღსავლის კარის წინ, საგანგებოდ მომზადებულ მაგიდაზე აღდგომის დღესასწაულიდან მოყოლებული, მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე დევს აღდგომის დღესასწაულისთვის საგანგებოდ გამომცხვარი, პასკის ფორმის საფუფერიანი პური — არტოსი, ჯვრის და ეკლესიის გვირგვინის ან აღმდგარი მაცხოვრის გამოსახულებით. ნათელი კვირის შაბათს იკითხება არტოსის განტყვის ლოცვა. შემდეგ მას, როგორც უდიდეს სინმინდეს, ანაწევრებენ და მორწმუნეებს ურიგებენ. არტოსის ნაწილები მთელი წლის მანძილზე უნდა შევინახოთ და განსაკუთრებულ შემთხვევებში — სწულეების ან მძიმე განსაცდელის უამს მივიღოთ, როგორც სულიერი წამალი. აღდგომის დღესასწაულზე არტოსი იკურთხება — „სადიდებლად და მოსაგონებლად უფალ იესო ქრისტეს აღდგო-

მისა“. პასკის პურის თავი ზეცის, ტანი კი — მიწის გამოხატულებაა: მაცხოვრის ჯვარცმითა და აღდგომით მოხდა ღვთისა და ადამიანთა შერიგება, ზეცა და მიწა გაერთიანდა. სააღდგომო კვერცხიც ასევე, თავის ფორმით, ზეცისა და მიწის ერთობას, ქრისტეს აღდგომით ადამიანის სამოთხეში დაბრუნებას გამოხატავს.

ბრწყინვალე შვიდეულში ეკლესიის მიერ დაწესებულია მსგეფსი — სახსნილო დღეები. მსგეფსის მეშვეობით, უფალი ადამიანს მცირე ხნით მოშვების საშუალებას აძლევს: არის უამი მარხვისა და გლოვისა და არის უამი გამარჯვებით გამოწვეული სიხარულისა და ზემისა.

ძველად აღდგომის დღესასწაულს ორმოცდღიანი მსგეფსი სდევდა თან; მაგრამ შემდგომში ადამიანებს ნელ-ნელა მოაკლდათ სულიერება, ვერ დაიტიეს ასეთი სიხარული, ცდუნებებში ჩაცვივდნენ და მსგეფსის პერიოდში შემცირდა: უფალი ეკლესიის მეშვეობით აკონტროლებს ადამიანთა სულიერ მაჯისცემას და ყოველივეს მათ სულიერების შესაბამისად უწესებს.

შაჰარაოხს და აჩვენებს პალიტრას!

გადასვამ „შუადღე“

შემხსენიო-
მუსიკალური პროგრამა

ყოველ შაბათს 12:00-დან 16:00 საათამდე.

FM 103.9
პალიტრა
www.palitravt.ge



დიმიტრი და კონსტანტინე ამილახვრები — II მსოფლიო ომის დროინდელი სპეცდანი ამბავი

ამ სტატიის დაწერა სრულიად მოულოდნელად, იმ დროს გადავწყვიტე, როდესაც სააღდგომოდ დასაველეთ საქართველოში მივემგზავრებოდი და გზად გორში შევიარე. იქ, უძველეს მოედანზე ჩავლისას, უცრად ერთი ძალზე საინტერესო ამბავი გამახსენდა: 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების დროს, იოსებ ჯულაშვილისა და მისი „საბრძოლო დრუჟინის“ არაერთი მუქარის გამო, გორში მცხოვრები თავადი გიორგი ამილახვარი იძულებული გახდა, ოჯახით ჩრდილო კავკასიაში, ინგუშეთის სოფელ ბაზორკინოში (დღეს — ქალაქი ჩერმენი, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანიაში) გადახვეწილიყო. ცნობისათვის: გიორგის მამა, ივანე ამილახვარი რუსული არმიის გენერალი იყო და სხვათა შორის — საკმაოდ სახელგანთქმულიც.

მისილ ლაბაძე

1904 წელს გენერალი ივანე ამილახვარი ბაქოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. მას ადგილობრივი რევოლუციონერების ალაგმვა ევალებოდა, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო (გენერალი იმ დროს უკვე 76 წლის იყო) პოსტიდან მალევე გადადგა და გორში დაბრუნდა, სადაც ერთ წელიწადში გარდაიცვალა კიდევ. იოსებ ჯულაშვილი არასოდეს ივიწყებდა იმ ადამიანებს, რომელთა მიმართ გულში წყნა ედო და ამიტომაც, 1905 წლის ნოემბრის ერთ საღამოს, გიორგი ამილახვარმა ანონიმური წერილი მიიღო — მასა და მის ოჯახს, როგორც „რევოლუციის მტრებს“, ვიღაც უცნობი დედაბუდინად ამოწყვეტით ემუქრებოდა.

სულ მალე, გორელი ნაცნობების მეშვეობით, ამილახვარმა გაარკვია, რომ „ნითლები“ ემუქრებოდნენ და თანაც — მამამისის გამო: 1904 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბაქოში ხშირად იმართებოდა რადიკალ რევოლუციონერთა გამოსვლა. ერთ-ერთის დროს კაზაკებმა იოსებ ჯულაშვილიც დააკავეს. ახალგაზრდა კობა საკანში პირადად გენერალმა ამილახვარმა მოინახულა და რამდენიმე კითხვა ქართულად დაუსვა; ჯულაშვილმა კი პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა, რის გამოც იქვე მყოფმა კაზაკებმა სასტიკად სცემეს. მომავალმა დიდმა დიქტატორმა ეს ყველაფერი ძალის ნაკბენივით დაიხსომა და როგორც კი მართლმსაჯულებას თავი დააღწია, შურისძიებაზე ფიქრს მიჰყო ხელი. მოგვიანებით მან შეიტყო, რომ ივანე ამილახვარი გორში დაბრუნებულიყო; იოსებ ჯულაშვილმა მას ტერაქტის მოწყ-

ობა დაუპირა, მაგრამ ვერ მოასწრო — მცხოვანი გენერალი 1905 წლის 29 აგვისტოს გარდაიცვალა. შესაბამისად, რადიკალ მემარცხენეთა სამიზნედ მისი შვილი იქცა.

„ნითლებისგან“ თავი რომ გადაურჩინა, როგორც უკვე ითქვა, გიორგი ამილახვარი ჩრდილო კავკასიაში გაიქცა და ინგუშეთში, მმანდაფიცებთან დასახლდა. 1906 წლის 31 ოქტომბერს იქ შეეძინა ვაჟი, რომელსაც დიმიტრი დაარქვეს. გიორგი ამილახვარს მეორე ვაჟიშვილი — კონსტანტინე ჰყავდა. მისი ოჯახი საქართველოში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. მალე გიორგი ამილახვარმა ქართულ არმიაში დაიწყო სამსახური და სახელიც მოიხვეჭა, როგორც ნიჭიერმა და ერთ-ერთმა საუკეთესო კავალერისტმა. სამუხაროდ, 1921 წლის ცნობილი მოვლენების გამო, ის კვლავ იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად უცხოეთში გადახვეწილიყო. ასე აღმოჩნდნენ ამილახვრები სტამბოლში, საიდანაც ადგილობრივი ქართული სათვისტომოს დახმარებით, 1922



საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირი, ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი

წელს საფრანგეთში წასვლა მოახერხეს. გიორგი ამილახვარმა ორივე ვაჟი სენსირის ცნობილ სამხედრო სკოლაში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგაც, დიმიტრიცა და კონსტანტინეც საფრანგეთის „უცხოურ ლეგიონში“ ჩაირიცხნენ. სხვათა შორის, უფრო „იღბლიანი“ აღმოჩნდა დიმიტრი, რომელსაც დაბადების ადგილის მიხედვით, ბაზორკასაც ეძახდნენ: 1927 წელს იგი თავადის ასულ ირინე დადიანზე დაქორწინდა, ხოლო 1934-ში ქალაქ აგადირში (ალჟირი) ზემდეგთა პროფესიული მომზადების სკოლის უფროსად დაინიშნა და სწრაფად გაითქვა სახელი. მის ძმას — კონსტანტინე ამილახვარს ამგვარი წარმატებული სამხედრო კარიერა არ ჰქონია, თუმცა ბედს არ უჩიოდა. ის იმთავითვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ემიგრაციის მემარჯვენე ფრთასთან, პირადად იცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც.

1940 წელს გერმანული არმია საფრანგეთში შეიჭრა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მამინდელი მთავრობის უსუსურობის გამო, ჰიტლერებმა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილისა და დედაქალაქის ოკუპაცია ფაქტობრივად, თოფის გასროლის გარეშე მოახდინეს. ამის შემდეგ, 1940 წლის ივლისის დასაწყისში, საფრანგეთის ეროვნული კრება სამხრეთში, ქალაქ ვიშიში შეიკრიბა და მთელი ძალაუფლება მარშალ ანრი ფილიპ დე



დიმიტრი ამილახვარს სარდლობა მალღობას უცხადებს. ერიგრა, 1941 წელი.



პეტენს გადასცა. ის ცნობილი იყო, როგორც რადიკალი მემარჯვენე და ჰიტლერთან თანამშრომლობის მომხრე. ამიტომაც გერმანელები სამხრეთ საფრანგეთში აღარც შესულან. სამაგიეროდ, მარშალმა პეტენმა იქ ეროვნულ-კონსერვატორული რეჟიმი დაამყარა. ერთ-ერთი პირველი, ვინც იმხანად „ვიშის რეჟიმის“ მიმართ უკმაყოფილება აშკარად გამოხატა, ცნობილი გენერალი შარლ დე გოლი გახლდათ, — ის ლონდონში გაიხიზნა და იქ სამშობლოს გასათავისუფლებლად, სამხედრო ორგანიზაცია „თავისუფალი საფრანგეთი“ შექმნა. ფრანგ პატრიოტთა უმრავლესობა დე გოლის კვალს გაჰყვა, ხოლო კოლაბორაციონისტებმა (ჰიტლერთან თანამშრომლობის მომხრეებმა) ფრანგული „ესესისა“ და „მოხალისეთა ლეგიონი“ ჩამოაყალიბეს. მალე ორივე შენაერთი მარშით, აღმოსავლეთის ფრონტზე — ბოლშევიკებთან საბრძოლველად გაემართა.

დიმიტრი და კონსტანტინე ამილახვრების გზებიც სწორედ მაშინ გაიყო: ბაზორკა იმ დროს ნორვეგიაში, ფრანგული საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში იბრძოდა და იქიდან პირდაპირ ლონდონში, შარლ დე გოლთან ჩავიდა, ხოლო კონსტანტინე პარიზში იმყოფებოდა და, რამდენადაც სტალინისა და ბოლშევიკების ჯავრი სჭირდა, „მოხალისეთა ლეგიონში“ ჩაუნერა. მანამდე კი შეიტყო, რომ მისი ძმა დიმიტრი ნორვეგიაში, წარვიკთან გამართული ბრძოლის დროს გამოჩენილი გმირობის გამო დე გოლს „საბრძოლო ჯვრით“ დაეჯილდოებინა და ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა იმ-იტომაც უფრო მოინდინა, რომ პარიზში მყოფ რძალსა და ძმისშვილებს გესტაპოსთან პრობლემები არ შეჰქმნოდათ. „ფრანგ მოხალისეთა ლეგიონი“, რომლის შემადგენლობაშიც 15 ათასამდე მებრძოლი ირიცხებოდა, აღმოსავლეთის ფრონტზე (კერძოდ — დასავლეთ უკრაინაში) 1941 წლის ოქტომბერში ჩავიდა. ლეგიონში კონსტანტინე ამილახვარი მზვერავთა ასეულის მეთაურად გაამწესეს.

ამავდროულად, დიმიტრი ამილახვარი ერიტრეაში, გერმანელთა მოკავშირეებს — იტალიელ ფაშისტებს ებრძოდა. „თავისუფალი საფრანგეთის“ შენაერთებმა 1941 წლის 2 აპრილს ერიტრეის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურ მასაუას შეუტყეს. ბაზორკას ასეულმა მაშინ პირველმა გაარღვია იტალიელთა თავდაცვითი ზღუდეები ზღვაზე

და ზოგიერთი მათი ნაღმოსნის ბლოკირება მოახდინა; რამდენიმე საათში მტერი დაიხრია. გადმოცემით, იტალიელმა ოფიცერმა დამიანო ძამბრეტომ, რომელიც ერთ-ერთ ნაღმოსანს სარდლობდა, დაწებების შემდგომ, დიმიტრი ამილახვრის ნახვა ისურვა: „მამაცი მებრძოლი ყოფილხართ! ქედს ვისრი თქვენ წინაშე“, — ასე მიმართა მან ქართველ ლეგიონერს და პირადად გადასცა სატაბელო იარაღი. მასაუას ალებისას გამოჩენილი საარაკო სიმამაცისთვის, დიმიტრი ამილახვარი შარლ დე გოლმა წარწერიანი პისტოლეტით დააჯილდოვა. სხვათა შორის, სწორედ დაჯილდოების ცერემონიაზე წარმოთქვა ამილახვარმა ისტორიული სიტყვები: „დღეს უცხოელებს მხოლოდ „უცხოურ ლეგიონში“ ყოფნით გვეძლევა შანსი, რომ საფრანგეთს ერთგულება დაუშვტყციოთ“. ამის შემდეგ, დიმიტრი ამილახვარი უკვე სირიაში გადაიყვანეს — იქ „უცხოელთა ლეგიონის“ შენაერთებმა მარშალ პეტენის მომხრე არმიის ნაწილებს შეუტყეს და ქვეყნიდან განდევნეს. სირიის დედაქალაქ დამასკოს ალებისას გამოჩენილი გმირობისთვის, ამილახვარს ვიცე-პოლკოვნიკის ჩინი მიანიჭეს.

პეტენის კოლაბორაციონისტულმა რეჟიმმა დიმიტრი ამილახვარს დაუსრულებლად მიუსაჯა სიკვდილი — ქართველ ვიცე-პოლკოვნიკს „საფრანგეთის სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობა“ დასდეს ბრალად; ამ დროს კი კონსტანტინე ამილახვარი ბუკოვინაში „ნითელ“ პარტიზანებს ებრძოდა. ერთ დღეს ის ქალაქ ლვოვში, გესტაპოს ადგილობრივ განყოფილებაში დაიბარეს და ძმის შესახებ ყველაფერი გამოჰკითხეს. „ჩემი ძმა 1939 წლის შემდეგ აღარ მინახავს... მან კარგა ხნის წინ, ჯერ კიდევ ომამდე განწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, რადგან უთანხმოება მოგვიხდა და მიუხედავად იმისა,

ფილბაში დაიბარეს და ძმის შესახებ ყველაფერი გამოჰკითხეს. „ჩემი ძმა 1939 წლის შემდეგ აღარ მინახავს... მან კარგა ხნის წინ, ჯერ კიდევ ომამდე განწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, რადგან უთანხმოება მოგვიხდა და მიუხედავად იმისა,



დიმიტრი ამილახვრის მებრძოლები მასაუასთან, 1941 წელი.

რომ შერიგებისაკენ გარკვეული ნაბიჯები გადავდგი, ველარაფერი გავანყვე“, — მოხერხებულად იცრუა კონსტანტინემ. ამ დროს მას საკუთარი თავი კი არა, პარიზში დარჩენილი, ძმის ოჯახი ედარდებოდა: „1939 წლიდან მის ოჯახსაც ძირითადად მე ვპატრონობდი“, — დასძინა მან და გესტაპოს ოფიცერს უშიშრად გაუსწორა თვალი.

სინამდვილეში, დიმიტრისა და კონსტანტინეს ერთმანეთთან უთანხმოება არასოდეს ჰქონიათ, თუმცა 1940 წლიდან მართლაც აღარ შეხვედრიან და არც ნერილობით შეხმინებიათ ერთმანეთს. კონსტანტინე „ფრანგ მოხალისეთა ლეგიონის“ ოფიცერი იყო და გესტაპოს განსაკუთრებული ყურადღება მანამდე არც დაუმსახურებია. ამიტომაც, მას იოლად ენდნენ და არ დაუპატიმრებიათ, თუმცა ფარული თვალთვალი კი დაუწესეს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველი ოფიცრის წარსული გესტაპომ საფუძვლიანად გამოიძია

და სტალინთან დაკავშირებული დეტალებიც მალე დაადგინა. ამის შემდეგ გერმანელებმა მიიჩნიეს, რომ ძმები ამილახვრები მსოფლმხედველობით ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავდებოდნენ და კონსტანტინე მესამე რაიხისა და ფიურერის ერთგულებით გამოირჩეოდა. 1942 წლის შუა ხანებში გესტაპომ მისი ფარული თვალთვალი შედარებით შეასუსტა. კონსტანტინემ ამით ისარგებ-



გერმანელი გენერალი ერვინ რომმელი (კვერთხიხელი) ბრძოლის წინ არმიას ათვალეირებს. ჩრდილოეთ აფრიკა, 1942 წელი



ლა და თავის ერთ-ერთ ერთგულ მეგობარს რძალი და ძმისშვილები პარიზიდან, ბელგიის გავლით, ბრიტანეთში გადააყვანინა. დიმიტრიმ ეს ამბავი ჩრდილოეთ აფრიკაში სწორედ იმ წუთებში შეიტყო, როცა ლიბიის ქალაქ ბირ-ჰაქეიმთან საფრანგეთის „უცხოური ლეგიონი“ და ბრიტანული არმია გერმანულ შეიარაღებულ ძალებს უტყვევდნენ.

აღსანიშნავია, რომ მაშინ ჩრდილო-

ლახვრის ასეული უკრაინაში ისევ „ნი-თელ“ პარტიზანებს ებრძოდა. ასულის წევრები „მონადირეთა“ სახელით იყვნენ ცნობილი და, როგორც უკვე ითქვა, მათ პარტიზანთა მოქმედების არეალში დაზვერვითი სამუშაო ევალებოდათ. ამილახვრის შესახებ საბჭოთა კონტრდაზვერვის ორგანომ — ენ. „სმერშმა“ მალე მოიპოვა ინფორმაცია და კვალშიც ჩაუდგა, მაგრამ გერმანელთა მხარეზე მებრძოლი ქართველი ოფიცრის მოხ-

მიუხედავად იმისა, რომ „სმერში“ და პარტიზანები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ და კონსტანტინე ამილახვარს ათასგვარ ხაფანგს უგებდნენ, სანადგურს მანც ვერ მიაღწიეს, — ქართველ ოფიცრის სიკვდილი თითქოს თავად გაურბოდა. კრემლში იოსებ სტალინი ყოველდღე ამილახვრის დაჭერის ცნობას ელოდა. 1942 წლის 24 ოქტომბერს, როდესაც ჩრდილოეთ აფრიკაში, ეგვიპტურ სოფელ ელ-ალამინთან, ბრიტანულ არმიასა და ვერმახტის აფრიკულ კორპუსს შორის მომხდარი გრანდიოზული ბრძოლის შესახებ მოახსენეს, ისიც ამცნეს — ვიცე-პოლკოვნიკი ამილახვარი გამირულად დაიღუპაო. სტალინმა ინფორმაცია ჩვეულებრივად, უხმოდ მოისმინა, იმავე ღამით კი სასწრაფოდ, ბერია და „სმერშის“ მესვეურები გამოიძახა. სულ მალე, ლვოვის გესტაპოს განყოფილებას ინფორმაცორებმა ასეთი ინფორმაცია მიანოდეს: „კონსტანტინე ამილახვარი შარლ დე გოლისა და საბჭოთა კონტრდაზვერვის ერთობლივი აგენტია, რის დასადასტურებლადაც მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება“. გესტაპომ ამილახვარს ისევ ფარული თვალთვალი დაუწესა, მაგრამ ცხადია, ვერაფერი დაუმტკიცა. საბოლოოდ, ის ლვოვიდან გამოიძახეს.

„ფრანგ მოხალისეთა ლეგიონის“ ბანაკი ქალაქ ლვოვიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. გესტაპოელებმა კონსტანტინეს მანქანით თავადვე მიაკითხეს. ამილახვარს, რომელმაც სახელგანთქმული ძმის დალოშვის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა, ლვოვში წაყოლაზე, ცხადია, უარი არ უთქვამს. ქალაქისკენ მიმავალ მანქანას გზაში პარტიზანები დაესხნენ თავს. შეტაკებას ყველა გესტაპოელი შეეწირა, ხოლო კონსტანტინე ამილახვარი მძიმედ დაიჭრა. „ფრანგ მოხალისეთა ლეგიონის“ ბანაკში სროლის ხმის გაგონებისთანავე განგაში გამოცხადდა — ლეგიონერები უშაბლე შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ. პარტიზანები მოიგერიეს, მძიმედ დაჭრილი კონსტანტინე ამილახვარი კი სასწრაფოდ პარიზში გაგზავნეს, სადაც ის 1943 წლის 4 ივლისს, გონზე მოუსვლელოდ გარდაიცვალა.

PS. მსოფლიო ომის დასრულებითანავე, დიმიტრი ამილახვარი შარლ დე გოლმა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირად გამოაცხადა. მისი სახელი პარიზის ერთ-ერთ ქუჩასა და სენ-სირის სამხედრო აკადემიის 1945-1956 წლების გამოშვებას მიენიჭა. იმასაც ამბობენ, რომ სტალინმა დე გოლთან შესჯერისას ნაიტრაბახა — დიმიტრი ამილახვარი ჩემი თანაქალაქელი იყო. კონსტანტინე ამილახვრის სახელი კი აღარავის გახსენებია. არადა, იმ ქვეყნად ისიც პირნათელი წავიდა.



„ფრანგ მოხალისეთა ლეგიონის“ წევრები უკრაინაში. 1941 წლის ზამთარი. მარჯვნივ მდგომი ოფიცერი, სავარაუდოდ — კონსტანტინე ამილახვარია

ეთ აფრიკაში გერმანელ გენერალ-ფელდ-მარშალ ერვინ რომელის (ის რეგიონში გერმანულ საექსპედიციო კორპუსს სარდლობდა) შესახებ ლეგენდები დადიოდა — ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცები მას ზეადამიანად მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ მონინალმდეგეზე ტელეპათიური ზემოქმედების უნარიც კი ჰქონდა. ეს მითი სწორედ ვიცე-პოლკოვნიკმა დიმიტრი ამილახვარმა დაანგრია: 1942 წლის 26 მაისს მისი ქვედანაყოფის მებრძოლებმა გერმანელებს პირველებმა შეუტყეს, უკანაც დაახვეინეს და თავად გენერალი რომელიც კინალამ იმსვერპლეს. ეს უკანასკნელი ჯერ გაოგნდა, მერე კი ძალები მოიკრიბა და მძლავრ შეტევას კონტრშეტევით უპასუხა. ბრძოლა ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, სანამ 1942 წლის 10 ივნისს გენერალმა ერვინ რომელმა უკან არ დაიხია. სხვათა შორის, ბირ-ჰაქეიმის ბრძოლა, რომელსაც სამხედრო ისტორიკოსები „უდაბნოს ვერდენსაც“ უწოდებენ, მსოფლიო ომში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შეტაკებადაა მიჩნეული; მართალია, საბჭოთა ისტორიოგრაფია ამას თითქმის არ აღიარებდა, მაგრამ სარწმუნო წყაროების თანახმად, „უდაბნოს ვერდენმა“ ვერმახტის განადგურებაში უდიდესი როლი შეასრულა.

სწორედ ამ დროს, კონსტანტინე ამი-

ელთება შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეები სტალინის პირადი კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული; ცხადია, ასე მოხდა კონსტანტინე ამილახვრის შემთხვევაშიც.

დღევანდელი გადასახედიდან ძნელი წარმოსადგენია, თუ რას განიცდიდა საბჭოთა ბელადი, როცა „ფრანგ მოხალისეთა ლეგიონის“ უბირველესი მედროშის — კონსტანტინე ამილახვრის დოსიეს აახლებდნენ; მით უმეტეს, რომ შარლ დე გოლის ერთ-ერთი საამაყო ოფიცრის — დიმიტრი ამილახვრის საგმირო საქმეთა შესახებ ყველაფერი დანვრილებით სმენოდა და ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ორივენი გენერალ ივანე ამილახვრის შვილიშვილები იყვნენ. მოკლედ, 1942 წლის ზაფხულის ბოლოს სტალინმა კრემლში ლავრენტი ბერია გამოიძახა. პენსნიანი კაცი ჩვეულებისამებრ, დროულად გამოცხადდა. პირში ჩიბუხგაჩრილმა და ირონიულად მოღიმარმა სტალინმა ის უხმოდ მიიხმო მაგიდასთან და დიმიტრისა და კონსტანტინეს სურათები დაუდო. ბერია ერთხანს მდუმარედ აცქერებოდა მათ და მერე რუსულად თქვა: „ჯერ იმას მოვუაროთ, ვინც აქ გყავს... შემდეგ მეორის ჯერიც მოვა!“ სტალინმა ჩიბუხი მოეჩა და კმაყოფილმა თავი დაუქნია.



არასაგზაო Wrangler-Mojave

ნიუ-იორკის მტორშოუზე კომპანია „ჯიამა“ არასაგზაო Wrangler-Mojave-ს სპეციალური მოდიფიკაცია წარადგინა. ავტომობილს მოუყავს უდაბნოს



სახელი დაარქვეს. ეს ტერიტორია აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 35 ათას კვკმ-ზეა გადაჭიმული. სიახლისთვის სამი ფერია შერჩეული — ყვითელ-ყავისფერი, თეთრი ან შავი; საბოლოოდ, არჩევანს ერთ-ერთზე შეაჩერებენ. ავტომობილს წინა ფრთებზე მოდიფიკაციის სახელწოდება ეწერება, ექნება შავი ფერის სანავის ავზის თავსახური და უკანა ფარების დამცავები; ტყავი-

ით განყობილი ინტერიერი, 255/75 ზომის არასაგზაო საბურავებიანი 17-დუიმიანი საბორბლე დისკები, ძარას ფრად შეღებილი სახურავის დასაკეცი უკანა ნაწილი, აგრეთვე — ხვლიკისგამოსახულებები კაპოტზე, უკანა დგარებსა და სავარძლებზე. „ვრანგლერის“ სპეციალური მოდიფიკაცია Sport-ის კომპლექტაციის ბაზაზეა აგებული და აღჭურვილია 202 ცხდიანი 3,8-ლიტრიანი ბენზინის ძრავით, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით ან 4-დიაპაზონიანი „ავტომატით“ იმუშავებს. აშშ-ში Jeep Wrangler Mojave-ის მინიმალური ფასი 29.195 დოლარი იქნება.

ჰიბრიდული ჰეჩბეკი Lexus CT 200h

ნიუ-იორკის მტორშოუზე ჰიბრიდული ჰეჩბეკის — Lexus CT 200h კონცეპტუ-



ალური ვერსიის პრეზენტაცია შედგა. ეს მანქანა ამერიკულმა კომპანიამ — Fox Marketing დაამზადა. ავტომობილის აგრეგატის ჯამური სიმძლავრე 136-დან 300 ცხმ-მდე გაზარდეს. გარდა ამისა, კომპანია „ფოქს მარკეტინგის“ სპეციალისტებმა ნიკელ-მეტალ-ჰიბრიდული აკუმულატორების მასხასიათებლები გააუმჯობესეს, თუმცა

ჯერჯერობით ზუსტ მარჩვენებს არ ამზერებენ. Lexus CT 200h-ის აგრეგატში 1,8-ლიტრიანი ბენზინის მტორი, ბატარეები და ელექტროძრავები შედის. მანქანა ფირმა BASF-ის სპეციალური „პერლამეტრის“ საღებავით შეღებეს. ასევე მას ბორბლების განიერი თალები, განსხვავებული ზამბარები, 330 მმ-ის ზომის დისკებიანი Baer-ის მიერ დამზადებული სამუხრუჭე მექანიზმი და მსუბუქი შენადნობის 20-დუიმიანი საბორბლე დისკები დაუყენეს. გარდა ამისა, შეიცვალა ჰეჩბეკის ინტერიერიც, რომელშიც შავი ტყავის სარბოლო სავარძლები და კარის პანელებზე „ლექსუსის“ ლოგოტიპებია მოთავსებული. ჯერჯერობით Lexus CT 200h მსოლოდ შოუავტოს წარმოადგენს და სერიულ წარმოებაში მისი ჩამუშების ან ანალოგიური სპორტავტოს გამოშვების შესაძლებლობის შესახებ არაფერია ცნობილი.



Nissan Leaf საუკეთესო

ნიუ-იორკის მტორშოუზე, „წლის მსოფლიო ავტომობილის“ კონკურსის გამარჯვებული დაასახელეს. პირველი ადგილი წილად ხვდა Nissan Leaf-ს, რომელმაც ჯამში ქულების რაოდენობით ორი სხვა ფინალისტი — სედანი: Audi A8 და BMW 5-Series დაჯაბნა. აღსანიშნავია, რომ Nissan Leaf უკვე წლის საუკეთესო ევროპულ მანქანადაც დაასახელეს. „წლის სპორტავტოს“ ნომინაციაში Ferrari 458 Italia-მ გაიმარჯვა, რომელსაც ამ ტიტულისთვის Mercedes-Benz SLS AMG-სთან და Porsche 911 Turbo-თან მოუხდა კონკურენცია. შარშან ამ კატეგორიაში Audi R8 V10-მა მოიგო, რომელმაც Ferrari California და Porsche 911 GT3 დაჯაბნა. საუკეთესო დიზაინისთვის ჯილდო დიდ 5-კარიან ჰეჩბეკე Aston Martin Rapide-ს მისცეს. მასთან ერთად, ამ წოდებისთვის Ferrari 458 Italia და Alfa Romeo Giulietta იბრძოდა. 2010 წელს ყველაზე ლამაზ მანქანად Chevrolet Camero მიიჩნიეს. ამ უკანასკნელმა წოდება Citroen C3 Picasso-სა და Kia Soul-თან



კონკურენციაში დაისაკუთრა. „წლის მწვანე ავტომობილის“ ნომინაციაში სედანი — Chevrolet Volt გაიმარჯვა, რომელმაც ადრე „ჩრდილო ამერიკის წლის მსუბუქი ავტომობილის“ კატეგორიაში მოიგო. გარდა ამისა, იგი ამერიკულმა ჟურნალებმა — Motor Trend და Automobile საუკეთესო მანქანადაც ცნეს. პირველი ადგილისათვის Nissan Leaf და BMW 320d EfficienDynamics იბრძოდა. შარშან ამ ნომინაციაში კონცერნ „ფოლცვაგენის“ ეკოლოგიურად სუფთა მოდელების ხაზმა გაიმარჯვა. ეს ავტოები სუბბრენდი BlueMotion-ის სახელით იყიდება. 2010 წელს კონკურს „წლის მსოფლიო ავტომობილის“ მთავარი პრემია ახალ „ფოლცვაგენ პოლოს“ ერგო, 2009 წელს — VW Golf-ს, ხოლო 2008 წელს გამარჯვებულად ჰეჩბეკი Mazda2 მიიჩნიეს.



„სანთლის შუქზე მიყვარდა კითხვა“

ნიგნების კითხვა იმიტომ დაიწყო, რომ არ უნდოდა, მასზე ეთქვათ, უნიგნური ადამიანიაო. მერე კარგი ნიგნის გემო გაიგო და საკუთარ თავში უცნაური თვისება აღმოაჩინა: როცა ერთი ავტორის ნიგნს დაასრულებდა, სანამ მის სხვა ნაწარმოებებსაც არ წაიკითხავდა, მეორე ავტორზე გადასვლა არ შეეძლო. ყველაზე მეტად ნიგნის კითხვის განწყობილება ზაფხულში აქვს, როცა აგარაკზე ან სოფელში მიდის, ჰამაკში მოკალათდება და... მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარი მსახიობი მამუკა მუშლაძე გახლავთ.

თამუნა კვინიკაძე

კრედიტის ავტორი

მამუკა:

— ერთი პერიოდი სანთლის შუქზე კითხვა მიყვარდა, დენს ვთიშავდი და ისე ვკითხულობდი. ამის გამო მხედველობა გამიუარესდა და ექიმის ჩარევაც გახდა საჭირო.

— თანამედროვე ქართველი ავტორების შემოქმედებას იცნობ?

— ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებიდან ძალიან მომწონს ლაშა ბულაძის პიესები, თავისებური სტილი და საინტერესო ხელწერა აქვს.

— შენი საყვარელი მწერლები ვინ არიან?

— პირველ ადგილზე გურამ დოჩანაშვილს დავასახელებ. ძალიან მომწონს მიხეილ ჯავახიშვილის და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. ვაჟა-ფშაველაზე რა ვთქვა — ეს ცალკე, დიდი სამყაროა. უცხოელებიდან — დოსტოევსკი, კოელიო და მაინ რიდი მიყვარს. ცოტა ხნის წინ ნაირა გელაშვილის „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ წავეკითხე და ძალიან მომეწონა. ვნანობ, რომ ამ მწერალს აქამდე არ ვიცნობდი. მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალიან მიყვარს პოეზიაც. თეატრალურში სწავლის დროს, მხატვრული კითხვა განსაკუთრებით მომწონდა.

— ქალისთვის ლექსი წაგიკითხავს?

— არა. იმეღია, მომავალში წავეუკითხავ.

— როგორი მესხიერება გაქვს?

— ნორმალური. არც როლის დამახსოვრება მიჭირს. ერთხელ თუ ვისწავლე, 5 წლის შემდეგ რომ მკითხო, მემახსოვრება.

— სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგნებს სწავლობდი?

— ქართულს და ისტორიას. ტექნიკური საგნები ნაკლებად მაინტერესებდა.

— ის ინგლისში, ქალაქ სტრადფორდში დაიბადა. მამამისი ქალაქის მერი იყო. მერე ოჯახი რთულ მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც მან ველარ შეძლო, სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. 18 წლის ასაკში 8 წლით უფროს ქალზე დაქორწინდა. არაერთი ცნობილი პოემის, ტრაგედიისა და კომედიის ავტორია. 52 წლის ასაკში საკუთარ დაბადების დღეს გარდაიცვალა. ვისზეა ლაპარაკი?

— უილიამ შექსპირზე.

— ამ მდინარეზე 4 ევროპული ქვეყნის დედაქალაქი



მდებარეობს. რომელ მდინარეზეა ლაპარაკი?

— დუნაიზე.

— ხელსაწყოს, რომლითაც ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენა ხდება, „პოლიფიზიოგრაფი“ ჰქვია; რა სახელითაა ის საყოველთაოდ ცნობილი?

— ვერ ვხვდები, რაზეა ლაპარაკი?

— სიცრუის დეტექტორზე. რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუსამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზისარ“?

— „ქეთო და კოტეში“.

— რომელი ცხოველი ზრუნავს თავის ნაშიერზე ყველაზე მეტხანს — კატა, სპილო თუ დათვი?

— დათვი.

— ცდები.

— მაშინ სპილო იქნება.

— „ვინც სევდიანია — ის გულახდილიცაა“, — ამბობდა ეს მხატვარი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია 70 წელზე მეტხანს ითვლის. ამბობენ, სახელოსნოში მუდამ ჰქონდა ერთი დიდი ტილო, რომელზეც მისი ხელმოწერა იყო აღბეჭდილი. რომელ მხატვარზეა ლაპარაკი?

— ტილოები რომ დამისახელო, არ შეიძლება?

— მას ეკუთვნის ცნობილი ნაწარმოებები: „ქალი პლაჟზე“, „მოხუცი მათხოვარი ბიჭთან ერთად“, „ავინიონელი ქალიშვილები“ და ა.შ.

— მივხვდი, პიკასოზეა ლაპარაკი.

— მითოლოგიაში კარგად ერკვევი?

— ნაკლებად.

— ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რა ერქვა ყმანვილს, რომელმაც უნებლიეთ, საკუთარი ირემი მოკლა და დარდისგან ხედ იქცა?

— ვერ გიპასუხებ.

— კვიპაროსი.

— რაა?.. არ ვიცოდი.

— რა არის ტანკა?



— ტანკი?
 — ტანკა.
 — არც ეს ვიცი.
 — იაპონური პოეზიის ჟანრი. რას წარმოადგენდნენ ისო ქრისტესთვის სახარების ავტორები: მათე, ლუკა, იოანე და მარკოზი?
 — მონაფეებს.
 — დაასახელე სამი ციფრი, რომლის ჯამი და ნამრავლი ერთმანეთის ტოლია.
 — ოლონდ ეგ არ მკითხო — ხომ გითხარი, მათემატიკას კარგად არ ვსწავლობდი.
 — ეს რთული კითხვა არ არის.
 — ფიქრიც კი მეზარება.
 — 1, 2, 3. ამის გამოცნობა რთული იყო?
 — (იციანს) არა.
 — რა ენოდება საგანგებოდ მოწყობილ საცავს, სადაც ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ღვინის კოლექციებია?
 — მარანი.
 — მას ენოთეკა ჰქვია. რომელმა მეფემ მოახერხა მონღოლთა თითქმის 100-წლიანი ბატონობის შემდეგ საქართველოდან მათი განდევნა?
 — გიორგი ბრწყინვალემ.
 — რომელი ნიშანი მიუთითებს მუსიკაში ბგერის ნახევარი ტონით დადაბლებას?
 — არ ვიცი.
 — ბემოლი. „ჩისურის პირას, მალლობზე დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე — ცისის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841 მიწერია“, — წერს ავტობიოგრაფიულ თხზულებაში ქართველი მწერალი. რომელი?
 — აკაკი წერეთელი.
 — „თქვენ ალბათ ფიქრობთ, კარგ ლექსს უკვე აღარავინ სწერს/ და რომ წუხილის ნავსადგურში ეშვება ლუზა./ მე ასე ვფიქრობ, ლექსის კითხვის ჟამს,/ მკითხველსაც უნდა სწყალობდეს მუზა“. ვინ არის ამ ლექსის ავტორი?
 — ვერ ვიხსენებ.
 — მორის ფოცხიშვილი. რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?
 — კაპილარებში, არა?
 — დიახ. რა ჰქვია ლომის შვილს?
 — ბოკვერი.
 — რომში ის ითვლებოდა სიმამაცის სიმბოლოდ. ომის დროს, ვინც პირველი შეიჭრებოდა მონინალმდეგის ქალაქში, მას აძლევდნენ უფლებას, ხელში ეს ყვავილი სჭეროდა, ხოლო ვინც ამ მცენარით თავს დაუშმასურებლად გაილაშქრებდა, სენატის გადაწყვეტილებით, ციხეში სვამდნენ. რომელ ყვავილზეა ლაპარაკი?
 — არ ვიცი.
 — ვარდზე.
 — ვაა! გავიფიქრე და არ გითხარი.
 — ამ ძაღლის ჯიში საიდან გაჩნდა, უცნობია. ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო იყო ინდოეთი, საიდანაც შემდეგ მოხვდა საბერძნეთში, იუგოსლავიაში, ვენეციის სანაპიროზე. დიდი ხნის მანძილზე ეს ჯიში ნაკლებად პოპულარული იყო. ინტერესი 1960 წლიდან — უოლტ დისნეის მულტფილმის გამოსვლის შემდეგ გაჩნდა. დაასახელე ამ ძაღლის ჯიში.

— დალმატინელი.
 — კონფუცი მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდებს უნდა გამოეჩინათ უფროსების მიმართ პატივისცემა, მშობლების მიმართ — მოკრძალება; საქმეს სერიოზულად და ღირსებით უნდა მოჰპყრობოდნენ; ხალხი უნდა ჰყვარებოდათ და დაახლოებოდნენ კაცთმოყვარე ადამიანებს; ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ დარჩებოდათ დრო და კარგი იქნებოდა, თუ მას დახარჯავდნენ...
 — სწავლაზე.
 — თითქმის გამოიცანი, სწორი პასუხია — წიგნების კითხვაზე. რა ჰქვია მეცნიერებას სამყაროს შესახებ?
 — (ფიქრობს) ასტრონომია.
 — ის ცხელ გარემოში ბინადრობს, მაგრამ სიცოცხლისუნარიანია გაყინვის შემდეგაც. მეცნიერებმა მის ორგანიზმში ყველაზე საშიში ბაქტერიები და ვირუსები შეიყვანეს, მაგრამ არ იმოქმედა. ცოცხალი რჩება და მოძრაობს ასევე რადიოაქტიური დასხივებისას, რომელიც 130-ჯერ აღემატება ადამიანის სასიცვდლო დოზას. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს ლეგენდა, რომ იგი ხიფათის დროს საკუთარი შხამით იკლავს თავს. დაასახელე, რაზეა ლაპარაკი?
 — მორიელი იქნება.
 — ნამდვილად ასეა. მსოფლიოში არის 42 ქვეყანა, რომელსაც არა აქვს ზღვაზე გასასვლელი. მათ შორის ყველაზე პატარა — ვატიკანია. რომელია ყველაზე დიდი ქვეყანა?
 — ვერ გიპასუხებ.
 — ყაზახეთი. ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები, ბიბლიური თემები — რომელი ჟანრის ნამუშევრებით არის ცნობილი ივან აივანოვი?
 — პეიზაჟებით.
 — ბარბრა სტრეიზანდი ამბობდა: განსაკუთრებული თავისებურება ამაში არის ის, რომ შემქმნელები ხშირად ცდებიან, მაგრამ გამოიძენებიან ადამიანები, რომლებიც ამ შეცდომისთვის ფულს უხდიან. რაზე ამბობდა ამ სიტყვებს კინოვარსკვლავი?
 — არ ვიცი.
 — მოდაზე. თავად თუ ხარ მოდას აყოლილი ადამიანი?
 — რა ბრენდი მაცვია, ამას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, მთავარია, ხარისხიანი იყოს და მასში თავს კომფორტულად ვგრძნობდე.
 — მუსლიმანთა რომელი ტაძარია იმ კლდეზე აგებული, საიდანაც გადმოცემით, მუჰამედი სამოთხეში ავიდა?.. მიგანიშნებ: ის იერუსალიმის ყველაზე ლამაზ ნაგებობად ითვლება.
 — მიკვხედი: ომარის მეჩეთზეა ლაპარაკი.
 — რა რიტუალი სრულდებოდა ძველ საქართველოში, ავი თვალისგან ნეფე-პატარძლის დასაცავად?
 — ვერ გიპასუხებ.
 — გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ატარებდნენ.
 — ა! ეგ თუ თვალის დასაცავად კეთდებოდა, არ ვიცოდი.
 — რომელ ქვეყანაზე გადის მტკვრის ყველაზე დიდი მონაკვეთი — საქართველოზე, თურქეთზე თუ აზერბაიჯანზე?
 — საქართველოზე.
 — დაბოლოს: დაასრულე რემარკის ცნობილი გამოწონაქვამი: „ადამიანი ვერასდროს გამოიწრთობა, უბრალოდ შეუძლია, ბევრ...
 — ვერ დავასრულებ.
 — „...რამეს მიეჩვიოს“.

გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენი იაქსონი

1. ანაბლეფობია მალა ახედვის შიშია.
2. გაშრობისას ბეტონი სითბოს გამოყოფს.
3. მსოფლიოში სულ 4 ათასი შავი მარტორქაა დარჩენილი.
4. შიდათან ბრძოლის გადადება არაფრის დიდებით არ შეიძლება.
5. მირონის ხარშვის უფლება მხოლოდ ავტოკრეფალის მქონე ეკლესიებს აქვთ.
6. ხაკა — მაორების ცეკვაა. ამ ცეკვას ასრულებს მატჩის წინ ახალზელანდიელ მორაგბეთა ნაკრები.
7. „ვ როსიი ოპტიმისტ ეტო ნე ტოტ, კტო პერვიმ კრიჩიტ „ურა!“, ა ტოტ, კტო პასლედნიმ კრიჩიტ „კარაულ!“ — ამბობენ რუსები.
8. ცხვარს ზედა წინა კბილები არა აქვს. იგი ტუჩითა და ქვედა კბილებით ძოვს ბალახს.
9. „თუ გესიზმრება, რომ ჩემი გალახვა შეგიძლია, ჯობს, გამოიღვიძო და ბოდიში მომიხადო“, — გაიძახოდა მუჰამედ ალი, რომელიც თავის მეტოქე ჯო ფრეზერს დაცინვით, გორილას ეძახდა.
10. ისლამი ავალდებულებს მართლმორწმუნე მუსლიმანებს, ყოველწლიური შემოსავლის ერთი მეორეობა დაილარებინონ სასარგებლოდ გაიღოს.
11. ტოკიოს „დისნეილენდი“ პირველი იყო, რომელიც შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ გაიხსნა. მას წელიწადში 13 მილიონი სტუმარი ჰყავს.
12. 1936 წელს გადაღებული პირველი ქართული მულტფილმის, „არგონავტების“ პერსონაჟები ლადო გუდიამვილის დახატულია.
13. თბილისის „დინამოს“ ჰიმნი, რომელსაც ანსამბლი „ივერია“ ასრულებდა, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის დაწერილია. ტექსტი მორის ფოცხიშვილს ეკუთვნის.
14. მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის — „ლამბალო და ყაშას“ პერსონაჟი მამადი ჰასანს ცულის ქურდობა დასწამეს, რისთვისაც ბაზარში ბოძე ყურით ჰყავდათ მიჭედებული.
15. თბილისში პარლამენტის შენობის ადგილას ადრე ალექსანდრე ნეველის სახელობის დიდი ეკლესია იდგა. იგი კომუნისტებმა დაანგრეს.
16. პაოლო იაშვილის მამა, ჯიბო იაშვილი პროფიზორი იყო და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. პარიზში ყოფნისას სწორედ ის უგზავნიდა პოეტს ფულს. მისი წყალობით იყო, რომ პაოლო ფულს ჯიბიდან დაუთვლელად იღებდა.
17. ბავშვების მიერ ავტომობილის

რობო მივიღოთ კომპლიმენტი

ადამიანებისთვის სასიამოვნო სიტყვების თქმის ხელოვნებას ყველა ვერ ფლობს. ასევე ძალიან ცოტას შეუძლია ქათინაურის სათანადოდ მიღება. „რა კარგად გამოიყურები“, „რა შესანიშნავი ფეხსაცმელი გაცვია“, „რა ბრწყინვალედ გაართვი თავი საქმეს“, — მსგავსი ფრაზები განწყობილებას აგიმაღლებთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას თქვენთვის კომპლემენტური ადამიანი გეუბნებათ. სამსახურში შექება ხელმძღვანელობის მხრიდან (რომელიც ამ საკითხში სიტყვაძუნწობით გამოირჩევა) ამაღლებს თანამშრომლების შრომისუნარიანობას. თუმცა სშირ-აღ, კომპლიმენტის მოსმენისას, სხარულის ნაცვლად ვიბნევით და არ ვიცით, როგორი პასუხი გაცვეთ.

კომპლიმენტისგან კმაყოფილების მიღებაში ხელს გიშლით რამდენიმე მიზეზი:

- მიგაჩნიათ, რომ არა მარტო შექება დაიმსახურეთ, არამედ ბევრად მეტის ღირსიც ხართ;
- გეჩვენებათ, რომ კომპლიმენტი დაფარული მანიპულაციაა;
- ადამიანი, რომელმაც კომპლიმენტი მოგიძღვნათ, თქვენთვის ძვირფასია;
- გეშინიათ, რომ კომპლიმენტი რაიმე ვალდებულებას დაგაკისრებთ;
- არ გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.



საპასუხო ღამსვლილი მიქანიში

- კომპლიმენტს მაშინვე კომპლიმენტითვე პასუხობთ, რითაც ყურადღება ქათინაურის მთქმელზე გადაგაქვთ;
- საკუთარ დამსახურებას სათანადოდ ვერ აფასებთ და დაბალ შეფასებას აძლევთ: „ამას ყველა შეიძლება“, „არაფერია განსაკუთრებული“, „შემთხვევით გამოვიდა“.
- კომპლიმენტის ეფექტს აუფერულეს საპასუხო რეპლიკა, რომელიც თქვენს შეცდომებსა და ნაკლებ მიუთითებს.

კრატქიკული რჩევები

- იგნორირება არ გაუკეთოთ კომპლიმენტს და საქებას სიტყვებს, არ გაატაროთ ყურს მიღმა; ასევე ზედმეტად არ იამაყოთ, სხვების კეთილგანწყობილება არ ჩათვალთ საკუთარი ცხოვრების უმაღლეს მიღწევად. ზიანი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.
- ზეპირად ისწავლეთ ფრაზა:

„სრული უფლება მაქვს მივიღო კომპლიმენტი. ადამიანი რომელიც მას მიძღვნის, ამას ძალდაუტანებლად და საკუთარი სურვილით აკეთებს. სასიამოვნოა, თუკი სხვებს მოსწონთ ჩემი შესრულებული საქმე ან მოვწონვარ თავად მე“.

- თუნდაც ქება გადაჭარბებული გეჩვენებოდეთ, ის მეორე ადამიანის სუბიექტურ შეხედულებად მიიღეთ. მას უფლება აქვს, ვარდისფერი სათვალით გიყურებდეთ.
- კომპლიმენტზე ადეკვატური რეაქცია არის ფრაზა — „გმადლობთ კომპლიმენტისთვის“ ან „გმადლობთ, რა თავაზიანობაა თქვენი მხრიდან“. ზედმეტად ჩაღრმავება არ არის საჭირო.
- ქათინაურზე მაშინვე ქათინაურითვე ნუ უპასუხებთ, დაელოდეთ შესაფერის შემთხვევას, როცა თქვენი კომპლიმენტი დროული იქნება.
- თუ ძალიან გიჭირთ კომპლიმენტების მიღება, საკუთარ თავთან ბევრი მუშაობა მოგიწევთ თვითშეფასების ასამაღლებლად.

ხელების მოსაბლელად...



• ხელების გაუხეშებულ, გამუქებულ და დახეთქილ კანს სწრაფად მოიყვანს ნესრიგში კარტოფილის ნიღაბი. მოხარშეთ 2 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, დასრისეთ და შეურიეთ ცოტაოდენი რძე. თხელ ფენად წაისვით ზეთი (უმჯობესია, ზეთუნის) და ხელები მომზადებულ პიურეში ჩაანყვეთ. 15 წუთის შემდეგ კი — ჯერ ცივი, შემდეგ თბილი წყლით დაიბანეთ.

• ხელების ძალზე გამომშრალ კანს მოუხდება 1 კვერცხის გულით, 1 ს/კ ზეთუნის ზეთის, 1 ს/კ თაფლით და ლიმონის წვენიტ მომზადებული ნიღაბი. საუკეთესო შედეგის მისაღწევად ხელები ჯერ კარტოფილის ნახარშით დაიბანეთ, რომელშიც ცოტაოდენ ზეთს ჩაუმატებთ, შემდეგ, ნიღაბი წაისვით და ბამბის ქსოვილის ხე-

ლათმანები გაიკეთეთ. 1 საათის შემდეგ, ხელები თბილი წყლით დაიბანეთ და მკვებავი კრემი შეიზილეთ.

• გამაგრებულ და დამსკდარ იდაყვს შველის 1 ჩ/ჭ ფორთოხლის წვენისა და ამავე რაოდენობის ზეთუნის ზეთის აბაზანები. ეს ნახავი თხლად წაისვით იდაყვზე და 5-10 წუთის განმავლობაში, კარგად შეიზილეთ. დარჩენილი სითხე კი შეგიძლიათ მაცივარში შეინახოთ და პროცედურა ყოველდღე გაიმეოროთ.

• ფრჩხილების გასამაგრებლად რეგულარულად უნდა გაიკეთოთ ხელის აბაზანები. 1 ს/კ მარილი კარგად გახსენით 1 ჩ/ჭ თბილ წყალში და თითები მასში 15-20 წუთით ჩაყავით. კარგი იქნება, თუ ერთმანეთს ჩაანაცვლებთ სუფრისა და ზღვის მარილის პროცედურებს.

ნამსხვარი „იპერატორი“



ცოლის მომზადება:

აიღეთ 7 ჭ ფქვილი, 3 ჭ შაქარი, 3 ს/კ თაფლი, 4 ს/კ მანონი, სოდა ძმრით (1 ს/კ), 5 კვერცხის გული, 2 ცალი მარგარინი. მოზილეთ რბილი ცომი, შედგით მაცივარში 30 წთ. შემდეგ გაყავით 3 ნაწილად, ცხიმწასმულ ქალაღზე გააბრტყელეთ და გამოაცხვეთ.

კრემის მომზადება:

1 ცალი მარგარინი ათქვიფეთ კარგად (გათეთრებამდე), დაუმატეთ ვანილი და შედეგებული რძე.

ბეზის მომზადება:

5 კვერცხის ცილა ათქვიფეთ კარგად, დაუმატეთ 3 ჭ შაქარი და 1 კგ გახეხილი ვაშლიანი ბეზე; III ფენას — მოასხით მინაქარი.

ვაშლი. I ფენას წაუსვით კრემი, II ფენას — კვლავ კრემი; მოაყარეთ მინის თხილი და

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქემლენელი თემურ ივანიძე

მტვრიან საქარე მინაზე შექმნილ შედეგებზე არაერთხელ მიხალისია. ამგვარი შემოქმედების რამდენიმე ნიმუში კოლაჟშიც კი შემოვაპარე. ჩემს მინიკოლექციამ უკვდავი „გამრეცხეს“ გვერდით ღირსეული ადგილი დაიკავა: „რაჟდენა, შე ურჩხულო, წამიყვანე მოიკაში!“ და „ფოლკსვაგენზე“ გაკეთებულმა ნარწერამ: „საჩუდამოი, ვ გერმანიუ!“ ამ მცირე კოლექციას ორიოდე დღის წინ ახლობლის ავტომობილზე გაკეთებული ნარწერა დაემატა: „მაშინა ზვერ, შოფერ მოზვერ!“

18. როცა აუარებელი ვალების გამო ერთ არისტოკრატს ქონება გაუყიდეს, ახალგაზრდა კუისარმა მისი ბალიში შეიძინა და მეგობრებს განუცხადა: არ შეიძლება ამ ბალიშის ხელიდან გაშვება, რომელზეც მშვიდად ეძინა ადამიანს, რომელსაც ამოდენა ვალები ჰქონდა.

19. კახეთის აჯანყების მეთაურები — ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები იკორთაში არიან დაკრძალულნი. შაჰმა ისინი ირანში დაიბარა და ყიზილბაშების იმ ტომებს გადასცა დასასჯელად, რომლის მეომრებიც კახელებმა ამოწყვიტეს.


20. რომს ერთხელ შიმშილი დაატყდა თავს. გნეუს პომპეუსმა, რომელსაც ქალაქის სურსათით მომარაგება ჰქონდა დაჯალბებული, საკმაო რაოდენობის ხორბალი მოაგროვა რომის პროვინციებში და ის იყო, გემებზე აფრები უნდა აეშვათ გასამგზავრებლად, რომ სამინელი ქარიშხალი ამოვარდა. მესომალდეებმა უარი თქვეს ზღვაში გასვლაზე. მაშინ პომპეუსი პირველი ავიდა ხომალდზე და შესძახა: „მე ვალდებული ვარ, გავცურო და არა ვარ ვალდებული, ვიცოცხლო!“

21. ერაყში შეჭრამდე ჯორჯ ბუშს ისეთი კაცის გვერდში დგომა ესაჭიროებოდა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მხარდამჭერი სიტყვით გამოვიდოდა და ომის დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ დებატებში ოპონენტთა წინაშე მარტო არ დატოვებდა. ტონი ბლერში ბუშმა სწორედ ასეთი ადამიანი დაინახა. ბლერი ის მოკავშირე იყო, ვინც არ დაუშვებდა საკითხის უთავბოლოდ გაჭიანურებას და იტყოდა: მორჩა, დასრულდა ლაპარაკი, დროა, ვიმოქმედოთ! გეროში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ ბუშმა ტონი ბლერის თანაშემწეს უთხრა, — როგორც ჩანს, შენს ბოსს აქვს „კახონე“-ო. პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ვერ გაიგო ბუშის ნათქვამი, მაგრამ მოგვიანებით, ესპანურის მცოდნე კოლეგებმა გადაუთარგმნეს, — ეგ სიტყვა ესპანურად „ყვ...ბს“ ნიშნავს.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიჯიშვილი

სმაური ყურებში



არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს ანუხებს ყურებში სმაურის შეგრძნება, რომელიც არის არა დავადება, არამედ რომელიმე დაავადების (რომელთა ნუსხაც საკმაოდ დიდია) სიმპტომი. სანამ ამ პრობლემის შესახებ საუბარს დავიწყებთ, გეტყვით, რომ ყურებში სმაურის შეგრძნებისგან აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა სმენითი ჰალუცინაცია. ის ხშირად

ფსიქიკურ პრობლემებს უკავშირდება, თუმცა ზოგჯერ ზოგიერთი ნევითიერებით ინტოქსიკაციის ანუ მონამვლის შედეგად აღმოცენდება და ასეთ დროს მონამვლის სხვა ნიშნებიც იჩენს თავს.

რაც შეეხება ყურებში სმაურს, ამ ტერმინში იგულისხმება ყურებში (ან თავში) მონოტონური ხმის შეგრძნება, მაშინ, როცა გარემოში ამის გამომწვევი (ბგერის წყარო) არ არსებობს. ხმა სხვადასხვა ინტენსივობის შეიძლება იყოს. განსხვავებულია სმაურის სახეობაც — შეიძლება გესმოდეთ: შრიალი, ზარის ხმა, წივილი, ხრილი, ზუზუნის, გუგუნის, წვიმის მსგავსი ხმა და სხვა. სმენითი ჰალუცინაციების დროს კი პაციენტს ესმის რთული ხმები, როგორებიცაა: ზარების რეკა, ექვანის ხმა, მელოდია ან ხმები, რომელსაც ვერ ასხვავებს რეალურისგან.

ფაქტორი, პულსირებადი ხასიათის სმაური ყურებში

გარდა სმაურის, ზუზუნის, შუილის ან სხვა ხმებისა, ყურებში სმაური ზოგჯერ შეიძლება განსხვავებულად გამოვლინდეს, კერძოდ — პაციენტს ანუხებდეს გულისცემის ხმა, რომელიც ზუსტად ემთხვევა ადამიანის პულსს. ეს საკუთარი გულისცემის შეგრძნებაა. ყურებში ასეთი სმაური ადამიანთა დიდი ნაწილისთვისაა ნაცნობი, თითქმის ყველას გამოუცდია ფიზიკური ვარჯიშის ან სხვა დატვირთვისა თუ ძლიერი აღელვების დროს, მაგრამ მცირე ნაწილს ის მუდმივად ანუხებს. გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია. საკუთარი გულისცემის ხმის შეგრძნება ჩვეულებრივ გამომწვეულია სისხლის ნაკადის სიჩქარის პათოლოგიურ გაზრდასთან, ყურთან ახლოს მდებარე სისხლძარღვებში, რაც რიგ შემთხვევებში არ უკავშირდება

დაავადებას, ზოგჯერ კი ათეროსკლეროზის ან სიმსივნის მაჩვენებელია.

სისხლის ნაკადის სიჩქარე იზრდება ორსულობის, ანემიის, თირეოტიკოსიკოზის ანუ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერების, მაღალი ტემპერატურის დროს. გარდა ამისა, ამ ტიპის სმაურს იწვევს ათეროსკლეროზი, არტერიული წნევის მომატება, კაპილარების ანომალიები.

როდისაა აუხილავალი აქიბთან გააუაღავალი ვიზიტი

საბედნიეროდ, ყურებში სმაურის შეგრძნების გამომწვევ დაავადებათა დიდი ნაწილი კეთილთვისებიანია. შესაბამისად, ყურებში სმაურის უმეტეს შემთხვევებში არ გახლავთ რაიმე მწვავე პათოლოგიით გამოწვეული. მიუხედავად ამისა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ ყურებში სმაური ახალაღმოცენებულია, საჭიროა, ერთხელ მაინც მივმართოთ ექიმს მიზეზის დასადგენად.

სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ექიმის კონსულტაცია აუცილებელია, კერძოდ:

* თუ ყურებში სმაური თავის ტრავმის (დარტყმა, სატრანსპორტო შემთხვევა და ა.შ.) შედეგად გაჩნდა;

* თუ ამ შეგრძნებას ახლავს თქვენთვის გაუგებარი მიზეზით გამოწვეული სხვა სიმპტომებიც — თავბრუსხვევა, წონასწორობის დარღვევა, გულისრევა, ლებინება;

* თუ ყურებში სმაური გაჩნდა, მით უმეტეს, როცა ეს სიმპტომი ცალმხრივია, ანუ — მხოლოდ ერთ ყურში აღინიშნება;

* თუ ამ მოვლენას სმენის დაკარგ-

ვაც ერთვის;

* თუ თან დაერთო ცნობიერების შეცვლა, მოძრაობის (კიდურების გაშლა-მოხრის) ან მეტყველების გაძნელება: ამ დროს არ არის გამორიცხული თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა (ინსულტი);

* თუ ყურებში სმაური ორსულს განუვითარდა: არ არის გამორიცხული, ამის მიზეზი — ტოქსიკოზი ან წნევის მერყეობა იყოს;

* თუ უეცრად ვითარდება პულსირებადი ანუ მფეთქავი ხასიათის სმაური, რაც ხშირია არტერიული წნევის უეცარი მკვეთრი მომატებისას; ასეთი სმაური შეიძლება, ანევრიზმის (სისხლძარღვის კედლის პარკისებური გამოდრეკის) დროსაც განვითარდეს.

ყურებში სმაური უფრო ხშირია 40 წლის შემდეგ და მნიშვნელოვნად მატულობს 70 წლის ზემოთ. სიმპტომი უპირატესად მამაკაცებში გვხვდება.

ყურებში სმაურის ძირითადი მიზეზები

ყურებში სმაურის შეგრძნების ყველაზე ხშირი მიზეზია ყურის სხვადასხვა დაავადება. ამის გარდა, სმაურის შეგრძნება შეიძლება გამოიწვიოს ალკოჰოლმა, კოფეინმა, სხვადასხვა მედიკამენტმა, ტყვიით, დარიშხანით, ვერცხლისწყლით ინტოქსიკაციამ (მონამვლამ), არტერიული წნევის მომატებამ, ათეროსკლეროზმა, ალერგიამ, ანემიამ, თირეოტიკოსიკოზმა, ცხელბამ, კისრის მალების ოსტეოქონდროზმა, ნევროზმა და სხვა პათოლოგიებმა. აღსანიშნავია, რომ ყურებში სმაური შეიძლება, ისეთი სერიოზული პათოლოგიის ნიშანი იყოს, როგორიცაა ტვინის სიმსივნე ან ანევრიზმა.

ყურებში სმაური და არტერიული ჰიპერტენზია

არტერიული ჰიპერტენზიის დროს სმაური ყურებში ძალიან ხშირად, მოპულსირება. ჩვეულებრივ, მას თან ახლავს თავის ტკივილი, უსიამოვნო შეგრძნება ან ტკივილი გულის არეში და, რაც მთავარია, არტერიული წნევის მომატება, რასაც იოლად დავადგენთ წნევის გაზომვის შედეგად.

ყურებში სმაურის შესამსუბუქებლად საჭიროა წნევის ნორმალურ დონემდე დაქვეითება. არტერიული ჰიპერტენზია, გარდა იმისა, რომ ყურებში სმაურის გამომწვევი დამოუკიდებელი მიზეზია, მნიშვნელოვნად ზრდის სხვა დაავადებებით გამოწვეული სმაურის ინტენსივობასაც, ამიტომ პაციენტებმა სისტემატურად უნდა აკონტროლონ არტერიული წნევა და მისი მომატების შემთხვევაში მიმართონ ექიმს, თავიდან აიცილონ ყველა იმ ფაქ-



ტორის ზემოქმედება, რაც ჰიპერტენზიას უწყობს ხელს სტრესი, ალკოჰოლი, კოფეინი, სხეულის ჭარბი წონა, მარილის ჭარბი მიღება.

საგულისხმოა, რომ ყურებში ხმაურს ინვეს როგორც მაღალი, ასევე დაბალი არტერიული წნევა ანუ არტერიული პიპოტენზია. განსაკუთრებით ძლიერდება ხმაური არტერიული წნევის მერყეობისას მკვეთრი ანევის ან დაქვეითების დროს.

ყურებში ხმაური და ათეროსკლეროზი

ყურებში ხმაურის მიზეზი ათეროსკლეროზიც შეიძლება იყოს. ის არტერიებში ქოლესტერინის შემცველი, ე.წ. ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას ინვეს, რაც ავინროებს სისხლძარღვს და აფერხებს სისხლის მიმოქცევას. როცა ასეთი ფოლაქები თავის ტვინის არტერიებში ჩნდება, ირღვევა, უფრო ზუსტად კი — მცირდება არტერიული ანუ ჟანგბადით გამდიდრებული სისხლის მიწოდება თავის ტვინის, სასმენი ნერვებისა და ნერვული დაბოლოებების — რეცეპტორებისათვის. შედეგად, ყურებში ხმაური და თავბრუსხვევა ვითარდება. ამ დროს, როგორც წესი, საქმე გვაქვს ათეროსკლეროზული პროცესისათვის დამახასიათებელ ზოგად ცვლილებებთან: უპირატესად სისტოლურ (როგორც პაციენტები უწოდებენ, ზედა) არტერიული წნევის მომატებასთან, ქვემო კიდურების არტერიების ათეროსკლეროზულ დაზიანებასთან, ქოლესტერინის შემცველობის მატებასთან (რაც ლაბორატორიული კვლევით ვლინდება).

ყურებში ხმაური და გულის უკმარისობა

თუ არტერიულმა ჰიპერტენზიამ, ათეროსკლეროზმა ან ნებისმიერმა სხვა კარდიოლოგიურმა დაავადებამ გულის უკმარისობა გამოიწვია, ყურებში ხმაური გაძლიერდება, რაც თავის ტვინისა და სასმენი აპარატისათვის სისხლის მიწოდების დაქვეითებით აიხსნება. როცა ყურებში ხმაური გულის უკმარისობის შედეგია, თავს იჩენს შემდეგი სიმპტომები: იოლად დაღლა, შრომის უნარის დაქვეითება, ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას, ქვემო კიდურების შეშუპება. გულის უკმარისობის გამო აღმოცენებული ხმაური მნიშვნელოვნად ძლიერდება ფიზიკური დატვირთვისას.

ყურებში პულსირებადი, მფეთქავი ხმა აორტის ნაკლოვანებამ გულის მანკის ერთ-ერთმა სახემ შეიძლება გამოიწვიოს. როგორც წესი, ამ სიმპტომს უპრობლემოდ ადგენს თერაპევტი; შემდგომი დიაგნოსტიკაც რთუ-

ლი არ არის. ექოკარდიოსკოპია ანუ გულის ექოსკოპიური გამოკვლევა, გულის მანკის დიაგნოზის დადგენას უზრუნველყოფს.

ყურებში ხმაური და ფილიპაინეზი

ყურებში ხმაური შეიძლება, ფართოდ გავრცელებულმა მედიკამენტებმა გამოიწვიოს, კერძოდ — ზოგიერთი წამლის დოზის გადაჭარბებით მიღებამ. ასეთი პრეპარატებია: ასპირინი, სტრეპტომიცინი, გენტამიცინი და სხვა. სამწუხაროდ, იმ მედიკამენტების რაოდენობა, რომლებმაც ყურებში ხმაური შეიძლება გამოიწვიოს, მცირე არ არის და ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია, ამიტომ უმჯობესია, ხელი ავიდოთ თვითმკურნალობაზე და ნებისმიერი წამლის მიღებისას ექიმს ვვითხოთ რჩევა.

ყურებში ხმაური და ოსტეოქონდროზი

ხერხემლის, განსაკუთრებით — კისრის მალეების ოსტეოქონდროზი შეიძლება, ყურებში ხმაურის მიზეზი გახდეს. ეს პათოლოგიური პროცესი ინვეს სპაზმს ხერხემლის კისრის ნაწილის ვინრო არხებში გამავალი ხერხემლის არტერიებში ან ამ არტერიებზე ზეწოლას. შედეგად ვესტიბულურ სისტემას ნაკლები მიეწოდება; აღმოცენდება ხმაური ყურებში, რასაც ერთვის: თავბრუსხვევა, ტკივილი, დაძაბვა და დისკომფორტი კისერში, კეფის ქვედა ნაწილში, საფეთქლებში, ადვილად დაღლა და ასე შემდეგ.

ზოგჯერ ყურებში ხმაური საფეთქელ-ქვედაყბის სახსრის ან მიმდებარე კუნთების პათოლოგიასთან არის დაკავშირებული. ამ დროს ხმაური ტკაცუნის მსგავსია. ასეთ შემთხვევაში, სამკურნალოდ ყბა-სახის ქირურგს უნდა მივმართოთ.

ყურებში ხმაური და ნეპროზი

სტრესი ან ნევროზი — ყურებში ხმაურის ერთ-ერთი მიზეზია. ნევროზი, დეპრესია ან უბრალოდ გადაღლა შეიძლება, პრაქტიკულად ნებისმიერი დაავადების იმიტაციას ახდენდეს. არცთუ იშვიათად, მათი ერთადერთი გამოვ-

ლინება შეიძლება ყურებში ხმაური და თავბრუსხვევა იყოს. ასეთ შემთხვევებში დიაგნოსტიკა ყურის ან ნერვული სისტემის დაავადებებით (თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ტრავმა, სიმსივნე) გამოცხველი ხმაურის გამორიცხვით იწყება. ნევროზის დროს პაციენტი ზედმეტად არის კონცენტრირებული საკუთარ ჩივილებზე; შეინიშნება შრომის უნარის, გუნება-განწყობილების მნიშვნელოვანი დაქვეითება, რისი მიზეზიც გამოკვლევებით არ დგინდება. ამავე დროს, ნევროზი და სტრესი მნიშვნელოვნად აძლიერებს სხვა მიზეზებით (ყურის ან ნერვული სისტემის დაავადებებით) განპირობებულ ხმაურს ყურებში.

მკურნალობის ძირითადი ხერხების შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში მოგიტხრობთ

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გასურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ყურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თავაზური წიგნები

ყურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად წიგნი №3

სარიის მომთავერო თავაზი:

- №4 ყვალაფარი ათარგოის შესახებ
- №5 ყვალაფარი სტანოკარდიისა და ინფარქტის შესახებ
- №6 ყვალაფარი ჰეპატიტის შესახებ



ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

* * *

მე ის პატარა ნაქადელი ვარ,
შენ რომ ამღვრევ და ათრთოლებ,
შენ რომ ცრემლები

სხვას გააყოლე,

მე ის პატარა ნაქადელი ვარ!
მე ის პატარა სიყვარული ვარ,
რატომღაც შენ რომ აღარ ახსენებ,
შენ რომ არასდროს

არ მოგასვენებს,

მე ის პატარა სიყვარული ვარ!



მორის ფოცხიშვილი



სახსოვარი

შოთა რუსთაველი

„ბინდის გვარია სოფელი, უფრო და უფრო
ბინდების“.

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან
უფრო მტერია“.

„რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!“

„სჯობს უყოლობა კაცისა მომღურავისა ყოლასა“.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაბითი ლექსიკონის

ერთომეულის მიხედვით

შემდგენილი თეატრ ივანია

კ

დასაწყისი იხ. „გზა“;

№2-52, 2010 — №1-16, 2011

კრტა — ჩიქნა, გახილა (ფრინველისა).

კრუშკრუში — კრუხის ხმიანობა.

კრჩხა — 1. (ძვ.) — სორცის საკიდარი
კაპუბიანი; 2. იგივეა, რაც ჩხა (ვაზის
აჭრილი ტოტი მტევნებიანად).

კუბაჩი — კუდუსუნის სორცი საქონ-
ლისა.

კუბერა — შურეულის თავთავის ერ-
თი შტო.

კუბოკრული — უჯრედებიანი, ოთხკუ-
თხედებიანი; ოთხკუთხედების სახით
ნაკეთები (ნახატი, ნაქსოვი, ნაქარგი).

კუდბანარა — ბანარივით გაგრძელე-
ბული მწკრივი.

კუდვარდა — 1. ბირკის მსგავსი
სარეველა მცენარე ერთგვარი; 2.
საქონელი, რომელსაც კუდის ბოლო
თეთრი აქვს.

კუდმოზვერა (ძვ.) — თევზის საჭერი
გოდორი ერთგვარი (საბა).

კუდრაჭა (საუბ.) — ალერსით ითქმის
(ცელქ, მოუსვენარ, ეშმაკ გოგონაზე).

კუბაკუზაობა — ერთგვარი თამაშობა
— ერთი მოთამაშეთაგანი დაიკუზე-
ბა, მეორე მას თავზე გადაახტება.

კუთავს — 1. ნელა კენესის, კრუსუნებს;
2. ჭახჭახებს (შაშვი).

კუთრი — კუთრი ნონა — სხეულის
ნონის შეფარდება იმავე მოცულობის
წყლის ნონასთან.

კუტი — 1. (საუბ.) დედოფალა, თოჯინა;
2. (ძვ.) უკანალი, საჯდომი (ცხოველისა).
ძალი კუკზე იჯდა.

კუცილი — კუკზე ჯდომა.

კუცნა — 1. კუკზე ჯდომა, ჩაცუცქება;
2. ძალიან პატარა, ერთი ციცქნა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხილიტა დედოფალი

დასაწყისი 06. „გზა“ №48-52, 2010 - №1-16, 2011

ლევანის დანახვისას, პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ აქ თავისი საქმის გამო მოხვდა — არასრულწლოვან მეძავთან ლამის გასატარებლად — და სამინლად ვიქევიანე. ისე მოვიმართე, მზად ვიყავი, დაგტაკებოდი და თვალები ამომეკორტნა.

— მარგო, შეგიძლია, გარეთ გამოხვიდე? — მშვიდი ხმით მკითხა.

მზერა მისგან ლიზიზე გადავიტანე.

— ლიზი, მოვილაპარაკეთ, ხომ?

— დიახ, მოვილაპარაკეთ, მაგრამ სად გნახოთ?

— მე თვითონ მოგაკითხავ, ნავედი. ლაშა, ეგ შენი ნათლული ნაიყვანე, აქ ალარ დატოვო და თუ გინდა, მანქანაში დამელოდე, — თვალით ვანიშნე, ქვევით ჩასულიყო.

— არა, ნუ დაელოდებით, მარგოს მე ნაიყვან, — ლევანმა გზა დამითმო.

კიბეზე ჩამავალს ზურგს უკან მისი ფეხის ხმა მესმოდა და ვცდილობდი გამომეცნო, გაბრაზებული იყო თუ არა. მივხვდი, რომ მე გამომყვა და აქ ამიტომ მოხვდა. ღმერთმა იცის, რა იფიქრა და დავარწმუნებდი თუ არა იმაში, რომ არავითარი ცუდი განზრახვით არ მოვსულვარ. თუმცა, ნამდვილ მიზეზსაც, რა თქმა უნდა, ვერ გავამხელდი. ამიტომ, სასწრაფოდ რაღაც უნდა მომეფიქრებინა. გეზი პირდაპირ მისი მანქანისკენ ავიღე, კარი გამოვაღე და წინა სავარძელზე მოვთავსდი. როგორც კი ლევანი საქმეს მიუჯდა და გასაღები გადაატრიალა, მაშინვე შევუტიე.

— კი, მაგრამ რა უფლება გაქვს, უკან რომ დამდეგ?

— შენ მითხარი, რომ სამსახურში რჩებოდი, რადგან ბევრი სამუშაო გქონდა, — აუღელვებლად ლაპარა-

კობდა. გაბრაზება არ ეტყობოდა, თუ არ ჩავთვლით საფეთქელთან გამობერილ ძარღვს, რომელიც გამალებით ფეთქავდა.

მივხვდი, რომ თავს იკავებდა.
— აუცილებელი არაა, ყველა წვრილმანი შეგითანხმო, — უკან დახევას არ ვაპირებდი.

— მარგო, შენ ამას წვრილმანს ეძახი? მატყუებ, სამუშაოს იმიზეზებ, კაბინეტში რჩები და 10 წუთში ლამის კლუბში მიდიხარ... თან მამაკაცი გახლავს, რომელიც მეძავს ქირაობს, ნომერში აჰყავს და შენც ცოტა ხანში მათ უერთდები. ეს თუ წვრილმანია, მაშ, „მსხვილმანი“ რაღაა?

— სათქმელი რომ ყოფილიყო, აუცილებლად გეტყვოდი. მაშასადამე, გამოდის, რომ შენ არ უნდა გცოდნოდა, სად მივდიოდი და ამიტომაც არ გითხარი. აუცილებელი არაა, ყველა ნაბიჯი შეგითანხმო. შენ კი თავზე დამადექი და საქმე, რისთვისაც იქ მივედი, ბოლომდე არ მიმაცვანინე.

— მაინტერესებს, რა საქმე იყო, — ჯერ კიდევ თავს ერეოდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ სადაცაა, ნერვები უმტყუნებდა და ჭქვა-ქუხილივით დამაბტყდებოდა თავს მისი რისხვა.

ამასობაში მასთან, შინ მივედი.

მანქანიდან გადმოვედი თუ არა, ეზოშივე განვაგრძე საუბარი. სახლისკენ მიმავალ ლევანს უკან მივდევი.

— პატარა ბავშვივით მექცევი და ცხვირს იმაში ყოფ, რაც შენი საქმე არაა, — ამ სიტყვებს რომ ვამბობდი, თან კარს ვხურავდი. საიმედოდ ჩაკვეტე და შემოვბრუნდი. ამ დროს თვალებში გამინათდა. მეგონა, რომ გონი დავკარგე. ნავებარბაცდი და კედელს მივეყუდე, მერე ნელ-ნელა ჩავცურდი და იატაკზე დაჯვჯექი.

რამდენიმე წამი დამჭირდა იმის გასაცნობიერებლად, თუ რა მოხდა. ლოყა სამინლად მენვოდა და ცხვირიდან სისხლი მომდიოდა, რომელიც ჩემს გამზოლი ფეხებს შუა, იატაკზე ენვეთებოდა. ლევანმა ისეთი ძალით გამარტყა სახეში, რომ კარგა ხანს თავბრუ მეხვეოდა. თავი რომ ავნიე, ლევანი იქ აღარ დამხვდა. მისი ხმა სამზარეულოდან ისმოდა — ვილაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა. ყურები დაგუბებული მქონდა და სიტყვე-

ბი ვერ გავარჩიე, მაგრამ ტონით მივხვდი, რომ თავის შვილს ებაასებოდა და კარგ გუნებაზეც ჩანდა.

სიბრაზისგან ლამის გავმწვანდი. სახეზე სისხლი მომანვა და კბილები გავაკრაჭუნე. ნამოვდექი და გარეთ გავედი. არ გამომიკიდებია. ტაქსი დავიჭირე და ლალის მისამართი ვუთხარი. გუნებაში შურისძიების გეგმას ვანწყობდი. არც მახსოვდა, ასეთი გამწარეული ოდესმე თუ ვიყავი და პატიებას არ ვაპირებდი.

ლალიმ რომ შემომხედა, მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. ყველაფერი გულახდილად მოუუყვი. მომეფერა, დამიყვავა, ჩამიხუტა.

— ტყუილად ფიქრობ შურისძიებაზე, ეგ კაცი არ მოგეშვება. ეს ყველაფერი ეჭვიანობის ნიადაგზე გააყეთა. კაცი ჭკუიდან გადადგა ალბათ, როცა კლუბში მისული დაგინახა. არ ვამტყუნებ... ნუ, იმას არ ვამბობ, რომ ხელი უნდა გაერთყა, მაგრამ მის ადგილზე მეც ცუდი რეაქცია მექნებოდა. თან, იმის ნაცვლად, რომ დაგემშვიდებინა და სიტუაცია განგემუხტა, ცეცხლზე ნავთი დაასხი, შენი საქმე არააო, შეუტყე... აბა, ვისი საქმეა? ასეთ რამეს არ ეუბნებიან იმ კაცს, ვისთანაც ასეთი ურთიერთობა აქვთ.

— ეჰ, ლალი, შენც მის მხარეზე ხარ? — ამოვიოხრე.

— მე იმას ვამბობ, რაც სიმართლეა.

— აღარ მინდა მასთან ურთიერთობა...

— მოგიწევს. ეგ კაცი ასე იოლად არ დაგთმობს... აი, ნახავ, შესაძლოა, ცოტა ხანში აქ მოგვადგეს და ნაგიყვანოს.

— არ მოვა. მისი სახლიდან ისე ნამოვდედი, არც კი დაინტერესდა, როგორ ვიყავი.

— ეგ არაფერი. გაბრაზებული იყო და იმიტომ. გაუვლის გაბრაზება და ნახავ, როგორ თბილად მოგექცევა...

ამ დროს კარზე ზარი გაისმა. ცოტა ხანში ლალი უზარმაზარი თაიგულით ხელში დაბრუნდა.

— არ მითხრა ახლა, რომ ეს „ცოცხი“ ლევანმა გამოგზავნა, — ამრეზით შევხედე თაიგულს.

— დიახ, ნამდვილად ლევანმა გამოგზავნა.



— თვითონ სადაა? გავუკეთებდი მაგ „ცოცხს“ ერთ ადგილზე და გავაბრუნებდი უკან. რატომ დაიტოვე?

— სხვამ მოიტანა.

ხელი ჩავიქინე და დასაძინებლად წავედი. დილით, თათბირზე ყვავილების თაიგულით გამოცეხადდი. ჩემმა გამოჩენამ საერთო მხიარულება გამოიწვია. მარტო ლევანი არ ილიმოდა. თათბირი რომ დამთავრდა, მარტო მე დავრჩი, გასვლისას კი თაიგული კარის სახელურში, გავარჯვე და იქაურობა უკანმოუხედავად დავტოვე.

ლევანი მთელი დღე არ გამოჩენილა. საღამოს თავისთან მიხმო.

— დავალბა უნდა მომცე? — შუბლშეკრულმა ვკითხე.

— არა, სალაპარაკო მაქვს, — ხელით სკამზე მანიშნა.

— პირად საკითხებზე შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, მხოლოდ საქმეზე შეგვიძლია საუბარი. არ ვაპირებ შენს ხუმტურებზე სიარულს, არც გუშინდელი საქციელის პატივებს და ასეთ „ცოცხებს“ ნულარ გამომიგზავნი, — ფანჯრის რაფაზე დადებულ თაიგულზე მივანიშნე, — ჯერ ერთი, უნდა იცოდე, რომ ყვავილებს ვერ ვიტან, სუნზეც კი გული მერევა და მეორეც — „დედის შენისას“ რომ მიირთმევი, მის მონელებას ყვავილები არ შევლის — არც არაფერი შევლი. არ გეგონოს, რომ საჩუქარი დავინუნე. რაც უნდა გააკეთო ახლა, აღარაფერს აქვს ფასი. ხელის გარტყამდე რომ მივა საქმე, იქ ყველაფერი დამთავრებულია. შენ თუ ნერვები ასე გაქვს გაფუჭებული, კეთილი ინებე და იმკურნალე. არა ვარ ვალდებული, შენი „ვიხოდეები“ ავიტანო ან შენი კონტროლი და ნაბიჯის გადადგმის უფლება არ მქონდეს.

— მარგო, შენ პატარა, ჩურჩული ბავშვი ხარ, შეიძლება, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. ამიტომ მინდა, რომ ყველა ნაბიჯი შემითანხმო.

— ჩურჩული ბავშვი ვარ, არა?! — ხმამალა გადავიხარხარე, — თანამდებობა, რომელიც შენ მიბოძე, ეტყობა, ბალის უფროსი ჯგუფის ბავშვებისათვისაა გათვალისწინებული. თუ ასე მიგაჩნია, მაშინ რატომ შემომარგვევინე ცხვირი ამ სისტემაში? რატომ მავალბებთ ისეთ საქმეებს, რაც „პატარა გოგონებს“ არ შეეფერებათ? კაცის „გაფუჭება“ თუ ჩემი საქმეა და შემიძლია, სხვა დანარჩენი ჩემი საქმე არაა?

— მარგო... — რალაცის თქმას კიდევ აპირებდა ლევანი, მაგრამ ამ დროს სანდრომ შემოალო კარი.

— უჰ, უკაცრავად, — თქვა და უკან გაბრუნება დააპირა.

— შემოდი, სანდრო, შემოდი, ხელს არ შეგვიშლი.

სანდრო ჩემ პირდაპირ დაჯდა, სიმამრი მოიკითხა...

— მე წავედი, — ვთქვი და არც დავლოდებოვარ, ლევანი რას მეტყოდა, ისე გამოვედი ოთახიდან.

— მარგო, სახლში ხომ არ მიდიხარ? — სანდროს ხმა კართან წამომეწია.

— ჯერ არა, — მოვტრიალდი.

— შემოვალ შენთან, საქმე მაქვს.

თავი დავუქნიე. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე სანდრო ჩემთვის მოიცლიდა. დაძაბული ვიყავი. დერეფანში ფეხის ხმას რომ გავიგონებდი, გული ამიფართხალდებოდა ხოლმე. თითქოს პირველად უნდა მენახა ან რაიმე მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო, ისე განვიცდიდი. როგორც იქნა, დაადგა საშველი და ღიმილით დამადგა თავზე.

— ფისუნიავ, განხეთქილება შენსა და ლევანს შორის?

— არა, საიდან მოიტანე?

— რომ შემოვიდი, აშკარად კამათობდით, იმას კიდევ, ისეთი დამყავებული სიფათი აქვს, ეჭვი არ მეპარება, თქვენ შორის შავმა კატამ გაირბინა.

— რა გინდოდა ჩემთან? რა საქმე გქონდა?

— ერთი ადამიანი მინდა გაგაცნო — საჭირო კაცია.

— ვინაა ეგ „საჭირო კაცი“? ან მე რაში მჭირდება?

— იმას სურს შენი გაცნობა.

— წინასწარ არ მეტყვი, ვინაა?

— არა. ადე, წავიდე და გაიგებ.

— ლევანი ჩააყენე საქმის კურსში? მაგისტრის შეხვედი, რომ ჩემი გამოშვების ნებართვა მოეცა? — ირონიულად ჩავიცინე.

— კი, იცის. წინააღმდეგი არაა, ჩემთან ერთად რომ წამოხვიდე.

— კარგი, — უცებ მივიღე გადაწყვეტილება, წამოვდექი, ჩანთას ხელი წამოვავლე და პირველმა დავტოვე ოთახი.

ხმას არ ვიღებდი. სანდროს პროფილს ვუყურებდი და მომწონდა, მანქანას როგორ მართავდა. თბილისს რომ გავცდი, სიჩუმე მაშინ დავარღვიე და ვკითხე, სად მივიღვივართ-მეთქი?

— რა იყო, არ მენდობი? — გაიცინა და ისე შემომხედა, რომ თვალებით გამაშიშვლა.

— გენდობი, მაგრამ რალაც ხომ უნდა მეთქვა?

— სალაპარაკო არაფერი გვაქვს მაგის გარდა? ასე თუ ფიქრობ, წასულია ჩვენი საქმე და ეგაა.

— ისედაც წასულია და ასედაც, — დანანებით ვთქვი.

— რას გულისხმობ?

— სამსახურს, ჩვენს სამსახურს, — დავაზუსტე და წელანდელი სინანულის ნამდვილი მიზეზი დავმაღე.

დუშეთის გზაზე, ერთ-ერთ რესტორანს მივაღვეით. ოთახში, სადაც შევედით, სუფრასთან მამაკაცი იჯდა. ჩვენს გამოჩენას ოვაციებით შეხვდნენ. სუფრასთან მიგვიწვიეს. ყველას თვალი მოვაველე და ერთ-ერთ მათგანში ის კაცი ამოვიცანი, რომელიც ღიზისთან დადიოდა კლუბში. VIP-პერსონა, რომელსაც კუდში დავდევი, აქვე იყო, ერთი ხელის განვდენაზე. ცოტა შევშფოთდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ვფიქრობდი, ღიზიმ ხომ არ გაუმხილა, მის წინააღმდეგ რაც გვაქვს ჩაფიქრებული-მეთქი?! მართალია, საგანგაშო არაფერი შემომჩნევია, მაგრამ სიფრთხილე საჭირო იყო.

— ესაა ის გოგონა, ჩვენს საქმეს ასე კარგად რომ დაადგა თავი? — „ვიპი“ წამოვდე და ახლოს მოვიდა. ხელი გამომინოდა. მარჯვენა შევავებე. — სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მიხარია, რომ ასეთი პერსპექტიული ახალგაზრდა თაობა მოდის.

— რას გულისხმობთ? რომელ საქმეზე ლაპარაკობთ? — გავიკვირვე, ვითომ აზრზეც არ ვიყავი, რაზე ლაპარაკობდნენ.

— მიშას დაჭერის ამბავს ვგულისხმობ, დიდი ხანია, ხელსაყრელ მომენტს ველოდებოდით, რომ მისთვის ბოლო მოგვედო და მაგ გაბლენძილი „ტომარასთვის“ ჭკუა გვესწავლებინა, მაგრამ ვერა და ვერ ვახერხებდით. როგორც კი საქმეში შენ ჩაერთე, მაშინვე ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც საჭირო იყო.

— გამადლობ, ამდენ ქებას არ ვიმსახურებ, — დავიმორცხე.

არადა, ის რომ სცოდნოდა, რა იყო ჩაფიქრებული მის წინააღმდეგ, ალბათ აქვე გამაფრთხოებინებდა სულს.

ხასიათი გამიფუჭდა. ვუყურებდი ძლიერთა ამა ქვეყნისა და გულისრევის შეგრძნება მქონდა. ეს ადამიანები, რომლებიც ახლა სუფრასთან ისხდნენ და ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდნენ, სიბინძურეში იყვნენ ამოსვრილები და თავი კვი ბიჭებად მოჰქონდათ. პრეზიდენტის სადღეგრძელო ფეხზე წამოდგომით დალიეს — ჩვენს ჭალარა „მამას“, ედუარდს გაუმარჯოსო, თქვეს და ჭიქები ბოლომდე დაცალეს. სამშობლოს სადღეგრძელოს რომ ამბობდნენ, გარეთ გავედი და რომ მივხვდი, უკვე სხვა თემაზე იქნებოდნენ გადასული, მერეღა შევბრუნდი უკან.



რამდენიმე წიქა დავლიე, რომ ცოტა გუნება გამოიკეთებოდა. ნელ-ნელა სასმელმა ძარღვებში დამიარა. ფერთი-ილობდი, არ გავთამამებულყავი და პირში არ მიმეხალა ის, რასაც მათზე ვფიქრობდი. ზრდილობის გულისთვისაც კი არ ვიცინოდი მათ ხუმრობებზე და ვგრძნობდი, რომ გამოკეთების ნაცვლად, გუნება უფრო და უფრო მიფუჭდებოდა. ბოლოს, ვეღარ მოვიტყინე და სანდროს ვთხოვე, ცუდად ვარ და შინ წამიყვანე-მეთქი.

სანდრომ მოუბოდიშა სუფრის წევრებს, წელზე ხელი მომხვია და მანქანამდე ისე მიმიყვანა. კარი გამოალო და ფრთხილად დაჯექიო, მითხრა.

თავი გაცილებით უკეთ ვიგრძენი. როგორც ჩანს, სუფთა ჰაერმა იმოქმედა. სანდროს მადლიერი თვალებით შევხედე. შესაძლოა, წვიმამაც იმოქმედა ასე — კოკისპირულად წვიმდა და სანამ მანქანამდე მივედი, გვარიანად დავსველდი.

— ლუმელი ხომ არ ჩაერთო? გცივა? — მზრუნველად მკითხა.

— არა, მცხელოდა და ძლივს გავგრძობდი, — თავი სავარძლის საზურგეს მივაყრდენი და თვალები დავხუჭე.

სანდრომ ლილავს თითი დააჭირა და ჩემს მხარეს ფანჯარა ბოლომდე ასწია.

— გაცივდები, მერე რა, რომ ზაფხულია, — ხელით თმაზე შემეხო.

თავი მივაბრუნე და ხელისგულზე ვაკოცე.

რალაცნაირად გაელიმა. ხელი კისერს ჩამოაყოლა და მკერდში ჩამიცურა. თვალები მივლულე და სიამოვნებისგან გავინაბე. მისი ხელი უფრო და უფრო „თამამდებოდა“ და ცეცხლს მიკიდებდა. როდესაც მიხვდა, წინააღმდეგობის განწევას არ ვაპირებდი, მანქანა გზიდან გადაიყვანა და გააჩერა. კარგა ხანს მკოცნიდა და მეფერებოდა... ტკბილად მეჩურჩულებოდა და ეს ყველაფერი ისე მომწონდა, რომ თავი სამოთხეში მეგონა. უეცრად, სანდრომ ხელი გამიშვა, მანქანიდან გადავიდა და ჩემი მხრიდან შემოუარა. კარი გამოალო, ხელი ჩამჭიდა და გარეთ გადამიყვანა. გახურებულ სახესა და მკერდზე წვიმის წვეთები სასიამოვნოდ მეღვრებოდა და მაგრილებდა. სანდრო წინ დამიდგა, ზურგით მანქანის დახურულ კარზე მიმყრდნო და ჩამეხუტა. კოცნით დამიფარა სახე, მკერდი... ბლუზა ჩამისხნა და წელს ზემოთ გამაშისვლა. შემდეგ უკანა კარი გამოალო, ხელი მსუბუქად მკრა, სავარძელზე დამაგდო და თვითონაც ზემოდან დამეხსო...

საოცარი განცდა იყო. ლევანთან ასეთი რამ არასოდეს განმიცდია. სანდროს ალერსი სულ სხვა იყო...

ცოტა ხანში გონს მოვედი და მომხდარი გავანალიზე... სანდრო სახეზე დამყურებდა და ისეთი ალერსიანი, თბილი ღიმილი ჰქონდა გადაფენილი, რომ ჩემი საქციელის გამო სინანული არ მიგრძნია. თვალებიდან სიყვარულსა და ბედნიერებას ასხივებდა... მივხვდი, რომ მისთვის ეს მხოლოდ ვნების დაკმაყოფილება კი არა, სიყვარულის გამოვლინება, ოცნების ასრულება იყო.

შინ მისულმა ლალის ყველაფერს მოუყუყვი.

გაოცებული მისმენდა და უკმაყოფილოდ აქნევდა თავს.

— მარგო, ნუთუ თავს დამნაშავედ არ გრძნობ? — მკითხა ბოლოს.

— არა! ლევანი არაა იმის ღირსი, რომ მის გამო სინდისმა შემანუხოს და ვინერვიულო.

— მარგო, კარგად მომისმინე: ლევანი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. სინდისმა იმის გამო უნდა შეგანუხოს, რომ 2 მამაკაცთან ერთდროულად გაქვს ურთიერთობა. თავად უნდა გრძნობდე დისკომფორტს. ახლა ან ერთს უნდა დაანებო თავი, ან — მეორეს, მაგრამ გამოუვალ სიტუაციაში ხარ.

ლევანს თავს ვერ დააღწე, სანდროსგან წამოსვლა შენ თვითონაც არ გენდომება. რას აპირებ? მაპატიე, მაგრამ პირდაპირ უნდა გითხრა: ამორალურია შენი საქციელი, სიძესიმართან ერთდროულად კავშირის დაჭერა დიდი სისულელე და მარაზშია, გულისამრევი. ერთი ნუთითაც არ გაგამართლებ. თუ გგონია, — რადგან ლევანმა განწყენინა, ეს გაძლევს ამის უფლებას, ძალიან ცდები. დღევანდელი გადასახედიდან, ვფიქრობ, რომ მეტის ღირსი იყავი.

— რა დაუნდობელი ხარ, ლალი, — ძლივს ამოვიღულულე. პირი გამიშრა და ასე მეგონა, დავიხრჩობი-მეთქი.

— დაუნდობელი კი არა ვარ, სიმართლე რომ გითხარი, ის არ მოგეწონა. ერთი ნუთით არ გქონდეს ჩემი

თანადგომის იმედი და თუ ურთიერთობას ისევ ორივესთან გააგრძელებ, მე თვითონ მივიღებ ზომებს, რომ ეგ სიბინძურე აღვეკვეთო. გახსოვს, სანდრომ რომ გითხრა, რუსის სისხლი რომ გაქვს, იმიტომ იქცევი ასე? სიმართლე უთქვამს, შენ კი გეწყინა.

— ლალი, მთლად ნუ გადამივლი ახლა... რუსის სისხლი არ ურევია ლიზის, მაგრამ 14 წლისაა და უკვე მეძავია, — თავის მართლება ვცადე.

— შენი თავი მასზე უკეთესი გგონია? თავს ნუ მოიტყუებ, შენ გაცილებით ამორალურ საქციელს სჩაღიხარ, ვიდრე ის შენი ღიზი...

— კარგი, ყველაფერი გასაგებია, — გულმოსულმა გავიხურე კარი და ჩემს ოთახში განვმარტოვდი.

რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ლალისგან მხარდაჭერას მივიღებდი, მაგრამ სინამდვილეში დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი. არც კი ვიცოდი, როგორ უნდა მოექცეულიყავი. გადავწყვიტე, ისევ ლევანი დამეთმო... მასთან წასვლა და ყველაფრის პირში მიხლა კი მეორე დღისთვის აღარ გადავდე და ტაქსი გამოვიძახე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

29 აპრილიდან

არსენალი

№9 (130). 29 აპრილი - 12 მაისი, 2011

ქართულ-აღმოსავლური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.


8 სინაუ — სასაზღვრო კრიზისი

ავიონოსი დახვეწილი

ინსაულთან გაუფრთხილები სასაზღვრო ურთიერთობა... რა გელოვს მისი მართალი არიის ვარაუდ შეიარაღება?

იპარის საფრუ — გრძობა კრიზისა და პარტიის იმპარიატთან

რამიმ დაუპირისპირდნენ მართალი „სოსოისა“ და რუსული „იპარის“ მეთაურები?



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი ნ. „ზა“ №51, 2010 – 1-16, 2011

ლელამ პარკი სწრაფად გადაკვეთა. სიჩქარისგან გაზონებზე გადარბოდა და მალე ახლომდებარე სახლის ეზოში შევარდა, სადაც ბავშვები მის მოტოციკლს დასტრიალებდნენ. ლელას გამოჩენაზე ერთი ბიჭუნა მაშინვე ჯარისკაცივით გაიჭიმა:

— ყველაფერი რიგზეა, დეიდა. მოტოციკლს ერთი ნუთითაც კი არ მოვცილებივართ.

— მართლა, მართლა! — თითქმის ერთხმად დაადასტურეს ბიჭუნას ნათქვამი დანარჩენებმაც.

— გმადლობთ, ბავშვებო, ეს — თქვენ, — კანფეტებით სავსე, გამჭვირვალე პარკი გაუნოდა ერთ-ერთ მათგანს ლელამ, მოტოციკლს მოახტა და ეზოდან გავარდა.

გოგონა ჩქარობდა, რადგან არ სჯეროდა ბანდიტებისა, რომლებმაც გოგლას დაბრუნების პირობა მისცეს. „იმ „ქალ-კაცას“ როგორმე კვალში უნდა ჩავუდგე!“ — მერამდენედ უმეორებდა საკუთარ თავს. ქალის სამოსში გადაცმული ერთ-ერთი ბანდიტისთვის სურათის გადაცემიდან სულ რამდენიმე ნუთში, ლელა ცენტრალურ გზასთან გაჩნდა, მოტოციკლი ნამით დაამუხრუჭა და ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ პარკის შესასვლელთან უპატრონოდ მიგდებული საბავშვო ეტლილა დაინახა.

— ჯანდაბაა! — უცნაურად განელა მან. — მაინც გამასწრო.

უცრად ლელას ყველაფრის მიტოვება, სადმე ჩამოჯდომა და უსუსურობისა და უძლურებისგან აბლავლება

მოუნდა, მაგრამ მოულოდნელად ხმაურით ჩავლილი მანქანების ნაკადში შავ „ნისანს“ მოჰკრა თვალი, რომელშიც სწორედ ის „ქალ-კაცა“ იჯდა და მძღოლს ხელების ქნევით რალაცას უხსნიდა. ამის შემდეგ ლელა ნამითაც კი აღარ დაფიქრებულა, ცენტრალურ გზაზე ისე გაიჭრა და თავადაც მანქანების ნაკადს შეერია. „ნისანი“ წინ იყო წასული, მაგრამ გოგონას მაინც გაუმართლა, რადგან ორიოდ ნუთში გზაზე საცობი გაჩნდა და სანამ რიგი უძრავად იდგა, მან მოტოციკლით მანქანებს შორის ოსტატურად „გაიბრინა“ და „ნისანს“ უკან ამოუდგა. ამის შემდეგ გოგონა მანქანას აღარ ჩამორჩენია. „ნისანმა“ ცენტრალური გზიდან მალევე გადაუხვია და ერთხანს ქალაქში თითქოს უმიზნოდაც დაეხეტებოდა. ტაბით მიმავალი ავტომობილი გზადაგზა ხან რომელ ეზოში შეუხვევდა, ხან — რომელში. ხეტიალი კარგა ხანს გაგრძელდა და ის იყო, ლელას იმედი გადაეწურა, რომ უცრად „ნისანმა“ მკვეთრად მოუმატა სიჩქარეს და ისევ ცენტრალურ გზაზე გავარდა. გოგონამ ამ მოულოდნელ მანევრზე რეაგირება მაინც მოასწრო და მალე კვლავ „ნისანის“ რიგში აღმოჩნდა. მანქანა ქალაქიდან სწრაფად გავიდა, რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ კი სიჩქარეს ნელ-ნელა უკლო და დიღმის აგარაკებისკენ გადაუხვია. ლელა მას შორიასლოს მიჰყვებოდა. რამდენიმე ნუთში „ნისანი“ ერთ-ერთი მდიდრული სახლის ჭიშკართან გაჩერდა და დაასიგნალა. ჭიშკარი მალე გაიღო და მანქანა ეზოს სიღრმეში გაუჩინარდა. ლელამ მოტოციკლი სახლიდან მოშორებით, ხეების უკან გააჩერა, მობილური ტელეფონი ამოიღო და გოგლას ნომერი აკრიბა. „თუ ბანდიტებმა სიტყვა შეასრულეს, მაშინ გოგლა უკვე შინ უნდა იყოს“, — გაიფიქრა მან და აპარატი ყურზე მიიღო, მაგრამ მის ზარს არავინ უპასუხა.

უკვე ღამდებოდა, როცა სახლთან კიდევ ერთი უცხოური მარკის მანქანა გაჩერდა და გაბმით დაასიგნალა. ჭიშკარი ისევ სწრაფად გაიღო. ავტომობილიდან კარგად ჩაცმული მამაკაცი გადმოვიდა და ეზოში დინჯად შეაბიჯა. ამჯერად ჭიშკარი აღარ დაუხურავთ. ლელამ ღია ჭიშკართან ჩუმიად მისვლა და ეზოში შესვლა

დააპირა, მაგრამ უცრად მამაკაცი ისევ გამოჩნდა. მას კიდევ ერთი მოსლდევა. ისინი მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. უცნობების წასვლამ ლელას მორიგი თავსატეხი გაუჩინა. გოგონას ვერ გადაეწყვიტა, მანქანას გამოსდგომოდა თუ ისევ სახლის თვალთვალი განეგრძო. საბოლოოდ მაინც დარჩენა გადაწყვიტა, რადგან გული ეუბნებოდა, რომ გოგლა ბანდიტებს სწორედ ამ სახლში უნდა ჰყოლოდათ გამომწყვედეული.

გოგლას უკვე დღეების სათვალავი აერია. ბნელ ნესტიან სარდაფში, ბოძზე ჯაჭვით მიბმული ეგდო, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მანიაკის თუ სულაც მანიაკების ხელში ჩავარდა და, ადრე თუ გვიან, ტანჯვა-წამებით გამოასალმებდნენ სიცოცხლეს. ლალიძეს შიმშილისგან თავბრუ ეხვეოდა და სიცვიდან აცახცახებდა. შიმშილსა და გათოშვას ვინ ჩიოდა — გამტაცებლები წყალსაც კი ამაღლიდნენ და გამუდმებით ემუქრებოდნენ. გოგლას ეგონა, რომ პირველივე დღეს მოკლავდნენ, მაგრამ ექიმის ხალათში გამოწყობილ „ანტიკვარს“ ვილაცამ მაშინ დაურეკა, როცა იმპროვიზებულ საოპერაციო მაგიდაზე დაბმული გოგლას თვალწინ ქირურგიული ინსტრუმენტების ამოლაგება დაიწყო. ამ ზარის შემდეგ ლალიძე მაგიდიდან ააყენეს და ბოძზე ჯაჭვით მიაბეს.

ასე გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. მერე ყურთან მობილური ტელეფონი მიუტანეს და გოგლამ ლელას ხმა გაიგონა, მაგრამ გოგონას სახელის დაყვირება ძლივს მოასწრო, რომ ტელეფონი ისევ მოაცილეს. ლალიძე გამტაცებლებს ჩანაფიქრს მიუხვდა: მათ ამ ბუნაგში ლელას შემოტყუებაც უნდოდათ, რის შემდეგაც ალბათ, ორივეს ერთად გაუსწორებდნენ. ლალიძეს სიმწრისა და საკუთარი უსუსურობის გამო სიკვდილი მოუნდა, მაგრამ მისი გამტაცებლები ამის გაკეთებას აღარ ჩქარობდნენ. მერე ერთხანს სარდაფში დატოვეს და ის იყო, ძალაგამოცლილს ჩაეძინა, რომ ნიხლისკვრით წამოაგდეს ფეხზე, ისევ მაგიდაზე დააბეს და კვლავ ის საზიზღრად მოლიმარი „ანტიკვარი“ წამოადა თავზე.

— ჩვენ მივდივართ, — უთხრა ერთ-ერთმა მამაკაცმა, — მაგრამ ხვალ დილიდან აქ გაჩნდებით. იცოდეთ, სახლს ყურადღება მიაქციეთ.

— სახლის დარდი ნუ გეჩნებათ, — ავად გაელიმა „ანტიკვარს“, — აქ ცხვირის შემოყოფასაც კი ვერავინ გაბედავს, მაგრამ თუ მაინც გაბედა, საკუთარ თავს დააბრალოს, რადგან ჩემი მორიგი პაციენტი გახდება.



— ნამდვილი ავადმყოფია, — ხმადაბლა გადაულაპარაკა მეორე მამაკაცმა პირველს, შემდეგ ორივემ იქაურობა დატოვა.

— ძლივს მარტო არ დავრჩი?! — ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა „ანტიკვარმა“ და ისევ ინსტრუმენტების ამოლაგება დაიწყო.

— რას აპირებ? — ჰკითხა დამფრთხალმა გოგლამ.

— ხომ გითხარი, ექიმი ვარ და უნდა გიმკურნალო-მეთქი, — სკალპელი აიღო მანიაკმა.

— არ გაბედო! — უშედეგოდ გაიბრძოლა გოგლამ.

— კარგი ერთი!

— იქით ხარ სამკურნალო, შენი!..

— ნუ უხეშობ, თორემ ინანებ.

— არ გაბედო-მეთქი, შე ახვარო!

— მოძალადის ხელში აელვარებულ სკალპელს თვალს წამით აღარ ამორებდა დაფეთებული ლალიძე.

— ხომ გითხარი, ნუ უხეშობ-მეთქი, — სკალპელიანი ხელი უცბად გოგლას ყელისკენ წაიღო მამაკაცმა, — კიდეც ერთი სიტყვა და — გამოგისვამ.

გოგლა მაშინვე გაშუშდა.

— ასე არ სჯობია? — კვლავ საზიზღრად გაეღიმა კმაყოფილ „ექიმს“. — რაც უფრო კარგად მოიქცევი, მეც უკეთ გიმკურნალებ.

— არ მესმის, რატომ უნდა მიმკურნალო? — დროის მოგება სცადა გოგლამ. — ჯანმრთელობას ნამდვილად არ ვუჩივი.

— აი, ამაში კი ერთად უნდა დავრწმუნდეთ.

— როგორ?

— როგორ და მაგარი სიურპრიზი მოგიმზადე.

— რა სიურპრიზი?

— ახლავე გაიგებ.

„ანტიკვარი“ ცოტა ხნით გვერდზე გავიდა და უზარმაზარი სარკით ხელში დაბრუნდა:

— ამ სარკეს ზუსტად შენ ზემოთ შტატივზე დაფამაგრებ და ოპერაციას ერთად დავაკვირდებით.

— რა ოპერაციას? — ისევ უშედეგოდ სცადა წამოწევა გოგლამ.

ამასობაში „ანტიკვარმა“ სარკე მართლაც, ისე დაამაგრა, რომ გოგლას მასში საკუთარი გამოსახულება დაენახა.

— უფრო სწორად, მე ოპერაციას გაგიკეთებ, შენ — დააკვირდები, — დააზუსტა „ექიმმა“, — და ორივე ერთად შევხედავთ, ჯანმრთელი ორგანიზმი გაქვს თუ — არა. ყველაფერს ერთად შევამოწმებთ: ღვიძლს, თირკმლებს, გულს და ასე შემდეგ... ოდესმე საკუთარი გული გინახავს?..

გოგლას ხმა აღარ ამოუღია, რად-

გან იმის გაფიქრებაზეც კი, თუ მოძალადე რას უპირებდა, რამდენჯერმე წამოაზიდა.

— რა თქმა უნდა, არ გინახავს, — არხეინად განაგრძო „ანტიკვარმა“, — ჰოდა, დღეს ამის საშუალებაც მოგეცემა. ალბათ საინტერესო იქნება იმის შეხედვა, შენი ჯერ კიდეც ცოცხალი გული როგორ ფეთქავს.

გოგლას ისევ წამოაზიდა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— გირჩევ, სარკეში იყურო. ასეთ რამეს ყოველდღე კი ვერ ნახავ. თუმცა შენ დღეის შემდეგ საერთოდაც ველარაფერს ნახავ, — ბოროტად გაეღიმა „ექიმს“, — მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა შენი ბედი. მართლა, კიდეც ერთი თხოვნა მექნება.

— რა თხოვნა? — როგორც იქნა, ამოთქვა გოგლამ.

— უცბად არ მოკვდე, რა! თუ ამას იზამ, იცოდე, გამაბრაზებ. მაგრამ თუ თხოვნას შემისრულებ, ყვირილის ნებას მოგცემ. რა გაკვირვებული მიყურებ?! პირს არ აგვიკრავ და რამდენიც გინდა, იმდენი იყვირე. ადამიანის ყვირილი და გოდება მე შთაგონებას მიძლიერებს.

გოგლამ სიმწრით კბილები გაღრჭიალა. ახლა მას თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა — რომ მალე მომკვდარიყო და მანიაკისთვის სიამოვნება არ გაეხანგრძლივებინა.

— მაშ ასე, შევუდგეთ, თორემ ისედაც დიდხანს ველოდი ამ მომენტს, — ჯერ რეზინის ხელთათმანები წამოიცივა, შემდეგ კი დოლბანდის პირბადე და ექიმის ქუდიც გულმოდგინედ მოირგო მანიაკმა.

„სამწინელი გამოხედვა რომ არა, ახლა ეს სადისტი რალაციით უკვე ჩვეულებრივ კეთილ ექიმსაც კი მაგონებს, ადამიანებს ტკივილს მართლა რომ უყუჩებს და არჩენს“, — საკუთარი ფიქრის თვითონვე გაუკვირდა გოგლას.

ამასობაში „ანტიკვარმა“ სკალპელი მოიმარჯვა და გოგლას მარჯვენა მხარეს, მუცელზე დაუსვა. ლალიძე ტკივილისგან დაიკრუნჩხა და მთელი ხმით იღრიალა.

— ნუ იკლავნები, — ხმა გაიძაცურა მანიაკმა, — თორემ შეიძლება, შემთხვევით ძალზე მნიშვნელოვანი ორგანო მოგაჭრა.

ტკივილის კვალდაკვალ გოგლას რალაც თბილი და სასიამოვნოც მოედო მუცელზე და მიხვდა, რომ ეს მისივე სისხლი იყო.

— სულ მალე საკუთარ ღვიძლსაც

დანიხავ, — ისევ მშვიდად განაგრძო სადისტმა.

ლალიძემ იგრძნო, სკალპელმა ხორცი სიღრმეზე როგორ ჩაუჭრა და ისევ მთელი ხმით იღრიალა, მაგრამ დანახვით კი ველარაფერი დანიხავ, რადგან თვლები სიმწრის ცრემლმა ამოუვსო.

— ცოტა მოითმინე და კიდეც უფრო გაგახარებ, — სკალპელი ჭრილობიდან სწრაფად ამოაძრო მანიაკმა, მაგრამ უეცრად სარდაფის კარი ხმაურით გაიღო.

— ფუ, შენი! — ჩაიღმუვლა „ანტიკვარმა“. — რისთვის მობრუნდით? რა დაგრჩათ? ხომ იცით, ხელის შეშლას როგორ ვერ ვიტან!

ამის შემდეგ მანიაკი კარისკენ მკვეთრად შებრუნდა და სისხლში მოს-



ვრილი სკალპელიანი ხელი მაშინვე ჰაერში გაუშუშდა.

— შშენ... შენ ვინლა ოხერი ხარ?! — ძლივს ამოთქვა და მაშინვე გასროლის ხმაც გაისმა...

შინ დაბრუნებული ორდენიძე სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და შუბლი გამეტებით მოისრისა. გამომძიებელს იმ დღეს მომხდარი ამბები მოსვენებას არ აძლევდა. „თითქოს ყველაფერი გავითვალისწინე, მაგრამ ის კი ვერაფრით წარმოვიდგინე, რომ



თეატრში წასული მარი მოულოდ-
ნელად უკან მობრუნდებოდა. ჰოდა,
დავისაჯე კიდევც! ამის გაფიქრება
და მობილური ტელეფონის ანკრი-
ალებაც ერთი იყო. ლეკიშვილი რე-
კავდა.

- ჰო, ანდრო, გისმენ.
- არ მინდოდა შენი შენუხება,
შეფ, მაგრამ საქმე არ იცდის.
- ვიცი.
- ჯერ ის მითხარი, მარი როგო-
რათა?
- მძიმედ.
- ექიმები რას ამბობენ?
- რა უნდა თქვან?! — ამოიხსრა
გამომძიებელმა. — რაც შეგვეძლო,
გავაკეთეთ და დანარჩენი უკვე ღვთის
ნებააო.
- იმედი ვიქონიოთ, რომ ყვე-
ლაფერი კარგად იქნება.
- ჰო, იმედი ხომ ბოლოს კვდება.
- როგორ გაქვს მხარი?
- ტყვიან ძვალს ასცდა, ხორცს კი
ადვილად ეშველება. შენკენ რა ხდე-
ბა?
- ახალი ამბავი მაქვს.
- ???
- ახლახან ლელამ დამირეკა.
- რაო?
- მითხრა, გოგლა ვიპოვე და შენი
დახმარება მჭირდებაო.
- სად არიან?
- სადღაც დიღმის აგარაკებზე
უნდა იყვნენ. შემეხვეწა, სასწრაფოდ
მოდიო.
- მეც ახლავ გამოვივივარ, ქალა-
ქის გასასვლელთან დამხვდი.

ორდენიქემ ტაქსი ლელას მიერ მი-
თითებული სახლიდან მოშორებით
გაჩერებინა, მძღოლს ფული გადაუხ-
ადა და გაუშვა.

— ცოტა ფრთხილად, შეფ, —
ძლივს ენეოდა სახლისკენ სწრაფი
ნაბიჯით მიმავალ გამომძიებელს
ლეკიშვილი, — ხომ იცი, ეშმაკს არ
სძინავს.

ჭიშკარი ოდნავ შეღებული დახვ-
დათ. ლელა ეზოში, რალაც ყუთზე
თავდახრილი იჯდა. ხმაურზე გოგო-
ნამ თავი ასწია და სახე გაუნათდა.

— ლმერთო, როგორ მიხარია თქვე-
ნი დანახვა! — მაშინვე მამაკაცებთან
გაჩნდა იგი, ორდენიქეს გულში ჩაე-
კრა და ასლუკუნდა.

— ყველაფერი კარგად იქნება,
გოგონი... — ლელას თავზე ხელი ნაზად
გადაუსვა გამომძიებელმა. — ახლა
კი შენი ვაჟკაცი გვაჩვენე.

— გოგლა დაბლა, სარდაფში, —
ცრემლიანი თვალები შეანათა ორ-
დენიქეს ლელამ.

— ისე, მაგარი საწყობი კი მოუნ-
ყვიათ, ხომ იცი, — ძვირფასი სუ-

რათებითა და სხვა ანტიკვარიატით
გადასვებული სარდაფი გაკვირვებით
მოათვალიერა ანდრო.

გოგლა სარდაფის შედარებით
თავისუფალ კუთხეში, იატაკზე იჯდა
და ზურგით კედელს მიჰყვრდებოდა.
გამომძიებლების დანახვაზე რალაცის
თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო და
დამნაშავესავით გაეღიმა.

— დაჭრილია? — ხმადაბლა ჰკითხა
ორდენიქემ ლელას.

— ეს დამპალი გოგლას ცოცხლად
დანაკუნებას უპირებდა.

— ვინ?

— აი, ეს.
გამომძიებელმა ახლა მიაქცია ყურა-
დღება მაგიდის გვერდით, იატაკზე
პირქვე დამსობილ მამაკაცს. ანდრომ
მას პულსი გაუსინჯა და, უარის ნიშ-
ნად, თავი გააქცია:

— უკვე იქაური.

ორდენიქემ მამაკაცის გვერდით
ჩაიმუხლა და ჯიბეები გაუჩხრიკა.

— პირადობის მოწმობა ალექო
მოსეშვილის სახელზეა გაცემული.

— ჩვენი სადისტი ექიმის სახელზე?
— მოწმობას კმაყოფილი სახით დახე-
და ლეკიშვილი.

— ექიმობამდე ბევრი უკლდა.

— მართალი ხარ. ისე, დროზე კი
მოუსწრო ვიღაცამ და გააგორა.

— ჰო, მაგრამ ნეტავ, ვინ?

— მე, — მამაკაცების ლაპარაკში
ჩაერია ლელა.

— შეენ? — გაოცება ვერ დამალა
ანდრო.

— სხვა გზა არ მქონდა. რომ არ
მომეკლა, გოგლას მოკლავდა. ხომ
გიტხარით, ცოცხლად დანაკუნებას უპ-
ირებდა-მეთქი.

— იარაღი საიდან? — შუბლი
შეიკრა ორდენიქემ.

— გოგლას კოლეციაში იყო.

— კოლეციაში?! — გაკვირვე-
ბით წაუსტვინა ანდრო. — ახლა
სად არის?

— მანდ გდია. ძველებური რე-
ვოლვერია, ანტიკვარული, — დამნა-
შავესავით ჩაილაპარაკა ლელამ.

— ანტიკვარული უძახე შენ და
თავისი საქმე კი გააკეთა ხუთიანზე,
— რევოლვერი ხელში შეათამაშა ლე-
კიშვილი.

— მომეცი აქ. ეს მკვლელობის იარ-
აღია, — თანაშემწეს რევოლვერი გა-
მოართვა, ცხვირსახოცი კარგად გან-
მინდა და ჯიბეში შეინახა ორდენ-
იქემ.

— მკვლელობის იარაღი? — ამ-
ოისლუკუნა ლელამ. — ესე იგი, დამი-
ჭერენ?

— არა მგონია, ეს აუცილებელი
იყოს, — გაეღიმა გამომძიებელს, —
თანაც, მკვლელობის იარაღსაც ვერ-

ავინ იპოვის. ხომ ასეა, ანდრო?
— რა თქმა უნდა, შეფ, — თვალე-
ბი ეშმაკურად მონკურა ლეკიშვილმა...

საავადმყოფოში მისულმა ორდენ-
იქემ მოხერხებულად აუქცია გვერდი
მორიგე ექთანს და სწრაფი ნაბიჯით
გასწია მარის პალატისკენ.

— ვისთან მიდიხარ? — მაინც
დაედევნა ექთანი.

— მარი მდივანთან.

— მაგრამ ის ხომ უგონოდ არის!..

— ვიცი, მაგრამ მაინც უნდა დავხე-
დო.

— ვინ ხართ მისი?

— ქმარი, — თვალცი კი არ დაუხ-
ამხამებია, ისე უპასუხა ორდენიქემ.

— კარგი, — სახეზე მაშინვე თან-
აგრძობა გამოეხატა ექთანს, —
ოლონდ დიდხანს ნუ გაჩერდებით.

— ყველანაირად ვეცდები.

ორდენიქემ ნაბიჯს კიდევ უფრო
აუჩქარა, რადგან უკვე იცოდა, რომ
მარის პალატაში ლევან ახვლედიანი
იყო შესული. გამომძიებელმა პალა-
ტის კარი ისე სწრაფად შეაღო, რომ
მარის თავით მდგარი ახვლედიანი
დაფეთებული განზე გახტა.

— ა, ოთარ, შენ ხარ? — ძლივს
ამოღერდა. — შემეშინდა, ისევ მთა-
ვარი ექიმი ხომ არ წამომადგა-მეთქი
თავზე: კატეგორიულად გამაფრთხი-
ლა, პალატის ზღურბლს არ გადააბი-
ჯო.

— მერე რატომ გადააბიჯე? —
ჯიქურ ჰკითხა ორდენიქემ, რომელიც
მარის საწოლის გვერდით მდგარ სკა-
მზე ფრთხილად ჩამოჯდა და ნაზად
შეეხო ქალის ხელს.

— ლალი აქამდე შოკშია, —
თითქოს გამომძიებლის კითხვა არ
გაუგონიაო, ისე შორიდან დაიწყო
ლევანმა.

— ჰო, ეს ამბავი მართლა ყვე-
ლასთვის შოკი იყო, — უხალისოდ
აპყვა ორდენიქე.

— მომხდარში ალბათ მეც მადან-
აშაულებ, ხომ?

— როგორ ფიქრობ?

— ნაწილობრივ მართლა დამნა-
შავე ვარ, მაგრამ დამიჯერე...

— მარის სახლთან როგორ აღ-
მოჩნდი? — აზრის დასრულება აღარ
აცადა ახვლედიანს გამომძიებელმა. —
ჩვენ ხომ თეატრში უნდა შეეხ-
ვედროდით ერთმანეთს?

— ჰო, მაგრამ... — დაიბნა ლევანი.

— ლალი აღარ მომეშვა, ბარემ გაუარე
და ორივე შენი მანქანით წამოიყვა-
ნო...

— დაფუშვათ, რომ ასე იყო, მა-
გრამ იარაღი რალად გინდოდა? შენ
რა, თეატრშიც შეიარაღებული და-
დიხარ?



— გაგეცინება, მაგრამ იარალი ხშირად დამაქვს თან. რა იცი, რა ხდება?!

— თეატრში რა უნდა მომხდარიყო?

— თეატრში ალბათ არაფერი, მაგრამ თქვენი სახლიდან გამოვარდნილი ბანდიტისთვის რომ არ მესროლა, მეც ხომ მარის დღეში ჩავვარდებოდი ან იქნებ, ცოცხალიც ვერ გადავრჩენილიყავი.

— მორჩი ზღაპრების მოყოლას!
— ხმას აუნია ორდენიქემ. — იქნებ ერთხელ მაინც დავილაპარაკოთ კაცურად.

— რას გულისხმობ? — სახე აელენა ლევანს.

— ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ბანდიტს და მარის ერთი და იმავე იარალიდან ნასროლი ტყვიები აქვთ მოხვედრილი. ალბათ იმის ახსნა მაინც აღარ დამჭირდება, თუ ვის იარაღზეა საუბარი.

ლევანმა თავი ჩაქინდრა.

— ამიტომ, იქნებ დამდო პატივი და ამიხსნა, სინამდვილეში რა მოხდა? — განაგრძო ორდენიქემ.

— კარგი, — სახეზე ხელები ნერვიულად ჩამოისვა ახვლედიანმა, — ჯობს, ყველაფერი გითხრა, თორემ ვინ იცის, კიდევ რას დამაბრალებ?!. როგორც კი მანქანიდან გადმოვედი, სროლის ხმა გავიგონე, ამიტომ იარალი ამოვიღე და ეზოში ისე შემოვედი. კიდევ კარგი, ასე მოვიქეცი, თორემ ბანდიტს სროლას ნამდვილად ვერ დავასწრებდი.

— ესე იგი, პირველმა შენ ესროლე, ხომ?

— ჰო. ბანდიტი უსულოდ დაეცა, მაგრამ უცბად ჩემ ზურგს უკან რაღაცამ გაიხმაურა. პირველი, რამაც თავში გამიელვა, ის აზრი იყო, რომ ბანდიტს თანამზრახველიც ჰყავდა და ის ზურგიდან მეპარებოდა. ამიტომ, შევბრუნდი თუ არა, მამინვე დაუფიქრებლად გავისროლე... რას ვიფიქრებდი, რომ იქ მარი დამხვდებოდა?!

— მაგრამ მძარცველი რომ ახლო მანძილიდან, პრაქტიკულად, მიჯრით ნასროლი ტყვიითაა მოკლული? საინტერესოა, ასე ახლოს როგორ მიგიშვა?

— არ მიუშვივარ, მოულოდნელად შევანყდით ერთმანეთს.

— ვინმე ალევო მოსეშვილს თუ იცნობ?

— ალევო მოსეშვილს? — შუბლი მოისრისა ლევანმა. — თითქოს მსმენია ეს გვარ-სახელი.

— მარტო გსმენია? განა რამდენიმე წლის წინ მის საქმეს არ იძიებდი?.. მართლა, რატომ დამიმალე, რომ ადრე სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობდი?

— თავად არაფერი დაგიმალავს ჩემთვის? მოსეშვილის საქმეს კი შეიძლება, ვიძიებდი, მაგრამ ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებ კაცი.

— ეს ადამიანი ფსიქიკურად არანორმალური იყო, მაგრამ რატომღაც, ფსიქიატრიულში მკურნალობის ნაცვლად, ქალაქში თავისუფლად დასეირნობდა. ხომ ვერ ამიხსნი, რატომ?

— აბა, რა ვიცი?! — მხრები აიჩჩნა ლევანმა.

— როგორც ჩანს, სასამართლომ ასე გადაწყვიტა. სიმართლე გითხრა, ახლა ველარ ვისხებენ, რა და როგორ იყო.

— 2 დღის წინ რომ შეხვდით ერთმანეთს, მაშინაც ვერაფერი გაიხსენე?

— როგორ?! — ხმა შეეცვალა ახვლედიანს. — ვის შეხვდით? სად?

— მოსეშვილს. დილის ერთ-ერთ ფეშენებელურ აგარაკზე. სხვათა შორის, იქ ანტიკვარტიისა და სხვა ფასეული ნივთების საწყობია და ყველა ნივთზე შენი თითების ანაბეჭდებია აღმოჩენილი. ასე რომ, ჩავარდი, ლევან, ჩავარდი.

უეცრად ახვლედიანმა ჯიბიდან იარალი ამოიღო და პირდაპირ მარის დაუმიზნა:

— იარალი დააგდე, თორემ ამჯერად მართლა მოვკლავ! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

— იარალი? — ჩაეცინა ორდენიქემს და პიჯაკის კალთები გადაიწია.

— იარალი არა მაქვს და არც მჭირდება. მე აქ სიმართლის დასადგენად მოვედი, შენ კი უჩემოდაც მოგხედავენ.


— თუ კართან ვინმეა ჩასაფრებულნი, იცოდე, მარის მაინც მოვკლავ, — თავისას არ იშლიდა ახვლედიანი.

— ნუ დაფეთდი, გარეთ არავინაა! — ფეხზე დინჯად წამოდგა და პალატის კარი ფართოდ გამოაღო ორდენიქემს. — იარალი შეინახე და ისე ვილაპარაკოთ.

ყოყმანის შემდეგ ლევანმა იარალი შეინახა და ორდენიქემს ზიზლით სავსე მზერა მიაპყრო:

— მაინც არ მეგონა, თუ ასეთი გამოუსწორებელი კრეტინი იქნებოდი. იცი, რამდენი წლის ნანვალები ჩამიყარე წყალში?!. სანაცვლოდ რა მიიღე? არც არაფერი. სამსახურიდან

გაგაბანლურეს და მალე ციხეშიც ჩაგაყუდებენ. რას მომშტერებიხარ? პირობას გაძლევ, რომ ზუსტად ასე იქნება. იმიტომ, რომ შენი დამსახურებაც ფეხზე ჰკიდია ყველას და



„ვითომპატიოსნებაც“. ცუდ ადგილს გთავაზობდი, ცივი უარი რომ მტკიცე?! იჯდებოდი ახლა მშვიდად და პენსიას დაელოდებოდი. ან შეიძლება, ჩემს კომპანიონადაც კი ამეყვანე.

— და მერე ერთად გვებოცა, ხომ, უმწეო მოხუცები?

— ჯერ ერთი, არავინ მომიკლავს...

— რა თქმა უნდა. შენ ბრძანებებს გასცემდი, დანარჩენს კი შეშლილი ყასაბი მოსეშვილი გიგვარებდა.

— დიდი ამბავი, თუ 1-2 მოფაფალებული მოხუცი ცოტა ადრე გაისტუმრა საიქიოში! ისინი მაინც მალე დაიხოცებოდნენ. მთელ მათ სიმდიდრეს კი ან მათი ხარბი ნათესავები დაიტაცებდნენ, ანდა მათზე კიდევ უფრო ხარბ სახელმწიფოს დარჩებოდა.

— და ამიტომაც, ყველას დაასწარი და საბრალო მოხუცებს თავად ნაპგლიჯე, ხომ, წლობით ნაგროვები? ან იქნებ საკუთარი ნებითაც კი დაგითმეს, ჰა?

— არ დამითმობდნენ და... — თვალეები ბოროტად დააკვესა ახვლედიანმა...

დასასრული შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ „გზა“ №2-16

ნუკიმ მეორე დღესვე შეატყო თათულის უგუნებობა. ქალს დანა პირს არ უხსნიდა. გოგონას მიზეზი არ უკითხავს. მიაჩნდა, რომ პარტნიორი თავად მოუყვებოდა უხასიათობის მიზეზს, თუკი ამის სურვილი გაუჩნდებოდა.

თათული მთელი დღე თავაულებლად შრომობდა. დროდადრო თავს ასწევდა, მზერას სივრცეს გაუშტერებდა (უაზროდ) და რალაცაზე მწარედ ჩაფიქრდებოდა. საღამო ისე მოახლოვდა, სულ ორჯერ თუ დაელაპარაკენ ერთმანეთს.

ნუკიც თავის „დარდებში“ იყო ჩაფლული. გამუდმებით გია ედგა თვალნინ და მასთან მოსალოდნელ შეხვედრაზე (რომელიც „მალე“ უნდა შემდგარიყო) ფიქრობდა.

— ერთი-ორი დღით რომ დავისვენო, ხომ არ იქნები წინააღმდეგი? — დღის ბოლოს თათულიმ, როგორც იქნა, „უნა ამოიდგა“.

გოგონამ გაოცებული მზერა მიაპყრო.

— როგორც გინდა... — მხრები აიჩეჩა და გაუღიმა.

— გასწვდები მარტო საქმეს? — მიმქრალი ხმით ლაპარაკობდა ქალი.

— მგონი, კი. თუ ვერ მოვასწრებ, არ იქნება პრობლემა, ხომ არ დაგვახრიბენ... — კვლავ გაიღიმა.

— ჰო, რა. მე რალაც ვერ ვარ კარგად. ცოტა თუ არ დავისვენე, ადამიანად ველარ ვივარგებ.

— მოხდა რამე? — ფრთხილად შეკითხა ნუკი და თანაგრძნობით სავსე მზერა მიაპყრო.

— ისეთი არაფერი. ცოტა დავლიე წუხელ და... თან, რალაც ამბავი გავიგე, ჩემთვის უსიამოვნო, — უფრო ხმადაბლა დააყოლა, — ნავალ მაშინ, ღამდება უკვე.

— ნადი, თათული, ყველაფერს გავაკეთებ, სხვა რა საქმე მაქვს. კარგად დავისვენე და არაფერზე იფიქრო, — მზრუნველობა გაურია ხმაში ნუკიმ და სიყვარულით შესცინა ქალს.

თათულიმ ერთი ღრმად ამოიოხრა, დაემშვიდობა და მძიმე ნაბიჯებით გავიდა სამკერვალოდან. ნუკი შეფიქრინდა. რა მოხდა? იქნებ მართლა რალაც ხდება მათ შორის? ხომ არ იჩხუბეს? ის (ზურა) ცოტა რთული ადამიანია, საკუთარ თავში (ნაჭუჭში) ჩაკეტილი... თათულისნაირ მხიარულ ქალს გაუჭირდება მასთან ურთიერთობა. თვითონაც ხომ უჭირს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მასთან დასახლდა. რალაცნაირია... უცნაური... ცოტა ეჭვიანიც (და ბუზლუნაც)... არადა, რომ გაცივრო, როგორი რბილი მოეჩვენა.

როგორც იქნა, ლურჯი პიჯაკი



დაამთავრა და ის იყო, კლიენტთან დარეკვას აპირებდა, რომ კარზე კაკუნის გაისმა. ნუკი სწრაფი ნაბიჯებით გაემართა შემოსასვლელისკენ. არავის ელოდებოდა...

ზღურბლთან შუბლშეჭმუნხილი ზურა იდგა.

— შეიძლება? — მამაკაცს წარბი არ გაუხსნია.

— მოდი, — ნუკი განზე გადგა და სტუმარი გამოატარა.

ზურამ ყურადღებით გაიხედა-გამოიხედა, თითქოს ვილაცას (თუ რალაცას) ეძებო, მერე მზერა ნუკიზე გადაიტანა.

— თათული სად არის?

— ნავიდა... ვერ იყო კარგად.

— რატომო, არ უთქვამს? — გოგონასთვის შეუმჩნეველმა ჩრდილმა გადაურბინა მამაკაცს სახეზე.

— არა, — მოკლედ მოჭრა ნუკიმ და კარი მიხურა, — ყავა მოგიდულო?

— არა, არ მინდა, გმადლობ. საქმე მაქვს შენთან... — თითქოს ტონი გაუმკაცრდა ზურას.

გოგონას გულმა რეჩხი უყო. რალაც უსიამოვნოდ მოხვდა ყურში ნათქვამი. წამით ღანკვებზე სინითლემ გადაუარა. ახლა ისევე ცოლობაზე რომ ჩამოუგდოს ლაპარაკი... რა უნდა უთხრას? უარისთვისაც რომ არ ემეტება? მაგრამ ჰოსაც რომ ვერ ეტყვის?

ორ ცეცხლს შუა იწვოდა. თან, სიამოვნებდა მამაკაცის ყურადღება, თან — აღიზიანებდა... არადა, არც გაისტან ჰქონდა ბოლომდე გარკვეული ურთიერთობა. მისდა გასაოცრად, ზურამ სულ სხვა თემაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— ვიცი, რომ ბევრის უფლება არ მაქვს, მაგრამ გარკვეულ ასპექტში პასუხისმგებლობას ვგრძნობ შენ წინაშე...

— არც ისე შორიდან დაუწყო ზურამ შემოვლა. — პირველ რიგში, მე წამოგიყვანე იქიდან, მე დაგაბინავე და... რა ვიცი, ახლა ამას შეიძლება, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ალბათ რალაც ვალდებულება მაინც მაკისრია... თან, ასაკიც ხელს მიწყობს, ზოგი რამით დაფიქრესდე.

— ვერ გავიგე? — კოპები შეკრა ნუკიმ, ვერ მიხვდა, საითკენ მიჰყავდა მამაკაცს საუბარი.

— ძალიან გავწელე, არა? — შეიმშენა ზურა, შუბლიდან ოფლი მოინმინდა, გოგონას თვალი აარიდა და გააგრძელა: — შენ შეყვარებული ხარ?

ო! როგორ აიღენა! ყველაფერს ელოდა და ამ შეკითხვას წამდვილად — არა. ისე დაიბნა, უაზროდ ააფახულა წამწამები, რითაც ადვილად გასცა თავი. მისი ეს შესტი მამაკაცს უკვე კარგად ჰქონდა შესწავლილი. „ხაფანგში მოემწყვდა მეტაფიზიკური მირანდა, როგორც ჩანს, პირდაპირ მოვარტყი მიზანში“, — უსიამოვნოდ გაივლო გულში, თვალეები დახუჭა და საჩვენებელი და ცერა თითი ცხვირის კენზე მოიჭირა.

— რატომ მეკითხები? — ალულულულა ნუკი. — საიდან დაასკვინი, რომ... ვინმემ რამე გითხრა? — რა კითხვაც ენაზე მოადგა, ყველა ამოთქვა.

— არავინ, ვის უნდა ეთქვა?... უბრალოდ, ბოლო ხანებში შეყვარებულივით იქცევი... მეჩვენება, რომ საიდუმლო გაგიჩნდა.

გოგონა წამით დაფიქრდა. ეთქვა სიმართლე თუ უარზე წასულიყო? რომელი აჯობებდა? არადა, როგორ არ არის მიჩვეული სიცრუეს!.. თან, როგორ არ გამოსდის, როცა იტყუება!.. ან კი რატომ მაღავეს? ზურა მისი



არც შეყვარებულია და არც — საქმრო. რა მოხდა, თუკი ვინმე გამოჩნდა მის ცხოვრებაში?! პატარა გოგოა თუ რა? დრო არ არის თუ?..

რამდენიმე წუთით შეყოყმანდა. თითები ერთმანეთში გადახლართა, გაატკაცუნ-გამოატკაცუნა და არცთუ „რიხიანად“ წარმოთქვა:

— შეყვარებული არა ვარ, მაგრამ... არის ერთი, ვინც მომწონს... — და როგორც კი დაამთავრა სათქმელი, მუხლებში ძალანართმეული, სავარძელში ჩაესვენა. ერთიანად დაეჭიმა სხეული.

— მდააა... — ზურამ ლოყები გამობერა, თითქოს ნაიფრუტუნასავით, მერე კვლავ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და თვითონაც მის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა. — მეტყვი, ვინ არის?... თუ საიდუმლო არ არის...

ნუკიმ წარბზე გადაისვა თითი, ჯერ იატაკს დახედა, მერე კედლებს მოავლო არაფრისმთქმელი (თითქოს გამოფიტული) მზერა და ბოლოს ზურას მიაშტერდა.

— ეს აუცილებელია?
— არა, აუცილებელი სულაც არ არის. მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რამდენად ღირებული ადამიანია შენთვის... — გულგრილად შენიშნა მამაკაცმა.

— ვფიქრობ, რომ ღირებულია... — მთლად დამაჯერებლად არ უღერდა ნუკის ხმა.

— ვინ არის? — ცივად (უფრო მკაცრად) დაეკითხა ზურა, ისეთი ტონით, თითქოს კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს.

ნუკიმ ისე ამოიოხრა, ლამის გული ამოაყოლა. ხელები მომუშტა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ნელის მეგობარია... — ეს საუკეთესო გამოსავალი იყო ახლა.

— ნელის მეგობარი? — ირიბად გამოხედა მამაკაცმა. — მერე?

— მერე არაფერი... ჯერ ისეთი არაფერი... ჯერ ვეცნობით ერთმანეთს. — ხედები?

— ეს დაკითხვაა?

— შენ როგორ ფიქრობ, დაკითხვაა?

— მგონი, — ამირიზა ნუკი.

— კარგი, ჩათვალე, რომ დაკითხვაა. ხედები?

— იშვიათად...

— რატომ? — უცნაური ინტონაციით დასვა მომდევნო შეკითხვა ზურამ.

— იმიტომ, რომ თბილისში არ არის.

— აჰა... და როდის ჩამოდის?

— მალე, — უპასუხა და ძალაუნებურად გაელშია, რადგან მისი „მალე“ ძალიან ჰგავდა გიას დაზუპირებულ „მალეს“.

— არ ვიცი, ახლა რასაც გეტყვი, რამდენად სასიამოვნო იქნება შენთვის, მაგრამ იქნებ შემახვედრო იმ შენს „ღირებულ“ ადამიანს, — ბოლოსწინა სიტყვას დამცინავად გაუსვა ხაზი.

— ეგ რა საჭიროა? — გოგონა გაღიზიანდა.

— როგორ აგისხნა... ხომ გითხარი, ერთგვარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ-მეთქი... კაცი კაცს რომ დაელაპარაკება, მგონი, უპირიანი უნდა იყოს. იცოდეს, რომ უპატრონო არა ხარ...

— როგორმე მე თვითონ მოვავ-ვარებ ჩემს პირად ცხოვრებას, — უკმეხად გასცა პასუხი, — შუამავლები არ მჭირდება!

— მესმის, მაგრამ...

— არ გვინდა ეს „მაგრამ“ და ამგვარი რამეები. გთხოვ... ვიძაბები, როცა ასე მელაპარაკები... შენც ხომ ამჩნევ, რომ ახლა ჩვენ შორის „ბრწყინვალე დაძაბულობაა“?! მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და ვიცი, რასაც ვაკეთებ. რა საჭიროა ასეთი ცერემონიები?! რამე სერიოზული რომ იყოს, კიდეც მესმის. ჯერ არაფერია გარკვეული. უბრალოდ, მოგწონს ერთმანეთი და ეგ არის. რა ვუთხრა, ჩემი ახლობელი შენთან საქმის გარჩევას აპირებს-მეთქი? ეგ ხომ აბსურდია!

ზურამ თავი გადააქნია. მიხვდა, ნუკისთან ლაპარაკი წყლის ნაყვას ჰგავდა. შეიძლება, თავის მხრივ, მართალიც იყო მისი „მირანდა“. იქნებ ეს მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი, მსუბუქი ფლირტია და სხვა არაფერი? რა საჭიროა სიტუაციის ასეთი დრამატიზება? ტყუილად შეაშინა თათულიმ. მართალია, ნუკი გამოუცდელი ჩანს მამაკაცებთან ურთიერთობაში, მაგრამ არც ისეთი მიაშიტია, კარგი და ცუდი ერთმანეთისგან ვერ გაარჩიოს.

მერედა, თუ ასეა, ზურა რატომ ვერ შეამჩნია? დაიჯეროს, რომ ის ვილაც ზურაზე უკეთესია? იქნებ მაინც ასაკია გადამწყვეტი?

— რამდენი წლისაა? — მისდა უნებურად ხმაძალდა გამოუვიდა ნაფიქრი, თორემ ამ კითხვის დასმას არც აპირებდა... იკითხა და ინანა კიდეც.

— შენზე ახალგაზრდაა... ბევრად, — თითქოს ნიშნის მოგებით გამოუვიდა ცალწარბაზიძულს.

ამის თქმა და ზურას წამოხტომა ერთი იყო. თითქოს მდულარე წყალი სახეში შეასხესო... სიბრაზისგან ნესტოები დაებერა, სახე წამოუჭარხლდა

და ცუდი რომ არაფერი წამოსცდენოდა, სასწრაფოდ გასასვლელისკენ დაიძრა.

— მიდიხარ? — მსწრაფლ დაუთბა გოგონას ხმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ თვალი გააყოლა მიმავალს.

ზურა შედგა. თავი შემოაბრუნა და ცივად ჩაილაპარაკა:

— შენ მართალი ხარ... როგორც ყოველთვის... შენ დამოუკიდებელი ადამიანი ხარ და იცი, რასაც აკეთებ... იმედია, მაპატიებ, ცხვირი უდიერად რომ ჩაყვავი შენს პირად ცხოვრებაში.

— მე ეს არ მითქვამს...

— მაგრამ იგულისხმე, — მამაკაცი მთელი ტანით მისკენ შეტრიალდა და მზერით გაბურღა.

— როგორც ჩანს, შენ სხვანაირად გაიგე. საქმე ის არის, რომ მთელი ეს წლები სხვები განაგებდნენ ჩემს ცხოვრებას... უნდა მოვქცეულიყავი ისე,



როგორც იმ სხვებს მოესურვებოდათ. უნდა მეკეთებინა ის, რაც სხვებს სიამოვნებდათ და ჩემზე ამ დროს არავინ ფიქრობდა. ახლა ასე აღარ არის და, ბოლოს და ბოლოს, მინდა დავუმტკიცო ჩემს თავს, რომ შემოიძლია, ვიყო თავისუფალი, თავად მივიღო გადაწყვეტილება და თვითონვე ვმართო ჩემი პირადი ცხოვრება. დამოუკიდებლობა მინდა, გესმის? მგონი, მაქვს ამის უფლება. ასე არ არის?

— ასეა... გაქვს... აბა, შენ იცი... ერთი რამ იცოდე მუდამ: მე შენი მხოლოდ კარგი გამიხარდება და თუ რამეში დაგჭირდე, შენ გვერდით ვარ...

— ვიცი... და დიდი მადლობა ამისთვის.



— ჰო... ნავედი, — თავისთვის წაიდუღუნა ნირწამხდარმა მამაკაცმა და კარი უხმაუროდ გაიხურა...

ნუკიმ მისდა უნებურად ამოისუნთქა... თითქოს შევბოთ... თითქოს არც... რაღაც მძიმედ აწვა გულზე, რაღაც დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება (თუ შებოჭილობა) დაეფლავა... თავადაც არ იცოდა, რა აწუხებდა, უბრალოდ ხვდებოდა, რომ ყველაფერი ისე ვერ იყო, როგორც უნდა (თუ უნდოდა) ყოფილიყო... რა იყო ეს? ზურას ვერ ელეოდა? არც ამას გამოორიცხავდა... იქნებ მართლა შეცდომას უშვებდა? ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დაფიქრებულყო ამაზე ცივი გონებით?! რამდენად მართებულია, გიასთან რომ გააბა რომანი? რას მოუტანს ეს ურთიერთობა? მორალი ამაზრზენი სენია. მიიღო სიამოვნება მამაკაცისგან, რომელსაც თითქმის არ იცნობ, — ნევრასთენიაა მხოლოდ, ისტერიკა. ამაზე უფიქრია? არა, არასდროს. რა იცის მის შესახებ? თითქმის არაფერი. მერე? მერე... მერე... ამის იქით ნუკის ფიქრი ვერ მიდიოდა... მის გულში ახლა სრულ ქაოსს დაესადგურებინა...

ზურა გამძვინვარებული მიუყვებოდა ქუჩას. კიდეც კარგი, უმანქანოდ წამოვიდა, თორემ ალბათ სადღაც მიალენწავდა კიდეც, ასეთი გაშმაგებული რომ მისჯდომოდა საჭეს. შუბლი სუსხიან ნიავს შეუშვია. ესიამოვნა ცივი ჰაერი... „როცა ხვდები, რომ ყველაფერი დამთავრებულია, როცა ერთადერთ სიყვარულს კარგავ, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადოდ არ გყვარებია, — გამალებით ფიქრობდა და სწრაფი ნაბიჯით მიიწევედა წინ, — რატომღაც, მგონია, რომ მას არაფერი გამოუვა და ბოლოს აუცილებლად დამიბრუნდება. ჩემი ბრალია, მე გავაფუჭე ყველაფერი, ჩემმა სიმარტოვეს შეჩვეულმა ცხოვრებამ, ჩემმა გაზარმაკებულმა სულმა... დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობა! მამაკაცები, ქალები, ქვეყნები — ჩვენ ყველას ისე შეგვეყარა დამოუკიდებლობის სენი, რომ ვერ გავხდით დამოუკიდებელნი. უბრალოდ, მარტივად გავიძახით ამას, ეგ არის და ეგ! როცა უფროსი იღვები ამ დამოუკიდებლობას მხოლოდ და მხოლოდ შენთვის, განწირული ხარ სიმარტოვისთვის. რა სულელური, ასე ვთქვათ, „ტექნიკური მიზეზების“ გამო დაკვარგე საოცნებო ადამიანი!.. საკმარისი იყო, თავის დროზე ცოტა მეაქტიურა, ცოტა, სულ ცოტა და... ყველაფერი კარგად იქნებოდა...“

ზურამ მწარედ ჩაიციხა და ხელი აიქნია. მიხვდა, რომ თავს იცავდა. ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რა იყო სიყვარული და იმაზეც უარის თქმა უნებდა. ეს კი იმას ნიშნავდა,

რომ ვიღაცამ გული ამოაცალა... ადრე ამაზე არასდროს დაფიქრებულა. ნუთუ ტკივილი ცხოვრების ნორმად უნდა ექცეს? და მარტოსულობაც? ნუთუ არ ეყოფა ამდენი სიმარტოვე? ნუთუ თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფრის შენება? ეს ხომ დამლელია...

ალბათ ასეა საჭირო. ყველა ადამიანის ბედი ხომ ზეცაში წყდება... ალბათ ასე უნდა მომხდარიყო... უკეთესი იქნება, დაივიწყოს ბანალური აზრი მეორე ნახევრის პოვნის შესახებ, რომელსაც მარტო მყოფი ადამიანი მთელი ცხოვრება ეძებს... ორი გულის შეკავშირებისას ძნელია განსაზღვრო, რომელია მზე და რომელი — მთვარე. ეს სხვა სამყაროს არსებებია. შეიძლება, ნუკიმ ზურა უარყოს, მაგრამ ზოგიერთი რამ მათი ნაცნობობიდან ღრმად ჩაუბეჭდება გონებაში და ვერასდროს წაშლის. მერე კი, წლების შემდეგ მოვა დრო, ყველაფერს გაიხსენებს და მწარედ ინანებს... იქნებ ამას არც კი დასჭირდეს წლები და ყველაფერი სულ რამდენიმე დღეში ან კვირაში მოხდეს? დაელოდება... თვალს მიადევნებს, რა მოხდება და როგორ. ხელს არ შეუშლის. თუკი ნუკი მიიჩნევს, რომ იმ სხვასთან უფრო ბედნიერი იქნება, დაე, ასე იყოს. ზურას სულაც არ სურს, მისგან ბედნიერება ვალად დაიდოს. ზრდასრული ქალია და თავად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი!

ნოემბერი წვიმებით დაიწყო. 3 დღე გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა. უქმურმა ამინდმა ნუკის გუნება-განწყობილება წაუხდინა. ვერც სამუშაოს უდებდა გულს. ამ ყველაფერს თათულის დაუსრულებელი უხასიათობაც (დეპრესია) დაერთო. ქალი ყოველ დღით თვალმდასივებული მოდიოდა სამკერვალოში. გეგონებოდათ, მთელი ღამე ტირილში გაატარაო. შეიძლება, ასეც იყო, ნუკი ამას საიდან გაიგებდა, როცა ქალი ხმას არ იღებდა, რაღაც ძალიან დიდ ტკივილს უხმოდ ინახავდა გულში.

გიასგან კვლავ არაფერი ისმოდა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გაარკვია. არც საიტზე გამოჩენილა, არც მესიჯებს სწერდა. ის კი არა, იქაური ნომერი ბოლო დღეებში სულ გამორთული ჰქონდა. ბოლოს, როცა იმედი თითქმის სრულიად გადაეწურა, გადაწყვიტა, ნელისთან გასულიყო, იქნებ მისგან მაინც გაეგო რამე; ან სულაც, ყველაფერი არ მოეყოლა დაქალისთვის... ან გამხსნევენდა, ან დატუქსავდა. მეტს რას უზამდა? ისე იყო დამძიმებული ამ გაურკვევლობით, უარესი რაღა უნდა დაემატებინა მეგობარს?!

არადა, ამ თავსხმა წვიმაში როგორი

იყო გარეთ გასვლა?! ეზარებოდა. ტელეფონით არ ღირდა ასეთ „საჭირბოროტო“ თემაზე საუბარი. მაინც ნასვლა გადაწყვიტა. ტუქსი გამოიძახა და ნახევარ საათში უკვე დაქალთან იყო.

— ვა! რა ქარმა გადმოგადგო?! — ნელის გაუხარდა მისი დანახვა. — კარგ დროს მოხვედი, ყავას ვადუღებდი, ხომ დალევ?

— დავლევ, რა ვიცი, ოღონდ მსუბუქი გამოკეთე, ნახევარი კოვზი ჩამიყარე, კარგი?

— კარგი... როგორ ხარ? რას შვრება შენი რომანი? — ნელი თან საქმიანობდა, თან, ნუკის ელაპარაკებოდა.

— რომელი რომანი? — განითლდა გოგონა.

— ზურა როგორ გყავს?

— ოო! რა რომანი, კარგი, რა! არის თავისთვის. მაგას ქალი და მით უმეტეს, ცოლი არ სჭირდება. უკვე მივედი მაგ დასკვნამდე.

— რას მელაპარაკები! აკი ყველაფერი კარგად იყო?

— ოოჰ, მოიცა, რა! ის მარტოობასაა მიჩვეული და ასე ურჩევნია. ხომ იცი, მაგ ასაკში კაცებს უჭირთ გადანყვეტილების მიღება. შენ ის მითხარი... ის რას შვრება... რა ჰქვია?... გია, მგონი, ხომ? ძალიან სიმპათიური რომ გყავს მე და შენ „მეგობრებში“.

— „კრასაფიკ ჯორჯი“? რა ვიცი, არის, რა. გუშინწინ ვნახე, სადღაც გარბოდა. 2 წუთით ძლივს გავაჩერე ქუჩაში. რატომ მეკითხები?

ნუკიმ იგრძნო, როგორ მისდიოდა ფერი (გულიც)... თითქოს მოეყინა თითები... თვალზე ლიბრი ნელ-ნელა გადაეკრა, დაბრმავდა თითქოს...

— არაფერი, ისე... — ძლივს ჩაილაპარაკა ლამის გონდაკარგულმა და დანაღვლიანებულმა ფანჯარაში გაიხედა.

რა საშინლად უცემდა გული!.. ნამითაც არ ემორჩილებოდა ნუკის, თითქოს თავისთვის „მიერეკებოდა“, თითქოს ექჩარებოდა სადღაც... ამ სიჩქარეში კი ხანდახან ისე წაიბორძიკებდა, სადაცაა, საგულედან ამოვარდება და მინას დაასკვებოდა... რა ურჩია ხანდახან გული!..

— მამამისი როგორ არის? — ჩაესმა ნელის ხმა.

— ვინ მამამისი?

— ზურას მამაზე გეკითხები! — ნელიმ ამასობაში სუფრა გაანყო და ნუკი მაგიდისკენ გამოემართა.

— რა ვიცი, არის, რა... აგროვებს ინფარქტების კოლექციას.

— კიდეც გაუმეორა?

— ჰო, უკვე მესამედ ჰქონდა და მაინც გადარჩა.

— კოსმონავტის გული ჰქონია, —



ნუკის თითქოს შორიდან ჩაესმოდა ნელის ხმა, სრულიად სხვაგან ქროდა მისი გონება.

მეგობარი დიდხანს ლაპარაკობდა რალაცაზე თუ ვილაცაზე. ნუკი უაზროდ ილიმოდა, ერთი სიტყვაც არ გაუგია მისი მონაყოლიდან.

— სადღაც სხვაგან ხარ... რა გჭირს? — გამწვანებული ხელი ფსიქიატრივით გაუქნია ცხვირწინ დაქაღმა.

— არაფერი. გადავიღალე ამდენი მუშაობით.

— გაგიცვიდა ყავა. შენ ხომ არ გიყვარს თბილი ყავა! თუ შეეჩვიე? — ქვემოდან დაკვირვებით ახედა ნელიმ.

— უნდა ნავიდე... — ჩაიჩურჩულა მოულოდნელად ნუკიმ, წამოდგა და აჩქარებით გაემართა კარისკენ.

— მოიცა, სად მიდიხარ?! რა გეტყავს? ნუკი, რა გჭირს? — გაოგნებული ნელი ფეხდაფეხ გაეკიდა.

— მერე მოგიყვები. მაპატიე, ახლა უნდა ნავიდე. არაფერი მკითხო, გთხოვ, — ცრემლიანი თვალები მინათა მეგობარს გოგონამ და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.

წვიმა და ქარიც სახეში სცემდა. ქუჩაში კანტიკუნტად თუ შეხვდებოდა ვინმეს... ახლა შეეძლო თავისუფლად (თან ხმაიმალა) ეტირა, ვერავინ შეამჩნევდა კოკისპირულ წვიმაში მის ცრემლებს... იტირა კიდეც. მიდიოდა და გულამოსკვნილი ტიროდა, არავის და არაფერს აქცევდა ყურადღებას. უეცრად შედგა, თითქოს რალაც მოაფიქრდაო. ჩანთაში ჩაყო ხელი და მობილური ტელეფონი მოიძია. იქვე, სადარბაზოს შეაფარა თავი და მესიჯის აკრება დაიწყო: „ნეტავ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?“ — და გიას ნომერზე გაგზავნა ისე, რომ არც შეუმოწმებია, მამაკაცს ჩართული ჰქონდა თუ არა ტელეფონი. იმწამსვე მოუვიდა შეტყობინება, რომ წერილი ადრესატამდე „მშვიდობით“ მივიდა. ესეც ასე! გაიგოს, რომ მისი ჩამოსვლის ამბავი უკვე იცის. მატყუარა, საზიზღარი! ვინ ჰგონია თავი, რას ეთამაშება?! ერთხანს დაელოდა, იქნებ პასუხი მომწეროსო, მაგრამ მესიჯი იგვიანებდა...

კვლავ გააგრძელა გზა. გადანყვიტა, სამკერვალომდე ფეხით მისულიყო... მიდიოდა... მიდიოდა... დიდხანს, ძალიან დიდხანს... გზა არ დაილია... არც მისი სევდა...

გიამ მხოლოდ მეორე საღამოს დაურეკა. ნუკი უკვე აღარ ელოდა მისგან მესიჯს (ზარს, მით უმეტეს). მამაკაცი თითქოს უგუნებოდ იყო. იქნებ არც იყო და პასუხის დაგვიანების გამო აჩვენებდა თავს ასე? არც ეგ იყო გამორიცხული. საყვედურის თქმაც ვერ მოასწრო, რომ გიამ მიაყარა და მიაყარა:

— მაპატიე, ნუკი, ვეღარ შეგეხმინე. ვიცი, გაბრაზებული ხარ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, სინარულო. ერთი კვირაა, ჩამოვედი, მაგრამ მაშინვე ბათუმში გამგზავრებამ მომიწია. პრობლემები შეგვექმნა საქმეში. ვიფიქრე, როცა ყველაფერს მოვგვარებ, მერე შევხვდები, მშვიდ ატმოსფეროში-მეთქი. სიგიჟემდე მინდა შენი ნახვა. რომ მოვიდე, წამოხვალ ჩემთან?

სასონარკვეთილებამდე მისული გოგონა უეცრად მოლბა, გიას ხმამ ყველა წყენა დაავინწყა და მსწრაფლ დათანხმდა. ოღონდ კი ენახა და აღარაფერს დაუტებდა.

— მაგრამ ჩემთან უნდა დარჩე ამაღამ, კარგი?

— ვნახოთ, არ ვიცი... — მაინც დაიხლვია თავი გოგონამ.

...ერთი საათის შემდეგ ნუკი უკვე გიას მანქანაში იჯდა...

რომელიღაც კორპუსის რომელიღაც სადარბაზოსთან დაამუხრუჭა მამაკაცმა. არც ერთი ხმას არ იღებდა. მხოლოდ ერთხელ მოხედა გიამ და იდუმალი ღიმილი ესროლა. ნუკიმ „გაატარა“ მისი ღიმილი, ნაკვთი არ შერხვია, თითქოს სახე გაჰქვავებოდა. რომ არ დასველებულიყვნენ, სირბილით სადარბაზოში შეცვივდნენ. მამაკაცმა ლიფტი გამოიძახა და როცა კაბინაში შევიდნენ, მეხუთე სართულის ლილაკს მიაჭირა თითი...

— აი, უკვე ადგილზე ვართ. არ ვიცი, რას იფიქრებ ჩემზე, ალბათ ძალიან სასტიკი მოგეჩვენები, მაგრამ დროა, გაეცნოთ ერთმანეთი. მე გიორგი მქვია, წარმოშობით მთიული ვარ, ვცხოვრობ თბილისში. ვარ ბიზნესმენი, თუმცა არცთუ მდიდარი; სიმალლით — მეტრი და ოთხმოცდათორმეტი, ოცდაცამეტი წლის და მოცემულ მომენტში ვდგავარ საბურთალოზე მდებარე ერთი კორპუსის მეხუთე სართულის მოედანზე, ერთი ქალის გვერდით, რომელიც ასევე არსებობს სინამდვილეში. არანაირი განსაკუთრებული მიზეზი არ გამაჩნია, ამწუთას სწორედ ამ ადგილას ვიმყოფებოდე და არა სადმე სხვაგან. ეს ის არის, რასაც შექმნილ ვითარებას უწოდებენ: შემთხვევით შეხვდით, შემთხვევით გაუწონოდეთ ერთმანეთს ხელი და ვცდილობთ, ერთმანეთს ბედნიერება ვაჩუქოთ... რას იტყვი, კარგად გამომივიდა? — მისმა საოცარმა სიცილმა და ბუბუნმა ხმამ სიამოვნების ყრუანტელი

მოჰგვარა ნუკის, მამაკაცის სიახლოვეც ახვევდა თავბრუს.

ბინაში შესულმა ცნობისმოყვარე (და დაკვირვებული) მზერა მოავლო იქაურობას. სასტუმრო ოთახი (ზედმეტადაც) ნათელი იყო. ფანჯრიდან აკაციის ნახევრად გაძარცვული ხეები მოჩანდა. ლარნაკში გამხმარი ყვავილები



ენყო, თუმცა ძნელი მისახვედრი იყო, საიდან უნდა მოხვედრილიყო უქალო ბინაში ერთ დროს ცოცხალი ყვავილები. იქნებ სხვა ქალისთვის იყიდა და იმას დარჩა? ამის გაფიქრებაზე ძრწოლამ აიტანა. გიამ ტელევიზორი ჩართო. ოთახში ფლეიტის მელოდია დაიღვარა, რომელიც თითქოს ერწყმოდა იქ დასადგურებულ სიმარტოვეს. მამაკაცმა ლაბადა ჩამოართვა გოგონას, ჩანთაც, ქუდიც და სადღაც წაიღო.

კვლავ მიმოიხედა ნუკიმ. არეულულობა სუფევდა ირგვლივ. იგრძნობოდა, რომ ამ სახლში ქალი არ ცხოვრობდა. მუქმწვანე ქსოვილის სავარძელში ჩაჯდა და მოკუნტული დაელოდა, რა მოხდებოდა შემდეგ. გია დაბრუნდა, მაგრამ არ დაამჯდარა.

— გშია? — ჰკითხა გოგონას, მის წინ ჩაიშრებდა და ხელები წელზე მოხვია.

— არა, — ჩამწყდარი ხმით უპასუხა ნუკიმ და შეეცადა, შეუმჩნეველად გადაეყლაპა ყელთან გაჩხერილი ნერწყვი. მთელი სხეული ციებინივით უთრთოდა.

— მოდი, ჩამეხუტე, — ყრუ ხმით წარმოთქვა მამაკაცმა, ვეება მკლავები მძლავრად მოხვია და აკანკალებულმა მკერდზე მიიკრა სიფრიფანა სხეული, — როგორ მომნატრებიხარ, რომ იცოდე, როგორ მომნატრებიხარ!.. — ვნებიანად ჩურჩულებდა იგი და ხარბად კოცნიდა ქალის ყელს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნილები

ყველაზე დიდი უსამართლობა, რასაც ცხოვრებაში გადაწყვიტავ

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. მივესალმები ყველა მკითხველს. დღევანდელ თემაზე მეც მინდა ერთი ამბის მოყოლა. სწორად მიფიქრია, რა არის უსამართლობა და ზუსტად ვერ განმისაზღვრავს. მაგალითად, უსამართლობად მიმაჩნია, როდესაც ყვავილის თესლი გალივდება, მთელი ძალით ცდილობს ასფალტის ქვეშიდან ამოდრომას, ქერქს აწევა, თავისუფალ ადგილს ეძებს, რომ ამოძვრეს... და რისთვის? იმისთვის, რომ მანქანის ბორბალმა გადაუაროს და გასრისოს. ჩემი აზრით, ესეც უსამართლობაა, მაგრამ ადამიანების უმეტესობა მიიჩნევს, რომ უსამართლობა არაა ის ფაქტი, რომელიც მათ სარგებელს მოუტანს. მოკლედ, დღეს მგონი „ლაპარაკის“ ხასიათზე ვარ და ვისარგებლებ „საერთო“ დროით და მოკითხვას გადავცემ ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს, ნაცნობებს...

...და ნაცნობებზე (უსამართლობა-ზეც, რა თქმა უნდა) გამახსენდა: იქ, სადაც ყოველდღე მიწვეს გავლა, ერთი ასაკოვანი ქალი ზის მერხზე და მათხოვრობს. არც ქუდი უდევს წინ და არც ხელი აქვს გაშვებული მოწყალეების სათხოვნელად, მაგრამ გამვლელ-გამომვლელმა, თითქმის ყველამ იცის, რომ ხურდა უნდა მისცეს. კარგა ხანია, მეც ვუყრი მუჭში ხურდას. ერთ დღეს კი ჩემმა „პროფესიულმა ჭიამ“ არ მომასვენა, გვერდით მივუჯექი და გამოველაპარაკე. ვფიქრობდი, ალბათ მარტოხელა ქალია და თავს ასე ირჩენს-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე შვილი ჰქოლია... ვაჟი... თანაც — ამერიკაში. ძალიან გამოიკვირდა, შვილი ამერიკაში თუ ჰყავდა, ასე როგორ უჭირებდა მოხუც დედას, რომ სამათხოვროდ გამოდიოდა? როგორც აღმოჩნდა, თამარა დეიდას (ასე გამოეცნო) შინ რძალი და 2 შვილიშვილი ჰყოლია. რძალთან თავიდანვე ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, რადგან მას ცალკე ცხოვრება სურდა, ოჯახს კი იმის საშუალება არ ჰქონდა, რომ ბინა ცალკე ეყიდა. ამის გამო აითვალწუნა და როგორც კი ხელსაყრელ მომენტს იპოვიდა, დედამთილის დაზავებას ცდილობდა. თურმე თამარა დეიდას ერთხელ ნათესავთან დაუწვივლია, თუ ასე გაავრცელებს, მოხუცებულთა თავშესაფარში წავალო და ეს ამბავი რძლის ყურამდე მისულა. იმის მერე ქალს ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. რძალი განგებ ეჩხუბებოდა, აწვალებდა და ხშირად საჭმელსაც კი არ აჭმევდა — გვიჭირს, ბავშვებისთვის ძლივს ვყიდ-

ულობთ საჭმელს და არ შეუჭამო, მშვივრები დარჩებიანო, ეუბნებოდა. ამას შვილი ვერ იგებდა, რადგან დედა



არაფერს ეუბნებოდა, არ საყვედურობდა, რძალი კი ისე იქცეოდა, ვითომ აქაც არაფერიო. მატერიალურმა გაჭირვებამ მამაკაცი ამერიკაში წაიყვანა. იქ სამსახური მალევე იშოვა და ოჯახმა სული მოითქვა. რძალმა სახლი გაარემონტა, ბავშვები ფასიან სკოლაში გადაიყვანა, მანქანა შეიძინა... დედამთილი კი ერთ ოთახში იყო გამოკეტილი (რომელიც რძალმა ურემონტოდ დატოვა) და პურის ფულს მათხოვრობით შოულობდა, რადგან რძალმა კარადები რომ შეუკვთა, ყველა კარზე საკუტი დააყენებინა, მაცივარიც ჩაკეტილი ჰქონდა და დედამთილს კვლავ მშვიერს ამყოფებდა. იმაზეც მადლობელი ვარ, შინიდან რომ არ მაგდებს და ღია ცის ქვეშ არ მიწვეს ღამის გათენებო, თქვა თამარ

რა დეიდამ. ჰო, მართლა, თურმე შეიღს ვერ ურეკავდა იმის გამო, რომ რძალი ნომერს არ ეუბნებოდა. როგორც იქნა, სხვების დახმარებით ნომერი დაუდგენია და ნათესავს თავისი ტელეფონიდან დარეკვის საშუალება მიუცია. თამარა დეიდას გასაჭირი ვაჟისთვის რომ შეუჩივლია, იმას უთქვამს, არ ვიცოდა, ასე თუ იყავი, მეგონა, შენ და ჩემი ცოლი შესმატებილებული ცხოვრობდით, გავარკვევ მაგ ამბავს და თუ სიმართლეა, პასუხს მოვთხოვ, ნუ გეშინია, შენს თავს არავის დავაჩავრინებო. რამდენიმე დღის შემდეგ შვილმა დაურეკა და გამოვანძილა, ტყუილს რად მეუბნები, ცილს რად სწამებ ჩემს ცოლს, რატომ ცდილობ, რომ ცოლ-ქმარს შორის უკმაყოფილება ჩამოგდოო? რძალმა ცალკე გალანძლა. — რატომ არ უთხარი, რომლიმე ნათესავისთვის დაერეკა, იქნებ სიმართლე იმისგან მაინც გავეგო-მეთქი? რა აზრი აქვს, შვილო, თურმე ეუბნებიან, დედაშენი მათხოვრობს, მოწყალეების იმედადაა დარჩენილი და მიხედუო, მაგრამ მაგას მხოლოდ ცოლის სჯერა, რომელიც ეუბნება, რომ ეს ჩემი მოგონილი ტყუილიაო, — მიპასუხა. როგორ ფიქრობთ, უსამართლობა არაა, რომ დედა, რომელსაც შეძლებული (ახლა უკვე) შვილი ჰყავს, თავს მათხოვრობით ირჩენს?



დაკარგული კაცის სიყვარულის ამბავი

„ქვეყანაში აფხაზეთის ომი იყო გაჩაღებული. ქართველი ვაჟკაცები გმირულად იბრძოდნენ. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ბიჭები ერთმანეთს მხარში ედგნენ და თავს დამტყდარ საერთო ჭირს შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდნენ. მეგობრული თანადგომა ლხინში იმდენად დასაფასებელი არ არის, როგორც ჭირში... აფხაზეთის ომში მეტროლი მეომრები, მირიანი და თემო გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველაფრის მიუხედავად, ხალისი შერჩენოდათ და გულში ჩარჩენილ სიხარულს უზიარებდნენ ერთმანეთს. მირიანი უფრო გულლია იყო, დაუფარავად უყვებოდა ძმადნაფიცს, თუ რა ბედნიერი იყო, რომ იცოდა, შინ როგორ მოუთმენლად ელოდებოდა საყვარელი ადამიანი — ქალი, რომელიც ერთადერთი იყო მისთვის... ის იყო მისი სიხარულისა და ტკივილის მიზეზი, ყველაფრის დასაწყისი და დასასრული... სევდა და დარდი, რომელიც ასე საოცნებო და სანატრელი იყო მისთვის... რამდენიმე დღეში მირიანი შეიპყრეს და ტყვედ ჩავარდა. გარკვეული დროის შემდეგ ის ადგილი, სადაც მირიანი ეგულდებოდა, ბრძოლით აიღეს, მაგრამ მირიანის კვალს ვერ მიაგნეს. იმედი ჰქონდათ მეგობრებს, გამოჩნდებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ მიიჩნიეს, რომ ის გარდაიცვალა. დიდი დრო გავიდა იმ დღის შემდეგ. ქვეყანაში სიმშვიდე დაიბრუნდა. 13 წლის შემდეგ, მირიანი, რომელიც ყველას გარდაცვლილი ეგონა, რუსეთიდან საქართველოში ბრუნდებოდა... მატარებელში ერთი ასაკიანი კაცი გამოელაპარაკა. მირიანმაც უამბო თავისი წარსულის შესახებ. ერთმანეთს მცირე ხანში დაუახლოვდნენ. საქართველოში ჩავიდნენ. მირიანს უხაროდა სამშობლოში დაბრუნება. მატარებელში შექინილმა მეგობარმა მასპინძლობა გაუწია და თავისთან მიიყვანა სახლში. დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმდა მირიანი. ოჯახი თბილად შეხვდა. დიასახლისი კარგად გაუმასპინძლდა. მირიანი გაშინაურდა და ქალბატონის თხოვნით ტკივილიანი წარსული, ომის პერიოდი გაიხსენა. მირიანი ჰყვებოდა იქ გატარებულ თითოეულ წამზე და თვალზე ცრემლი ადგებოდა. უახლოესი მეგობარი, თემოც გაიხსენა. ოჯახის მასპინძლები გაოგნებულნი იყვნენ მისი მონათხრობით. აღმოჩნდა, რომ მირიანი თემოს ოჯახში იყო. სამივე სიხარულმა აიტანა. მირიანმა დანვრილებით გამოჰკითხა თემოს შესახებ. მას ცოლი მოუყვანია, შვილისთვის კი მირიანი დაურქმევიათ. დიასახლისმა ოჯახის ფოტოალბომი გამოიტანა. მირიანმა სიხარულით დაიწყო სურათების თვალიერება, მა-

გრამ სახე შეეცვალა... გაფითრდა... უყურებს, სურათიდან ლამაზად მოლიმარ ქალს — თავის ნინოს... თუმცა სიტყვა „თავისი“ უცხოვდ მოეჩვენა... ეს ჩემი რძალია, სურათზე მიანიშნა თემოს მამამ მირიანს. თავს დამტყდარი საშინელების დაჯერება და გააზრება ძნელი იყო... წასვლა მოისურვა. დიასახლისმა შეწუხების მიზეზი ჰკითხა, მაგრამ მირიანმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ბევრს ესვენენ, თემო და ნინო რომ მოვლენ, გაგვიბრაზდებიან, ამდენი ხნის უნახავი ძმაცაი როგორ გაუშვითო, მაგრამ მათ სიტყვებს აზრი აღარ ჰქონდა. წასვლისას გულიდან გულსაკიდი მოიხსნა და თემოს მამას სთხოვა, თემოსა და ნინოს მიეცითო. მირიანი განადგურებული იყო, სამშობლოში ვისთვისაც ჩამოვიდა, ის უკვე მას აღარ ეკუთვნოდა. ისევ რუსეთში წასვლა გადაწყვიტა. თემოსა და ნინოს არანაკლები ჭირი დაატყდათ თავზე. მირიანის გულსაკიდი იცნო თემომ. მიხვდა, რომ მეგობარს სიყვარული წაართვა. ნინო ცრემლებს ვერ იკავებდა. მეორე დღეს მთელი ქალაქი მოიარეს მირიანის ძებნაში, მაგრამ უშედეგოდ. გავიდა რამდენიმე წელი და ნინო რომელიც ქართულ გაზეთში მეომრების ბარათებს კითხულობდა, ბოლოს კი ჟურნალისტის მინაწერიც იყო, რომ ერთ-ერთი მეომარი, სახელად მირიანი გარდაიცვალა და საქართველოში აპირებდნენ მის ჩამოსვენებას. მეორე დღეს, ნინო და თემო თვალცრემლიანი დაჰყურებდნენ მირიანის ცხედარს. ნინო ტირილით დაემხო უსულო სხეულს, გულამოსკვნილი ტირილი. თემოც მიუახლოვდა და უთხრა: იტირე, ნინო, იტირე, მე ხომ მისი სიცოცხლით ვცხოვრობ, შენი ცრემლები მაინც გაჰყვეს თანო. ხშირად დადიან მის საფლავზე. ცხოვრება უსამართლოდ მოექცა მირიანს. თემოსა და ნინოს კი სამუდამო მოგონებად უქცია, ტკივილიანი წარსული. ლუნა“.

მზერა

„ყველაზე დიდი უსამართლობა ცხოვრებაში ალბათ ის არის, როცა მხოლოდ დედა გყავს და ის არის შენთვის ყველაფერი. იმედის სხივი, რომელსაც მთელი ცხოვრება მიჰყვები. მამის ნათესაობის მხრიდან კი მხოლოდ უყურადღებობას აწყდები. ზამთარი იყო, მახსოვს. გოგონა ბებოსთან ჩავიდა სოფლად — მამის დედასთან. მას ამგვანებდნენ სილამაზით და ბუბოს განსაკუთრებით უყვარდა. ქალაქში მიმავალს 3 მოზრდილი ჩანთა გაატანა, სანოვაგით დატვირთული. 2 ავტობუსი უნდა გამოეცვალა გოგონას. დიდი ჩანთები რიგრიგობით გადაიტანა მატარებლის რელსებზე და იმის მიუხედავად, რომ ავტობუსი იგვიანებდა, წვიმა და ქარი კი სახეს უწვავდა, მაინც

უხაროდა, რომ სახლში საჭმელი მიჰქონდა და რამდენიმე დღით დედას წუხილსა და ფიქრს აარიდებდა — „ხვალ რა ვჭამოთ“ — თემაზე. ამ დროს ბიძამ ჩაუარა დიდი, შავი ჯიპით. მერე რა, რომ დაინახა და არ გაუჩერა? მათი თვალები ხომ წამით შეხვდნენ ერთმანეთს და ამ გამოხედვაში ყველაფერი იყო. ეცადა, არ ეტირა, მაგრამ... წვიმი! GREEN GIRL“.

უცნაური ამბავი

„მოგების სურვილი ყველას აქვს. უნინ მეც ვიყავი ამით გატაცებული და ლოტოს ორ ბილეთს ვყიდულობდი ხოლმე. არადა, ჩემი მოგების დრო არ დავდა. პატარა ლექსი დავწერე და ტელეფონით წავუკითხე ლოტოს მესვეურთ. ქალბატონო, თქვენს ლექსს, ლოტოს გათამაშების მსვლელობისას ხომ არ წაიკითხავთო? დავთანხმდი. შეგახსენებთ იმდროინდელი ლოტოს გათამაშების მსვლელობას: გათამაშება მიჰყავდა გოგინას, მონვეული ჰყავდათ ერთი მომღერალი და სამი „გამოჩენილი“ პიროვნება, რომელნიც დიდი ტომრიდან იღებდნენ ლოტოს კოჭებს, თანმიმდევრულად. ისინი ისხდნენ ავანსცენაზე. დანიშნულ დროს კარგად გამოწყობილი (ხუმრობა ხომ არ იყო, ტელევიზიით გამოვდიოდით) ტელევიზიაში მივედი. სიის მიხედვით შეგვეშვეს დიდ დარბაზში და პატარა მაგიდასთან დავსხედით. უცებ, სინათლე ჩაქრა და გამოაცხადეს, გადაცემა დამთავრებულიაო. მე წამოვხტი, აბა, ლექსი როდის უნდა წავიკითხოთმეთქი? გადაცემის რეჟისორმა ბრძანა, ჩართეთ სინათლეო. მიმიჩინა ადგილი და მითხრა, დაიწყეთო. მე დიდი ექსტაზით წავიკითხე ჩემი ლექსი: ამ გულის სითბო ვინ არ გაზიდა? ვინ მოიმკო ჩემი ნათესი, რომ ვერ მოვიგე მე თქვენს ლოტოში, რა დავაშავე ნეტავ, ასეთი? არა მგონია, ღმერთმა გამინიროს, სიკეთე ჩემი ხომ თავდებია, ღმერთო მიშველე, მომაგებინე, სიბერის უამი ჩამსაფრება! მსმენელებმა ტაში დამიკრეს. ჩემთან მოვიდა გადაცემის რეჟისორი და ბოდიში მომიხადა, თქვენ შესახებ არავინ გამაფრთხილაო! მეგონა, დაგვიანებისათვის მიხდიდა ბოდიშს. თურმე, ეთერი გამოურთავთ და მხოლოდ ამ დარბაზისთვის წამიკითხავს ჩემი ლექსი. მეორე დღეს ტელეფონის ზარი არ წყდებოდა, მირეკავდნენ მეზობლები, მეგობრები, ნათესაუბი. რას მიგვაჯაჭვე ლოტოს გათამაშებას, აკი ლექსი უნდა წაგვეკითხო?! იმ დღეს ნამდვილად ნდობის მსხვერპლი გახლდით. ნანი დუმბაძე“.

წითელი ლაქი

„მწვანე ხალატი ეცვა... შიშველი ფეხები დაბალ, მარმარილოს მაგიდაზე შემოეწყო და ცერა თითით ფრჩხილის



ნითელი ლაქის შუშას ეთამაშებოდა. ნერვებს ძლივს იწყნარებდა და ტირილისგან ჩამავებულ უბეებსა და ღან-ვებზე თითო-თითოდ, მაგრამ ხშირად ჩამოგორებულ ცრემლებს ხალათის სახელოთი იწმენდდა. ოთახიდან ჩქარი ნაბიჯით სანდომიანი გარეგნობის, გაუპარსავი მამაკაცი გამოვიდა. სახეზე ირონიული ღიმილი დასათამაშებდა. მაგიდასთან ახლოს დადგა, თითიდან ოქროს რგოლი წაიძრო და ცოლს დამცინავი სახით მიუგო. მერე ვიბიდან თეთრი ფურცელი ამოიღო, მაგიდაზე დადო, დაიხარა და მარცხენა მხარეს ხელი მოაწერა. არც გასწორებულა, ისე მიუტრიალა ფურცელი ქალს, კალამიც იქვე მიუგდო და დამცინავად უთხრა:

— ახლა შენი ჯერია, ძვირფასო!

მიტრიალდა... კართან ჩქარი ნაბიჯით მივიდა, იქვე დაგდებულ ჩანთას ხელი დაავლო და გასვლამდე მხოლოდ ქალის სასონარკვეთილი ხმა მოესმა:

— ვერ ეღირსები!

ძრავა ჩააქრო, საზურგეს ზურგით მიაწვა და ჩამწვარი სიგარეტი ფანჯრიდან მოისროლა. ქუსლიანი ფეხსაცმელი გაიხადა, შიშველი ფეხები საჭეზე შემოაწყო და ნითელი ლაქით დაფარულ ფრჩხილებს ინტერესით დააშტერდა. ტელეფონმა დარეკა. არც დაუხედავს, ისე მოისროლა უკან და შუშას მიახეთქა. ხმაური შეწყდა. კარგა ხანს იჯდა ასე, ფიქრობდა და რაღაცის გადანყვებებს ცდილობდა. უფრო და უფრო იტანდა მღელვარება, ნერვიულობისგან ცოტაც და აკანკალდებოდა.

ჩანთიდან ნაწერით აჭრელებული ფურცელი ამოასრიალა და გულმოდგინედ წაიკითხა. კიდევ მოუნდა წაკითხვა, კიდევ... ჯერ ჩურჩულით კითხულობდა, მერე ხმამაღლა, ბოლოს ღრიალებდა; ბოლოს კი ისტერიკულად ტიროდა.

კარგა ხანს იყო ასე...

როცა დაბნედა, კარი გააღო და შიშველი ფეხი ასფალტს შეახო. სიცივემ ძვლებში გაუარა. მშრალი, მაგრამ სუსხიანი ამინდი იყო. გადმოვიდა და ნელი ნაბიჯით ხიდის შუა ადგილზე დადგა. სიბნელეში აქა-იქ ბუუტავდნენ დაორთქლილი ლამპიონები. მდინარეც დღეს, ისე, როგორც არასდროს, ამაზრზენად ღრიალებდა.

სიცივისგან აკანკალებული ნელ-ნელა ავიდა ხიდის მოაჯირზე, იქაურობას

გადახედა და უკვე გალურჯებული ფეხების ნითელლაქიან ფრჩხილებს ინტერესით დააშტერდა.

კარის ჯახუნმა გამოაფხიზლა... გაუპარსავმა მამაკაცმა ჩვეული, ირონიული ღიმილით, ოთახში შემოიხედა. ცოლს (ყოფილ ცოლს) აგდებულად გადახედა და ხმამაღლა, თავისთვის ჩაიბუტბუტა — მანქანის გასაღები დამრჩაო. მერე თითქოს აქ არაფერიო, ოთახიდან მშვიდად გავიდა.

ცოტა ალელდა... თმა ხელით უკან გადაინია და რამდენიმე წამით ფეხის ფერმკრთალ, ოდნავ მოვარდისფრო ფრჩხილებს ინტერესით დააშტერდა. მერე საოცრად ლამაზად გაიღიმა, წელში გაიმართა და თეთრ ფურცელზე მარჯვენა მხარეს მოაწერა ხელი. უკან გადაწვა და ოდნავ ხმამაღლა, თავისთვის ჩაილაპარაკა: — კაცების დედაც! მუავე-იტო ფრომ ბათუსი“.

ანი

„ამბობენ, სიყვარული ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეწვევაო და ასეც მოხდა ჩემს ცხოვრებაში... ვგრძნობდი, რომ ვკარგავდი ადამიანს, რომელიც ცხოვრებაზე მეტად მიყვარდა... ვგრძნობდი, რომ ეს გრძნობა მასში ქრებოდა და ვერ ვიგებდი, ეს რატომ ხდებოდა... მიზეზს ყოველთვის ჩემში ვეძებდი, მაგრამ ამოოდი. ვერაფერს ვხვდებოდი, რადგან ყველაფერს ვაკეთებდი ამ ადამიანისთვის, რაც შემიძლო... სამწუხაროდ, ის ამას ვერ ხედავდა ან არ უნდოდა, დაენახა. სიმართლე გითხრათ, არც ახლა ვიცი, რამ შეცვალა ადამიანი, რომელსაც ერთ დროს მაგრად ვუყვარდი... ვიცი, რომ ვუყვარდი, რადგან მისგან ისეთ სითბოსა და უზომო სიყვარულს ვგრძნობდი, რომლის ახსნაც არათუ წერით, სიტყვებითაც გამიჭირდებოდა... გადიოდა წამები, წუთები, საათები, დღეები და კვლავ გრძელდებოდა სასიყვარულო ისტორია... ისევე ვხვდებოდით და თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ ამ შეხვედრებში აღარ იგრძნობოდა ის დიდი სიყვარული, რომელსაც ერთ დროს ვერ ვმალავდით ერთმანეთისგან... სიყვარული მოვალეობად იქცა, რისიც ძლიერ მემინოდა, მაგრამ ამას არასდროს ვიმჩნევდი, რადგან ანისთან გატარებულ ერთ წუთსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის... მე ისევე ისეთი მხიარუ-

ლი ვიყავი, როგორც მანამდე. არასდროს ვაგრძნობინებდი ანის, რამე თუ მანუხებდა, მას ყოველთვის უდარდელი ადამიანი ვეგონე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ გულს დიდი ბზარი გასჩენოდა... ერთ დღესაც, სახლში დაღლილი მივედი. როგორც ყოველთვის, ჩავრთე მუსიკა, წამოვჯექი და დავინწყე ფიქრი. გადავწყვიტე, გამებედა, ანისთვის ყველაფერი მეთქვა და ყველაფერი საბოლოოდ გამეჩვენა, მაგრამ ვიცოდი, ამ ყველაფერის თქმას ვერ შევძლებდი ანისთვის. არ ვიცი რატომ, მაგრამ მასთან რომ ვიყავი, ვერაფერზე ვფიქრობდი, ძალა მერთმეოდა, ამღვრეულ თვალებს რომ ვუყურებდი. მხოლოდ ერთხელ ვფიქრობდი, მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ძლიერ მიყვარდა და როგორ მიწოდდა, მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით ყოფილიყო... ავიღე კალამი და დავეწერე წერილი, რადგან ვიცოდი, ამ ყველაფერის პირში თქმას ვერასოდეს შევძლებდი...

არც კი ვიცი, როგორ დავინწყო. ალბათ პირველ რიგში იმას გეტყვი, რომ ძალიან მაგრად მიყვარხარ. იმაზე მეტადაც კი, ვიდრე გოგოს შეყვარება შეიძლება. შენთან გატარებულ ერთ წამსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის! არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ყველაფერს ვწერ და პირადად ვერ გეუბნები. ალბათ იმიტომ, რომ ჩემ გვერდით რომ ხარ ან შენი ხმა რომ მესმის, ვიბნევი. ძალიან მაგრად მინდა და იმედია, ყოველთვის მენდომება, მთელი ჩემი ცხოვრება შენთან ერთად გაატარო, მაგრამ ვიცი, რომ ვერ შევძლებ იმ ადამიანთან ცხოვრებას, რომელსაც ჩემ მიმართ სიბოროტ გამოხატვა ენანება და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ბოლო შეხვედრისას გითხარი, რომ შენი დაკარგვა არ მსურდა. მიწოდდა, შენთან უფრო თბილი ურთიერთობა ჰქონოდა... გამომშვიდობებისას ერთი უბრალო სიტყვა — მიყვარხარ — ვერ გაიმეტე ჩემთვის. სიტყვა, რომელიც ძალიან დიდ სტიმულს მომცემდა ცხოვრებაში, მაგრამ ალბათ მე არ ვარ შენი სიყვარულის ღირსი, ალბათ საკმარისად ვერ დაგარწმუნე ჩემს სიყვარულში. ცხოვრება არაა ისეთი იოლი, როგორც ბევრს ჰგონია, ცხოვრება ერთი დიდი ლაბირინთია, რომელშიც ან გაიკვლევ გზას, ან სადმე ჩაიძირები. დიდი ტკივილი მაქვს ნანახი ამ სიყვარულისგან... ეს ყველაფერი შენც იცი, თუ როგორ არ მიწოდდა და როგორ მემინოდა იმედგაცრუების, მაგრამ ადამიანი, რომელიც მე ყველაზე მეტად მიყვარს, იმაზე უფრო დიდ ტკივილს მაყენებს, ვიდრე ეს ოდესმე მქონია. აღარც ვიცი, რა გითხრა. ერთს გეტყვი მხოლოდ — არ მიწდა, რომ დაგკარგო. არ ვიცი, რამ გააბოროტა ადამიანი... ერთში კი ვარ დარწმუნებ-

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზაჯინა“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნეთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.



ული, რომ გული იმდენად გამიტყდა ცხოვრებისგან, რომ ვერავინ შეძლებს ამ ჭრილობის გამთელებას და ჩემი ნდობის მოპოვებას. შენ კიდევ, იმედია, ოდესმე მიხვდები, რას კარგავ ჩემი სახით. დამიჯერე, ვერავინ შეძლებს შენს ისე შეყვარებას, როგორც მე მიყვარხარ, მაგრამ ამ სიყვარულში მხოლოდ და მხოლოდ ტკივილია. ალბათ გაგიჩნდა კითხვა — რატომ ტკივილი? იმიტომ, რომ აზრი არა აქვს ისეთ სიყვარულს, რომელიც მხოლოდ ფორმლობაა და მოვალეობის შესრულება. ძალიან ცოტას დავეუცდი კიდევ იმ სიტბოს, რომელიც შენგან მინდა რომ მივიღო და თუ ვერ შევძელი, ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ერთ ლამაზ, მაგრამ დანაწევლი დღეს, ჩვენი სიყვარული უსასრულო ჭაობში ჩაიძირება. ასე რომ, კარგად დაფიქრდი იმასთან დაკავშირებით, რა გინდა ამ სიყვარულისგან, რას გრძნობ ჩემ მიმართ და იმედია, მიხვდები ყველაფერს — რა ხდება შენს გულში...

მას შემდეგ ანი აღარ შემხმინებია. აღარც მე შევეხმინე. არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. ალბათ ვფიქრობდი, რომ ამ წერილის მერე თვითონ უნდა შემხმინებოდა და თვითონაც გამოეთქვა თავისი აზრი ამ ყველაფერზე, მაგრამ ამოდ. გავიდა დღეები და ანი აღარ შემხმინებია. ძალიან მტანჯავდა ეს ყველაფერი და გადავწყვიტე, მე დამერეკა. ყურმილი დედამისმა აიღო, როგორც ყოველთვის, თბილად მომიკითხა და მითხრა, რომ ანი მეგობართან იყო წასული და მობილური სახლში დარჩენოდა.

გავიდა ერთ წელზე მეტი მას შემდეგ, რაც ანი აღარ მინახავს. თითქოს დავივინყე ყველაფერი და ბედს შევეგუე, რომ ანის ვეღარ ვნახავდი, მაგრამ გულში ყოველთვის მქონდა იმედი, რომ ანი შემხმინებოდა და ოდესმე მაინც გავიგებდი მის ნაზ და ალურსიან ხმას.

როგორც ყოველთვის, ჩემს კომპიუტერთან ვიჯექი და ინტერნეტით ვირთობდი თავს, როდესაც ჩემი მობილური აწვრილდა. დავხედე, ფარული ნომრით რეკავდა ვილაც. მეგონა, რომ რომელიღაც მეგობარი მეღადავებოდა და ვუპასუხე. თან გამეცინა, ხმა რომ არავინ ამოიღო. მეც მეტი რა საქმე მქონდა? მეჭირა ტელეფონი და ველოდებოდი, როდის ამოიღებდა ხმას. შორიდან, ტელეფონში ბაკშვის ბლავილი მოისმა და კავშირიც გაწყდა. ორ წუთში კვლავ აწვრილდა ტელეფონი, კვლავ ფარული ნომერი... ავიღე და მხოლოდ ერთი სიტყვა — მიყვარხარ — გავიგონე. ეს ის ხმა იყო, ჩემთვის ძალიან ნაცნობი და საყვარელი ადამიანის ხმა, მაგრამ სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ კავშირი კვლავ გაწყდა. ამ ყველაფერმა დიდ საგონებელში ჩამაგდო და გადავწყვიტე, გამეგო, ანი სად იყო და რას საქმიანობდა. გამახ-

სენდა ჩემი ძველი ძმაცუცი ნიკა, რომელიც ანის მეზობლად ცხოვრობდა და ვთხოვე, ყველაფერი ეამბნა ანის შესახებ.

- გამარჯობა, ნიკა, როგორ ხარ?
- გაგიმარჯოს, რომელი ხარ?
- სანდრო ვარ.
- ვაჰ, შენ გენაცვალე, ძმაო, მე კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?
- არა მიშავს, მეც ვარ რა, ძველებურად.

— სად დამეკარგე, ბიჭო, ეგრე უნდა ძმაცუცის დავიწყება?

— რა ვი, აღარ მცალია. ხომ იცი, წელს მეოთხე კურსს ვხურავ და სულ ვსწავლობ.

— მერე, როგორ მოხდა, ძველი ძმაცუცი რომ გაიხსენე?

— ნიკა, რალაც სათხოვარი მაქვს შენთან, ოღონდ დაიფიცე, რომ სიმართლეს მეტყვი.

— არა გრცხვენია, სანდრიკ? ხომ იცი, შენთან დასამალი არაფერი მაქვს.

— ანის შესახებ მინდა, ორიოდე კითხვა დაგისვა.

— ანი კიდევ გახსოვს? მე მეგონა, რომ უკვე დაივიწყე, შენ კი თურმე გათხოვილ გოგონებსაც დასდევ...

— რა თქვიიი?! ანი გათხოვდააა?!

— რა იყო, არ იცოდი? გათხოვდა კი არა, წლინახევრის შვილი ჰყავს, შენი სესხია, პატარა სანდრო.

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. გაგჭუმედი. თავში ყველაფერი ამერია. ათასმა ფიქრმა გამიარა, მაგრამ უცებ მოვედი აზრზე და ყურმილში ნიკას ხმაც მომესმა.

— სანდრო, გესმის ჩემი? რას გაჩუმედი, ბიჭო, ამოიღე ხმა!

— კი, ნიკუშ, მესმის, აქ ვარ...

— რა დაგემართა, ბიჭო, რამ დაგაბნია ამხელა კაცი? დავიჯერო, აქამდე ვერ გაიგე, ანი რომ გათხოვდა?

— ნიკუშ, როდის გათხოვდა ანი? ან რატომ არ შემბატყობინე?

— მე მეგონა, რომ შენ პირველი გაიგებდი მაგას.

— შენ წარმოიდგინე, ახლა, შენგან გავიგე... როდის გათხოვდა?

— მგონი, თუ სწორად ვიცი, ჯერ კიდევ მაშინ მოიტაცეს, როცა ჯერ კიდევ შენი შეყვარებული იყო.

— ნიკუშ, კარგად დაფიქრდი, ნამდვილები იცი, რომ ანი გათხოვდა?

— აი, გახსოვს, შენი შეყვარებული რომ იყო და ერთი კვირით ქობულეთში რომ წავიდა დეიდაშვილებთან ერთად?

— კი, როგორ არ მახსოვს, მაგას რა დამავინწყებს? ჩასვლასაც კი ვაპირებდი, მაგრამ ანიმ მითხრა, მალე ჩამოვალ, არაფერზე ინერვიულო. თან ისიც მითხრა, რომ ერიდებოდა ნათესავების, იქ რომ ჩავსულიყავი და იმიტომ აღარ წავედი.

— სანდრო, მაშინ ანი ქობულეთში არ ყოფილა, მაშინ ანი მოიტაცეს და დარჩა იმ ბიჭთან, სხვა გზა არ ჰქონდა.

ხომ იცი, რა ოჯახი ჰყავს? არ უნდოდა, ცუდი სახელი დარჩენოდა. რადგან იმ ღამეს იმ ბიჭსა და ანის შორის რალაც მოხდა, აღარ წამოვიდა. რომ ჩამოვიდა, ანი მეხვეწებოდა, რომ შენთვის არაფერი მეთქვა, ტიროდა, მემუდარებოდა, თავს მოვიკლავ, ეს რომ სანდრომ გაიგოსო. მაგრად უყვარდი, მაგრამ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა სამწუხაროდ, რომელსაც ვეღარ გამოასწორებდა... როგორც ვიცი, იმის მერე თქვენი ურთიერთობა თვე-ნახევარი გაგრძელდა...

მეჭირა ყურმილი და ვუსმენდი ნიკას, რომელიც ყველაფერს გულახდილად მიყვებოდა, მე კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. აღარ ვიცოდი, რაზე მეფიქრა. მინდოდა, რომ სადღაც კუნძულზე გავვარდნილიყავი მარტო, რომ იქ მაინც შემძლებოდა ყველაფრის გაანალიზება და აზრების დალაგება.

— ნიკა, აქამდე რატომ არ მითხარი ეგ ყველაფერი? ძალიან ცუდად მოიქეცი...

— სანდრო, დამიჯერე, მინდო... ..

— კარგი ნიკა, კარგად იყავი. ამ დღეებში გამომიარე, ძველი დრო გავიხსენო!

— კარგი, აბა, მაგრად!

დავკიდე ყურმილი და კიდევ დიდხანს ვიჯექი ჩაფიქრებული. ვფიქრობდი მხოლოდ ერთზე — იმაზე, თუ რა ძლიერ მიყვარდა ანი და ვერ გამეგო, რატომ არ მიაბზო ეს ყველაფერი მან თავის დროზე. მე ხომ ყველაფერს გავუგებდი და ყველაფერს ვაპატიებდი. მე ის მიყვარდა და მის სახელს არასდროს ვაქცევდი ყურადღებას. ეს ჩემთვის ყოველთვის მეორეხარისხოვანი იყო. რატომ მოიქცა ანი ასე, ჩემთვის ამოუცნობი იყო, მაგრამ ყველაფერში ისევ და ისევ თავს ვიდანაშაულებდი... ნეტავ არ დამეჯერებინა მაშინ და წავსულიყავი ანისთან, იქნებ მაშინ გამეგო ყველაფერი და ასე აღარ მოხდებოდა.

ვიჯექი და ვტიროდი, როგორც პატარა ბავშვი. გულს ნალველი აწვებოდა, თვალს — სიმწრის ცრემლი. რატომ შემემთხვა მე ეს ყველაფერი? რატომ გამწირა ღმერთმა? ათასი ფიქრი ირეოდა თავში და ბოლოს, ყველას ერთ აზრთან მიყვავდი, რომ ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა ანის გარეშე... ავიღე იარაღი, დიდხანს არ მიფიქრია, არც მიყოყმანია და გავისროლე“...

მომდევნო ნომრის თემა იქნება
 — „შემთხვევითი ქორწინება“.
 ამბები შეგიძლიათ
 გამოგზავნოთ მესიჯებით
 ტელეფონის ნომერზე:
 8.77.45.68.61
 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
 marorita77@yahoo.com



„სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია“

„გული ახალ სიყვარულს გაულე...“

„გზის“ №15-ში დაიბეჭდა 17 წლის მარიამის მესიჯი. გვწერდა, — შეყვარებულმა მხოლოდ იმისთვის მიმატოვა, რომ მასზე ზედმეტად მეჭვინანაო. რაღაც პერიოდის შემდეგ მარიამმა გადაწყვიტა, შესარგებლად პირველი ნაბიჯი თავად გადაედგა, მაგრამ „ლოვემ“ მიახალა: მაპატიე, მაგრამ არ მიყვარხარო. „მისმა ბიძაშვილმა (რომელსაც ნორმალურად არც კი ვიცნობ) „ოდნოში“ დამიმეგობრა, ცოტა ხანში კი ფოტოშოპში დამუშავებული სურათი დადო, სადაც ჩემი „ლოვე“ ლამაზ, მაგრამ ნაკლებად ცნობილ მსახიობთან ერთად იყო გადაღებული ანუ მაეჭვინანეს, რა... რამდენიმე დღის შემდეგ „ლოვე“ ჩემსავე მესაიდუმლესთან მივიდა და უთხრა: ერთ გოგოს მაგრად ვეკაიფებიო... მის გარეშე ყოფნა აღარ შემიძლია. ძალიან მიყვარს და სული მტკივა, როცა ვფიქრობ, რომ ყველაფერი წარსულში დარჩა“.

ლიკა ქავაია

ბრუზინა:

„ერთ გოგოს ვეკაიფებიო, რომ უთქვამს, ვერ ხვდები, რომ ის გოგო შენ ხარ? ჰოდა, ამის მერე ჩვენ რაღა ნიგრიოთ?! უნდა მიხვდე, რომ ეგ ბიჭი ნაგავია!..“

დუღუ:

„არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ რაც მართალია, მართალია — იმ ბიჭს არ უყვარხარ და ჯობია, მასზე აღარ იფიქრო. შენ უკეთესს იმსახურებ“.

ატარამსია:

„აი, ამას ჰქვია ერთი ადგილის უგზო-უკვლოდ თამაში. ერთი კითხვა გამიჩნდა და სამწუხაროა, რომ ვერ მიპასუხებ: ასეთი ცანცარა ბიჭი რამ შეგაყვარა?! თუმცა შენც კი ცეტი ჩანხარ. ისე, ამ ცანცარ-ცანცარში შეიძლება, რაიმე გამოგივიდეთ კიდევ...“

RAP-GIRL:

„ეს „ოდნოები“ და „კეთილისმსურველები“ დაღუპავს ხალხს. ისე, რა გინდა, მაგარი ურთიერთობა კი გქონიათ. ჩემო კარგო, ეგ სიყვარული არაა და თუ კარგად დაფიქრდები, ამას თავადაც მიხვდები“.

გზაპირი 09:

„სიყვარულიდან სიძულვილამდე რომ ერთი ნაბიჯია, ამის შესახებ არ გსმენია? ჰოდა, ის ბიჭი შეიძულე, ამას იმსახურებს. კაცი, რომელიც ინტრიგების ხლართვას დაიწყებს, უღირსია! მისკენ აღარც კი გაიხედო, ფრთები გამოშალე და გახალისდი. ჰო, მისი მეგობრებიც მოიშორე“.

ლუნა:

„ვიცი, არ გინდა იმის დაჯერება, რომ იმ ბიჭს არ უყვარხარ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას — შენ მისთვის არაფერს ნიშნავ; ის უბრალოდ ერთობა, თორემ ეჭვიანობის გამო არ დაგშორდებოდა... თავს ნუ გაისულელებ, ის ბიჭი შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ ამოშალე; ყურადღება არ მიაქციო და მიაწიწე, რომ აღარ გაინტერ-

ესებს. P.S. იმ გრძნობას კი, რაც მის მიმართ გაქვს, დრო გაანელებს, თუ, რა თქმა უნდა, თავს მოერევი და ყოველ წამს მასზე არ იფიქრებ“.

TALKER:

„შენ კი არ უნდა სდიო ბიჭს კუდში, არამედ მან უნდა გდიოს, შენ კი არ უნდა ეხვეწო, ის უნდა გემუდარებოდეს. P.S. მგონი, ახლა გოგონები ირგებენ მამაკაცის როლს და ამ თემაზე დაფიქრება გემართებს. საქართველოვ, რა დრო დაგიდგა!..“

ნიკოლო:

„შენაირ „შემეტენე“ გოგოს უარესად უნდა მოეცინენ. სული არა, ის გტკივა... „ოდნო“ დაუნების ბუნაგია, ჰოდა, მიდი, კიდევ აუტმასნე ვინმეს ისეთს, ვინც „დაგამშვიდებს“. ვაი, რა გეშველება!..“

ლიფსო:

„აუ, ამ ბავშვებმა სულ გარეკეთ, ხომ? ბიჭი გეუბნება, არ მიყვარხარო და შენ რა, „შეტენვაზე“ ხარ? ეჰ, ერთუჯრედიანი ყოფილხარ. მიდი, შვილო, ჯერ გაიხარდე და ბიჭებს მერე სდიე“.

ბაზაპირი:

„მაპატიე, მაგრამ ძალიან არასერიოზული, უთავმოყვარეო და ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა გოგოს შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლება, ჩემი ასეთი პირდაპირობა გენყინოს, მაგრამ საყვარელ ადამიანთან ერთად ყოფნის და საერთოდ, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების სურვილი თუ გაქვს, შენი თავი გარკვეულ სიმაღლეზე უნდა დააყენო, ჯერ თავად დაფასე საკუთარი პიროვნება და სხვებს მერე მოსთხოვე, პატივი გცენ. ვიდრე გვიანი არაა, გონს მოდი. P.S. ეს ბოლო ფრაზა — „სული მტკივა“ — ზედმეტი იყო. ასე მგონია, ამ სიტყვებს რომელიღაც ჩანახატში თუ ლექსში წაანყდი (დარწმუნებული ვარ, შემთხვევით, თორემ არა მგონია, კითხვით იკლავდე თავს) და გადაწყვიტე, შენი წერილი მაღალფარდოვანი გაგხადა, მაგრამ

სამწუხაროდ, ძალიან ხელოვნური გამოგივიდა“.

რუისირი (GREEN):

„17 წლის ასაკში ასეთ სასიყვარულო თავგადასავალსა და ინტრიგაში გახლართვა როგორ მოახერხე? მთელი რიგი ეჭვიანობა, სკანდალი და სასიყვარულო სამკუთხედი — ამ ყველაფრისთვის ძალიან პატარა ხარ. ჩემი აზრით, როცა გიყვარს, მაშინ მოვლენები ისე არ ვითარდება, როგორც ეს თქვენს შემთხვევაში მოხდა და რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამ ყველაფრის განალიზება უნდა შეძლო. გული ახალ სიყვარულს გაულე და ყველაფერი კარგად იქნება. P.S. თქვენზე დადებითად გაზაფხულის მოსვლამაც არ იმოქმედა“

MIKKA:

„რა სულის ტკივილზე ლაპარაკობ? ბავშვებს ყველაფრის დრამატიზება გიყვართ. ის ბიჭი მაგრად გეკაიფება და ვერ ხვდები (ან ხვდები, მაგრამ თავს იტყუებ, ეს კი უარესია), წინდაუხედავად იტყუი და თავს იმცირებ. წესით, მან თავად უნდა გდიოს, ეჭვიანობით ის უნდა კვდებოდეს და არა შენ. რატომ? იმიტომ, რომ გოგო ხარ, ის კი მამაკაცია. გამოფხიზლდი, თავი დაიფასე და სხვებიც დაგაფასებენ“.

თაფსინა:

„ეჰ, ეს კაცები, რა.. მარი, ნუ იდარდებ, ყველაფერი კარგად იქნება. ოდესმე აუცილებლად შეხვდები ისეთ ადამიანს, ვისაც ქალის ფასი ეცოდინება!“

პირივი:

„ეგეთი ბიჭი უნდა დაივიწყო. რა წინ და უკან დარბის ან რა სურათებით გაეჭვინანებს? თუ მაგარია, ყველაფერი თავადაც გითხრას. აშკარაა, რომ აკლია!“

უნუნარი:

„ჯერ პატარა ხარ და თავს ნუ იტანჯავ. იმ ბიჭს არ უყვარხარ და გირჩევე, ის გონებიდან შენც ამოიგდო. მეც მქონდა მსგავსი სიტუაცია: „ლოვე“ დამშორდა იმიტომ, რომ თურმე „რქები ვერ მომტეხა“ (თავად ამბობს ასე). მე „ოდნოში“ „დავბლოკე“, ერთი თვის შემდეგ კი სხვა ნიკით მომწერა. ვიცოდი, ეგ იყო, რადგანაც „ძიებაში“ მის სახელსა და გვარს ჩაწერდი თუ არა, იმ ნიკს მიგდებდა. ჰოდა, აყვიე... მწერდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ვუყვარდი, უბრალოდ, საკუთარი თავისთვის რალაცის დამტკიცება უნდოდა (ჩემში ეჭვი ეპარებოდა და...). მხოლოდ 5 თვის შემდეგ აღიარა, — მე ვარო, მე კი დავცინე და მივწერე, რომ აღარ მჭირდებოდა. P.S. თავს ნუ დაამცირებინებ და ომი რომც წააგო, საკუთარი თავის პატივისცემას ნუ დაკარგავ“.



„ზოგჯერ ტყუილის არ მიიჩნევა დანაშაულად“

„ძველი ტკივილის დაძლევაში ახალი ნაცნობობა დაგეხმარება!“

ძმარივი:

„ზოგჯერ ტყუილიც არ მიიჩნევა დანაშაულად. მას უყვარდი და სიმართლე ამიტომაც დაგიმალა, შენი დაკარგვის შეეშინდა. გთხოვ, მისი სულისთვის ილოცე, მას ხომ ძალიან უყვარდი...“

რუისირი (GREEN):

„როცა შენი „ესემესის“ სათაური ნავიკითხე, ვიფიქრე, — ახლა იმ სასონარკვეთილი ადამიანის ნუნუნს მოვისმენ, რომელიც გარდაცვლილ სიყვარულს მისტირის ან რომელსაც თვითმკვლელობა გადაუწყვეტია-მეთქი, მაგრამ — არა, შენ თურმე სატრფოს ოჯახური მდგომარეობა მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინე და მის გამო ახლაც, 3 წლის შემდეგაც ვერ ენდობი მამრობითი სქესის წარმომადგენლებს. გთხოვ, შენს უნიათობას ბიჭებს ნუ დააბრალებ!“

ნია:

„შეყვარებული გყავდა, მასზე გათხოვებას აპირებდი და დავიჯერო, მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ შეძელი? თუ ბიჭებს ბრმად ენდობი, ეს შენი პრობლემაა, რადგან ისინი ამ სიბრმავეს აუცილებლად სათავისოდ გამოიყენებენ და გულს ყოველთვის გატყენენ; მაგრამ თუ ფხიზლად იქნები და მამაკაცებს დაარწმუნებ, რომ ჭკვიანი ხარ, ისინი შენს გაცურებას ვერასდროს გაბედავენ. კაცების ნუ გეშინია, ყველა მატყუარა არაა, მთავარია, მათ თავად არ უბიძგო ამისკენ. და კიდევ, გაითვალისწინე, ქალი კაცისთვის მხოლოდ საყვარელი ადამიანი კი არა, კარგი მეგობარიც უნდა იყოს.“

ლიფსო:

„მერე რა, თუ ნაცოლარი იყო? როცა ადამიანი მართლა გიყვარს, მსგავსი რაღაცები უნდა „დაიკიდო“;“

„ადამიანები ჩემთან ურთიერთობას გაურბიან...“

N.M. ROCK:

„გამარჯობა. პირველად გწერთ, მაგრამ მერწმუნეთ, მე „გზის“ ერთგული მკითხველი, ფანი ვარ და ახლა თქვენი დახმარების იმედი მაქვს... მიყვარს მარტოობა; როცა რაიმე მიჭირს, საკუთარ თავთან მარტო ვრჩები და როკს ვუსმენ. ალბათ მეტყვიით, — ასეთ დროს განმარტოება კარგი სულაც არააო, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს — მეგობრები თითქმის არ მყავს. ადამიანები ჩემთან ურთიერთობას იმიტომ გაურბიან, რომ მარტოობა მიყვარს. მინდა, ამხანაგები მყავდეს და მათთან ერთად გავერთო, მაგრამ ეს არ გამოძის. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.“

„გზის“ №15-ში დაიბეჭდა უიმედოს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ შეყვარებული 3 წლის წინ ანუ მაშინ გარდაეცვალა, როცა დაქორწინებას აპირებდნენ. გოგონამ მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო, რომ მისი რჩეული ნაცოლარი იყო და როგორც თავად გვწერს, ამ ფაქტმა გაანადგურა. „არ მინდა, გარდაცვლილზე ცუდად ვიფიქრო, მაგრამ... ახლა აღარაფრის იმედი არ მაქვს. მგონია, რომ ბედნიერი ვერასდროს ვიქნები, რადგან ყველა ბიჭს ეჭვის თვალით ვუყურებ, ყველა მატყუარა მგონია...“

თანაც, ის უკვე გარდაცვლილია და შენს „ნიკებს“ რა მნიშვნელობა აქვს?“

ნიკოლო:

„შენი მდგომარეობა მართლაც რომ უიმედოა... გოგონები ხომ, რას ამბობთ, უნაკლოები ხართ, რა. ზოგი ქალიშვილობას იბრალებს და შენი აზრით, მათ გამო ბიჭებმა მთელი ქალთა მოადგმა უნდა შევიძულოთ?..“

TALKER:

„პირადად მე, არასდროს მჯეროდა იმის, რომ ყველა კაცი ერთნაირია. ახლა იმედგაცრუებული ხარ და არ იცი, რა უნდა ქნა, მაგრამ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში მაშინ დარწმუნდები, როცა იპოვი ისეთ ადამიანს, რომელიც შეგიყვარდება.“

აპრა:

„3 წელია, რაც გარდაიცვალა? ჰოდა, მიცვალებული უნდა დაივიწყო! ჩემი აზრით, თავს მოტყუებულად მიიჩნევ და ყველა ბიჭს ეჭვის თვალით ამიტომაც უყურებ. ძველი ტკივილის დაძლევაში ახალი ნაცნობობა დაგეხმარება!“

ლუნა:

„საყვარელი ადამიანის დაკარგვა ძალიან ძნელია. სამწუხაროდ, ის გარდაიცვალა, შენ კი ცხოვრება თავიდან

უნდა დაიწყო. რალა მნიშვნელობა აქვს, ნაცოლარი იყო თუ არა?... არც ისაა მართალი, რომ ყველა ბიჭი მატყუარაა. თვალები გაახილე და ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც შენთვის იქნება უკეთესი. დაელოდე ახალ, ნამდვილ, წრფელ სიყვარულს. გკოცნი.“

ბრუზინაპა:

„იცი, გენაცვალე, ზოგჯერ ადამიანი მწარე სიმართლეს იმიტომ მალავს, რომ ეშინია, სიმართლის გაგების შემთხვევაში ზურგი არ შეაქციონ. ეტყობა, იმ ბიჭსაც ამის შეშინდა და ვერ გითხრა, რომ ნაცოლარი იყო. P.S. იცოდე, ყველა კაცი მატყუარა არაა. წარმატებები!“

კიზორჩხალა:

„გამარჯობა. 16 წლის წინ მეც დავკარგე საყვარელი გოგო. შენ წარმოიდგინე, მეორე დღეს ჯვრისწერა უნდა გეკონოდა... მას მერე მარტო ვარ. იცოდე, ახლა ჯიბეს უყურებენ და არა სიყვარულს, მაგრამ შენ ხელს ნუ ჩაიქნევ, გთხოვ, გაიხედ-გამოიხედე და აღმოაჩინე, რომ ამქვეყნად კარგი ადამიანებიც ცხოვრობენ. 8(74) 28.67.77 — ეს ჩემი ნომერია და თუ სურვილი გექნება, შემომეხმინე.“

„ჩემი მეგობარი ბიჭების მუსუსი გახდა“

მარი კომ:

„მყავს ბავშვობის საუკეთესო მეგობარი. მისთვის დასავით ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ვერ ვუგებ — ბიჭების მუსუსი გახდა: 5 თვეში სუთი ბიჭი გამოიცვალა. ვიცოდი, რომ თითოეული მათგანი მისით ერთობოდა, რადგანაც ძირითადად, ბიჭებთან ვმეგობრობ და მისი ენ. „ლოვეები“ კარგად გამოვიცანი, მაგრამ დაქალი ჩემს რჩევებს ყურად არ იღებდა, ეგონა, ვცდებოდი. სამწუხაროდ, ჩემი სიტყვები გამართლდა — სუთივემ გული ატკინა. მას შემდეგ დაქალმა მითხრა: მორჩა, ანი დაგიჯერებ ხოლმეო, მაგრამ პირობა არ შეასრულა. მას უკვე ახალი „ლოვე“ ჰყავს. მიუბნება: ძალიან კარგი ბიჭია, ის მათ არ ჰგავსო, მაგრამ მე სულ სხვა რამეს მიგრძნობს გული. ჩემი შეძენილი და ძალიან მიყვარს და არ მინდა, ისევ გაუტყუვდეს იმედი. ჰოდა, მირჩიეთ, რა ვქნა? ისეთი რა ვუთხრა, რომ იმ ბიჭს დროულად დაშორდეს? დამეხმარეთ, გთხოვთ.“

P.S. გპ მკ თუ მარიაშისა და უიმედოს წერილების ნაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმეცხვეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



მოზილი-ზაცია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხვდეს, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოზილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქაღახი



1. გავიცნობ 26-30 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. მარი.



მამაკაცები

2. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, სერიოზული, რეალური ურთიერთობისთვის. გიო25.

3. გავიცნობ თბილისელ გოგოს, 27 წლამდე. დავეხმარები მატერიალურად.

4. ვარ 37 წლის მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე მანდილოსანს, ვისაც მართლა უნდა ოჯახი და თბილი კერა. გამოუმეხმარეთ რეალურები.

5. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. გიო24.

6. გავიცნობ მანდილოსანს, 25-35 წლამდე. ვარ 37 წლის.

7. ვარ 20 წლის, სასიამოვნო გარეგნობის ბიჭი. ვცხოვრობ მარტო. გავიცნობ გოგოს. არჩი.

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბატონს, 32-36 წლამდე, რომელსაც სურს ჰქონდეს ოჯახი (თუნდაც განათხოვარს!) ვარ 38 წლის, ვცხოვრობ რაიონში, ვმუშაობ! მსურველმა მომწეროს საღამოს!



ვაკაბ

9. ვეძებ ეთერ ფსუტურს. 1988 წლამდე ერთად ვმუშაობდით სახელმწიფო ბანკის საქარსნო განყოფილებაში. მე ვარ ნინო ბარამიძე. ამჟამად ვცხოვრობ სამტრედიისში.



სხვადასხვა

•კაკადუ, ახლა მალე გნახავთ. ბავშვებს ძალიან მოეწონება. ნიკუშამ შენს სურათს შეხედა და თქვა, იცი, როგორ მიყვარს ჩემი გიოო? ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვწაბრებთ.

•დილა შენი მონატრებით იწყება, საღამოს შენი მონატრებით ვწვები. იმედი მაქვს, მალე ყველაფერი მოგვარდება და უფალი ჩვენს გულს დალოცავს. დაგელოდები. ალი.

•ჩემო ნამდვილო სიყვარულო, მრავალ ხვალინდელ დღეს დაესწარი ჩემთან ერთად. გისურვებ ისეთივე გრძნობას, როგორიც მე მაქვს შენ მიმართ. ნრუწუნა.

•ჩემო მსუქანავ, როგორ მინდა, შენი ერთადერთი საჩუქარი მე ვიყო და ძალიან გიყვარდე.

•ჩემი გრძნობა შენთვის ნაცნობია და ამიტომ მოკლედ გეტყვი: გილოცავ და მიყვარხარ.

•მამაჩია, მიყვარს ეგ ოხერი და გააგებინე რამე, თორემ ხომ ხედავ,

ცოცხლად შემეჭამა მეგრელმა.

•კასკუ, ჩემო სიყვარულო, მაღლობელი ვარ ლმერთის, შენი თავი რომ მაჩუქა. ჩვენი სიყვარული არის ის, რითაც ყველაფერ ცუდს გაუქმლებთ. უფალი ძალიან მონყალა და შეისმენს.

•კასკუ, მე ყოველთვის შენს ჩრდილში ვიდეგები და ვილოცებ შენთვის. ხომ იცი, შენ ჩემი საყრდენი ხარ და არა მარტო ჩემი. ჩემო ტკბილო, თავს გაუფრთხილდი და მიხედე.

•კასკუ, ხომ იცი, მაგრად უნდა იდგე, ჩვენი შვილებისა და ჩვენი სიყვარულისთვის. აქეთ კარგად ვართ, არ იდარდო, გთხოვ. ბევრს გპოცნი გულში. სულ მუდამ შენი ლიკუნა.

•კასკუ, ჩემო უსაყვარლესო, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი დროებითია და უფლის ნებით ეს განსაცდელიც ჩაივლის, ოღონდ შენ არ გვილაღატო, ჩემო სიცოცხლე. ქეთი.

•კასკუ, გული არ გაიტეხო და ისევ

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსავაზინებ მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!		
ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



ძველებური კასკუ დაგვიბრუნდი. ჩვენი იმედი გქონდეს, მაგრად ვართ, არ იდარდო, დედიკო ყოჩაღად არის, უსაზღვროდ გვიყვარხარ. ქეთი.

•კასკუ, ველოდები ოთხშაბათს, რომ თვალბით მაინც მოგვეფრო. გილოცავ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, გკოცნი უამრავს, გეფერები, მიყვარხარ, შენი ქეთი.

•მე პირველად გნერთ, მაგარი ხალხი ხართ. გენაცვალებ, მიყვარხართ მაგრად... ლაქლაქა :).

•რატომ? ლაქლაქა :).

•იმედი მაქვს, კარგად ხარ. ვაფშე ვეღარ ვკონტაქტობთ. ძალიან ვნერვიულობთ. ძამი, 2 მაისს გნახავთ. ალდგომას იქით მივდივართ. გვენატრები, გვიყვარხარ. ანუშკი, ეთუნა, სოსო.

•მგზავნელებო, როგორ ხართ? დიდი ხანია, ვკითხულობ თქვენს სმსებს და ძან მომწონხართ. მე ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდით ყველას. ბიბიკო :).

•ზეუსი, როგორ ხარ, სიხარულო? იმ დღეს შენი მეგობრები იყვნენ, ველაპარაკეთ და ყველაფერი კარგად იქნებაო.

•რუისპირ (GREEN), გაიხარე. ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია რუისავით ყველაფრით კარგი ვინმე. რუი, გენაცვალე, ღმერთი იყოს შენი მფარველი და გახარებული ყოფილიყავი.

•მგზავნელები გავიცანი და უსაყვარლესები არიან... გენაცვალეთ მე თქვენ, გაიხარეთ... წინასწარ გილოცავთ ალდგომას, მრავალს დასწრებოდეთ. I WIS YOU ALL THE BEST. WANDERER.

•კრუსუნებოო, მამენტრეთ. დიკი ანგელის სმს წავიკითხე და შემეცოდა, უფალი შენთანაა. CRAZY, სადღა მაქვს ოდნოს ნერვი? ლი23 ნიჭიერ... ბედნიერი ვარ ახალი ნომით. უწუნური.

•დიკი ანგელ, გული მწყდება, რომ მიდხიარ, შენმა მოყოლილმა ამბავმა ცრემლებამდე მიმიყვანა. ვწუხვარ ძალიან, არც კი ვიცი, რა გითხრა. არ გიცნობდი, მაგრამ მომენტრები. მორიელი.

•მე თუ წვეთს მოგთხოვ, შენ ზღვა მთხოვე, ოღონდ მომთხოვე და შენს თვალთაგან გამომცქირალ მცირედ სითბოზე, მე მთელ სიცოცხლეს შემოგნირავ, სული მომთხოვე...

•დიკი ანგელ, ბედნიერებას გისურვებ. იმედი მაქვს, შენი ცხოვრება ბედნიერი იქნება. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ. ალდგომას გილოცავ. მშვიდობით, მეგობარო. :((მორიელი.

•ედელვასი, ჩემო ლამაზო და უსაყვარლესო დაიკო, მე მართლაც გიცნობ და ვიცი, სხვისი გულის ტკენა რომ არ შეგიძლია, კარგი ხარ და ამიტომაც ძალიან გაფასებ. ფლამინგო.

•როგორ ხარ, მარ? აი, მეც მოვე-

დი... თან რუისპირიც გავიცანი და უკვე სიყვარულიც ავუსხენი :-) არა, GREEN? ამორძალი.

•ნიკის შეცვლა მოვინდომე და YELLOW-დ რუისპირი გაიჩითა, მეთქი ისევ ძველი ნიკით მოვალ-თქო და ახლა GREEN დაინერა. თქვენ დაიგრუხებოდით, მე კი ვიხალისე. :) GREEN GIRL.

•შენთან მოყვები ფიქრების ტალღებს, ჩემი ოცნების პატარა გემით, ჩემო იმედო, შორიდან მოჩანს შენი თვალბის მშვიდი ნაპირი. სფინქსი.

•ქრისტე აღდგა! გაიხარე, ჩემო მონატრებულო დადუნა, გენაცვალოს შენი თინა ბებია. სულ სიხარულში გაგელიოს ეს წუთისოფელი. შენი ერთკეკლა ბებია:).

•მუკი, ალდგომას გილოცავ, ამ დღის მადლი გფარავდეს. ახლა ყველა ერთად ვართ. გიამ ხბო მოიტანა. არადა, ფესახია და ნუგზარი მაჯავრებს. ნეტავ აქ იყო, რა. მენტრები ძან.

•მუკი, ყოველღამე სიზმარში გხედავ, მეც და ბავშვებიც. ნიკა უკვე მეჩხუბება, კიევში წამიყვანე, თორემ აღარ გელაკალბებიო. ვამზადებ, რომ ფანჯრიდან ვერ ჩაეხუტები-თქო. ამაზე ბრაზდება, მერე ნია აწყნარებს. დიდი გოგოსავით იქცევა. ზოგჯერ აფრენს და ჭამენ ერთმანეთს და მეც მაგიუებენ. მოკლედ, გვაკლიხარ ძან, რა. გადავიღალე. მიკაი.

•ყველაფერი წარმავალია, სიყვარული, ხელოვნება, დედამინა, თქვენ, მე, სიკვდილი იმდენად გარდაუვალია, რომ ყველას მოულოდნელად ატყდება თავს. როგორ უნდა მიხედვ, რომ მაინცდამაინც დღევანდელი დღეა შენი ცხოვრების უკანასკნელი დღე? არადა, სულ გგონია, რომ დრო კიდევ გაქვს! მერე, უცებ, ერთ მშვენიერ დღეს — ბრაბ! სიკვდილი ერთადერთი პაემანია, რომელიც წინასწარ ვერ ჩაენერება თქვენს ორგანიზაციაში. ბეგბედური გენიოსია, გენიალურად დაწერა... პირველად გნერთ... ნიმა.

•კაკადუ, ქრისტე აღდგა. მაგრად მიყვარხარ და მენტრები. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. მაგარი შეილები გვზრდება და მალე იამაყებ, ნახავ, რა კარგები არიან. კახა.

•კაკადუ, ნია თითქმის სულ ჩვენთანაა, ჩვენ ვზრუნავთ საკუთარ თავზე, არ ინერვიულო. მთავარია, შენს თავს მიხედო ახლა და ჩვენც კარგად ვიქნებით. გილოცავთ ალდგომას.

•„მე ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობ და ყოველ დღით ვხედები ნიკალას“. ასეთი ნახატები რომ შექმნილიყო, ფიროსმანს ზუსტად ისე უნდა ეცხოვრა, როგორც იცხოვრა. კუნჯულა.

•ირაკლი, გილოცავ ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გვარავდეს, დედი.

•როგორ ხარ? მაინტერესებს, ხომ არ გტკივა რამე. აბა შენ იცი დედიკო, ჭკვიანად იყავი. თავს გაუფრთხილდი. სამშაბათს სდასუმი მივდივარ, ქორიძესთან. მენტრები. აკადემიური მინდა აგილო. ვნახოთ, რა იქნება. ყველას ძან გვენატრები, ლუკას — უფრო: კითხულობს, — ირაკლი როდის მოვაო. მე ფანჯარაში გავიხედავ და რომ მოვა, დავინახავო.

•კასკუ, ქრისტე აღდგა, ჩემო სიცოცხლე! მრავალ ბედნიერ ალდგომას დაგვასწროს უფალმა ერთად, მთელი ოჯახი. უკვე გიყვით ვითვლი დღეებს, რომ თვალის მოკვრა ისევ კუს, მენტრები. კასკუ, ალბათ ანი დროზე გაირკვევა რამე. ყველაფერს ხომ აქვს დასასრული. ღვთის ნებით, კარგად იქნება ყველაფერი. სასაფლაოზე კუკიაზე დათუჩამ წაგვიყვანა, დილას ადრე. კასკუ, მერე ქეთოსთან გავედით და ფეხით ავედით ზემოთ. საშინელი წვიმა იყო და ბავშვები წუწუნებდნენ, მამა გვესაჭიროებო. რას ვიზამთ. ნეტავ, მართო მაგაში მაკლდე. კასკუ, სუნთქვა მიჭირს უშენოდ და არსებობა. ჩემო ერთადერთო, გაუძელი ვაჟკაცურად. შენი იმედი მაქვს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. გეხუტები გულში და გკოცნი. შენი ლიკუნა.

•გაგეგობოდეს ამ ამბის და რამის აზრზე იყო, მაგრამ რადგან ასე განიცდი ლევანის ამბავს, გეტყვი, რომ ჩვენ, მხარეებმა გაგარკვიეთ უკვე, სათქმელი ითქვა, დასასჯელიც დაისაჯა. :) და ამ ყველაფრის ფონზე შენი ჩემდამი შეურაცხმყოფელი სიტყვების მერე რას იმსახურებ? ენა ჩაიგდე და შემდგომში მაგ შმორიან თითებს ინსტრუქცია მიეცი, ტუტუცო. P.S. თუ ზურგს უკან გაუფრთხებენ, იცოდეთ, რომ თქვენ ღირსეულად ცხოვრობთ.

•ნანა მისირელო, ბედნიერი დებილი აღამიანის შთაბეჭდილების ტოვებ, და აზრზე მოდიო... ისე, მუნუკები ერთად უნდა იყოთ.

•ნიკოლოოო, ვერ დაგიმულამე, რა უბედურება ხააარ? :) რას ერჩი ლუნას, მე ძალიან მომწონს, ძალიან ღრმა აზრით. :) ფოთოლცკუნის დროს... რა კაარგ ხასიათზეა ნაოში. :)

•მე ახალი ვარ. ამას წინათ თეთრო გავიცანი შემთხვევით და გადავწყვიტე, მეც მგზავნელო გახვდ. მაგარი საყვარელი გოგო ხარ, თეთრო. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინე. იმედია მიცნობ, ვინ ვარ. ხალხო, მიმიღეთ თქვენს ლამაზ ოჯახში. კიკე.

•ედელვასი, შენი სახელით მწერდა ეტყობა ვილაც, ცუდ სიტყვებს მუუბნებოდა, ღმერთმა იცის, როგორ გტიროდი იმ დღეს, ძალიან გთხოვ, დაივიწყე ჩემი არსებობა. დიკი ანგელი.

•მარ, მამატიე, ერთხელაც განუხებ,



ზურა, გთხოვ, იყავი ჩემთან, თორემ დედამაც გაუბერა, წარაშრა მაყვედრის, ჩემთან ერთად ხარ, ნაქირავებშიო. გთხოვ, შემირიგდი, უკვე ხელითაც მესხება. მეზიზღება ჩემი თავი უკვე, წინა კვირას მოგწერე „ფიქსზე“, ვაუჭვანებ-მეთქი და ვთხოვდები-თქო, გითხარი. მაია მწერს, გილოცავო. მაგას რალა არ ასვენებს? ზუსტად მაგის ბრალია ჩვენი დაშორება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეჭვიანობდა. მაიას მოწერის უფლება არ ჰქონდა, ეგ გოგო ის არის ზუსტად, ვინც დაგვაშორა. მაი, კარგად დაფიქრდი, ამას რატომ ვამბობ, მართალია, ზურა სვამს და მის ბრალიცაა, მაგრამ 77 პროცენტი შენ დაგვაშორე, შენი სმს-ით დავრწმუნდი. მაი, კარგად ვერ გაგინეს, კიდეც გინდა, ხომ? შენ მართლა ველარ ხარ, ამას არ გააბატიებ, ვფიცავ ყველაფერს, მე არ ვავთხოვდები, გასკდი გულზე, გველო. მაია მინდაძე, ამას არ გააბატიებ, გასაგებია? ზურა, მართლა მაგან დაგვაშორა, ვიცი, შეიძლება ეს ფურცელი ამოხიონ, რომ შენ ვერ ნაიკითხო, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ნახავ. ზურა, მიყვარხარ საკუთარ თავზე მეტად და ვიცი, რომ დამიბრუნდები, ჩემთან ჩამოხვალ, ვიცი, მაგრამ როდის, ნეტავ? ალბათ მალე, ხომ? იმედი მაქვს ამის. მიყვარხარ. ოჯახს ნუ დავანგრევთ, გვედრები. აღდგომას გილოცავ. შენი დიკი ანგელი.

• დღე მშვიდობისა, საყვარელო მარი. ნაიკითხე შენი შენიშვნა და ნამდვილად გეტანხმები, რომ არავისთვის არაფრის აკრძალვის უფლება არ გვაქვს, არც სხვისი ნიჭიერებაა ვინმეს განსჯის საგანი. მე უბრალოდ, თხოვნა მქონდა. სხვასთან უჩნდებათ ასოციაცია. ვინ გაითვალისწინებს და ვინ — არა, ეს მისი საქმეა. მეც ბედნიერი ვიქნები, თუ ვინმე ჩემს სახელს გააგრძელებს, როცა აღარ ვიქნები, მაგრამ ძეგურჯერობით, აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. იმედია, არავის ვანყენინე და შენი თქმის არ იყოს, ზომიერება შევიწინარწუნე, ამჯერადაც. მაპატიეთ, თუ ვინმეს არაკორექტული მოვეჩვენე. ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გკოცნით და გეფერებით, თქვენი პარიჟანკა.

• კაი, კუნკულ, არა უშავს, მაგას :-)

• მარი, ქვრივის ნომერს რატომ არ მაძლევ? რა უნდა ვქნა, რომ მომცე? თან ქვრივმა თვითონ მითხრა, მარის გამოართვი ნომერიო... :-)

• მე შენ გამსგავსებ გაზაფხულის მთვარიან ღამეს ცვრიან ენქელას, იას, ვარდებს და ირმის თვლებს! გამლილ ტრამალზე გადაჭიმულ ყაყაჩოს ველებს და მოკაშვასზე ვარსკვლავების ჩაივდ-

ულ ხელებს... მომწონს. თან — ძალიან :-)

• ნუ დაეცემი, სულს ნუ იტანჯავ, ტანჯავ ყოველთვის ფიქრით იწყება. იფიქრე კარგი და დაინახავ, რომ ყველაფერი კარგად იქნება! როგორც ის-ნავლი სამყაროს ხედვას, შენი ცხოვრებაც ისე იქნება, გულს ნუ გაიტეხ, განამდეს უფლისა და ყველაფერი კარგად იქნება! ტყუილუბრალოდ ღელავა და შიში, მაშინ მოუხმე თვით შთაგონებას, თქვი, ყველაფერი კარგად იქნება! რომც დაგარწმუნონ შენ ილუბები, შენი სიცოცხლის ნუთი ითვლება, რწმენას მოუხმე და შენ იხილავ, რომ ყველაფერი კარგად იქნება! თუ ცოდვები გაქვს, სულით დაეცი, ღმერთი არ გტოვებს, შენკენ იხრება, ის მონყალეა ყველა ცოდვილის და ყველაფერი კარგად იქნება! როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს და შენი გული ბოლომთ ივსება, ერთადერთია, რაც გადაგარჩენს, თქვი, ყველაფერი კარგად იქნება! დიდი ნიჭია თავშეკავება, ნიჭით სიბნელე ნათლით იცვლება, როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკვე იცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება! როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა, სხვებს აუხსენი და შთაგონე, რომ ყველაფერი კარგად იქნება! როდის იქნება? როგორ იქნება? როცა კითხვები გულში ისმება, ნუ უფიქრდები უაზრო კითხვებს, ღმერთის წყალობით, სულყველაფერი კარგად იქნება! აღდგომას გილოცავთ ყველას, გვარავნად თუ უფალი მუდამ... ბუცა.

• დილა მშვიდობისა, მარიამულ... ხომ ხარ, მე რომ გამიხარდება ისე? მეძვირფასები და უაზროდ მიყვარხარ, რა ვქნა, მიყვარს შენი ყველა სიტყვა. მომეწონა შესავალი, კარგად თქვი ყველაფერი. ძალიან კარგი ამბავი უნდა მოგწერო, იმედია მოგეწონება, ჩვენმა მოხუცმა მიაბო და მთხოვა, დაწერე „გზავნილებში“. ვიცი, გაახარებს მომავალ სუთმებას „გზის“ ნაკითხვა. მართლა, დაუფერებელი და საოცარი ამბავია, მარ. უყვარხარ შენს ლუნიტას :-)

• სიბნელემ მოიტანა ვნება, სიგიჟის ნამები დგება, მთვარე მიიძალა ჩუმიად, გოგონას შერცხვა და... სანოლში ჩაიძალა უმალ... იმ წამში ნაცოცი ჩაისხა, ცხრა თვეში მიზანიც აისახა... აი, ასეთია ვნება, როცა საჭიროა, ჩნდება, ორი გადიქცევა სამად, ცხოვრებაც გაგრძელდება ლალად... ლუნა.

• ვაიმე, გამიხმეს თითები, სხვა მოხუცი ყოფილა. თუმცა, არცოდნა არცოდნააო, ასეა, მგონი ნათქვამი. გრუზინკა.

• ეს უდიდესი საჩუქარი და მადლობა უფალს ამისთვის, თქვენც ხომ გიყვართ? ბუცა.

• გამარჯობა, მარი, მეც მარი ვარ. ძალიან მინდა შენი გაცნობა და მაგრად მინდა, შენი მეგობარი ვიყო. :)

• ედელვასი, მე ტელე არ მაქვს, მალე ვიყიდი და მოგწერ, მარტო შენ მიგებ, დებივით ვიყავით, მალე შეგეხმინები, დაიკო, მიყვარხარ, ჩემი სიხარული ხარ. დიკი ანგელი.

• მარი, მარიამო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ შენ, „გზას“ და მგზავნელებს. გაუგებრობა ამოწურულია, პირიქით, მე გიხდი ბოდიშს, გაუგებარი მესიჯისთვის. სევდიან ქალს, ლუნას მოვიკითხავ, ძალიან კარგები ხართ, ჩემო ძვირფასებო, ხომ მიცხანით, ნიკშეცვილი? მარი, შენც ხომ მიცხანი, აურზაურის ავტორი?! არადა, შეგნებულად არ გამიკეთებია, უბრალოდ, ნიკი დაემთხვა. ნასვლა დავაპირე, მაგრამ ვერ წავედი, „გზა“ და მგზავნელები ჩემი სულის ნაწილია. ასე რომ, აქ ვარ ისევ, თქვენთან. ჩასართე.

• მარ, ბოდიში, გვიან გწერ. :) ანი ვარ, მინდა გაგიცნო, აი ძაან. ქაჯანა, ამ სახელით მოგწერ ხოლმე. ტუბილი ძილი.

• მარ, ჩემო კარგო, ძალიან შემანუხა დიკი ანგელის ამბავმა. მგონი ვიცი, როგორ დავეხმარო და შეგიძლია, მისი ტელეფონის ნომერი მითხრა?

• გამარჯობა, მარ, მოწერა კი მინდოდა, მაგრამ მერიდებოდა. მგონია, რომ პასუხს არ გამცემ. გილოცავ დღესასწაულს და რუისპირის ნომერი მინდა, თუ შეიძლება, რა თქმა უნდა.

• გამარჯობა, მე ქრისტი ვარ, 18 წლის. ძალიან ცუდად ვარ, უსამართლოდ მომექცნენ და თქვენი რჩევები ძალიან მჭირდება. ჩემი დაქალების გამო დავკარგე შეყვარებული.

• მიყვარდა, მიყვარს და იმედია, აღარ შეყვარება. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ საიტზე გავიცანი და ავანყვეთ ურთიერთობა. ის 21 წლის იყო, მე — 14-ის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეგ ჩემთვის მეორეხარისხოვანი იყო. შემქლო, მისთვის თავი გამეწირა და რასაც მთხოვდა, გული არ დამეწყვიტა. პირველად ვიგრძენი, რომ მიყვარდა ბიჭი. მიყვარდა და მორჩა! მისთვის ღამეც მითენებია და ფიქრშიც ჩაიძინებია. ის იყო ჩემი გულისთქმა, ოცნება, აზრი, ცხოვრება, ჩემი ნაწილი. იყო, რა?! არის კიდეც. მიყვარს, მიყვარს უაზროდ და გაგიჟებით, მაგრამ მას? მან დამტოვა მარტო, წავიდა და გული მომიკლა. ნაილო ჩემი გული. ის ჩემი ნაწილი იყო. თემო ჩემი ყველაფერი იყო, მჯეროდა, რომ მასაც ვუყვარდი. იცი, რას ვნანობ? რომ გავალმერთე და ოცნებები ვაწუქე. მან ისე დამტოვა, რომ არაფერი



დამიტოვა. თემო ბოკუჩავამ ჩემი ცხოვრება არია და ცოცხალ გეგმად მაცხია. მან მოახერხა ის, რომ თქვენი უურნალის გიჟივით მკითხველს დამამსგავსა, მაგრამ მართლა ევრეა. არ შემძლია, ჯერ ყველა გზავნილს არ გადავხედო და რუისპირის მესიჯი არ წავიკითხო. იცით, ბიჭის მეშინია. ვერ ვურთიერთობ. არ მესმის, რა დავაშავე? მინდა, მიყვარდეს და ვუყვარდე, მეტი არაფერი. მეგობრები მინდა და მინდა თქვენთან მეგობრობა. დამეხმარეთ, გთხოვთ, მინდა, ბიჭის მიმართ ნდობა აღმიდგეს. თემო ჩემი შეცდომაა. გთხოვთ, დამეხმარეთ, მემეგობრეთ და გპირდებით, სულ არ მიგატოვებთ. წინა ნომერში ისიც ეწერა, რომ თურმე რუისპირი თავის თავს პიარს უკეთებს მაგრამ ალბათ სიცრუეა და ეს უნდა იყოს ყველაზე დიდი უსამართლობა. მე ვიცი, რა არის, როცა იმას გაბრალებენ, რაც არ გაგიკეთებია და უსამართლოდ გადანაშაულებენ, გტყვენ გულს და არც ფიქრობენ შენს განცდებზე, ტკივილზე. რუისპირის გაცნობა მინდა, მარ, და თუ მასაც ექნება სურვილი, მიეცი ჩემი ნომერი. მარ, გთხოვ, ეს გზავნილი დამიბეჭდე. წინა არ დამიბეჭდე და გული დამწყდა. თათუ-კა14.

• არ ვიცი, რა გავაკეთო, ან ვინ ავირჩიო. გთხოვთ, დამეხმარეთ. არც დაქალების დაკარგვა მინდა და არც შეყვარებულის. უკვე 1 თვეა, რაც დაფორმადი და ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა.

• ალარ იცით, რითი გაერთობ და ახლა ნიკების მითვისებაც დაიწყეთ? ეტყობა, თავი ვერ დაიმკვიდრეთ აქ და ამიტომაც იპარავთ ნიკებს. ეს დანაშაული არაა და არავის გვაქვს უფლება, განგსაჯოთ; მაგრამ არ სჯობია, თქვენივე ნიკით დაიმიკვიდროთ სახელი და სიყვარული მოიპოვოთ? დაფიქრდით ცოტა... ბუცა.

• ძველი ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის განმავლობაში ყოველდღიურად იკრიბებოდნენ საზოგადო მსახურებისათვის. პირველ ქრისტიანთა ღვთისმოსაობის შესაბამისად, მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მორწმუნეთათვის დაადგინეს: „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღიდან კვირაცხოვლობამდე (თომას კვირამდე), მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, მორწმუნენი ყველა ტაძარში განუწყვეტლივ უნდა გალობდნენ, იხარებდნენ და ზეიმობდნენ ქრისტეში, საღვთო წერილს კითხულობდნენ და წმინდა საიდუმლოებებით ტკბებოდნენ. ამგვარად, ქრისტესთან ერთად ჩვენც აღვდგებით და ავმალდებით. ამის გამო, აღნიშნულ დღეებში, არამც და

არამც არ ტარდება დოლი და სხვა სახალხო სანახაობები. ძველი ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს განამშვენებდნენ ღვთისათნო საქმეებით, მოწყალებითა და ქველმოქმედებით. უფლის მიბაძვით, რომელმაც თავისი აღდგომით ცოდვისა და სიკვდილის ბოროტებიდან გამოიხსნა, ღვთისმოსაობაში მეფეები აღდგომის დღეებში, საპრობოლის კარს ხსნიდნენ და ტყვეებს შეუდობდნენ (მაგრამ არა — სისხლის სამართლის დამნაშავეებს). უბრალო ქრისტიანები ამ დღეებში შეენუოდნენ ლატას და უპოვართ. აღდგომის დღეს, ნაკურთხ საჭმელს ღარიბებს ურიგებდნენ და ამით მათ ბრწყინვალე დღესასწაულის მონაწილედ ხდიდნენ. ძველი წმინდა ჩვეულება, რომელიც ღვთისმოსაობაში ქრისტიანებმა დღემდე შემოინახეს, იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში არც ერთი საეკლესიო მსახურება არ გამოტოვონ. ჩვენც მივემსგავსოთ ძველ ქრისტიანებს! ვცადოთ, რომ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული საყოველთაო გახდეს. ლაკვასტი.

• მხატვარი ვარ და თითო მოსმით ძალმიძს, რომ შევექმნა სახეთა ჯარი, მაგრამ როდესაც შენ გამოჩნდები, მათ ყველას ერთად წაიღებს ქარი. ათასი სახე შევექმენი სრული, მაგრამ გამოჩნდი და ყველა ერთად მწვავე ცეცხლს მივეც და ხელი ვვარი. მერიქიფე ხარ, ვინც დამინგრია ქვითკირნაგები სასახლე მყარი; თვით ჩემი სული, ვით ვთქვა ენითა, დაიღვარა და შენ შეგენივთა, ჩემს სულს შენ მივეც შენებრი ფშვინვა, ალურსით ასე მიტომ ვარ მკვდარი. შენს ფერხთ ვარდნილი ამ სისხლის წვეთი ღაღადებს: ქვეყნად რაღა მსურს მეტი, მე შენი ვნების მიბერავს ქარი; ვარ წყლის და თიხის უშნო შენობა, გულს მინგრევს სვედა და უშენობა, ან შინ მენვიე, ან მომიხდება დავთომ ეს ჩემი სახლი და კარი... ლაკვასტი.

• მისტერ, სად დაიკარგე? მოგვენატრე. კლეოპატრა.

• იცით, ერთხელ მივდიოდი გზაზე. რაღაც სურათი დავინახე და ავიღე. დავინახე ულამაზესი გოგო. დიდხანს ვეძებდი ამ სურათზე აღბეჭდილ გოგონას, რადგან სიგიჟემდე შემიყვარდა.

• ნაომ, ეს უნდა გამეკეთებინა მე. მასთან თავს ისე კარგად ვგრძნობ, რომ. იმედია, ოდესმე გამიგებ და მაპატიებ. სიყვარულის სახელით გავაკეთე მე ეს. ნ. მისირელი.

• ცხოვრება მშვენიერია, ხომ? მაგრამ ოდესღაც ეს მშვენიერება დიდ უბედურებაში გადაიზრდება.

• ყველაფრით განებივრებული, არაფერს მოკლებული, მაგრამ თურმე

ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სიყვარულს მოკლებული. ასეთია იმ ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება, რომელსაც ყველაფერი აქვს ცხოვრებაში, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერს კარგავს! მეგობრებსაც და ნამდვილ სიყვარულსაც, რომელიც ვერ დაინახეს და ზურგი შეაქციეს. იცით, რა საშინელებაა, როცა ადამიანი, რომელიც სიგიჟემდე გიყვარს, ზურგს გაქცევს და შენგან შორს მიდის? ალბათ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ყველაფრით განებივრებულ გოგოს სხვებისთვის ერთი უბრალო ბიჭი, მაგრამ ჩემთვის კი უძვირფასესი ადამიანი შემეყვარებოდა. გიორგი ჩემი სკოლელი იყო. როცა გავიცანი, X კლასში ვიყავი, ის კი — XI-ში. გაცნობის დღიდანვე ვხვდებოდი, რომ ეს ადამიანი ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა და ისეთ გამხდიდა, როგორიც უნდა ვყოფილიყავი. მოსიყვარულე იყო, არაფერს მაკლებდა, სულ ერთად ვიყავით, მაგრამ მანც რაღაც ჩაბეჭილი ხიდი იყო ჩვენ შორის. მე და გიოს საერთო მეგობარი გვყავდა — ლიზი. ჩვენი სიყვარული 1 წლისთავს დაემთხვა ლიზიკოს დაბადების დღე. რა თქმა უნდა, ორივე დაგვაპატიყა და წავედით. მშვენიერ დროს ვატარებდით, მაგრამ უცბად გიო მოვიდა და მთხოვა, რომ აივანზე გავსულიყავით — სალაპარაკო მაქვსო.

სახეზე ფერი არ ედო. მივხვდი, რომ რაღაც ცუდი უნდა ეთქვა, მაგრამ ასეთ სამინელებას არ მოველოდი. — სოფო, იცი, მეეე... მე საქართველოდან მივდივარ.

— რატომ?
— მთელი ოჯახი მივდივართ საცხოვრებლად, გერმანიაში. სოფო, მე ალარ დავბრუნდები! უნდა დავშორდეთ.

— კარგი გიო, კარგად...

ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი. ლიზისთან დამშვიდობებისა და გიოს ბოლოჯერ ნახვის გარეშე, რაც შემდეგ ბევრჯერ ვინანე, წამოვედი სახლში. მეგონა, ცხოვრება დამთავრდა. არავისთან ალარ მქონდა ურთიერთობა. ალარც ლიზის ზარებს ვაპასუხოვდი და რაღა თქმა უნდა, არც გიოსას. 1 თვე არც სკოლაში მივსულვარ. ცხოვრება უფრო მიძინებოდა. გადიოდა დღეები და ჩემი სიყვარული უფრო და უფრო ძლიერდებოდა. დამთავრდა სკოლა... ბანკეტი, რომელიც ყველასთვის ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა, ჩემთვის ჩვეულებრივი იყო. იმ წელსვე ჩავაბარე უნივერსიტეტში. თითქოს ახალი სიყვარული მენვია, მაგრამ ჩემი გული ისევ გიოს ეკუთვნოდა. სახლში ვზივარ, გიოზე ვფიქრობ და აწკრივალდა ტელეფონი.

— ალო...
— სოფი, როგორ ხარ? ლიზი ვარ.



— როგორ ვიქნები ლიზი, ცუდად. შენ როგორ ხარ?

— კარგად. ახლა გიოს ველაპარაკე, გერმანიიდან დამირეკა. ყველაფერი კარგად არისო. მოგიკითხა, ისევე სიგიჟემდე მიყვარსო.

— არ მაინტერესებს, ლიზი, და საერთოდ, გიკრძალავ ჩემთან გიოზე ლაპარაკს, — ვუთხარი და ტელეფონიც გაითიშა.

გავთიშე ტელეფონი და კარგა ხანი არც ლიზის დაურეკავს. ინსტიტუტიც დავამთავრე და ვთხოვდები.

ქორნილის დღე დაინიშნა. თითქოს ბედნიერი ვიყავი, მაგრამ გულში ისევ გიო მიყვარდა. ჯვარს სამებაში ვინერდით. ჯვრისწერა დაიწყო. უცებ, თვალნინ გიო დამიდგა. ისტერიკული ტირილი ამიტყდა, ტაძრიდან გავიქეცი და ქორნილი ჩაიშალა! ამასთან ერთად, ამ დღის მერე არავის ვუნახივარ. იმ საღამოს საქართველოდან წავედი, ძალიან შორს! 1 თვე მშობლებსაც კი არ შევხვებინანე. მხოლოდ უმისამართო წერილებს ვუგზავნიდი, სადაც ვწერდი, რომ კარგად ვიყავი და სხვას არაფერს. ამერიკაში ვიყავი, სადაც გავიცანი ქართველი ბიჭი, რომელიც ვითომ შემიყვარდა და მას ცოლად გაყვიე. ერთი შეხედვით, ბედნიერი ოჯახი გვექონდა. მალე შვილიც გვეყოლა — პატარა ანი.

ანიმ გადამწყვიტა, რომ გერმანიაში ესწავლა და იქ გადავიდა საცხოვრებლად. რამდენიმე ხანში ანიმ გამოგიცხადა, რომ შეყვარებული ჰყავდა და მალე გათხოვებასაც აპირებდა. დაინიშნა ქორნილის დღე და მე და ჩემი მეუღლე გავემგზავრეთ გერმანიაში. უღამაზესი ქორნილი იყო. ცოტა ხნით გადავწყვიტეთ, რომ ანისთან დავრჩენილიყავით. ჩვენი იქ ყოფნისას გარდაიცვალა ანის მეგობრის ბებიამ. სასაფლაოზე წავედი... ჩემი ყურადღება ერთთმა საფლავმა მიიქცია, სადაც ქართული წარწერა იყო და რას ვხედავ? ჩემი დაუფინყარი სიყვარულის სასაფლაო. დიახ, გიორგის სასაფლაოსთან ვიდექი. საფლაოზე დავეხე და გაუჩერებლივ ვტიროდი, დაღამებამდე. გამიჭირდა, მაგრამ გიორგის ოჯახი ვიპოვე, მივედი და ავუხსენი, ვინც ვიყავი. ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდათ, თბილად მიმიღეს და სიმართლესაც ფარდა ახსადა. გიორგი გერმანიაში სამკურნალოდ წამოსულა — ტვინის სიმსივნე ჰქონია. მე არ გამიმხილა, რადგან არ უნდოდა, დაეტანჯულიყავი, მაგრამ მე ხომ ისედაც ვიტანჯებოდი და ეთქვა, სიკვდილის წინ მასთან ვიქნებოდი და ვეტყოდი, როგორ მიყვარდა. ასეთი მწარე სიმართლე გავიგე, მაგრამ გიოს ჩემთვის წერილი დაუტოვებია, სადაც მწერდა, რომ უზომოდ ვუყვარდი! ეს წერილი

ყველაზე ძვირფასია, რაც კი ამ ცხოვრებამ ჩემთვის გაიმეტა. მართალია, მყავდა მეუღლე, რომელსაც სიგიჟემდე ვუყვარდი და შვილიც, მაგრამ არ მყავდა გვერდით ის ადამიანი, რომელიც ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული იყო. ასეთი დაუნდობელი ყოფილა ცხოვრება. ჯერ გიოს შემახვედრე, უზომოდ შემყავრე და შემდეგ ისე მოკლა, რომ მის აცრემლებულ და დატანჯულ თვალებშიც არ ჩამახედა ბოლოჯერ და არ მათქმევინა... მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ!

•და დაუბრუნდეს ის თავის ოჯახს, ამ შემთხვევაში თქვენ რას იტყვით, აპატიებდით ძველ დანაშაულს? თუ ხელსა ჰკრავდით და გაავადებდით? ღმერთმა გისმინოთ და გავხედე ღირსი, რომ სიკვდილამდე ერთხელა ვნახო, მე უბედურად ჩავთვლიდი ჩემს თავს, მის უნახავად რომ დავიმარხო. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნება არის, მე იმას მხოლოდ სიზმარში ვხედავ, ცოცხალია თუ არ ვიცი, მკვდარი, ცხედრად ჩავთვალო, ვერც იმას ვხედავ. მაშ, თუ ვერაუ, აგვისდა ნატვრა, ჯეკიმ პარიკი მოიხსნა ხელით, ჩემო ლუიზა, შესძახა უმალ, და დაემართა გულისა ძეგრა. ჯეკი? შესძახა საწყალმა ქალმა და წასაქცევად წაიბარბაცა, ჯეკი მივარდა ხელებგამოღილი და ძირს დავარდნა აღარ აცალა. გულში ჩაიკრა თავისი სატრფო, მსურვალე კოცნით გაუთბო გული, მიტოვებული თვრამეტი წლისა, მწარედ დაღლილი და დატანჯული. ვინც აურია ტკბილი ცხოვრება და ვინც გახადა ბანდიტი, მკვლეელი, ჯონის სიკვდილი ელოდებოდა, არავინ იყო იმისი მხსნელი. ჯონი კი ამ დროს დამშვიდებული, ტკბილად ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილთან, ჯეკი ფიქრობდა, ბოლოს მოეუღებ, სულ მოკლე ხანში ველარსად წავა. ჯეკი თავის ხერხს მიმართავს ისევე, ძველი პარიკი თავზე დაიდო, როცა მან ჯონის ადგილსამყოფი და სამსახური კარგად გაიგო. თავის მეგობრით და თავის ვაჟით, ერთ მშვენიერ დღეს სტუმრად ეწვია, გვერდით მოისვა და წაიყვანა, სამაგიეროს გადასახდელად. ეს ოთხეული ზღვის პირს მივიდნენ, ჯონის გაუღეს მანქანის კარი, წინასწარ გრძობით შემინებული, კანკალებდა და იყო ფერმკრთალი. ჯეკიმ გულისპირს მოჰკიდა ხელი და გაუყვარა თვალი თვალებში — აბა დაფიქრდი, ხომ არ გახსოვდარ, ან ხომ არა გაქვს ჩემი ვალები. პარიკი წამსვე შემოიცალა, ჯონი გაოცდა, ამის მნახველი და გაგიჟების ზღვარზე მისულმა წამოიძახა ჯეკის სახელი. ამ დროს გავარდა ზედიზედ ტყვია და ზღვის ტალღებმა ჩაყლაპა ჯონი, ასე დამთავრდა მისი სიცოცხლე და ველარც მკვდარი იპოვეს მგონი. და როს ლუიზამ გაიგო ესა,

არ გაუხარდა, რალა თქმა უნდა, არც ის უნდოდა, ნაპოვნი ქმარი კიდევ მეორედ რომ დაეკარგა. და მეორე დღეს სუყველა ერთად, გამოემგზავრნენ ჯეკის ბინაში, მოკლე გზით სურდათ, რომ გამოეცლოთ, რომ შეაჩერეს უეცრად ტყეში. ტყის მეკობრენი დაესხნენ თავზე, უმალ დაცალეს საცე მანქანა, ცხენზე დაუდეს მთელი სიმდიდრე და შესთავაზეს წაყვანა თანა. მეკობრეს დინჯად წარუდგა ჯეკი, სიტყვა ითხოვა, ითხოვა სმენა, მან დაიქუხა: ჯეკ ლონდონი ვარ, ბოლო პასუხი გვეუთვინთ თქვენა. რიჟი-ბარადა და ჯეკ ლონდონი, მათ სახელებმა ქვეყანა მოვლეს, და დარცხვნილმა მეკობრეებმა, ჯეკის უმალვე ბოდიში სთხოვეს. ჯერ არ მთავრდება მათი ამბავი, ტანჯულ ცხოვრების კლავნილი არხი, ფული, სიმდიდრე, ქიშპობა, მტრობა, ბედის ტრიალი, ცხოვრების ჩარხი. გავიდა ხანი, როგორც კანონი, ბუნებამ ბევრჯერ იცვალა ფერი და ცხოვრებამაც, ათასფრად მჭრელმა, ზოგი ახარა, ზოგს უგო მახე. ცხოვრების ჩარხის მოქმედ პირებმაც, ბევრ სიამესთან სიმწარეც ნახეს, ბევრ სიცოცხლესა მზე დაუბნელეს, ბევრიც სიკეთის გზას დააყენეს. რიჟი-ბარადას კაჟივით ჯანი, ავადმყოფობამ შუა გაუყო, თუმცა ილონეს, ქვეყანა შეძრეს და მაინც შველა არსად არ იყო. მიხვდა ბარადა, რომ ის ამჟამად, სიკვდილისათვის იყო შეთქმული, უხმო მეგობრებს და დაუტოვა, მან დარიგება ანდერძად თქმული: ვიცი, მოკვდები, სულ მოკლე ხანში, და დამასვენებთ ამ ბედურულ სახლში, რომ გამისტუმრებთ, იქ შემომფიცავთ, რომ არ შემარცხვენთ არასდროს ხალხში. არვინ დაინდოთ გულღრძობა-ბოროტი! მოსპეთ, წაშალეთ შპიონის კვალი! დანარჩენზე კი ვერაფერს გეტყვით, თქვენ აღასრულეთ თქვენ-თქვენი ვალი. მოკვდა ბარადაც და მიაბარეს, იმ სამშენებლო ადგილსამყოფელს, ასეა ყოფა, ასეა ბედი, ღმერთი მუდმივად არვის ამყოფებს. პატივსაცემად ყველა დაესწრო, რიჟი-ბარადას ერთხელ მხილველიც, დიდ მოამაგეს რა პატივს სცემდნენ, ამას მიხვდება თვითონ მკითხველიც. მოაკლდა ბანდას მამამთავარი, ვით კრიალოსანს მძივი ოქროსი, და ჯეკ ლონდონის ბოლმიან გულში, მუდმივად ჩაწყდა რალაცა სიმი. შედრენენ, მოეშენენ, თან გალარიბდნენ, გაუნძრევლად კი ვინ რას მისცემდათ, თითქოს გათავდა, ის აღარ იყო, ერთ დროს რომ ყველას შიშის ზარს სცემდა. მაგრამ ეს იყო თურმე დროებით, კინალამ სძლია დარდმა ტკივილსა, მათმა ამბებმა კვლავ დაიქუხა, ჯეკის სახელმა კვლავ გაიელვა. ასე, ამგვარად მიქროდა დღენი, ვით ლურჯ ცაზედა ზღაპრული ველი, იმათ ვერავინ ვე-




რას აკლებდა, მტერი კი იყო სიკვდილის კერძი. არა დრეკობდნენ, არ ნებდებოდნენ, დარტყმებიც ჰქონდათ მათ ერთი-ათზე, მაგრამ ერთხელ კი ჯეკი ბინამი, ველარ დაბრუნდა იმ ხასიათზე. არ ეჭაშნიკათ ეს მის მეგობრებს, წამსვე იყნოსეს, რომ მოხდა რაღაც, ჯეკის დუმილით ამოხსნეს ის, რომ ცუდი ამბავი ტრიალებს სადღაც. იმ საღამოდან მოყოლებული, ჯეკის ენა-ყბა გახდა მდუმარე, თითქოს მის გრძობას და მის ხასიათს გადასხურეს წყალი მდულარე. ლაპარაკს უკლეს, იყვნენ მონყენით და ამ ყოფაში თვემაც გასტანა, ითმენდნენ, მაგრამ ჯეკის მეგობრებს, აღარ შეეძლოთ მეტის ატანა. ერთ საღამოსაც, შეჰკადრეს ჯეკის, გვიტხარი, ძმაო, რა მოხდა შენში, ხომ კარგად იცი, შენი ტკივილი, ტკივილს რომ იწვევს იმავს ჩვენში. იქნებ აღარ გასურს ჩვენთან დარჩენა, იქნებ გლალატობს ვინმე ბანდაში და გერიდება ეჭვის საბაბზედ, ტყუილებრალოდ ატყდეს განგაში. იქნება კიდევ გადაილაღე და შენს ორგანიზმს დასვენება სურს, შენი ხმალი და ჩვენი კისერი, რასაც შენ იტყვი, ჩვენც იგივე გესურს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გყავს ცოლ-შვილი და იმ ცოლ-შვილს კი მიხედვა უნდა, მომავლის ზრუნვა ყველასა გემართებს, რომ შევეწიროთ სიკვდილსაც თუნდა. ჩვენ დაწვრილებით ვიცით ყოველი, შენი ამბავი თუ როგორ არის, საჭიროება ამას მოითხოვს, შეილს მამა უნდა და ქალს კი ქმარი. შენი ოჯახის ტრადიციითა, ჩვენ გულეშობაც ცეცხლის ალია, დატანჯულია თვრამეტი წლისა, რომ გაახარო, შენი ვალია. მართალი არის, მისცეს დასტური და სიხარულმა მოიცვა ყველა, იქ გამეფებულ მდგომარეობას, ვერ აღწერს ვერა, ვერ იტყვის ენა. P.S. თეიქიუ.

• გამარჯობა. მე პირველად გნერთ... ძალიან მიყვარს თქვენი ჟურნალის კითხვა, განსაკუთრებით კი „გზავნილების“. ძალიან ცუდია, რომ შემდეგი ნომრის თემა არ ვიცი და ამიტომ ისე მოგწერთ ერთ ერთ სასაცილო ამბავს. იმედია, დამიბეჭდავ, მარ... პირველ რიგში, მინდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მოგილოცო და ერთი ამბავი მოგიყვებ: აღდგომის წინაღამეს ტაძარში მივდიოდი. ძალიან ცუდი ამინდი იყო, წვიმდა, მაგრამ მეგობრებთან ერთად კარგად ვერთობოდი და სიცივე არავის ახსოვდა. გზაში ვილაც ბიჭები წამოგვეწინენ და ჩემს ბიძაშვილს მიესალმნენ. მე არც ვიცნობდი და მაინც მომესალმნენ. მეც მივესალმე, მიუხედავად იმისა, რომ არ მახსოვდა ეს ბიჭები. წირვის დასრულების შემდეგ წამოვედით სახლისაკენ. ძალიან მოვიჩქაროდით, გზაში წაეიქცი და რასაც ჰქვია, ტალახისფერი

გავხდი. ირგვლივ ყველა დამცინოდა. არც გამკვირვებია, მე მეცინებოდა ჩემს თავზე და სხვას არ გაეცინებოდა? ჰოდა, მანქანაში ჩაჯდომა შემომთავაზეს, — ასე სად წახვალ! ჩაჯექი მანქანაში და ახლა მე და გიოს 2 შვილი გყავს და ბედნიერად ვართ. სალი.

• ვცდილობ, ამ ღამესაც გაუძლო გულწრფელად, არადა ეს გული არც ისე წრფელია, დრომ ამ მონატრებას ვერაფრით უშველა, მე არ ვალიარებ, გული კი შენია. ქუჩაში ხმაურებს საღამოს სიცოცხლე, აქ შენი აჩრდილიც ნაცნობი სენია, ასე რატომ მოხდა, თან მინდა ვიცოდე, ამასაც მოვითმენ, სხვა რა დამრჩენია. ვცდილობ, ამ ღამესაც გაუძლო უშენოდ, ოცნება დაგარქვი, სხვა არაფერია, ისევ ღამე არის ჩემთან სანუგეშოდ და ჩემი გული, თან ისევ რომ შენია. კლემობატრა.

• როგორი ხანმოკლეა სიცოცხლე, ჩვენ კი იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს სითბო და სიყვარული ვაწუქოთ, აგრესიას და სიძულვილს ვწუქნით. თქვენ გვიტხებით, რატომ? კესანე.



გილოცავ!

• მაია ბარათელს ვულოცავთ დაბადების დღეს. დაე, ყოველთვის გფარავდეს ჩვენი სიყვარული, ჩვენო მაიკო. მეგობრები.

• ათენში, ჩემს მონატრებულ მეგობარს, ლილი გულბათაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ყოველთვის ბედნიერი, ჯანმრთელი და გახარებული იქნახე, შენს ღამაშე შვილებთან ერთად.

• მადო! ჩემო ცხოვრებავ და დარდო, გილოცავ დაბადების დღეს. იყავი ბედნიერი და გახარებული. გეკო.

• მთვარისა, გილოცავ დაბადებიდან 47 წელს, შენს შვილებთან, გიგაშასა და ნინისთან ერთად. გელას ძალიან ენატრები.

• ნათია დევიძეს და თორნიკე ფერანიძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთ ერთმანეთს. გფარავდეთ უფალი. მახო და ნინო, საბერძნეთიდან.

• ჩემო საყვარელო მარი, გილოცავ აღდგომას, გისურვებ უღვე სიხარულს, და ბედნიერ დღეს! გეამბორები. ნანი დუმბაძე.

• ემიგრანტო, ჩვენო საყვარელო პიროვნებავ, გილოცავ აღდგომას, გისურვებ მალე დაბრუნებას და შენი

ოჯახის ჩახუტებას. გკოცნი. ნანი დუმბაძე.
• ჩვენო ძვირფასო და ახალო მგზავნილებო, თქვენ გენაცვალეთ ყველას, რადგან თქვენმა სითბომ გამამძლებინა ამდენ ხანს. ღვთის წყალობა და სიკეთე უღვევი — ყველას! თქვენი ნანი დუმბაძე.

• აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ. უფლის მაღლი და ძალა შეგენით მარადყავს. ღვთისმშობლის ლოცვა გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

• ქრისტე აღდგა, მრავალს დაესწარი, მარიამულ, სულ გახარებული და ჯანმრთელი! აღდგომის ძალა და მაღლი გფარავდეს! ამინ.

• ქრისტე აღდგა, მრავალს დაესწარი, ჩემო კარგო და კეთილო ადამიანო. გკოცნით თქვენი გერასიმე.

• ქრისტე აღდგა! ჯვარცმული უფლის მაღლი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის! გილოცავ. კლემობატრა.

• ქრისტე აღდგა! მარ, გილოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. უფლის მაღლი და წყალობა არ მოგაკლებოდეს არსად და არასდროს... მიყვარხარ. CRAZY GIRL

• ქრისტე აღდგა, დე. :) გილოცავ, ჩემო კარგო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გფარავდეს უფლის მაღლი და ღვთისმშობლის წყალობის კალთა.


• მარი, ქრისტე აღდგა. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ, სიხარული. უფლის მაღლიან კალთას დაეფარე და გაეძლიერებინე, ამინ. დიდი სიყვარულით, კიბორჩხალა.

• აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, მგზავნილებო. უფალი გფარავდეთ ყველას. კესანე.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გასურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი



პარანი — კომოდოს დრაკონი

დოს თვეში 1000-ზე მეტი ტურისტი სტუმრობს, რათა ნაციონალურ პარკში ცოცხალი დრაკონები იხილოს (პარკი 1980 წელს ვარანების გადასარჩენად გაიხსნა). ვარანი 50-55 წლამდე ცოცხლობს. 3 მეტრამდე იზრდება და 150 კგ-ზე მეტს იწონის (ყველაზე მსხვილი ცხოველი 3,13 მეტრი იყო და 166 კგ-ს იწონიდა). პატარა დრაკონი წვრილი ნადავლის მოსაპოვებლად ხეზეც კი დახობხავს. ძირითადად, ჩიტებით, გველებით, მღრღნელებით იკვებება. დიდები — ირმებზე, ხარებსა და ღორებზე ნადირობენ. იმასაც ამბობენ, რომ ძველად, ვარანები ჯუჯა სპილოებზეც ნადირობდნენ (დღეს ეს ჯიში აღარ არსებობს). ვარანს კარგად განვითარებული ყნოსვა აქვს

და მსხვერპლს 8 კმ-ის მოშორებითაც გრძნობს. მას საკუთარი წონის მსხვერპლის შეჭმა შეუძლია. ერთი შეხედვით, ამ მოუქნელ ცხოველს ძლიერი კუდი აქვს, რომლის მოქნივითაც ირმის მოკვლა შეუძლია. ვარანის მსხვერპლი ადამიანიც არაერთხელ გამხდარა. უკანასკნელი 65 წლის მანძილზე, ადამიანმა 280 გიგანტური დრაკონი მოკლა. ვარანმა კი 12 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. მისი ნერწყვი შხამიანია. კბილებშორის გახრწნილი ხორცის ნარჩენები აქვს და კბენის შემთხვევაში, მსხვერპლი რომც გაექცეს, ცოტა ხანში მოწამვლისგან დაიღუპება. ლამე ვარანს „მკვდარივით“ სძინავს და იგი სრულიად უვნებელია.

გიგანტურ ვარანს სახელი კუნძულ კომოდოს პატივსაცემად შეერქვა, სადაც იგი პირველად 1912 წელს ნახეს. ინდონეზიაში ვარანის 5 ათასზე მეტი სახეობა ბინადრობს. მას ხშირად კომოდოს დრაკონსაც ეძახიან. თუმცა, ვარანები სხვა კუნძულებზეც — რინკა, პადატი და ფლორესი — ბინადრობენ. კომო-

მოურჯულაბელი მემკვიდრეები

- ფრანსუა მიტერანის ვაჟი — ჟან-კრისტოფი იარალით ვაჭრობდა, მაგრამ გადასახადებს არ იხდიდა. მისმა ვალმა 632 ათას ევროს გადააჭარბა.

- „რკინის ლედის“ — მარგარეტ ტუთერის ვაჟი — მარკი გვინეის გადატრიალებაში მონაწილეობდა. მისი ფულით მეამბოხებმა სამხედრო ვერტმფრენი იყიდეს და პრეზიდენტის სასახლის აღებას გეგმავდნენ.

- მონაკოს პრინცესა სტეფანია 17 წლის ასაკში, შეყვარებულთან ერთად, პარიზში გაიქცა. მისი ახლანდელი ქმარი შაპიტოს მფლობელი, შვეიცარიელი მომთვინიერებელია. პრინცესას გამოემაკაცმა ცოლ-შვილი მიატოვა.

- არასრულწლოვანი ჯენი და ბარბარა ბუშები (ჯორჯ ბუშის ტყუპი ქალ-

იშვილი) თინეიჯერობისას ხშირად თვრებოდნენ და დებოშებს ტყვდნენ.

- სარა პეილინის (ალასკის შტატის გუბერნატორი, 2008 წლის არჩევნებზე ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი) გოგ-



ონამ შეყვარებულისგან შვილი 16 წლის ასაკში გააჩინა.

- 2004 წელს მუამარ კადაფის ვაჟი



— შინბალი სარდინიაზე ისვენებდა. მთვრალი იახტას მართავდა და პორტში მდგარ კერძო იახტებს შეეჯახა. რამდენიმე დღეში რომში პოლიციელი გალახა, შემდეგ პარიზში გაემგზავრა და ნასვამი ელისეს მინდვრებზე „პორტე 911“-ს 100 კმ/სთ-ში მართავდა.

- ავსტრალიის პოლიციამ უინსტონ ჩერჩილის შვილთაშვილი ნარკოტიკების გასაღება-მონხარებისთვის დააკავა. ბინაში 8 მილიონად შეფასებული 50 კგ ექსტაზის აბების აღმოჩენის გამო, სასამართლომ მას 3-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.



მსოფლიოს ყველაზე სწოხილი ბრილიანტები

1912 წლის 10 აპრილს, საუთჰემპტონის პორტიდან „ტიტანიკი“ სამოგზაუროდ გაემშურა. მის მილიონერ მგზავრებს შორის ბრილიანტ „ჰოუპის“ („იმედი“) მფლობელიც იყო. არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ცისფერი ალმასი (ასეთი ალმასები ბუნებაში იშვიათად გვხვდება) ნითელ შუქს ასხივებდა.

ბრილიანტს საოცარი ისტორია აქვს: ერთმა ფრანგმა მოგზაურმა თვალი ევროპაში 1642 წელს ინდოეთიდან ჩაიტანა. სამშობლოში მას „რამას თვალს“ ეძახდნენ, რომელიც მფლობელს უბედურებასა და სიკვდილს უქადდა. რამდენიმე ხანში ევროპაში შავი ქირის ეზიდემიამ იმძლავრა. საფრანგეთის მეფის ბრძანებით, „ჰოუპს“ გულის ფორმა მისცეს და ბრილიანტის კოლეში ჩასვეს. სამკაული დედოფალ მარია-ანტუანეტას მიართვეს. ცოტა ხანში მას თავი მოჰკვეთეს. ბრილიანტის მომდევნო მფლობელი — პრინცესა ლამბელა ქუჩაში მოკლეს.

1830 წელს ბრილიანტი ბანკირმა ჰენრი ჰოუპმა (ბრილიანტს სახელი მფლობელის პატივსაცემად შეარქვეს) იყიდა. მისი შვილი მონამლეს, შვილიშვილებმა კანონიერი მემკვიდრეობა დაკარგეს. მოგვიანებით, „იმედის“ მფლობელი ირანელი ვაჭარი გახდა. სამ თვეში მან თავი მოიკლა. რუსმა თავადმა კანტოვსკიმ სამკაული ფრანგ საყვარელს — მოცეკვავე ლიუდოს მიართვა, მაგრამ ეჭვიანობით შეპყრობილმა მამაკაცმა ქალი სცენაზე, წარმოდგენის დროს მოკლა და თავიც მოიკლა.

ტრაგიკულად დასრულდა ბრილიანტის მომდევნო, შვიდი მფლობელის სიცოცხლეც. 1958 წლიდან ბრილიანტი ვაშინგტონის ძვირფას სამკაულთა გალერეაში ინახება.

„სანსის“ ისტორია 1064 წელს დაიწყო. იგი ერთმა ვაჭარმა მოიპოვა, თანაც მეტად უჩვეულოდ. ლეგენდის თანახმად, აღმოსავლეთ ინდოეთში, ერთ-ერთ ხეში, წყალმა ნაპირზე ძვირფასი თვალი გამოორიყა. შხამიანი გველების შიშით, იქ ჩასვლას



ჰერცოგები და ინგლისელი მეფეები იყვნენ. 12 მილიონ ფრანკად შეფასებული ბრილიანტის ბედი — ადგილსამყოფელი და მფლობელის ვინაობა დღემდე უცნობია.

„შახი“ 88,7 კარატს იწონის. თვალი იმითაცაა უნიკალური, რომ მასზე ტექსტია აღბეჭდილი. რა ხელსაწყოებით მოახერხეს ინდოელმა იუველიერებმა ბრილიანტზე ტექსტის — „ბურხამ-ნიზან-შახ მეორე 1000 წელი“ — ამოტივფრა, უცნობია. გარდა ამისა, თვალს „ნელზე“ ნაოჭი აქვს. დღეს „შახი“ რუსეთის ალმასის ფონდში ინახება. 1928 წელს, როცა თეირანში რუსეთის საელჩო გაანადგურეს და რუსი მწერალი გრიბოედოვი მოკლეს, რუსეთის მეფე, ნიკოლოზ I-ს ბოდიშის ნიშნად, სხვა ძვირფასეულობასთან ერთად, „შახი“ გაუგზავნეს.

410-კარატისანი „რეგენტის“ ინდოეთიდანაა. იგი ერთმა მონამ აღმოაჩინა. თავისუფლების მოპოვების მიზნით, მონამ ტანზე კანი გაიჭრა და თვალი იარაში დამალა. შემდეგ ინგლისელ მეზღვაურს გაურიგდა, რომელიც თვალის საფასურად თავისუფლებას დაჰპირდა. მეზღვაურმა მონა გემზე შეიტყუა, მოკლა და „რეგენტი“ მიითვისა. ევროპაში ბრილიანტი სერ თომას პიტს მიჰყიდა, ფული სასმელში გაფლანგა და ცოტა ხანში თავი მოიკლა. ყოფილი მეკობრე შენაძენით სენტ-ჯორჯის სასახლეში ჩაიკეტა და 6 წლის მანძილზე გარეთ არ გასულა. როცა პიტი მიხვდა, რომ ბრილიანტის მონად იქცა და ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე იყო, ბრილიანტი საფრანგეთის მეფეს მიჰყიდა. „რეგენტი“ არაერთხელ მოიპარეს, მაგრამ დღეს იგი ლუვრში ინახება.

„კოხ-ი-ნორი“ „სინათლის მწვერვალს ნიშნავს“. გადმოცემის თანახმად, ბრილიანტს არასდროს ყიდდნენ. მის ხელში ჩასაგდებად, მეპატრონეს ყოველთვის კლავდნენ. დღეს 109-კარატისანი ბრილიანტი ბრიტანეთის იმპერიის ერთ-ერთ სამეფო გვირგვინს ამშვენებს.



ვერავინ ბედავდა. გამჭრიახმა ვაჭარმა ახალდაკლული ბატკანის ხორცი ხევში ისე ჩააგდო, რომ ბრილიანტს დასცემოდა. შემდეგ არწივების გამოჩენას დაელოდა. ცოტა ხანში ბრილიანტიმკრული ხორცი ფრინველმა ხევიდან ამოიტანა... თვალი 101,25 კარატს იწონიდა. უახლოეს ქალაქში ვაჭარმა ბრილიანტი ორ სპილოზე, 12 აქლემსა და 80 ოქროს მონეტაზე გადაცვალა. მრავალი წლის მანძილზე ინდოელი სულთნები თვალს განძთსაცავში ინახავდნენ, მაგრამ ერთ დღესაც ბრილიანტი მოიპარეს. ევროპაში „სანსის“ მფლობელები ფრანგი



ბონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული
მანიტხვალისათვის
(ა ი თ ხ ვ ა ბ ი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაქნ
არ გაგაქცეთ თვალი

1. რა არის „უვრაჟი“?
2. დაასახელეთ არგენტინელი მწერალი, რომელიც ჟენევაში, სამეფო სასაფლაოზეა დაკრძალული.
3. რომელი ბრძოლა წააგო იტალიაში ჰანიბალმა?
4. რა არის „ტაკუკი“?
5. რა ჰქვია გემის ტვირთის წონის საზომ ერთეულს?
6. როგორი ღორის ხორცი მიიჩნეოდა ძველ საბერძნეთში დელიკატესად?
7. დაასახელეთ კომპოზიტორი, რომელსაც თავისი ნაწარმოების, „ზაფხულის ღამის სიმღერის“ უფერტიურა ტაქსიში დარჩა, თუმცა მოგვიანებით მესსიერებაში შეძლო მისი აღდგენა.
8. დაასახელეთ სახელმწიფო უწყება ლონდონში, რომლის ადმინისტრაციული შენობა გაუხსნელი მკვლელობის ადგილზეა აშენებული.
9. გერმანული ქალაქის, შტრალზუნდის მცხოვრებნი დატყვევებულ მეკობრეებს ქაშაყის შესანახ კასრებში ჩაძრომას აიძულებდნენ. დატყვევებული ყაჩაღები გულმოდგინედ ცდილობდნენ, ამ პატარა და ვიწრო კასრებში ჩატყულებულიყვნენ. რატომ?
10. დაასრულეთ რუსეთში მოარული ფრაზა: „რასიეი უპრავლიატ ნე სლოჟნო, ნო აბსალიუტნო...“.
11. რა არის ზარბაზი?
12. ვის ეკუთვნის სიტყვები: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“?

ანექლოცენი



პირველკლასელი პირველ სექტემბერს სკოლიდან დაბრუნდა:

— რაო, რა გითხრათ მასწავლებელმა? — ეკითხება დედა.
— ხვალაც მოდიო.

— უცხოპლანეტელი რომ მოვკლა, ჩამსვამენ?

— კი... საგიჟეთში...

ჟურნალისტი ინტერვიუს იღებს ჩუქჩასგან.

— თვეში რამდენი გაქვს მოგება ირმის რქებისა და ტყავებისგან?

— შავებისგან თუ თეთრებისგან?

— დავუშვათ, შავებისგან.

— 500 დოლარი!

— თეთრებისგან?

— მათგანაც 500 დოლარი!

— დღეში რამდენ ლიტრს იწველიან თქვენი ირმები?

— თეთრები თუ შავები?

— ნუ, დავუშვათ, შავები?

— 3 ლიტრს.

— თეთრები?

— ისინიც სამ ლიტრს.

— თუ ყველაფერი ერთნაირადაა, რას დაგიჩემებია ეს „შავი და თეთრი“?

— შავები ჩემია!..

— თეთრები?

— თეთრებიც!

ლექტორი სტუდენტს:

— თქვენს ასაკში ალექსანდრე მაკედონელს ნახევარი მსოფლიო ჰქონდა დაპყრობილი!..

— ჰო, მაგრამ იმას არისტო-

ტელე უკითხავდა ლექციებს!..

გურულს ჰკითხეს, ვიოლინოზე დაკვრა თუ იცით?

— მეცოდინება ალბათ!..

— ბებო, გამოგადგა სასმენი აპარატი?

— როგორ არა!.. უკვე მესამედ ვწერ ანდერძს...

ნარკომანი სახლში წამალს ეძებს:

— ბებო, აქ შპრიცი მქონდა შენახული, ხომ არ გინახავს?

— ბებო კი არა, საქართველოს დედოფალო-თქო...



კაცმა მოლაპარაკე ბაყაყი იყიდა. მიიყვანა სახლში, დაასხა 2 ჭიქა არაყი, ერთი ბაყაყს დაუდგა, ერთი თვითონ გადაკრა:

— ჰე!

— კვაა!

დაასხა მეორეც. გადაკრა:

— ჰე!..

— კვაა!..

მესამე...

— ჰე!

— კვაა!..

კაცი გაბრაზდა:

— რა „კვა“, რის „კვა“?!

— აბა, რა „ჰეე“, რის „ჰეე“?!

სვანი და კახელი სტუმრად არიან მეგობართან. მასპინძელს მხოლოდ ერთი ლოგინი აქვს. სვანს დაანვენს ლოგინზე, კახელს იატაკზე დაუგებს ლეიბსა და საბანს. გულმოსული კახელი ღამით სვანს გადმოანვენს იატაკზე და თვითონ დანებდა ლოგინზე.



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. დიდი ფორმატის მდიდრული, უხვად დასურათებული გამოცემა.
2. სორხე ლუის ბორხესი.
3. კართაგენელ მთავარსარდალს იტალიაში არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.
4. მომცრო საღვინე ჭურჭელი.
5. ლასტი.
6. რომელსაც ბევრი ჭამისგან ამოხდებოდა სული.
7. ფელიქს მენდელსონი.
8. პოლიცია (სკოტლანდიარი).
9. სხეულის ნაწილს, რომელიც კასრს გარეთ რჩებოდათ, ჯალათი ჰკვეთდა.
10. „ბესპოლენო“.
11. ოქრომკედით ნაკერი აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი.
12. ტიცინ ტაბიქს.

შუალამისას სვანმა ღრიალი მორთო:

— შუქი აანთეთ, ლოგინიდან ვერ გადმოვდივარ!..

— რატომ არქმევენ ქარიშხლებს ქალის სახელებს?

— იმიტომ, რომ თავიდან წყნარები და ამოუცნობები არიან, მერე სახლებსა და მანქანებს გართმევენ.

სეროჟამ პირველად ჩაიყვანა ცოლ-შვილი ზღვაზე.

— დედაა! — აღტაცებას ვერ მალავს პატარა ბიჭი, — შეხედეთ, შეხედეთ, რა ჩქარა გარბის კატერი!

— ისეთი გიჟი რომ მოგდევდეს თხილამურებით, შენ უფრო ჩქარა გაიქცეოდი! — ეუბნება დედა.

— გამარჯობა, ყურმილს რატომ არ იღებდი?

— ტულეტში ვიყავი.
— 2 თვე?!.

კაცი რეკავს ცირკში:

— უჩვეულო გარეგნობის ადამიანები გჭირდებათ?

— გვჭირდება.
— მე 2 თავი მაქვს.
— დაუფერებელია...
— ერთ თავზე 3 ყური მაქვს, მეორეზე — 4 თვალი...

— შესანიშნავია, აუცილებლად უნდა შევხვდეთ!

— კარგი, ხვალ დაგელოდებით მეტროსთან, 11 საათზე... ხელში გაზეთი მეჭირება...

რუსული, ქართული და ამერიკული სპეცსამსახურის მუშაკები წვრთნას გადიან. დავალება: ვინ უფრო მალე გამოიყვანს კურდღელს ტყიდან.

ამერიკელებმა შეკრიბეს გუნდი: ფსიქოლოგი, სნაიპერი, ადვოკატი, პოლიციელი და მონადირე. შევლენ ტყეში და ნახევარ საათში კურდღელს გამოიყვანენ.

რუსები შეცვივდებიან ტყეში ტანკით, 12 მთვრალი სპეცრაზმელითა და „ურას“ ძახილით. ნახევარ საათში გადაწვანენ ტყეს, დახოცავენ ასამდე ცხოველს და მკვდარ კურდღელს გამოიყვანენ.

ქართველებიდან ტყეში შევა 3 ლიპიანი პოლიციელი. ცოტა ხანში ისმის ცემისა და დედის გინების ხმა. გამოიყვანენ დათვს, დასვამენ მაგიდასთან, ჩასჩრიან ხელში პას-

ტას და ფურცელს და აწერიან: „ალიარებითი ჩვენება: „ვარ კურდღელი, ვცხოვრობ სოროში, მეძახიან ყურცქვიტას...“

— ექიმო, სარკვეში რომ ვიყურები, გული მერევა.


— კარგი მხედველობა გქონიათ.

სვანმა კომპიუტერზე ნიორი ჩამოკიდა, ვირუსი აღარ შეეყრებაო.

ქირურგების ძალისხმევის მიუხედავად, პაციენტი გადარჩა...

ექიმი ეუბნება პაციენტს:
— ესე იგი, დაიმახსოვრეთ!.. ვერ დაღვეთ, ვერ მოსწევთ, ვერ უყურებთ ტელევიზორს...

— და ეგ როდემდე?
— სანამ არ გადამიხდით ამ ანგარიშზე მითითებულ თანხას.



რენიფორსოზაღაღა





კოროსკოპი

28 აპრილი - 4 მაისი

ვიზჟი

გაფრთხილებით, რათა კოლეგებმა თქვენი იდეები წარმატების მისაღწევად არ გამოიყენონ. შაბათ-კვირას, მეგობრებთან ერთად, პიკნიკი მოაწყვეთ.

კუჩრი

შესაძლოა მეგობრებმა საზღვარგარეთ გამგზავრება შემოგთავაზონ. კვირის მეორე ნახევარი საქმიანი და სასიყვარულო შეხვედრებით იქნება დატვირთული.

ტყუპი

წარმატების მისაღწევად ბევრი უნდა იშრომოს. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

კიჩხობი

საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. ჩაიტარეთ სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევა. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად.

ღიმი

სამსახურში კოლეგებთან კამათს მოერიდეთ. მშობლებთან ერთად ხანმოკლე მგზავრობა გელი. შესაძლოა, საერთო მეგობრების წრეში ძველ შეყვარებულს შეხვდეთ.

ქაფხუდი

კარგი პერიოდია რემონტისთვის, ინტერიერის შესაცვლელად. უცხოეთიდან მოულოდნელ საჩუქარს მიიღებთ.

სახსრი

მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს. დაძაბული სამუშაო კვირის შემდეგ, საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქ-გარეთ გამგზავრება დადებით ენერგიას შეგმატებთ.

ვიზიტი

ფინანსურ საკითხებს თქვენს სასიკეთოდ მოაგვარებთ. საყვარელი ადამიანების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ.

მშვიდობის

კვირის დასაწყისში ახალ იდეებს განახორციელებთ. ფინანსურად მოძლიერდებით და ახლობლების დახმარებასაც შეძლებთ. კვირის ბოლოს სიურპრიზებს დაელოდეთ.

თხრობა

ნათესავებისა და მეგობრების მიმართ აგრესიას ნუ გამოამჟღავნებთ; წყენას გულში ნუ ჩაიდებთ. საყვარელ ადამიანს თქვენი დახმარება და მხარდაჭერა დასჭირდება.

ფიქსუმი

უცხოელი სტუმრების დახვედრა და გიდობა მოგიწევთ. საკუთარი იდეების განხორციელებას ადვილად შეძლებთ.

თავი

რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კვირის ბოლოს სიტუაცია თქვენს სასიკეთოდ შეიცვლება.

ზოდიაქოს ნიშნების შინაური ცხოველები

* ვერძმა ირლანდიური ტერიერი უნდა მოიშინაუროს. ცნობილია, რომ ომის პერიოდში ტერიერებს ფოსტალიონებად იყენებდნენ და სახიფათო დავალებებზე მიჰყავდათ.

* კუროს ისეთი ცხოველი უნდა ჰყავდეს, რომელსაც მოეფერება, ჩაიხუტებს. ასეთი შპიცის ჯიშის ძაღლია. იგი განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებს და პატრონის ერთგული და მოსიყვარულე ოთხფეხა მეგობარია.

* ტყუპს ძალიან უყვარს ლაპარაკი. მან ისეთი შინაური ცხოველი უნდა იყოს, რომელსაც ლაპარაკს ასწავლის. ასეთი აფრიკული რუხი თუთიყუშია. სხვა ფრინველებთან შედარებით, მას ყველაზე მეტი სიტყვისა და ფრაზის დამახსოვრება და წარმოთქმა შეუძლია.

* კირჩხიბი მეოჯახე ნიშანია. სხვებზე ზრუნვა უყვარს. თუ მღრღნელებს არ ეშინია, მისთვის შესაფერისი ზაზუნა იქნება.

* ექსტრავაგანტურმა და კეთილშობილმა ლომმა სიამის კატა უნდა მოიშინაუროს. ადრე ისინი მხოლოდ

სამეფო ოჯახის წევრებს ჰყავდათ. ასეთი „სამკაულით“ ლომი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იქნება.

* სისუფთავისა და წესრიგის მოყვარულმა ქალწულმა ერთგული



და მზრუნველი მეცხვარის ნაგაზი უნდა იყოს. მისი მოთვინიერება ადვილია, თანაც ძაღლის პატრონი თავს ყოველთვის დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობს.

* განონასწორებულ და მეოცნებე სასწორს ფერადი წყვილი

იადონის ყოლას ვურჩევთ.

* თუ ცნობისმოყვარე და იდეალურად მორიელს საზოგადოების ყურადღების მიქცევა სურს, შედარებით ნაკლებშხამიანი ცხოველი — ობობა ან სხვა ეგზოტიკური ცხოველი (მორიელი, გველი) უნდა იყოლიოს.

* ენერგიული მშვიდოსნის ერთგული ოთხფეხა მეგობარი დოგი გახდება.

* თხის რქას ყველასა და ყველაფრის დამორჩილება სურს. მოსწონს, როცა მის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებენ. ვურჩევთ, გერმანული ნაგაზის ლეკვი იყიდოს და განწვრთნას.

* მერწყულს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს. თუ სახლში იგუანას იყოლიებს, სტუმრები მოსვენებას დაუკარგავენ.

* აკვარიუმში ტროპიკული და ეგზოტიკური თევზების მოვლა თევზებს ყოველდღიურ საზრუნავსა და საქმიანობას დაავიწყებს.



საფიქრო კროსვორდი

ბ	ზ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	ღ	ა	რ	ა	ს	ღ	რ	ო	ს	ი	ნ	ყ	ე	ნ	ე	ნ
რ	ი	ზ	ე	ძ	ი	ზ	ი	ე	ე	ი	ი	რ	ა	რ	ნ	ჯ	ა	ე	ტ	ა	ლ	ხ	ზ	ბ	ს	ი

- შპსპაზის წასი: უბასუხეთ კროსვორდში დასმულ
- შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოსწინის შემთხვევაში გაბუქე-
- ბულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

ბ. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; **ზ.** რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს მხატვრულ ფილმში „რაჭა ჩემი სიყვარული“; **ა.** ზღვის ტალღების შემოქმედებით ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა; **ს.** საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ.** ქართველი მომღერალი ქალი, ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვათა ქორნალი“; **ბ.** გათავისუფლებული ყმა; **გ.** მუსლიმანური ლოცვა; **დ.** სევედიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** დედაძინის ზედაპირის უსწორმასწორობათა ერთობლიობა; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ბ.** კარტოფილის სამშობლო; **ღ.** ქვევრის მოყვანილობის დიდი ქილა, რომელშიც ყველს ან მწნილს ინახავენ; **ბ.** ცხოველი, რომელსაც აფრიკული სავანის სანიტარს ეძახიან; **რ.** აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა; **ბ.** თვითმფრინავის სადგომი; **ს.** ფრანგი ფერმწერი, რომელსაც ისე აკრთობდა მენატურე ქალის სიმივლე, რომ ცოლად შეერთო იგი და ასე დაძლია სიმორცხვე; **ღ.** წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა განუული; **რ.** ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო

ბგერების განმეორება; **ო.** რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს? **ს.** ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში; **ი.** მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ნ.** კრულვა, შეჩვენება; **მ.** სამიზნედ დადგმული ძვირფასი ლითონის თასი, რომელსაც მოჯირითენი ცხენდაცხენ ისარს ესროდნენ ჩამოსაგდებად; ვინც ჩამოაგდება, ჯილდოდ ამ თასს იღებდა; **ა.** რა ერქვა მხატვრულ ფილმ „ნატურის ხის“ პერსონაჟს, ლარიბ გლესს, რომელიც მთელი ცხოვრება ოქროს თევზს, ნატურისთვალსა და ნატურის ხეს ეძებდა? **ნ.** საბჭოთა პერიოდში გამოშავალი ქართული, სატირული-იუმორისტული ჟურნალი; **ა.** რა ერქვა ჰემინგუის? **გ.** ქართული, ხალხური „ანტიბიოტიკი“.

- წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
- ბ. გიურზა; ზ. ზიპო; ა. ავანსი; ვ. ვიტრინა; ი. იორდანე; ს. სკოტი; თ. თუნგი; ვ. ვიოლინო; ი. იმედი; ს. სოკრატე; ა. აკლდამა; ო. ოპელი; ღ. დასავე; ბ. ათინათი; მ. მზალო; კ. კასკადი; ი. იკებანა; თ. თუშეთი; ხ. ხიმინჯი; ვ. ვუალი; ე. ესკიმო; ლ. ლიე; ი. იუბილე; ს. სეინერი; თ. თოდაძე; ვ. ვიაგრა; ი. ინერცია; ს. სოსელი; ბ. ალიანსი; ო. ონასისი.
 - **გამოქვეყნებული უპრედავში იკითხავა:**
 - **უპატრონო ეკლესიას ეგზარქაბი დაესია**

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	3	6	4	1	8	9	2	5
4	5	1	3	2	9	7	6	8
2	9	8	6	7	5	1	4	3
6	8	4	5	3	7	2	9	1
9	1	3	8	4	2	6	5	7
5	7	2	9	6	1	3	8	4
8	4	7	1	9	6	5	3	2
3	2	9	7	5	4	8	1	6
1	6	5	2	8	3	4	7	9

9	2	6	7	1	4	8	3	5
5	1	4	3	6	8	7	2	9
3	7	8	9	2	5	6	4	1
6	8	1	2	9	3	4	5	7
4	3	9	5	7	6	1	8	2
7	5	2	4	8	1	9	6	3
1	6	3	8	5	7	2	9	4
8	9	5	1	4	2	3	7	6
2	4	7	6	3	9	5	1	8

3	8	5	9	6	4	7	1	2
1	7	2	8	3	5	9	4	6
4	6	9	1	2	7	5	3	8
8	5	3	7	1	6	2	9	4
7	4	1	2	9	8	3	6	5
9	2	6	4	5	3	8	7	1
2	1	7	6	8	9	4	5	3
6	3	4	5	7	2	1	8	9
5	9	8	3	4	1	6	2	7

* მარტივი

9	8	2		5	
4		8			3
	6		7	4	2
1	6			9	
3			5	8	
8			7		1
6		5	3	2	
	8			5	7
		3		9	1




** საშუალო

		8		9	4		1	3
	7				6			4
2		4		8				9
	3	6	1			4		
4			7					5
		9		3	5	2	6	
	9			5		6		2
3			9				8	
8	4		6	7		3		

*** რთული

		2			9	8	4	
	7			8		5		
1		9	2	4		7		
8	4		6	5				7
2			8					3
3				2			1	8
		5		1	7	2		4
		4		2			6	
	2	8	3				1	

ფოტოკუჩიონები



გაისუფი ჟურნალი „ისტორიანი“ წარმოგიდგენთ! ტომი III

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ტომად
შეგთავაზობთ საჭიროთა ცანზურის მიერ ამოღებული მონაკვეთებით

კონსტანტინე
ბამსახურდია

კავით
აქმაშენებერი
ტომი 3

„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ
შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (წიგნის ფასი 3 ლარი)

საუკეთესო პროდუქტები საუკეთესო ფასად



კვარცხნი „დილა“
(10 ხაღლიანი შეფუთვა)

~~3.25~~ **3.00**

ღორის შეშნი „ნიჟორა“ 1 კგ.

~~16.80~~ **13.80**

ქორღონბლე „მეგრული“

~~6.70~~ **5.80**

მანონი „ჩაქანი ფარმარი“
3.2%-იანი

~~1.30~~ **1.10**

ჩაქა „დომაშენი“
3.2%, 1 ლ.

~~2.80~~ **1.90**

სორბლის ფაქილი „ალექსანდრა“
2 კგ

~~3.75~~ **3.20**

ქათამი „სადია“
1.100 კგ

~~7.25~~ **6.60**

მაიონეზი „კალვე“
კლასიკური

~~1.70~~ **1.50**

მწვანე ჩაი „გურიელი“
25 პაკეტი

~~2.40~~ **2.00**

ბორჯომი
1 ლ

~~1.10~~ **1.05**

ნაჭენი „ვიტა“
აბჟის 1 ლ.

~~3.30~~ **2.20**

ლუდი „ბეკსი“
0.5 ლ


~~2.40~~ **2.00**

ბ 166 / 14



წიგნი

როგელიც უნდა ნაიხითხო, სანამ ცოცხალი ხარ!




ედგარ პო
მოთხრობები

**2-დან — 9
მაისამდე**


წიგნი 12
ედგარ პო
„მოთხრობები“

**16-დან —
23 მაისამდე**




ჰომეროსი

**30 მაისიდან —
6 ივნისამდე**



მან ხიცი

**13-დან —
20 ივნისამდე**



თომას მანი
(ტომი I)

*და სხვა ფიქცი
ჩუკნები...
ყოველ ორ წლისში
„წიგნის წყნარობის“
ერთად!*

**მხოლოდ „კვირის პალიგრის“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი**

ნაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უხვე ბამოსანი სომეხი: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, უიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერის მარია რემარკი, ფრედერიკ ბეგბედერი **შეიძინეთ შეიძინეთ წიგნის მალაჩივში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელპა.ჯი